

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერების მიმართულება

ქეთევან ნიკოლაძე

ოკაზიონალიზმები ზოგადლინგვისტური თვალსაზრისით და  
მათი თარგმნის პრობლემა  
*(ქ. მორგენშტერნის პოეზიის მასალაზე)*

ფილოლოგიის დოქტორი (Ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარ-  
მოდგენილი  
დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერი ხელმძღვანელი: ეთერ სოსელია  
ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

2014

## შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი

თავი I ოკაზიონალიზმის დეფინიცია და მისი ადგილი ლექსიკოლოგიასა და ლექსიკოგრაფიაში

- 1.1. გერმანული ენის ლექსიკური მარაგის კლასიფიკაცია სიტყვაწარმოებითი პროდუქტიულობის თვალსაზრისით
- 1.2. ოკაზიონალიზმის განმარტება, თვისებები და ფუნქციები
- 1.3. ოკაზიონალიზმის სტატუსი ლექსიკოლოგიასა და ლექსიკოგრაფიაში
- 1.3.1. ოკაზიონალიზმი – სიტყვა თუ ლექსემა?
- 1.3.2. ოკაზიონალიზმები და ნეოლოგიზმები.

თავი II ოკაზიონალიზმები ტექსტის ლინგვისტიკაში.

- 2.1. სიტყვაწარმოება და ტექსტის ლინგვისტიკა.
- 2.2. ოკაზიონალიზმების როლი ტექსტის აგებაში.

თავი III ოკაზიონალიზმები სტილისტიკაში.

- 3.1. სტილისტიკის ადგილი მეცნიერულ დისციპლინებს შორის.
- 3.2. ენის ლექსიკა, როგორც სტილური ვარიაციის საშუალება.
- 3.3. დიაქრონიული ნიშნით მარკირებული ენობრივი ერთეულები.
- 3.4. სიტყვაწარმოება, როგორც სტილური საშუალება.

თავი IV სიტყვაწარმოება და ოკაზიონალიზმები.

- 4.1. სიტყვაწარმოების ადგილი თანამედროვე ლინგვისტიკაში.
- 4.2. სიტყვაწარმოების ტიპები.
- 4.3. სიტყვაწარმოების მოდელები. ძირითადი მეტყველების ნაწილების სიტყვაწარმოებითი პროდუქტიულობა.

თავი V ოკაზიონალიზმები ქრისტიან მორგენშტერნის შემოქმედებაში და მათი სტრუქტურულ-სემანტიკური დახასიათება.

- 5.1. კომპოზიციის წესით მიღებული ოკაზიონალიზმების სტრუქტურულ-სემანტიკური დახასიათება.
- 5.2. ექსპლიციტური დერივაციის წესით მიღებული ოკაზიონალიზმების სტრუქტურულ-სემანტიკური დახასიათება
- 5.3. კონვერსიის წესით მიღებული ოკაზიონალიზმების სტრუქტურულ-სემანტიკური დახასიათება
- 5.4. სიტყვაწარმოების სხვა ტიპებით მიღებული ოკაზიონალიზმების

სტრუქტურულ-სემანტიკური დახასიათება

თავი VI ოკაზიონალიზმების თარგმნის პრობლემა.

6.1. თანამედროვე ტენდენციები თარგმანმცოდნეობაში.

6.2. მთარგმნელობითი საქმიანობის ფაქტორები და პირობები.

6.2.1. თარგმანის მკითხველი და მისი მოლოდინი თარგმანისადმი.

6.2.2. თარგმნადობის, ინვარიანტისა და ეკვივალენტობის პრობლემა.

6.3. მხატვრული ტექსტების თარგმნა.

6.4. ოკაზიონალიზმების თარგმნის პრობლემა.

დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურა

## შესავალი

ოკაზიონალიზმები ენის სიტყვათა სიმრავლის ყველაზე დინამიკურ ნაწილს ქმნის. ისინი წარმოიქმნებიან მყისიერად, კომუნიკაციის პროცესში უცერად გაჩენილი ლექსიკური ხარვეზის შესავსებად ან გამიზნულად იწარმოებიან მწერლებისა და პოეტების მიერ ხატოვანების ამაღლების, ემოციურობის გაზრდის, აღნიშნვისას მაქსიმალური სიზუსტის მიღწევის, ენის ეკონომიის და საკუთარი სუბიექტური აზრის გამოხატვის მიზნით. ენის ყოველდღიური მომხმარებლისათვის ოკაზიონალიზმები ერთ-ერთი უმთავრესი საშუალებაა ენობრივი შემოქმედებითობის გამოვლენისა. წერილობით ენაში მათი გამოყენება ადრე მხატვრული ლიტერატურით შემოიფარგლებოდა. თუმცა დღესდღეობით ენობრივ ინოვაციაზე თანამედროვე ცხოვრების მრავალი სფერო აცხადებს პრეტენზიას, რომლებიც სწორედ ოკაზიონალიზმების მეშვეობით ცდილობენ მიიზიდონ მომხმარებელთა ყურადღება.

ჩვენი ინტერესის საგანს ამჯერად ის ოკაზიონალიზმები შეადგენენ, რომლებიც მხატვრულ ლიტერატურაში გვხვდება; კერძოდ, ჩვენ დავინტერესდით გერმანული აბსურდისტული პოეზიის წარმომადგენლის, ქრისტიან მორგენშტერნის შემოქმედებით, რომლის თავისთავადობას და გამორჩეულ ხასიათს სწორედ მასში ახალი ლექსიკური ერთეულების სიმრავლე განაპირობებს. ჩვენ შევისწავლეთ ოკაზიონალიზმების ირგვლივ არსებული ლიტერატურა, შევეცადეთ, დაგვედგინა ამ უაღრესად საინტერესო და მრავალფეროვანი ენობრივი მოვლენის თვისებები და ფუნქციები, გაგვერკვია მისი სტატუსი სხვადასხვა დისციპლინაში, როგორცაა, მაგალითად, ლექსიკოლოგია, სიტყვაწარმოება, ტექსტის ლინგვისტიკა, სტილისტიკა და შემდეგ ზემოსხენებული პოეზიიდან მოპოვებული მაგალითების საფუძველზე მოვახდინეთ ოკაზიონალიზმების სტრუქტურულ-სემანტიკური დახასიათება. გარდა ამისა, ჩვენ შევისწავლეთ თანამედროვე თარგმანმცოდნეობაში არსებული ტენდენციები, განსაკუთრებით დავინტერესდით მხატვრული ლიტერატურის თარგმნის საკითხით და შევიმუშავეთ ოკაზიონალიზმების თარგმნის ჩვენეული რეკომენდაციები, რომელთა მართებულობა გადავამოწმეთ ქრისტიან მორგენშტერნის ლექსების უკვე არსებული ქართული თარგმანების ბაზაზე. ჩვენი კვლევის აქტუალობას განაპირობებს თანამედროვე ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ოკაზიონალიზმების რიცხვის ზრდის ტენდენცია და

ჩვენი სურვილი, ქართულ ლინგვისტიკა, მათ შორის, ქართული თარგმანმცოდნეობა, გაუმკლავდეს ამ ახალ გამოწვევას.

**ჩვენი კვლევის საგანს** შეადგენენ თანამედროვე გერმანელი პოეტის, ქრისტიან მორგენშტერნის პოეზიაში დადასტურებული ოკაზიონალიზმები და მათი თარგმნის პრობლემა.

**მეცნიერული სიახლე** მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ შევეცადეთ მოგვეცა ოკაზიონალიზმების მრავალწახნაგოვანი ანალიზი, უპირატესად, სიტყვათწარმოების, ლექსიკოლოგიის, ტექსტის ლინგვისტიკის, სტილისტიკის პერსპექტივიდან და შეგვეშუშავებინა მათი თარგმნის მეთოდები. ყოველივე ეს განვახორციელებთ მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის გერმანული პოეზიის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენლის ქრისტიან მორგენშტერნის შემოქმედების მასალებზე დაფრდნობით.

**ნაშრომის ძირითად მიზანს** წარმოადგენს ოკაზიონალიზმების სტატუსის გარკვევა თანამედროვე ლინგვისტიკაში, მათი სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზის წარმოება და თარგმნის ძირითადი პრინციპების შემუშავება.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ნაშრომში ეტაპობრივად გადაჭრილია შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

- ა) გერმანული ენის სიტყვათა მარაგის უზუალური, პოტენციური და ოკაზიონალური ნაწილის ერთმანეთისაგან გამიჯვნა;
- ბ) ოკაზიონალიზმის შესახებ არსებული დეფინიციების შესწავლა და ამ ენობრივი მოვლენის თვისებებისა და ფუნქციების გამოყოფა;
- გ) ოკაზიონალიზმებსა და ნეოლოგიზმებს შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების დადგენა;
- დ) ოკაზიონალიზმის ტექსტთან მიმართებისა და ტექსტუალობის რეალიზაციაში მისი როლის გარკვევა;
- ე) ოკაზიონალიზმის სტატუსის განსაზღვრა თანამედროვე სტილისტიკაში;
- ვ) სიტყვაწარმოების, როგორც დამოუკიდებელი ლინგვისტური დისციპლინის, ადგილის დადგენა თანამედროვე ენათმეცნიერებაში;
- ზ) სათანადო მაგალითები მოძიება თანამედროვე გერმანელი პოეტის ქრისტიან მორგენშტერნის პოეზიაში და მათი სტრუქტურული და სემანტიკური ანალიზი;
- ე) ოკაზიონალიზმების თარგმნის რეკომენდაციების შემუშავება.

ყველა ამ ამოცანის გადაჭრით მიღებული შედეგი თავისთავად ახალია. ამდენად, ნაშრომის **თეორიულ ღირებულებას** შეადგენს როგორც საკითხის დასმა,

რომელიც ნაშრომის მიზანში გამოვლინდა, ისე ცალკეული პრობლემების გადაჭრის შედეგად მიღებული დასკვნები.

ნაშრომის **პრაქტიკული მნიშვნელობა** იმით განისაზღვრება, რომ მისი მასალები და დასკვნები შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ქართულ ლექსიკოლოგიაში, სტილისტიკასა და სიტყვაწარმოებაში, ისე ტექსტის ლინგვისტიკაში ოკაზიონალიზმის შესახებ არსებული თეორიული მასალის გასავრცობად. გარდა ამისა, ის გამოდგება ქრისტიან მორგენშტერნის პოეზიის და, ზოგადად, ოკაზიონალური სიტყვაწარმოების პროდუქტების თარგმნისას.

დასახული ამოცანების გადასაჭრელად გამოყენებულ იქნა ემპირიული მეთოდი, სტრუქტურული ანალიზი, სემანტიკური ანალიზი, ტრანსფორმაციული ანალიზი.

საკვლევ კორპუსად ავიღეთ მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის გერმანული აბსურდისტული პოეზიის წარმომადგენლის ქრისტიან მორგენშტერნის შემოქმედების ერთი ნაწილი, კერძოდ, ლექსების ციკლი “სახრჩობელას სიმღერები”, რომელიც განსაკუთრებით მდიდარია ახალი ლექსიკური ერთეულებით.

#### **დასაცავად გამოიტანილია შემდეგი დებულებები:**

1. ოკაზიონალიზმი მრავალმხრივი ენობრივი მოვლენაა, რომელსაც ახასიათებს:

ა) ერთჯერადობა/ხანმოკლე არსებობა, ბ) სიტუაციაზე და კონტექსტზე დამოკიდებულება, გ) ნორმიდან გადახრა, დ) არალექსიკალიზებულიობა /მოტივირებულობა, ე) სპონტანურობა. ეს თვისებები ყველა ოკაზიონალიზმში ერთნაირი ხარისხითა და ინტენსივობით არ არის წარმოდგენილი. შესაბამისად, ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ ე.წ. პროტოტოპურ და არაპროტოტიპურ ოკაზიონალიზმები. ოკაზიონალიზმები ერთმანეთისაგან გასხვავდებიან ასევე ფუნქციონალური თვალსაზრისით. მათი გამოყენება შესაძლებელია აქტუალურ სამეტყველო სიტუაციაში ლექსიკური ხარვეზის შევსებად, ენის ეკონომიის, სტილური ეფექტის მიღწევის, მოსაუბრის სუბიექტური განწყობის გამოხატვის მიზნით, ასევე ტექსტის ზედაპირული და სიღრმისეული სტრუქტურების ბმის რეალიზაციისათვის.

2. ლექსიკოლოგიის პერსპექტივიდან, ოკაზიონალიზმებს მივაკუთვნებთ სიტყვათა და არა ლექსმათა რიგს, რადგან ისინი ენის ლექსიკურ მარაგში არ არიან ინტეგრირებული, შესაბამისად, არც ამ ენის ლექსიკოგრაფიულ ცნობარებში არიან დაფიქსირებული (სწორედ ამ ნიშნით განსხვავდებიან ისინი ნეოლოგიზმებისაგან), თუმცა ეს არ გამორიცხავს, ლექსიკალიზაციის შედეგად, მათი ნაწილის ენის სიტყვათა უზუალურ ნაწილში გადანაცვლებას.

3. ტექსტის ლინგვისტიკაში ოკაზიონალიზმები განიხილება როგორც ტექსტის პოტენციური საშენი მასალა. საკვლევი კორპუსის ანალიზის შედეგად ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ შესაძლებელია მსგავსი სიტყვათწარმოების მოდელუბით ან იდენტური აფიქსალური მორფემებით ტექსტის ლოგიკურ-შინაარსობრივი და სტილური ბმა. თავის მხრივ, ტექსტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოებისა და ინტერპრეტაციის საქმეში.

4. სტილისტიკაში ოკაზიონალიზმი განიხილება, როგორც დიაქრონიული ნიშნით მარკირებული ენობრივი ერთეული, რომელიც ხშირად სტილური ეფექტის მისაღწევად გამოიყენება. ვინაიდან მას არა აქვს გავლილი ლექსიკალიზაციის პროცესი და, როგორც წესი, რომელიმე ენობრივი ნორმის დარღვევითაა ნაწარმოები, იგი იმთავითვეა მარკირებული ნიშნით “თვალშისაცემი”. ნორმის დარღვევა შეიძლება მოხდეს, როგორც ფორმალურ (ფონოლოგიურ ან მორფოლოგიურ), ისე სემანტიკურ და პრაგმატულ დონეებზე და ის, ჩვეულებრივ, ახალ ენობრივი ერთეულებისაკენ ტექსტის რეციპიენტის ყურადღების მიპყრობას ისახავს მიზნად.

5. სიტყვაწარმოებას განვიხილავთ, როგორ დამოუკიდებელ ლინგვისტურ დისციპლინას, რომელსაც გააჩნია კვლევის საკუთარი სფერო და ობიექტი. ის, მართალია, ძალზე მჭიდრო კავშირშია მორფოლოგიასთან, სინტაქსსა და ტექსტის ლინგვისტიკასთან, მაგრამ არსებობს საკითხები, რომელთა შესახებ მსჯელობა და რომელთა გადაჭრაც მხოლოდ სიტყვაწარმოების ფარგლებშია შესაძლებელი, რაც აყალიბებს კიდევ სიტყვაწარმოების, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინის, საზღვრებს.

6. საკვლევ კორპუსზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ ოკაზიონალიზმები სტრუქტურული და სემანტიკური მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. ისინი, ძირითადად, იმეორებენ უზუალური სიტყვების სიტყვაწარმოებით პროდუქტიულობასა და აქტიურობას.

7. მხატვრული თარგმანის შემთხვევაში მნიშვნელოვანია, უპირველეს ყოვლისა, დედნის ესთეტიკური მხარის მაქსიმალური შენარჩუნება. ეს უნდა მოხდეს სათარგმნ ენაში ეკვივალენტური ენობრივი საშუალებების მოძიებით, ხოლო ამ უკანასკნელთა არარსებობის შემთხვევაში მათი საგანგებო შექმნით. განვასხვავებთ ოკაზიონალიზმების თარგმნის ხუთ სტრატეგიას: 1. ოკაზიონალიზმის გადატანა სათარგმნი ენის ტექსტში; 2. ახალი ოკაზიონალიზმის წარმოება დედანში გამოყენებული ოკაზიონალიზმის მიხედვით; 3. ახალი ოკაზიონალიზმის წარ-

მოება დედანში გამოყენებული ოკაზიონალიზმის ფორმისა და შინაარსის სრული უგულებელყოფით; 4. გამოტოვება; 5. ოკაზიონალიზმის გამოყენება თარგმანის ტექსტის სხვა მონაკვეთში, კომპენსაციის მიზნით.

**დისერტაციის სტრუქტურა:** შრომა მოიცავს შესავალს, ექვს თავს, დასკვნას; ასევე გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიულ სიას (110 დასახელება, მათ შორის, 18 – ქართული და 92 – გერმანული და ინგლისური წყარო); გარდა ამისა, მხატვრული ლიტერატურის წყაროების ჩამონათვალს (1 დასახელება) და შინაარსს. დისერტაციის მოცულობა შეადგენს 178 გვერდს.

**პირველი თავში – ოკაზიონალიზმის დეფინიცია და მისი ადგილი ლექსიკოლოგიასა და ლექსიკოგრაფიაში** განხილულია 1.1. გერმანული ენის ლექსიკური მარაგის კლასიფიკაცია სიტყვაწარმოებითი პროდუქტიულობის თვალსაზრისით; 1.2. ოკაზიონალიზმის განმარტება, თვისებები და ფუნქციები; 1.3. ოკაზიონალიზმის სტატუსი ლექსიკოლოგიასა და ლექსიკოგრაფიაში; 1.3.1. ოკაზიონალიზმი – სიტყვა თუ ლექსემა? 1.3.2. ოკაზიონალიზმები და ნეოლოგიზმები.

**მეორე თავში – ოკაზიონალიზმები ტექსტის ლინგვისტიკაში** წარმოდგენილია საკითხები 2.1. სიტყვაწარმოება და ტექსტის ლინგვისტიკა და 2.2. ოკაზიონალიზმების როლი ტექსტის აგებაში.

**მესამე თავი ოკაზიონალიზმები სტილისტიკაში** შედგება ოთხი ნაწილისაგან: 3.1. სტილისტიკის ადგილი მეცნიერულ დისციპლინებს შორის; 3.2. ენის ლექსიკა, როგორც სტილური ვარიაციის საშუალება; 3.3 დიაქრონიული ნიშნით მარკირებული ენობრივი ერთეულები; 3.4. სიტყვაწარმოება, როგორც სტილური საშუალება.

**მეოთხე თავი სიტყვაწარმოება და ოკაზიონალიზმები** მოიცავს სამ ქვეთავს: 4.1. სიტყვაწარმოების ადგილი თანამედროვე ლინგვისტიკაში; 4.2. სიტყვაწარმოების ტიპები; 4.3. სიტყვაწარმოების მოდელები. ძირითადი მეტყველების ნაწილების სიტყვაწარმოებითი პროდუქტიულობა.

**მესუთე თავში - ოკაზიონალიზმები ქრისტიან მორგენშტერნის შემოქმედებაში და მათი სტრუქტურულ-სემანტიკური დახასიათება** განხილულია შემდეგი საკითხები: 5.1. კომპოზიციის წესით მიღებული ოკაზიონალიზმების სტრუქტურულ-სემანტიკური დახასიათება; 5.2. ექსპლიციტური დერივაციის წესით მიღებული ოკაზიონალიზმების სტრუქტურულ-სემანტიკური დახასიათება; 5.3. კონვერსიის წესით მიღებული ოკაზიონალიზმების სტრუქტურულ-სემანტიკური დახასია-



თება; 5.4. სიტყვაწარმოების სხვა ტიპებით მიღებული ოკაზიონალიზმების სტრუქტურულ-სემანტიკური დახასიათება.

**მეექვსე თავში ოკაზიონალიზმების თარგმნის პრობლემა** განხილულია 6.1. თანამედროვე ტენდენციები თარგმანმცოდნეობაში; 6.2. მთარგმნელობითი საქმიანობის ფაქტორები და პირობები; 6.2.1. თარგმანის მკითხველი და მისი მოლოდინი თარგმანისადმი; 6.2.2. თარგმნადობის, ინვარიანტისა და ეკვივალენტობის პრობლემა; 6.3. მხატვრული ტექსტების თარგმნა; 6.4. ოკაზიონალიზმების თარგმნის პრობლემა.

დასკვნაში მოკლედ მიმოხილულია ის შედეგები, რომელთაც კვლევის შედეგად მივაღწიეთ.

# თავი I. ოკაზიონალიზმის დეფინიცია და მისი ადგილი ლექსიკოლოგიასა და ლექსიკობრავიაში

## 1.1. გერმანული ენის ლექსიკური მარაბის კლასიფიკაცია სიტყვაწარმოებითი პროდუქტიულობის თვალსაზრისით

სიტყვაწარმოება პროდუქტიული პროცესია. ახალი სიტყვების წარმოება თანამედროვე ენებში უკვე არსებული ნიმუშების მიხედვით მიმდინარეობს (ბგერათა ახალი კომბინაციები, მაგალითად, ბავშვების მიერ შემთხვევითი სიტყვაქმნაობები, უფრო მარგინალური მოვლენაა), თუმცა ენის პროდუქტიული პოტენციალის გამოყენება სრულყოფილად არ ხდება. ენის მომხმარებელს შეუძლია ბევრი ახალი სიტყვა შექმნას, რომელიც სიტყვაწარმოების ყველა წესის დაცვით ამა თუ იმ სიტყვაწარმოებითი ნიმუშის მიხედვით იქნება ნაწარმოები (ასეთ სიტყვებს შეგვიძლია „შესაძლო სიტყვები“ ვუწოდოთ), მაგრამ ისინი ენის აქტუალურ ლექსიკაში არ მკვიდრდებიან სხვადასხვა მიზეზის გამო.

საზოგადოდ, ენის ლექსიკაში სიტყვათა სამ ჯგუფს განარჩევენ: პოტენციურს, ოკაზიონალურსა და უზუალურს. „უზუალური სიტყვები ლექსიკის მყარი, საყოველთაოდ გამოყენებული ნაწილია, ოკაზიონალური სიტყვები ცალკეული შემთხვევითი წარმონაქმნებია ენის სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობების გამოყენებით, პოტენციური კი ისეთ სიტყვებს ეწოდება, რომლებიც რაღაც შემთხვევითობის გამო ჯერ კიდევ არ წარმოქმნილა, მაგრამ მათი წარმოქმნა ყოველ წუთს არის შესაძლებელი სიტყვაწარმოების წესების საფუძველზე“ (Grewendorf 1994:266).

ლინგვისტიკაში არსებობს პოტენციური სიტყვების სხვა დეფინიციაც, რომლის მიხედვითაც ისინი თავიანთი მნიშვნელობით ოკაზიონალიზმებს უახლოვდებიან: პოტენციური ეწოდება ისეთ სიტყვას, რომელიც იქმნება პროდუქტიული სიტყვაწარმოებითი მოდელის მიხედვით, მაგრამ ჯერ კიდევ არ წარმოადგენს აქტუალური ლექსიკის შემადგენელ ნაწილს, შესაბამისად, არ არის დაფიქსირებული ლექსიკოგრაფიულ ცნობარებში. ზოგიერთი ლინგვისტი პოტენციური სიტყვების შიგნითაც ახდენს დიფერენციაციას: „პოტენციური სიტყვები იმის მიხედვით უნდა განვასხვაოთ, იქმნებიან თუ არა ისინი მხოლოდ და მხოლოდ ერთი კონკრეტული ტექსტისთვის და ზოგიერთ შემთხვევაში მხოლოდ ამ ტექსტში არიან გასაგები (ოკაზიონალიზმები) თუ მოსალოდნელია მათი შემდგომი გამო-

ყენება და გადასვლა უზუალურ სიტყვათა ჯგუფში (ნეოლოგიზმები)“ (Peschel 2002:5).

რაც შეეხება უზუალურ სიტყვებს, კ. პეშელი აქაც გამოყოფს ქვეკატეგორიებს: „უზუალური ლექსიკა, რომლის შიდა აგებულება ჯერ კიდევ იმიფრება და რომელიც შესაბამისად „გამჭვირვალედ“ ან „მოტივირებულად“ იწოდება, უნდა განვასხვაოთ უკვე ლექსიკალიზებულიდან, რომელმაც თავისი გამჭვირვალობა ნაწილობრივ დაკარგა. ამ უკანასკნელის გაგება, მართალია, შესაძლებელია, მაგრამ მისი სრულყოფილი ინტერპრეტაცია მხოლოდ დიაქრონულ ჭრილშია შესაძლებელი და შედეგად ის ენის ყოველდღიური მოხმარებისას ისე ფუნქციონირებს, როგორც მარტივი სიტყვა“ (Peschel 2002:6). შესაბამისად, სიტყვაწარმოებაში სიტყვებს, სიახლის მიხედვით, ოთხ ჯგუფად ყოფენ: 1. ოკაზიონალური სიტყვები, 2. ნეოლოგიზმები, 3. უზუალური სიტყვები და 4. ლექსიკალიზებული სიტყვები (Peschel 2002:6).

## 12. ოკაზიონალიზმის განმარტება და ფუნქციები

თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში, კერძოდ, გერმანისტიკაში, ოკაზიონალიზმის აღსანიშნავად არაერთი ტერმინი გამოიყენება: *Okkasionalismus*, *okkasionelle Bildung*, *Gelegenheitsbildung*, *Ad-hoc-Bildung*, *Augenblicksbildung*, *Individual-Bildung*, *Spontanbildung*, *nicht-lexikalisierte Bildung*, *nicht-usuelle Bildung*, *Einmalbildung*, *Modewörter*, *Textwörter*, ზოგჯერ *Neologismus* და *Neubildung*-იც კი. ჩვენი აზრით, ეს გამოწვეული უნდა იყოს, ერთი მხრივ, ოკაზიონალიზმის მრავალფეროვანი ბუნებით, მეორე მხრივ კი, იმ გარემოებით, რომ მკვლევარი იმისდა მიხედვით ირჩევს ერთ-ერთ რომელიმე ტერმინს, თუ ამ ენობრივი მოვლენის რომელი ასპექტი არის მისთვის მოცემულ მომენტში რელევანტური. საქმე ისაა, რომ მოცემული ტერმინების დიდი ნაწილი გამოხატავს ამ ფენომენის არა მთლიან არსს, არამედ მხოლოდ ცალკეულ ქვეკატეგორიებს. მაგალითად, ყველა ახალი სიტყვის შემთხვევაში ვერ გამოვიყენებთ ტერმინებს *Ad-hoc-Bildung*, *Spontanbildung*, *Gelegenheitsbildung* ან *Augenblicksbildung*, რადგან მათი ერთი ნაწილი არ წარმოიქმნება სპონტანურად, ისევე როგორც გაუმართლებელი იქნებოდა, გვეფიქრა, რომ ყველა ოკაზიო-

ნალიზში მხოლოდ ერთჯერადად გამოიყენება (Einmalbidung) ან ყველამ შეიძლება გაიაროს ლექსიკალიზაციის პროცესი და ნეოლოგიზმად ჩამოყალიბდეს (Neologismus).

როგორც ვხედავთ, ამ საკითხთან დაკავშირებით ლინგვისტურ ლიტერატურაში ნამდვილი ტერმინოლოგიური ქაოსია. მაგალითად, ი. ერბენი თავისი შრომის დასაწყისშივე იყენებს ტერმინებს neue Wörter, neugebildete Wörter, Neubildungen, okkasionell(es Wort) და Neologismus (ეს უკანასკნელი სათაურშივეა მოცემული), მოგვიანებით კიდევ ორ ტერმინს – Neuwörter და Gelegenheitsbildung. აშკარაა, რომ ის აღნიშნულ ტერმინებს სინონიმებად განიხილავს (Erben 1981:35).

მრავალფეროვნებით გამოირჩევა აგრეთვე ლინგვისტიკაში არსებული ოკაზიონალიზმის დეფინიციებიც. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მათგანს განვიხილავთ, რომლებშიც ოკაზიონალიზმები სხვადასხვა კუთხით არის წარმოდგენილი. „ოკაზიონალიზმი ხშირად მხოლოდ კონტექსტშია გასაგები. მას უმეტესწილად უწევს ტექსტის რეალიზაციისათვის მნიშვნელოვანი ამოცანების შესრულება. ის ასევე ასრულებს ენის ეკონომიისა და სხვადასხვა სტილურ ფუნქციას და ავსებს ლექსიკურ ხარვეზს. ოკაზიონალიზმი შეიძლება გახდეს ნეოლოგიზმი და საბოლოოდ, ენაში დამკვიდრებული ენობრივი ერთეულიც ან სწრაფად გაუჩინარდეს“ (Elsen 2004:21). გ. მიხელი ამ ენობრივ მოვლენას სხვა ჭრილში წარმოგვიდგენს. ის ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ოკაზიონალიზმს არა აქვს ლექსემის სტატუსი. ის განასხვავებენ სპონტანურად წარმოქმნილ და არასპონტანურ, საგანგებოდ ნაწარმოებ ოკაზიონალიზმებს და მიაჩნია, რომ ისინი, ინტეგრირებული არიან კომუნიკაციურ და კოგნიტიურ სტრუქტურებში და ამდენად, ავლენენ სრულფასოვანი, ინტერსუბიექტურად გამოყენებადი ენობრივი ერთეულების ტექსტუალურ ნიშანს (Michel 1997:337).

ზემოთ მოყვანილი განმარტებები გვაძლევს საშუალებას, გამოვეყოთ ის ნიშან-თვისებები, რომლებიც ახასიათებს ოკაზიონალიზმს და რომლებიც მას სხვა ენობრივი ფენომენისაგან განასხვავებს. ესენია:

- ერთჯერადობა/ხანმოკლე არსებობა;
- სიტუაციაზე და კონტექსტზე დამოკიდებულება;
- ნორმიდან გადახრა;
- არალექსიკალიზებულობა//მოტივირებულობა;
- სპონტანურობა.

ამ თვისებების დეტალურად განვიხილვამდე გვსურს ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ თანამედროვე ლინგვისტიკაში სულ უფრო და უფრო მკვიდრდება მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ძალზე რთული და თითქმის შეუძლებელია ენობრივი კატეგორიების ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯვნა, რადგან ისინი ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული. ეს ეხებათ ოკაზიონალიზმებსაც. რა თქმა უნდა, არსებობს მათთვის დამახასიათებელი მთელი რიგი ტიპური ნიშან-თვისებებისა, მაგრამ ყველა ერთად იშვიათად არის რეალიზებული ცალკეულ ოკაზიონალიზმში. ამიტომ პ. ჰოენჰაუსი გვთავაზობს, ამ ენობრივი კატეგორიის აღწერა მოვახდინოთ ერთგვარი შკალის მეშვეობით (Hohenhaus 1996:66). შკალის თავში განთავსდებიან ოკაზიონალიზმები, რომლებისთვისაც დამახასიათებელია ყველა ტიპური ნიშანი (ესენი არიან ე.წ. პროტოტიპური ოკაზიონალიზმები), ბოლოში კი - ისინი, რომლებშიც ეს ნიშნები მინიმალურად არის წარმოდგენილი. ასეთი ოკაზიონალიზმები არ არიან კონტექსტზე დამოკიდებული, არც ნორმიდან გადახრას ავლენენ და, შესაბამისად, პოტენციურად ექვემდებარებიან ლექსიკალიზაციის პროცესს. როგორც ვხედავთ, პ. ჰოენჰაუსის მიერ შემოთავაზებული მეთოდი ოკაზიონალიზმების აღწერისა არის ბევრად უფრო დინამური და დიფერენცირებული და უპირისპირდება სტატიკურ დეფინიციებს, რომლებიც ვერ ახერხებენ ამ ენობრივი მოვლენის არსის სრულყოფილად წარმოჩენას და ემპირიულ მოცემულობებთან გამკლავებას.

რაც შეეხება ცალკეულ ნიშნებს, პირველ რიგში, შეგვხვებით ერთჯერადობას. ერთჯერადობა გულისხმობს იმას, რომ ოკაზიონალიზმები არიან სრულიად ახალი ენობრივი ერთეულები ანუ ისინი მანამდე არასოდეს გამოუყენებიათ. ზოგიერთი ლინგვისტი მიუთითებს ასევე მეორე, ძალიან მნიშვნელოვან გარემოებაზე: ნამდვილი ოკაზიონალიზმები, „მას შემდეგ რაც მათ თავიანთი კომუნიკაციური ფუნქცია შეასრულეს, დავიწყებას მიეცემიან“ (Wildgen 1980:1). ამ აზრს იზიარებს ქართველი ლინგვისტი კ. დანელია, რომელიც ოკაზიონალიზმებს სამუხეუმო ექსპონატებს ადარებს: „ცხადია, გარკვეულ (პოეტურ თუ არაპოეტურ) სამეტყველო კონტექსტში რეალიზებული უჩვეულო (არაუხუაღური) ფორმები ვერ აამღვრევენ და ვერ შეეცილებიან ენაში საუკუნეობით შემუშავებულ და დაწმენდილ ფორმებს, რადგან კონტექსტური შეზღუდულობისა და ხმარების მეტწილად ერთხელადობის გამო ისინი ვერ გახდებიან საერთო კოლექტიური მოხმარებისანი, როგორც, ვთქვათ, მუხეუმში ექსპონირებული ნივთები“ (დანელია 1998:385]. ე. მიულერ-ბოლჰაგენი ოკაზიონალიზმებს „ერთდღიან ბუხებს“ და „ეფემერულ“

ენობრივ ერთეულებს უწოდებს (Müller-Bollhagen 1985:235). ვ.დ. ბალდი აღნიშნავს, რომ ოკაზიონალიზმებს „მხოლოდ ხანმოკლე სიცოცხლე აქვთ“ (Bald, 1969:6). სწორედ ამ თვისებით ემსგავსებიან ისინი წინადადებას: „ოკაზიონალიზმი სწორედ იმ თვალსაზრისით არის ახალი და ერთჯერადი, რომ მისი (მეტყველების ან წერის დროს) მოხმობა არ ხდება ლექსიკონიდან, ისე როგორც ეს უზუალური სიტყვების, „მზა პროდუქტების“ შემთხვევაშია, არამედ ის (როგორც წინადადებები) ყოველ ჯერზე ხელახლა იქმნება“ (Hohenhaus 1996:35). თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ერთჯერადობა არ არის აბსოლუტური კატეგორია. შესაძლოა, ოკაზიონალიზმი რამდენჯერმეც იქნას გამოყენებული, ერთმა ენის მომხმარებელმა „ისწავლოს“ ის მეორე ენის მომხმარებლისაგან ან რამდენიმე ენის მომხმარებელმა კონტექსტის „იძულებით“ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შექმნას ან აწარმოოს ახალი სიტყვა, მაგრამ ამ სიტყვების მოსმენის დროს რეციპიენტს მაინც ექნება სიახლის, ერთჯერადობის განცდა, სანამ ის საყოველთაო მოხმარების საგნად არ იქცევა.

ოკაზიონალიზმები უმეტესად ძალიან მჭიდროდ არიან იმ კონტექსტთან და სიტუაციასთან დაკავშირებული, რომელშიც ისინი პირველად გამოიყენეს. რამდენადაც მათი წარმოება პირველად ყოველთვის ტექსტის დონეზე ხდება, მათ ამ დროისათვის მხოლოდ ტექსტუალური მნიშვნელობა აქვთ. სწორედ ამიტომ უწოდებს მათ ი. ერბენი „ტექსტის სიტყვებს“ (Textwörter) და მიჯნავს მათ „ლექსიკონის სიტყვებისაგან“ (Lexikonwörter), რომელთა მოძიებაც ლექსიკონებში არის შესაძლებელი (Erben 1995:545). რადგან ოკაზიონალიზმების წარმოება ხშირად სწორედ კონტექსტითა თუ სიტუაციით არის განპირობებული, მათი ინტერპრეტაციაც უმეტესწილად მხოლოდ ამ კონტექსტშია შესაძლებელი. სწორედ ამ ნიშნით განსხვავდებიან ისინი უზუალური სიტყვებისაგან, რომელთა მნიშვნელობები სხვადასხვა ლექსიკონშია დაფიქსირებული. მართალია, ზოგჯერ უზუალური სიტყვაც მჭიდროდ არის დაკავშირებული კონტექსტთან, რადგან პოლისემიის დროს სწორედაც რომ კონტექსტმა უნდა აგვარჩევინოს, სიტყვის რამდენიმე მნიშვნელობიდან რომელიმე კონკრეტული; მაგრამ არსებობს ერთი არსებითი სხვაობა: უზუალური სიტყვების შემთხვევაში ყოველთვის არსებობს შესაძლო მნიშვნელობების შემოსაზღვრული არეალი, საიდანაც ინტერპრეტაციის პროცესში ხდება ყველა შეუსაბამო მნიშვნელობის გამორიცხვა და ერთი სწორის ამორჩევა. თუმცა კონტექსტზე დამოკიდებულება არა მხოლოდ ოკაზიონალიზმების ინტერპრეტაციის კუთხით არის მნიშვნელოვანი. ლინგვისტები აღნიშნავენ კიდევ ერთ გარემოებას:

„სინთეტურად ნაწარმოები ახალი სიტყვები კონტექსტის გარეშე, ერთი შეხედვით, ნორმიდან გადახრის/მიუღებლის შთაბეჭდილებას ტოვებენ, მაგრამ ხშირად იქცევიან მისაღებად და სწორად, როგორც კი კონტექსტში აღმოჩნდებიან“ (Polenz 1980:175). ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ოკაზიონალიზმების მჭიდრო კავშირი სიტუაციასთან მათი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა და ოკაზიონალიზმები მისაღები, „სწორი“ ხდება რეციპიენტისათვის.

ნორმიდან გადახრა არის „ოკაზიონალიზმის ტიპური, მაგრამ არა აუცილებელი თვისება“ (Hohenhaus 1996:46), რაც იმას ნიშნავს, რომ წესის მიხედვით ნაწარმოები უამრავი ოკაზიონალიზმის გვერდით არსებობენ ისეთები, რომლებსაც ი. ერბენი თავის ნაშრომში „ნორმიდან სტილურად ეგვექტურ გადახრას“ (Erben 1981:36) ან „გაცნობიერებულად მცდარ წარმონაქმნებს“ უწოდებს (Erben 1981:38). ასეთი ოკაზიონალიზმი, როგორც წესი, თვალში საცემი და სტილურად მარკირებულია. უნდა ითქვას ისიც, რომ თავად ტერმინი „ნორმიდან გადახრა“ საჭიროებს სუბკლასიფიკაციას ლინგვისტური დონეების მიხედვით, რადგან ნორმის დარღვევა შეიძლება მოხდეს როგორც ფორმალურ (ფონოლოგიურ ან მორფოლოგიურ), ისე სემანტიკურ და პრაგმატულ დონეებზე.

რაც შეეხება ოკაზიონალიზმის კიდევ ერთ თვისებას, რომ ის მოცემული მომენტისათვის არ არის ლექსიკალიზებული, აქ ეჭვგარეშეა ერთი ფაქტი: ყველა უზუალური სიტყვა ოდესღაც ოკაზიონალური იყო, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ოკაზიონალიზმში დევს პოტენცია იმისა, რომ ის ოდესმე გახდება უზუალური. პირიქით, ზოგიერთი ლინგვისტისათვის სწორედ აქ გადის წყალგამყოფი ხაზი: „ეს უკანასკნელნი (იგულისხმება ნეოლოგიზმები -ქ.ნ.) შემოსვლისთანავე ჩაერთვიან სხვადასხვა კონტექსტში და ხდებიან ენის კუთვნილება, მაშინ, როცა ოკაზიონალიზმი ფუნქციობს მხოლოდ მეტყველების მოცემულ კონტექსტში და მის იქით არ მოქმედებს“ (დანელია 1998:384). ანუ როგორც ვხედავთ, ის, რომ ოკაზიონალიზმი არ არის ლექსიკალიზებული, კონტექსტთან მჭიდრო კავშირსა და ნორმიდან გადახრასთან ერთად ის ნიშანია, რომელიც, მართალია, არ არის დამახასიათებელი ყველა ოკაზიონალიზმისათვის, თუმცა მათ ტიპურ თვისებად მიიჩნევა. საერთოდ, ლინგვისტები ფიქრობენ, რომ საჭიროა ამ ცნების მკაცრად სინქრონიულ ჭრილში გააზრება. ის, რომ ოკაზიონალიზმი ლექსიკალიზებული არ არის, ეხება „მხოლოდ ენის ამჟამინდელ მდგომარეობას, არა ადრინდელს და არავითარ შემთხვევაში - მომავალს“ (Hohenhaus 1996:61). ანუ ამ ტერმინის გამოყენებისას არ არის მნიშვნელოვანი, ოკაზიონალიზმი მომავალში გადა-

იქცევა თუ არა უზუალურ სიტყვად, ის უბრალოდ გულისხმობს, რომ ენის სინქრონიულ, ამჟამინდელ მოცემულობაში ენობრივი ერთეული არ არის ლექსიკონის პოტენციური კანდიდატი. „სიტყვებს, რომლებიც იშვიათად, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მხოლოდ ერთხელ ვიყენებთ, თითქმის არა აქვთ შანსი, შევიდნენ ლექსიკონში“ (Wanzeck 2010:41). რასაკვირველია, აბსოლუტურად დარწმუნებული ვერ ვიქნებით იმაში, რომ ოკაზიონალიზმი, რომელიც სინქრონიაში არსებული ენობრივი ნორმებისგან გადახრას წარმოადგენს, მომავალში არ გახდება უზუალური, მაგრამ ასეთ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ თვითონ ენაში მოხდება ცვლილებები.

ოკაზიონალიზმის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება სპონტანურობაა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს ნიშანი ერთნაირი ხარისხით არ ვრცელდება ყველა ოკაზიონალიზმზე. ამაზე მიუთითებს გეორგ მიხელი თავის ერთ-ერთ შრომაში: „ეს შეიძლება იყოს სპონტანურად ნაწარმოები, მაგრამ ასევე არასპონტანური, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, აშკარად წინასწარ დაგეგმილი სიტყვაწარმოება“ (Michel 1997:337). შესაბამისად, გამოვყოფთ ორ ქვეჯგუფს: პირველში შედიან ოკაზიონალიზმები, რომლებიც სპონტანურობის მაღალი ხარისხით გამოირჩევიან. ასეთი ოკაზიონალიზმი ძირითადად ყოველდღიური საუბრების დროს იწარმოება, ის ამ დროს, როგორც წესი, ავტომატურად, წინასწარი დაგეგმვისა და მოფიქრების გარეშე ჩნდება. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს შემდეგი სიტუაცია: „ერთ-ერთი შემთხვევა, რომლის დროსაც ოკაზიონალიზმი იწარმოება, არის იმ ნივთთა სახელდება, რომელთაც არ გააჩნიათ საყოველთაოდ გამოყენებული დასახელება. ეს არის ნივთები სახელის ან, როგორც მინიმუმ, ყველასათვის ცნობილი სახელის გარეშე. საქმე ეხება, უპირველეს ყოვლისა, ყოველდღიური მოხმარების საგნებს, რომელთაც მოლაპარაკე გაცნობიერების გარეშე უძებნის არასწორ სახელს. უმეტესწილად ეს არის პატარა, უმნიშვნელო ნივთები, რომელთა შესახებაც იშვიათად ვლაპარაკობთ“ (Wanzeck 2010:41). ქ. ვანცეკი თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად სვამს კითხვას: რა ეწოდება თასმების ბოლოში მოთავსებულ პლასმასის პატარა დეტალს? რასაკვირველია, სპეციალურ ლექსიკაში მოიძებნება მისი დასახელება, მაგრამ ის ყოველდღიურ მეტყველებაში არ გამოიყენება და აქედან გამომდინარე, ენის მოხმარებლისთვის უცნობია. ასეთი ტიპის ოკაზიონალიზმის მოგონებისათვის მოსაუბრე დიდ დროს არ ხარჯავს, სპონტანურად ქმნის მას; ასეთი სიტყვები იმთავითვე ერთჯერადი მოხმარებისათვის არიან შექმნილი.



მეორე ქვეჯგუფს მიეკუთვნებიან ის ოკაზიონალიზმები, რომელთა წარმოებითვისაც ენის მომხმარებლები თავიანთ კრეატიულობას სრულიად გაცნობიერებულად იყენებენ და, შესაბამისად, ისინი მოკლებული არიან სპონტანურობას. ეს უკანასკნელნი ძირითადად წერილობით ენაში არიან წარმოდგენილნი, მაგალითად, პრესაში, სარეკლამო ენასა და პოეზიაში. ოკაზიონალიზმების სისშირით გამოირჩევა ასევე სპეციალური ტექსტები, რადგან სპეციალური ტერმინოლოგია ხშირად უფრო ზუსტი და მოკლეა, ვიდრე შესაბამისი სინტაგმატური ფორმულირებები.

ზემოთ ჩამოთვლილი ნიშან-თვისებები შესაძლებლობას გვაძლევს, გამოვყოთ ოკაზიონალიზმის ფუნქციები. ეს არის:

- აქტუალურ სამეტყველო სიტუაციაში ლექსიკური ხარვეზის შევსება
- ენის ეკონომია
- სტილური ეფექტის მიღწევა
- ენის მომხმარებლის მოთხოვნილება, გამოხატოს საკუთარი სუბიექტური განწყობა
- ტექსტუალური ფუნქცია

ოკაზიონალიზმის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია არის სახელდება. ახალი საგნების ან მოვლენების გამოჩენა, ან უკვე კარგად ნაცნობის ახალი თვალსაზრისით წარმოჩენა ენობრივ კოლექტივში ქმნის აუცილებლობას, ამ საგნებს დაერქვას სახელი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოკაზიონალიზმების შემთხვევაში იშვიათია სიტყვაქმნა ანუ ის შემთხვევა, როცა „არ არსებობს პირდაპირი კავშირი ენობრივ ნიშანსა და გარეენობრივ მოვლენას შორის“ (Matussek 1994:35), სამაგიეროდ, ძალიან გავრცელებულია სიტყვაწარმოება, რომელიც შემდეგნაირად ფუნქციონირებს, სიტყვაქმნადობის შედეგად მიღებული ამ მარტივი სიტყვებისაგან ხდება ახალი კომპლექსური ენობრივი ერთეულების წარმოება, რომელთა მნიშვნელობა მოტივირებულია. ეს ნიშნავს იმას, რომ ახალი ენობრივი ერთეულის მნიშვნელობის გამოცნობა შესაძლებელია მისი უშუალო შემადგენლების მნიშვნელობების შეჯამების საფუძველზე.

ოკაზიონალიზმი სახელდებითი ფუნქციით გამოყენება ყველაზე ხშირად ზეპირი მეტყველების დროს ხდება და „ეფუძნება მოლაპარაკის სურვილს, აქტუალურ სიტუაციაში რაც შეიძლება სწრაფად მოახდინოს შესაფერისი სახელდება“ (Wanzeck 2010: 39). თუმცა იმავე ფუნქციით ოკაზიონალიზმი შეიძლება გამოიყენონ სამწერლობო ენაშიც: „სწორედ არსებითად ასეთი ოკაზიური სიტყვის

სრულფასოვანი უზუალური ეკვივალენტის უქონლობა უბიძგებს შემოქმედს, მეტყველების კონკრეტული კონტექსტისათვის ყველაზე საჭირო სიტყვა მოიძიოს ენის ბაზისური სისტემის სარეზერვო ფონდში, გახდეს ასეთი მანამდე უხმარი და „გადანახული“ სიტყვის მიმგნები“ (დანელია 1998:385).

ოკაზიონალიზმს ხშირად ენის ეკონომიის მიზნითაც აწარმოებენ. გასაგებია, რომ კომპლექსური სემანტიკური ერთეულები ფორმალურად შეიძლება როგორც წინადადების, ისე სიტყვის მეშვეობით გადმოიცეს. თუ რომელ ფორმას აირჩევს ენის მომხმარებელი, მთლიანად დამოკიდებულია მის სალაპარაკო ინტენციასზე. თუმცა ეს შეიძლება დიდწილად განპირობებული იყოს ასევე ენის სისტემითა და მისი ისტორიული განვითარებით (Naumann 2000:27). განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება ხშირად გამოყენებულ ცნებებს, ენის მომხმარებლები ხშირად სიტყვაწარმოვის სასარგებლოდ იღებენ გადაწყვეტილებას. ეს ლოგიკურიცაა: რაც სინტაქსურად რამდენიმე ელემენტზე უნდა გადანაწილებულიყო, აქ გაერთიანებულია ერთადერთ ერთეულში. ენის ეკონომიას ყველა ხშირად მიმართავენ სპეციალურ ტექსტებში, პრესაში, რეკლამაში და ა.შ. ამის მაგალითები უხვად შეიძლება დაიძებნოს გერმანულ ენაში: Dauerarbeitslosigkeitsbekämpfungsgesetz (“კანონი ხანგრძლივი უმუშევრობის დაძლევის შესახებ”), Donaudampfschiffkapitänsmütze (“დუნაის ორთქლავალი გემის კაპიტნის ქული”), Entwicklungskommissionsvorsitzender (“განვითარების დაგეგმვის კომისიის თავმჯდომარე”) და ა.შ.

რაც შეეხება სტილური ეფექტის მიღწევას, ეს, ძირითადად, ენობრივი ნორმიდან გადახრის ხარჯზე ხდება, რაც სხვადასხვა დონეზე შეიძლება განხორციელდეს: მაგ., ფონეტიკურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ და სემანტიკურ დონეებზე. ქართველი ლინგვისტი კ. დანელია ფიქრობს, რომ გრამატიკული ოკაზიონალიზმები „არსებითად პოეტურ თხზულებებში რეალიზდება და მოტივირებულია ლექსის რიტმულ-რითმული სტრუქტურით. მათ დამოუკიდებელი მხატვრულ-ემოციური ფუნქცია არა აქვს. ისინი უბრალოდ ეგუებიან სალექსო სტრუქტურას, რომელსაც აკისრია ინფორმაციულობასთან ერთად მხატვრული ეფექტის შექმნა“ (დანელია 1998:385). სემანტიკური ოკაზიონალიზმი შეიძლება შეგვხვდეს როგორც პოეტურ ენაში, ისე სხვა ტიპის ტექსტებსა და ყოველდღიურ მეტყველებაში. ისინი „პოეზიაში მოტივირებულია ლექსის, ან პროზაში კონტექსტური სტრუქტურით. ისინი მოცემულ კონკრეტულ კონტექსტში მაქსიმალურად დატ-

ვირთული არიან შინაარსობრივად და ემოციურობითაც შეუნაცვლებელი არიან“ (დანელია 1998:385). იგივე დასტურდება სარეკლამო ენაშიც: “სარეკლამო ტექსტებში თითქმის აღარაფერია შეუძლებელი, რადგან აქ ხშირად ეფექტი სწორედ იმით მიიღწევა, რომ ხდება არსებული შეზღუდვების უგულვებელყოფა (Naumann 2000:28). თუმცა სტილური ეფექტის მიღწევას ოკაზიონალიზმების სხვა თვისებებიც უწყობენ ხელს, როგორცაა, მაგალითად, ერთჯერადობა, ფორმალური ან შინაარსობრივი სიახლე. „ერთჯერადობა გაღიზიანების ფუნქციას ასრულებს ... უჩვეულოს მეშვეობით ყურადღების მიქცევა შეიძლება იყოს მიზეზი, რის გამოც მოსაუბრემ/მწერალმა ოკაზიონალიზმი აწარმოა“ (Heusinger 2004:33).

ხშირად ენის მომხმარებელი ენის სიტყვაწარმოებით პოტენციალს საკუთარი სუბიექტური განწყობილებებისა და აზრების გადმოსაცემად იყენებს. სარგებლობს რა ენის სიტყვაწარმოებითი წესების კრეატიული შესაძლებლობებით, ის აწარმოებს ოკაზიონალიზმებს „აღსანიშნის სპეციფიკური შეფასების გამოსახატავად“ (Bußmann 2002:105). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ოკაზიონალიზმები ამ შემთხვევაში სრულიად ინდივიდუალური წარმონაქმნებია. ბევრი ლინგვისტი ფიქრობს, რომ ეს არის ენის ერთგვარი „ზეიმი“, როდესაც ენის მომხმარებელი „უარს ამბობს, მოერგოს აზროვნებისა და აზრის გამოსატვის უკვე არსებულ სქემებს ... როდესაც ენა თამაშობს ყველა თავისი მორფოლოგიური თუ სინტაქსური შესაძლებლობებით და ... საუბრის რუტინირებული მანერით შექმნილი ენის ყოველდღიური მოხმარების ბორკილებს ამსხვრევს ... რამდენადაც მკაცრად დადგენილია ენის კოსმოსში ჰარმონია, იმდენად თავისუფალია სიტყვაწარმოების წესები ... მართალია, ჩვენ მორგებული გვაქვს ჩვენი ენობრივი როლი, ... მაგრამ არავის აიძულებენ, მხოლოდ ერთი როლი ითამაშოს, თავისი ენობრივი ქცევა წარმართოს თამაშის მკაცრი წესების მიხედვით“ (Wills 2009:291).

ოკაზიონალიზმებმა შეიძლება ძალიან დიდი ზეგავლენა მოახდინონ ტექსტის მიმდინარეობაზე. მათი მეშვეობით შესაძლებელია უკვე ნაცნობ, ნახსენებ ინფორმაციასთან უკან დაბრუნება და პირიქით, ჯერ კიდევ უცნობი ინფორმაციის წინსწრებით შემოტანა ტექსტში. ამგვარად მწერალი/მოსაუბრე მკითხველის/მსმენელის ყურადღებას წარმართავს საკუთარი სურვილების შესაბამისად. ამ მოვლენას ლინგვისტიკაშია ხშირად „ანაფორულ“ და „კატაფორულ“ პროცესებს ადარებენ. პირველ შემთხვევაში მწერალი/მოსაუბრე ახდენს მკითხველის/მსმენელის ცოდნის გააქტიურებას, მიმართავს რა მის ყურადღებას უკვე ნაცნობ ტექსტზე, მეორე შემთხვევაში კი „აიძულებს“ მკითხველს/მსმენელს მთე-

ლი ყურადღება მოიკრიბოს და დაელოდოს, რა მოხდება ტექსტის შემდგომ ნაწილში.

### 13. ოკაზიონალიზმის სტატუსი ლექსიკოლოგიასა და ლექსიკობრაშიაში

#### 13.1. ოკაზიონალიზმი – სიტყვა თუ ლექსემა?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამა თუ იმ ენის ლექსიკურ მარაგში სიტყვაწარმოებითი პროდუქტიულობის მიხედვით სამ ჯგუფს გამოყოფენ: უზუალური, ოკაზიონალური და პოტენციური.

ყველა ოკაზიონალური სიტყვა ოდესღაც უზუალური იყო. უზუალური ლექსიკა ენის სტაბილურ, ფართოდ გამოყენებულ ნაწილს ქმნის და დაფიქსირებულია შესაბამის ლექსიკოგრაფიულ ცნობარში. სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება ის ოკაზიონალური სიტყვებისაგან, რომლებიც, მათი ბუნებიდან გამომდინარე, არ არიან ინტეგრირებული ამა თუ იმ ენის სიტყვათა მარაგში და შესაბამისად, ლექსიკოგრაფიულად აღურიცხავებიც არიან.

თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ენობრივი ერთეულის ლექსიკონში კოდიფიცირება გამოდგება ოკაზიონალიზმების უზუალური ლექსიკისაგან გამიჯვნის ერთ-ერთ, მაგრამ არა გადამწყვეტ კრიტერიუმად: „ის, რომ ახალ სიტყვას ვერ ვპოულობთ უახლეს ლექსიკონებში, ჯერ კიდევ არ არის მისი სიახლის დამადასტურებელი საბუთი. ჯერ ერთი, რომ ლექსიკოგრაფიული კოდიფიკაცია წმინდა ქრონოლოგიური თვალსაზრისით ვერ ახერხებს ფეხი აუწყოს ახალი სიტყვების წარმოქმნას, მეორეც ლექსიკონში ვერ შევა ყველა ახლადნაწარმოები სიტყვა და ეს არცაა აუცილებელი“ (Stepanova...1985:172). აქედან შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა: თუ სიტყვა ლექსიკონშია დაფიქსირებული, მას ვეღარ განვიხილავთ ოკაზიონალიზმად, მაგრამ იმის მტკიცება, რომ სიტყვა ოკაზიონალურია, რადგან ის (ჯერჯერობით) ლექსიკონში არ გვხდება, იმთავითვე მცდარია.

იმ საკითხთან დაკავშირებით კი, შედიან თუ არა ოკაზიონალიზმები ლექსემათა ჯგუფში, უნდა ითქვას შემდეგი: ტერმინი “სიტყვა“ სიტყვაწარმოების კონსტრუქციას თავისი მორფო-სინტაქსური სტრუქტურის მიხედვით ახასიათებს,

ხოლო „ლექსემა“ „არის ენის ლექსიკურ მარაგში ინტეგრირებული სემანტიკური ერთეული“ (Fleischer...1995:23), რომელიც სულიერ თუ უსულო საგანს ან მოვლენას აღნიშნავს და „სინტაქსური თვალსაზრისით ავტონომურია“ (Fleischer...1995:23). ლექსემის ცნება უფრო ფართოა, ვიდრე სიტყვისა, რადგან სიტყვისაგან განსხვავებით, ლექსემაში შეიძლება მოიაზრებოდეს როგორც ცალკეული სიტყვა, ისე სიტყვათა ჯგუფები, მაგალითად, მყარი სიტყვათშეთანხმებები, ფრაზოლოგიზმები და ა.შ. ლექსემები არიან ელემენტები, რომლებიც „როგორც სალექსიკონო ერთეულები, საზოგადოებრივად განმტკიცებული, ლექსიკალიზებული არიან“ (Schippa 2002:95). გარდა ამისა, ლექსემის შემთხვევაში აღსანიშნი სტაბილურია და მისი წარმოქმნა რომელიმე კონკრეტულ ტექსტში ან სამეტყველო სიტუაციაში არ ხდება, როგორც, მაგალითად, ოკაზიონალიზმის შემთხვევაში.

თუ გავითვალისწინებთ ოკაზიონალიზმებისათვის დამახასიათებელ ნიშანთვისებებს - ერთჯერადობა, ხანმოკლე არსებობა, სპონტანურობა, ის, რომ მათ ლექსიკალიზაციის პროცესი არ აქვთ გავლილი - ცხადი გახდება, რომ ოკაზიონალიზმებს ლექსემათა რიცხვს ვერ მივაკუთვნებთ.

### 1.3.2. ოკაზიონალიზმები და ნეოლოგიზმები

თანამედროვე ლინგვისტიკაში ტერმინი „ნეოლოგიზმი“ ვიწრო და ფართო გაგებით გვხვდება. ის ლინგვისტები, რომლებიც ამ ტერმინს მისი ფართო მნიშვნელობით იყენებენ, ნეოლოგიზმს უწოდებენ ყველა ახალ, მყისიერად წარმოქმნილ სიტყვას: ნეოლოგიზმი არის „რომელიმე განსაზღვრული დროის მონაკვეთში ახლადწარმოები ყველა სიტყვა“ (Conrad 1985:161). ანუ ამ შემთხვევაში, ნეოლოგიზმში ოკაზიონალიზმიც მოიაზრება. მაგრამ ბევრი ლინგვისტი მომხრეა იმისა, რომ ისინი გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან. ამის მთავარ მიზეზად ის არგუმენტი სახელდება, რომ ნეოლოგიზმები, ოკაზიონალიზმებისაგან განსხვავებით, ლექსემებს განეკუთვნებიან და ენის სიტყვათა მარაგის უზუალურ ნაწილში შედიან. ეს ნათლად ჩანს შემდგომ განმარტებაშიც: „ნეოლოგიზმი არის ლექსიკური ერთეული ან მნიშვნელობა, რომელიც ენობრივ კოლექტივში ჩნდება ენის

განვითარების რაღაც ეტაპზე, ვრცელდება და როგორც ენობრივი ნორმა საჯაროდ იქნება აღიარებული“ (Herberg...1998:2).

ამ მოსაზრებას იზიარებენ ვ. ფლაიშერი და ი. ბარციც. მათ მიიჩნიათ, რომ „ერთი მხრივ, ოკაზიონალიზმებსა და, მეორე მხრივ, ნეოლოგიზმებს შორის ფართო გარდამავალი სივრცე უნდა ვივარაუდოთ“ (Fleischer...1995:24). სამწუხაროდ, ისინი არ აზუსტებენ, რას გულისხმობს „გარდამავალი სივრცე“. სამაგიეროდ, ამას საკმაოდ დაწვრილებით განმარტავს მ. მათუსეკი, რომელიც ახალ ენობრივ ერთეულებს ორ ჯგუფად ყოფს და ამასთანავე საუბრობს მათ შორის ერთგვარი „გარდამავალი ზონის“ არსებობაზე: „ენის ერთ პოლუსზე განთავსებულია ახლადნაწარმოები სიტყვები, რომლებიც ერთ კონკრეტულ (ტექსტუალურ) მომენტში ერთი კონკრეტული (ტექსტუალური) მომენტისათვის იწარმოება და მეტად აღარ გამოიყენება. ... საპირისპირო პოლუსზე მოცემულია სინქრონიული თვალსაზრისით ახლადნაწარმოები სიტყვები, რომლებიც რაღაც დროის შემდეგ ნეოლოგიზმების სახით შეიძლება დაფიქსირებულ იქნან ლექსიკონში. ... ამ ორ პოლუსს შორის განთავსებულია ისეთი ახლადნაწარმოები სიტყვები, რომლებსაც ვერ იპოვით ლექსიკონში, მაგრამ რომლებიც მათი წარმოების შემდეგ გამოიყენეს სხვა ტექსტებში. ... ვვარაუდობ, რომ უნდა არსებობდეს შუალედური ზონა ახლადნაწარმოებ სიტყვებს შორის, რომელთა ერთი ნაწილი ბოლოსდაბოლოს ხვდება (შეიძლება მოხვდეს) ლექსიკონში, როგორც სალექსიკონო ერთეული და ისეთები, რომლებიც ტექსტში ნამდვილად ერთი მოცემული მომენტისათვის აწარმოეს. ეს შუალედური ზონა მუდმივად არსებობს, მისი ერთეულები კი განსაზღვრული დროის ინტერვალებით იცვლებიან“ (Matussek 1994:37).

ამ „შუალედური ზონის“ თუ „გარდამავალი სივრცის არსებობა“ გვარწმუნებს იმაში, რომ შეუძლებელი და არამიზანშეწონილია, ერთმანეთისაგან მკვეთრად გავმიჯნოთ ოკაზიონალიზმები და ნეოლოგიზმები, რადგან ენა ცოცხალი ორგანიზმია და მუდმივად იცვლება სხვადასხვა გარეენობრივი თუ შიდაენობრივი ფაქტორების ზეგავლენით. ოკაზიონალიზმის ნეოლოგიზმად ჩამოყალიბება მრავალმხრივი პროცესია. ახალი სიტყვის წარმოების მომენტში, რასაკვირველია, შეუძლებელია, იმის დანამდვილებით თქმა, მოხდება თუ არა მისი ლექსიკალიზაცია, თუ ის მხოლოდ ერთჯერადი გამოყენებისთვისაა „განწირული“. ეს მხოლოდ ენაზე დიაქრონიული დაკვირვების შედეგად გამოჩნდება.

იმისათვის, რომ ოკაზიონალიზმი ნეოლოგიზმად ჩამოყალიბდეს, საჭიროა, მან გაიაროს რამდენიმე ფაზა: 1. უზუალიზაცია (ახლადნაწარმოები სიტყვის

გავრცელება ენის მომხმარებლებს შორის; 2. აქცეპტირება (მიღება, მოწონება) და 3. ინტეგრაცია. ცალკეული ფაზების ხანგრძლივობა, როგორც წესი, განსხვავებულია და მათი წინასწარ განსაზღვრა და პროგნოზირება ფაქტიურად შეუძლებელია. „რამდენჯერ ან რამდენი ხნის მანძილზე უნდა იქნას გამოყენებული ახალი სიტყვა, სანამ დაკარგავდეს ოკაზიონალიზმის სტატუსს, ძნელი განსაზღვრია ენის თანამედროვე მოცემულობისათვის. ენის ისტორიული ეტაპებისათვის ... საქმე უფრო იოლადაა“ (Wanzeck 2010:41).

რაც შეეხება, ცალკეულ ფაზებს: უზუალიზაცია მიიღწევა ახლადნაწარმოები სიტყვის ხშირი გამოყენებით. იმისათვის, რომ ოკაზიონალიზმი აქტუალური ლექსიკის ნაწილი გახდეს, საჭიროა, მან „დატოვოს ინდივიდუალიზმის სფერო ე.ი. მიღებულ (მოწონებულ) იქნას ჯგუფებისა და მთელი ენობრივი კოლექტივის მიერ“ (Schippa 2002:244). ეს ხდება მაშინ, როცა ენობრივ კოლექტივში არსებობს ოკაზიონალიზმით აღნიშნული საგნის ან მოვლენის სახელდების აუცილებლობა.

თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გამოყენების სიხშირე არის ერთ-ერთი მთავარი, მაგრამ არა გადამწყვეტი ფაქტორი იმისათვის, მოხვდება თუ არა ახალი სიტყვა ნეოლოგიზმის სტატუსით ლექსიკონში. ყოფილა შემთხვევები, როცა ახლად ნაწარმოები სიტყვა მიიღეს ენის მომხმარებლებმა და ხშირადაც იყენებდნენ მას, მაგრამ ეს გრძელდებოდა მანამ, სანამ ამ სიტყვით აღნიშნული მოვლენა ან საგანი აქტუალური იყო. ამან შეიძლება გასტანოს კვირეები, თვეები და წლებიც კი. მაგრამ როგორც კი ეს საგანი ან მოვლენა დაკარგავს აქტუალობას, სიტყვასაც სულ უფრო ნაკლები სიხშირით გამოიყენებენ მოსაუბრეები და ის ნელ-ნელა დავიწყებას მიეცემა. ასეთ სიტყვებს ლინგვისტიკაში აღნიშნავენ ტერმინით Trendwörter (“მოღური სიტყვები”). მაგალითად, სიტყვა „multimedialfähig“ 2000-2009 წლებში საკმაოდ აქტიურად გამოიყენებოდა, მაგრამ ლექსიკოგრაფებმა მაინც შეიკავეს თავი მისი ლექსიკონში დაფიქსირებისაგან. მათ გაითვალისწინეს ერთი გარემოება: როგორც კი ყველა შენობაში შეიქმნებოდა მულტიმედიისათვის ტექნიკური შესაძლებლობები, ეს ცნებაც გაქრებოდა და მასთან ერთად მისი დასახელებაც. რადგან არსებითი სახელი „მულტიმედია“ უკვე შეტანილი იყო ლექსიკონებში, მათ საჭიროდ აღარ ჩათვალეს შესაბამისი ზედსართვი სახელის დაფიქსირებაც.

საინტერესოა დუდენის ლექსიკონის რედაქციის პოზიციაც: „ლექსიკონის მიზანია გერმანული ენის სიტყვათა მარაგის სრულყოფილი აღწერა. ის ვერ

გაითვალისწინებს ინდივიდუალურ ენობრივ წარმონაქმნებსა და მყისიერ - ან სიტუაციურ სიტყვაწარმოებებს ე.ი. სიტყვებს, რომელთა წარმოება ყოველთვისაა შესაძლებელი, მაგრამ რომლებიც არ არიან ჩვენი სიტყვათა მარაგის მყარი შემადგენელი ნაწილები“ (Duden-Wörterbuch 1976-1981:3). როგორც ჩანს, აქ იგულისხმება ის ენობრივი ერთეულები, რომლებიც განთავსებულია ზემოთ ნახსენებ „შუალედურ ზონაში“.

მნიშვნელოვან როლს თამაშობს ასევე ის ფაქტი, თუ რამდენად გაიგებს ენობრივი კოლექტივი ახალ სიტყვას: „ოკაზიონალიზმების აქცეპტაბელურობა (მისაღებობა) მოსაუბრეებს შორის წყვეტს საბოლოოდ, მოიპოვებენ თუ არა ისინი ნეოლოგიზმის სტატუსს“ (Wanzeck 2010:41). ამ შემთხვევაში არსებითია, რამდენად ნაცნობია ენის მომხმარებელთათვის დენოტატი და რამდენად დამოკიდებულია ოკაზიონალიზმი იმ კონტექსტზე, რომელშიც ის პირველად გამოიყენეს.

ქ. ვანცეკი მიუთითებს კიდევ ერთ საინტერესო ფაქტორზე: დაკარგავს თუ არა სიტყვა ერთჯერადობას, იმ ადამიანის სოციალურ სტატუსზეც არის დამოკიდებული, ვინც ის აწარმოა. მწერლებმა, როგორც იყო მაგალითად, გოეთე, მოახერხეს მთელი რიგი ახალი სიტყვები დაემკვიდრებინათ ენაში (Wanzeck 2010:40).

მოიპოვებს თუ არა ოკაზიონალიზმი ნეოლოგიზმის სტატუსს, დამოკიდებულია ასევე მის კონკურენტ სიტყვებზე. თუ ენაში ერთი და იმავე ცნების აღმნიშვნელი რამდენიმე სიტყვა მოიპოვება, ლექსიკოგრაფები, როგორც წესი, ელოდებიან, თუ რომელი მათგანი მოახერხებს ენის მომხმარებლებს შორის ადგილის დამკვიდრებას.

როგორც ვხედავთ, ნეოლოგიზმებისა და ოკაზიონალიზმების შემთხვევაში საქმე გვაქვს ენობრივ მოვლენებთან, რომლებსაც, მიუხედავად საერთო ნიშანთვისებებისა, მრავალი განმასხვავებელი ნიშანიც მოეპოვებათ. ამიტომ, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა, მათივე უკეთესად შესწავლის მიზნით, მათი ტერმინოლოგიური დიფერენციაცია.



## თავი II ოკაზიონალიზმები ტექსტის ლინგვისტიკაში

### 2.1. სიტყვაწარმოება და ტექსტის ლინგვისტიკა

სიტყვაწარმოება ენაში უკვე არსებული სიტყვათა მარაგის, უფრო ზუსტად კი, იმ ლექსიკალიზებული სიტყვების საფუძველზე ხდება, რომლებიც ქმნიან ბაზას ახალი ენობრივი ერთეულების წარმოებისათვის. ამგვარად, სიტყვაწარმოება წარმოადგენს ლექსიკური ფონდის გამდიდრების ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებას, მაგრამ ის, ამავე დროს, წინადადებასა და ტექსტთანაც მჭიდრო კავშირშია. ზოგჯერ ერთი სიტყვაც კი საკმარისია იმისათვის, რომ გვექნოდეს ტექსტი. ასევე შესაძლებელია, რომ სიტყვა (სიტყვაწარმოების პროდუქტი) ამა თუ იმ ტექსტის შემადგენელი ნაწილი იყოს და ორმხრივ ურთიერთობაში იყოს ტექსტის სხვა, წინა ან მომდევნო შემადგენელ ნაწილებთან და ამგვარად ზეგავლენას ახდენდეს ტექსტის სემანტიკასა და კოჰერენცზე. სწორედ ამ გარემოებებმა განაპირობა ლინგვისტების განსაკუთრებული ინტერესი სიტყვისადმი, კერძოდ კი, ახლადნაწარმოები სიტყვისადმი და უნდა ითქვას, რომ ეს ინტერესი სულ უფრო და უფრო იზრდება. ოკაზიონალიზმს, რომელსაც სხვაგვარად „ტექსტის სიტყვასაც“ უწოდებენ და ამგვარად განასხვავებენ „ლექსიკონის სიტყვისაგან“ (ანუ უზუალური სიტყვისაგან), მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ტექსტის აგებაში. ის, როგორც წესი, წარმოადგენს არსებული ენობრივი ნორმებიდან გადახრას, შესაბამისად, გააჩნია განსაკუთრებული კომუნიკაციური და სტილური ღირებულება და შესაძლებელს ხდის ტექსტისთვის მნიშვნელოვან საგნებსა თუ მოვლენებზე მკითხველის ან მსმენელის ყურადღების ეფექტურად გადატანას. ის ხშირად „აქტუალური ინფორმაციის ინდიკატორია“ (Schröder 1984:515). სწორედ ამიტომ ვფიქრობთ, რომ ტექსტის ლინგვისტიკის კუთხით განხილული სიტყვაწარმოება ძალზე საინტერესო უნდა იყოს, რადგან ეს არის სფერო, სადაც ენა ყველაზე კარგად ავლენს თავის სიცოცხლისუნარიანობას და შემოქმედებითობას.

ამ საკითხით დაინტერესებას განაპირობებს ასევე ის ფაქტი, რომ თანამედროვე ტექსტებში უკვე ძალიან დიდია ახალი, არალექსიკალიზებული სიტყვების რაოდენობა. ასე, რომ ლინგვისტები დაკავებული არიან არა მხოლოდ უკვე არსებული და ლექსიკონებში დაფიქსირებული სიტყვების აღწერითა და ანალიზით, არამედ სიტყვაწარმოების კრეატიული პოტენციალის კვლევის საკითხითაც. პარალელურად აქტუალური ხდება იმ ურთიერთმიმართების გარკვევა, რაც უდა-

ვოდ არსებობს ახლადწარმოებ სიტყვებსა და იმ ტექსტს შორის, რომელშიც ეს სიტყვები პირველად გამოიყენეს ანუ ტექსტის ლინგვისტიკისა და ახალი სიტყვაწარმოების პროდუქტების ურთიერთობას საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ, “ერთი მხრივ, სიტყვაწარმოების პროდუქტები ტექსტის საშენ მასალას წარმოადგენენ, მეორე მხრივ კი, ტექსტები აწესებენ „ჩარჩო პირობებს“ ახალი სიტყვების წარმოებისა და მათი გამოყენებისათვის” (Barz ... 2002:60).

ჩვენ, პირველ რიგში, განვიხილავთ საკითხს, თუ რა წვლილი შეაქვთ ოკაზიონალიზმებს ტექსტის აგებაში და შემდგომ ვნახავთ, თუ რა როლს თამაშობს ტექსტი, თავის მხრივ, ახალი სიტყვაწარმოების პროდუქტების წარმოებისა და ინტერპრეტაციის საქმეში.

## 2.2. ოკაზიონალიზმების როლი ტექსტის აგებაში

ტექსტის ლინგვისტიკაში ტექსტუალობის შვიდ კრიტერიუმს გამოყოფენ. ესენია: კოჰეზია, კოჰერენცი, ინტენციურობა, აქცეპტაბელურობა, ინფორმაციულობა, სიტუაციურობა და ინტერტექსტუალობა (Beaugrande...1981:VI-VII). ეს კრიტერიუმები ეხება ტექსტებსშიდა და ტექსტებს შორის კავშირებს, რომლებიც შეიძლება “წარმოადგენდეს გრამატიკულ კავშირებს ტექსტის ზედაპირულ სტრუქტურაზე (კოჰეზია), ტექსტების სამყაროში (ტექსტებს შორის) კონცეპტუალურ კავშირებში (კოჰერენცი), ტექსტისადმი დამოკიდებულებაში (ინტენციურობა და აქცეპტაბელურობა), ახლისა და მოულოდნელის დაკავშირებაში ძველთან და ნაცნობთან (ინფორმაციულობა), გარეენობრივ კონტექსტში (სიტუაციურობა) და ტექსტებს შორის ურთიერთკავშირში (ინტერტექსტუალობა)” (Beaugrande ... 1981:40).

სანამ განვიხილავდეთ, თუ რა კავშირში არიან ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმები ოკაზიონალიზმებთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ თეზა - “თუ რომელიმე კრიტერიუმი არ გვაქვს, ტექსტი არაკომუნიკაციურად ითვლება და არაკომუნიკაციური ტექსტები ტექსტებად არ უნდა განვიხილოთ” (Beaugrande... 1981:3), ჩვენი აზრით, გადაჭარბებულია. შეიძლება მოხდეს, რომ რომელიმე ტექსტის შემთხვევაში ერთ-ერთი კრიტერიუმი არ იყოს წარმოდგენილი (ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ სუბიექტურ კრიტერიუმებს, როგორცაა აქცეპტაბელურობა, ინფორმაციუ-

ლობა), რაც არ გამორიცხავს ტექსტუალობის რეალიზაციას სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით.

ტერმინები „კოჰეზია“ და „კოჰერენცი“ ტექსტის თითქმის ყველა დეფინიცი-  
აში გვხვდება. ანუ ლინგვისტები ტექსტის შეფასებისას ამ ორ კრიტერიუმს ძა-  
ლიან მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, მაგრამ რაც შეეხება მათ განმარტებას, აქ აშ-  
კარად არ შეიმჩნევა ერთგვაროვნება. ყველა თანხმდება, რომ „კოჰერენცი“ და  
„კოჰეზია“ ტექსტის ბმაზე მიუთითებენ, მაგრამ ეს ბმა შეიძლება განხორცილდეს  
როგორც გრამატიკულ, ისე შინაარსობრივ ანუ თემატურ დონეზე. ზოგიერთი  
ლინგვისტი მიჯნავს მათ ერთმანეთისაგან: კოჰეზია არის ის, “თუ როგორ არიან  
ერთმანეთთან დაკავშირებული ტექსტის ზედაპირზე მისი კომპონენტები ანუ სიტ-  
ყვები... ტექსტის ზედაპირის კომპონენტები ერთმანეთთანაა დაკავშირებული გრა-  
მატიკული ფორმებითა და კონვენციებით” (Beaugrande ...1981:3), ხოლო კოჰერენცი  
არის აზრის უწყვეტობა, რომელს გაქტიურებაც ტექსტში სხვადასხვა ენობრივი  
საშუალებებით ხდება. აზრის უწყვეტობა არის კოჰერენციის საფუძველი  
(Beaugrande...1981:88). “აზრში იგულისხმება ენობრივი ერთეულის ამა თუ იმ კონ-  
ტექსტში აქტუალიზირებული ფაქტიური მნიშვნელობა” (Vater 1992:43). თუმცა და-  
ნარჩენი მკვლევრები სინონიმური მნიშვნელობით იყენებენ ამ ორ ცნებას ან მათ  
ერთი ცნების ქვეშ აერთიანებენ, როგორც მაგალითად, კ. ბრინკერი. ის კოჰერენ-  
ცსა და კოჰეზიას მოიხსენიებს ტერმინით „კოჰერენცი“ და მის შიგნით გამო-  
ყოფს გრამატიკულ, თემატურ და პრაგმატულ ქვეჯგუფებს. ამავე პოზიციას იზი-  
არებს კ. პეშელიც; მას თავისი მოსაზრების გასამყარებლად მოჰყავს შემდეგი  
არგუმენტები: 1. ტექსტუალური ბმის სხვადასხვა ასპექტებს შორის განსხვავება  
მაინც თვალსაჩინოა; 2. ტექსტის გამოსახველობითი და შინაარსობრივი კოჰერენ-  
ცი გათვალისწინებულია (Peschel 2002:59). ჩვენ ვიზიარებთ ზემოთ მოცემულ არ-  
გუმენტაციას და ვემხრობით ამ ორი ცნების ერთი ტერმინის ქვეშ მოაზრებას,  
რადგან ხშირად ტექსტის გრამატიკული და შინაარსობრივი მხარე ერთმანეთთან  
ისე მჭიდროდ არის დაკავშირებული, რომ ჭირს მათი გამოჯვნა ერთმანეთისაგან  
და ეს თუ მაინცდამაინც აუცილებელი აღმოჩნდება, შეგვიძლია მოვიშველიოთ  
გრამატიკული და თემატური კოჰერენციის ცნებები.

როგორც ცნობილია, არსებობს სხვადასხვა საშუალება, რომლებიც უზ-  
რუნველყოფენ ტექსტის ზედაპირული სტრუქტურის ბმას. ესენია: მაკავშირებლე-  
ბი (კავშირები და ნაცვალსახელური ზმნიზედები), რეკურენცი, პროფორმები  
(ნაცვალსახელები, ზმნიზედები, ნაცვალსახელური ზმნიზედები), ტექსტის დეიქ-

სისი (მაგ. არტიკლები), წინარე ცოდნის დეიქსისი, სიტუაციის დეიქსისი, სუბსტიტუცია, დროები, ელიფსი და მეტაკომუნიკაცია.

ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენენ პროფორმები, რეკურენცი და სუბსტიტუცია, რადგან სიტყვაწარმოებითი საშუალებები სწორედ აქ ერთვებიან ტექსტის ზედაპირული სტრუქტურაში ბმის განსახორციელებლად.

როგორც ლინგვისტები აღნიშნავენ, პროფორმების როლში ხშირად გამოდიან ნაცვალსახელები, ზმნიზედები ან ნაცვალსახელური ზმნიზედები. სწორედ ამიტომ კოჰეზიის ამ სახეობას ხშირად პრონომინალიზაციასაც უწოდებენ (Harweg 1968:178), თუმცა ეს როლი შეიძლება შეასრულონ არსებითმა სახელებმა ან ნომინაციურმა ჯგუფებმა, რაც კ. ფეშელს აფიქრებინებს, რომ აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვაოთ პრონომინალური (ნაცვალსახელურ-ზმნიზედური) და ლექსიკური (არსებითი სახელები ან ნომინაციური ჯგუფები) პროფორმები (Peschel 2002:61). ამის თვალსაჩინოებისათვის მას მოჰყავს შემდეგი მაგალითები:

1. *Herr M. ging morgens pünktlich zur Arbeit.*

ბატონი მ. დილით დროულად მიდიოდა სამსახურში”.

2. *Er nahm wie immer den Bus Nummer 7.* (ნაცვალსახელი)

„ის, როგორც ყოველთვის, 7 ნომერ ავტობუსში ჩაჯდა”.

3. *Dabei passierte er regelmäßig den Garten von Frau C.* (ნაცვალსახელური ზმნიზედა)

„ამასთან ის სისტემატიურად კვეთდა ქალბატონ ც.-ს ბაღს”.

4. *Der gewissenhafte Büroangestellte war in 30 Jahren nicht einmal zu spät gekommen.* (არსებითი სახელის ჯგუფი) [Peschel 2002:60].

„ოფისის კეთილსინდისიერ თანამშრომელს 30 წლის მანძილზე ერთხელაც კი არ დაუგვიანია.

არსებითი სახელი ან ნომინციური ჯგუფები არა მხოლოდ ასრულებენ პროფორმების ფუნქციას, არამედ, ნაცვალსახელებისა და ზმნიზედებისაგან განსხვავებით, შეუძლიათ რეფერენცის ობიექტზე დამატებითი ინფორმაციის, ანუ სემანტიკური ელემენტების, შემოტანა. როგორც ვხედავთ, კომპლექსურ სიტყვას ან ნომინაციურ ჯგუფს სხვა პროფორმებთან შედარებით ბევრად მეტი შესაძლებლობა გააჩნიათ რეფერენცის ობიექტის დასახასიათებლად, ხოლო თუ ამ როლში გამოვა ოკაზიონალიზმი, უდავოა, რომ ინფორმაციულობასთან ერთად გაიზრდება მხატვრული ეფექტიც.

რეკურენცი გულისხმობს უკვე გამოყენებული ლექსემის კვლავ გამოყენებას ტექსტის მსვლელობის დროს. სიტყვაწარმოების შემთხვევაში ის “ვლინდება სხვადასხვა სიტყვაში ერთი და იმავე საბაზისო მორფემის განმეორებით გამოყენებაში. სიტყვაწარმოების პროდუქტები ერთი და იმავე საბაზისო მორფემით შეიძლება ეკუთვნოდნენ იზოტოპიურ ჯაჭვს და ამგვარად უზრუნველყონ ტექსტის შინაარსობრივი კოჰერენციის მატერიალური სახით გამოხატვა” (Barz...2002:60). სიტყვაწარმოების როლს კოჰერენციის უზრუნველყოფაში პირველად ლინგვისტი ე. ვლადოვა შეეხო. მისი აზრით, სიტყვაწარმოების კონსტრუქციები, რომლებსაც ერთი და იგივე საბაზისო მორფემა გააჩნიათ, ქმნიან „თემატურ ჯაჭვს“ ან „თემატურ ქსოვილს“ (Wladowa 1975:75). ამ შეხედულებას იზიარებს მ. შრიოდერიც, რომელიც ფიქრობს, რომ სიტყვაწარმოების კონსტრუქციების, განსაკუთრებით კინომინალიზაციების, ძირითადი ფუნქცია სწორედაც რომ ტექსტის კოჰერენციის უზრუნველყოფაა. ეს ხდება სხვადასხვა სიტყვაწარმოების კონსტრუქციის საერთო საბაზისო უშუალო შემადგენლის „გამეორების პრინციპის“ მეშვეობით (Schröder 1978:87), ხოლო ახალი სიტყვები (ანუ ოკაზიონალიზმები -ქ.ნ.) კარგად გამოდგება იმ ინფორმაციის ხაზგასასმელად, რომელიც ტექსტის პროდუცენტისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. (Schröder 1983:116).

ძალზე საინტერესოა მკვლევარ ნ. ვოლფის შეხედულება. ის იზიარებს ზემოთ მოყვანილი მკვლევრების მოსაზრებებს იმის თაობაზე, რომ ერთი და იმავე საბაზისო მორფემების განმეორებითი გამოყენებით “ტექსტზე ჩნდება ლექსიკურ-სემანტიკური ქსელი” და რომ ეს მორფემები, როგორც ლექსიკურ-ცნებითი მნიშვნელობის მატარებელი ერთეულები, ქმნიან იზოტოპიებს (Wolf 1996:245). თუმცა ნ. ვოლფი კიდევ უფრო შორს მიდის და ამტკიცებს, რომ აფიქსებსაც შეუძლიათ ტექსტის კოჰერენციის რეალიზებაში მონაწილეობის მიღება. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება სტილურად მარკირებულ ტექსტებს. საერთო ჯამში, ნ. ვოლფი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების როლს ტექსტის აგებაში სამ პუნქტად აყალიბებს:

- მეტყველების ნაწილის შეცვლა საბაზისო მორფემის შენარჩუნებით
- საბაზისო მორფემის შენარჩუნება და სიტყვაწარმოებითი მორფემის შეცვლა
- საბაზისო მორფემის შეცვლა და სიტყვაწარმოებითი მორფემის შენარჩუნება (Wolf 1996:259).

საყოველთაოდ მიღებული აზრის თანახმად, “სიტყვაწარმოების პროდუქტების შემთხვევაში ტოპიკის როლში ორი ან მეტი სიტყვისათვის საერთო საბაზისო მორფემა გამოდის. საერთო საბაზისო მორფემა არის საერთო სემანტიკური ნიშნების ენობრივი გამოხატულება” (Barz 1995:76). საბაზისო მორფემას ეს პრიორიტეტი ენიჭება, რადგან, როგორც წესი, ის არის რომელიმე მეტყველების ნაწილი და შესაბამისად, ლექსიკურ-მორფოლოგიური შინაარსის მატარებელიც. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ სიტყვაწარმოებით მორფემებსაც აქვთ თავიანთი მნიშვნელობა. ამის ძალიან ბევრი მაგალითი შეგვიძლია დავიხსენოთ გერმანულ ენაში: სუფიქსი -er ხშირად გამოიყენება მამრობითი სქესის პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვების საწარმოებლად, -heit გამოხატავს სახეობას, თვისებას, სუფიქსი -icht აწარმოებს საშუალო სქესის კრებით სახელებს, -chen და -lein კინობითი სუფიქსებია. იმის დასადასტურებლად, რომ სიტყვაწარმოებით აფიქსს ნამდვილად აქვს თავისი სემანტიკა, გამოგვადგება ასევე სიტყვა urig, რომელშიც დერივაციის ბაზის როლში არა საბაზისო მორფემა, არამედ სიტყვაწარმოებითი აფიქსი -ur არის გამოყენებული.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, სიტყვაწარმოებითი მორფემები, ისევე როგორც საბაზისო მორფემები, ხშირ შემთხვევაში ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელი ერთეულები არიან. ეს გვაფიქრებინებს, რომ ისინი უპრობლემოდ შეიძლება იქნას გამოყენებული ტექსტში კოჰერენციის რეალიზაციისათვის. საილუსტრაციოდ მოგვყავს ქრისტიან მორგენშტერნის ერთ-ერთი ლექსი (მუქი შრიფტით გამოვყოფთ სიტყვაწარმოებით სუფიქსებს -ქ.ნ.):

„Ein Kindelein  
im Windelein  
heut macht es noch ins Bindelein;  
doch um das Haus  
oh Graus oh Graus  
da blasen böse Windelein.

„Ein Mädelein“  
ruft's Hedelein  
und kneift ihm in die Wädelein.  
Doch an dem Haus  
oh Graus oh Graus  
da wackeln alle Lädlein.

Ein Eulelein  
schiebt's Mäulelein  
vorbei am Fenstersäulelein.  
Es ruft ins Haus  
oh Graus oh Graus  
hört ihr die Silbergäulelein.

Ein Würmelein  
im Stürmelein

fliegt nieder von dem Türmelein...”

მოცემული ლექსის შემთხვევაში კარგად ჩანს, რომ “მთელ ტექსტს გადა-  
ეფარება ლექსიკურ-სემანტიკური ბადე” (Wolf 1996:245). ეს მიუთითებს იმაზე,  
რომ ტექსტში განხორციელდა კოჰერენცი, რაც, როგორც უკვე ერთხელ აღვნიშ-  
ნეთ, ტექსტის ლოგიკურ და შინაარსობრივ ბმას გულისხმობს. თუმცა, ჩვენი აზ-  
რით, -lein აფიქსს ამ შემთხვევაში (აქ ის ოკაზიონალიზმებს აწარმოებს) არა  
მხოლოდ კოჰერენციის რეალიზების ფუნქცია აკისრია, არამედ ის ტექსტის ემო-  
ციურ-სტილურ შეფერილობასაც უზრუნველყოფს. აფიქსების ასეთ როლზე კ. პე-  
შელიც საუბრობს: “ასეთი ტიპის აფიქსაცია უფრო იშვიათად და მხოლოდ ისეთ  
ტექსტებში გვხვდება, რომლებიც გამოკვეთილად სტილურია... მათი მთავარი ფუნ-  
ქცია რომელიმე კონკრეტული ტექსტისათვის ორიგინალური ფორმის მინიჭებაა”  
(Peschel 2002:77).

რაც შეეხება სუბსიტუციას, ის ნიშნავს “ერთი ენობრივი ერთეულის ჩა-  
ნაცვლებას სხვა ენობრივი ერთეულით” (Harweg 1968:178f). განასხვავებენ კორე-  
ფერენციალურ და ასოციაციურ ჩანაცვლებას (Peschel 2002:62). კორეფერენციალუ-  
რი ჩანაცვლების შემთხვევაში რეფერენციის ობიექტი იდენტურია, ხოლო ასოცი-  
აციურის შემთხვევაში – არა. “რეფერენტის იდენტურობა ... ნიშნავს, რომ პირვე-  
ლად გამოყენებული ენობრივი ელემენტი და მისი შემცვლელი ენობრივი ელე-  
მენტი ერთსა და იმავე გარეენობრივ ობიექტს უკავშირდება... ხოლო არაიდენტუ-  
რი რეფერენციის შემთხვევაში ენობრივი ელემენტები უკავშირდებიან განსხვავე-  
ბულ გარეენობრივ ობიექტებს, თუმცა ამ ობიექტებს შორის არსებობს გარკვეუ-  
ლი სახის მიმართებები, რომლებიც ლინგვისტიკაში მოიხსენიება ტერმინით „სე-  
მანტიკური კავშირი” (Brinker 2010:26/34).

ოკაზონალური ლექსიკური ერთეული სუბსტიტუციის რეალიზაციისათვის განსაკუთრებულად შესაფერისია. ლ. სეპენენს ამის დასადასტურებლად მოყავს შემდეგი მაგალითი:

Der Hund stand auf jener Stelle an dem Teppich dort.

„ძალი იდგა იქ, იმ ადგილზე ხალიჩაზე.

Die Teppichstelle ist jetzt eigens markiert. (Seppänen 1978:147).

„ხალიჩის ადგილი ახლა განსაკუთრებულად არის მონიშნული“.

ოკაზონალური კომპოზიტი Teppichstelle ახდენს წინა წინადადების ელემენტების სუბსტიტუციას და ამგვარად უზრუნველყოფს კოჰეზიურ ბმას. უნდა ითქვას, რომ ერთმანეთისაგან განასხვავებენ რეფერენციალურ და არარეფერენციალურ პროფორმებს. არარეფერენციალური პროფორმებია, მაგ., ნაცვალსახელები. ისინი ტექსტში რეფერენციალურ ელემენტებს ენაცვლებიან. კომპოზიტური არსებითი სახელები კი რეფერენციალური ელემენტები არიან და, არარეფერენციალური პროფორმებისაგან განსხვავებით, არა მხოლოდ ტექსტის კოჰერენტულ ბმაში მონაწილეობენ, არამედ სემანტიკური ნიშნებიც აქვთ და შესაბამისად, შეუძლიათ ტექსტში დამატებითი ინფორმაციის შემოტანა ან მხატვრულ-სტილური ეფექტის შექმნა.

ზემოთ ჩამოთვლილი საშუალებები უზრუნველყოფენ ტექსტში წინადადებების ბმას ანაფორული და კატაფორული მიმართებების რეალიზაციის გზით. აღსანიშნავია, რომ ოკაზონალიზმების მეშვეობით უკვე ნაცნობ ინფორმაციასთან უკან დაბრუნება ან ჯერ კიდევ უცნობი ინფორმაციის წინსწრებით წარმოჩენა ტექსტის რეციპიენტის ყურადღების მართვის საუკეთესო საშუალებაა. „ეს არის ინსტრუქციები მკითხველის მიმართ, რათა მან თავისი ყურადღება მიმართოს უკან, უკვე ნაცნობი ტექსტისაკენ, ანუ ამგვარად მოხდეს უკვე ნაცნობი ინფორმაციის გააქტიურება (ანაფორა) და განსაკუთრებული ყურადღებით ადევნოს თვალი შემდგომ ტექსტს (კატაფორა) (Matussek 1994:36).

ანაფორული და კატაფორული ფუნქციით გამოიყენებიან, უპირველეს ყოვლისა, ნომინალიზაციები (გაარსებითებული ზმნები). მაგალითად, ა) *Hans Schmidt hat die Bronzenmedaille errungen. Dies hat in unserem Team allgemeine Freude ausgelöst.* „ჰანს შმიდტმა ბრონზეს მედალი მოიპოვა. ამან ჩვენს ჯგუფში საყოველთაო სიხარული გამოიწვია“. ბ) *Die Erringung der Bronzenmedaille durch Hans Schmidt hat in unserem Team allgemeine Freude ausgelöst.* „ბრონზეს მედლის მოპოვებამ ჰანს შმიდტის მიერ ჩვენს ჯგუფში საყოველთაო სიხარული გამოიწვია“.



(Naumann 2000:60). ეს წინადადებები შინაარსობრივად აბსოლუტურად იდენტურია, თუმცა მათში კოჰერენცი სხვადასხვა საშუალებით არის რეალიზებული: პირველ შემთხვევაში – პროფორმით *dies*, მეორე შემთხვევაში კი გაარსებითებული ზმნის (*Erringung*) კატაფორული გამოყენებით. საქმე ის არის, რომ ზმნა *erringen* ორვალენტიანია, მისგან ნაწარმოები არსებითი სახელი ინარჩუნებს ვალენტობას და, შესაბამისად, წინადადების პირველ ადგილზე მისი გამოყენებით მკითხველში/მსმენელში ჩნდება მოლოდინი სუბიექტისა, რომელმაც განახორციელა არსებითი სახელით აღნიშნული ქმედება და ობიექტისა, რომელზეც განხორციელდა ეს ქმედება. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ლინგვისტი არა მხოლოდ მიუთითებს ფრაზების ახალი სიტყვაწარმოების კონსტრუქციებით ჩანაცვლების უნარზე, არამედ მიაჩნია, რომ, ეს უპირველეს ყოვლისა, ოკაზიონალიზმების ფუნქციაა.

როგორც ვხედავთ, სიტყვაწარმოების კონსტრუქცია ძალიან კარგი საშუალებაა ტექსტში კოჰეზიის განსახორციელებლად, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მას, თავისი სტრუქტურიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, უფრო შესაძლებლობები აქვს, ვიდრე მარტივი სიტყვას ან ნაცვალსახელს (Peschel 2002:84).

მას შემდეგ, რაც განვიხილეთ საკითხი, თუ რა როლს ასრულებენ ოკაზიონალიზმები ტექსტუალობის რეალიზაციაში და რა ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ მათ ტექსტის ზედაპირულ თუ სიღრმისეულ სტრუქტურაზე, გვსურს ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, თუ რა ზეგავლენა აქვს ტექსტს, თავის მხრივ, ოკაზიონალიზმების მნიშვნელობასა და გამოყენებაზე, რამდენად უწყობს ის ხელს ოკაზიონალიზმების წარმოქმნას, რამდენად მართულია ეს პროცესი ტექსტის მიერ.

ოკაზიონალიზმების წარმოქმნა, როგორც წესი, სხვადასხვა კომუნიკაციურ სიტუაციაში ხდება და ტექსტი გადამწყვეტ როლს თამაშობს მისი ტექსტუალური მნიშვნელობის დეტერმინაციაში. ცალკეული სიტყვების მნიშვნელობა მათი ტექსტუალური გარემოცვითაა განპირობებული. ეს ეხება არა მხოლოდ მრავალი მნიშვნელობის მქონე (ორაზროვან) ან ომონიმურ სიტყვებს, არამედ ისეთ უზუალურ ლექსიკასაც, რომელიც არ არის პოლისემიური. მაგალითებში: 1. ხე არის ადამიანისათვის ჟანგბადის მნიშვნელოვანი მიმწოდებელი; 2. ხე ახალი სახლის მშენებლობის გამო სამწუხაროდ უნდა მოეჭრათ. – ნათლად ჩანს, რომ მიუხედავად რეფერენციის ობიექტის იდენტურობისა, პირველ წინადადებაში ლა-

პარაკია ზოგადად ხეზე, როგორც მცენარეზე, ხოლო მეორეში - ერთ-ერთ კონკრეტულ ხეზე, ხეთა კლასის ერთ-ერთ წარმომადგენელზე და ამის გაგებაში სწორედ (კონ)ტექსტი გვეხმარება.

თუ უზუალური ლექსიკის შემადგელობაში შემაგალი სიტყვები ამდენად არიან დამოკიდებული კონტექსტზე, რთული წარმოსადგენი არ იქნება, თუ რამდენად ძლიერია ეს დამოკიდებულება ოკაზიონალიზმების შემთხვევაში, რადგან „მათ ჯერ კიდევ არ გააჩნიათ დენოტატური მნიშვნელობა“ (Peschel 2002:66). ოკაზიონალიზმები, როგორც წესი, მჭიდროდ არიან დაკავშირებული ამა თუ იმ ტექსტთან, შესაბამისად – ტექსტის სახეობასთან. ისინი არასოდეს გვხვდებიან იზოლირებულად, არამედ – ყოველთვის ამა თუ იმ კონტექსტში.

ტექსტი ოკაზიონალიზმების შემთხვევაში ორ თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი. 1. ის უზრუნველყოფს ოკაზიონალიზმების აქცეპტაბელურობას, 2. ის უზრუნველყოფს ოკაზიონალიზმის გაგებას.

ჩვენ ზემოთ უკვე ერთხელ აღვნიშნეთ, რომ ოკაზიონალიზმები განსაკუთრებით ხშირად ტექსტის ისეთ სახეობებში გვხვდება, როგორებიცაა, ბელეტრისტიკა (განსაკუთრებით, მისტიური ტექსტები, ექსპრესიონისტული და თანამედროვე ლიტერატურა), პუბლიცისტიკა, სარეკლამო ტექსტები, კულინარიული რეცეპტები და ა.შ. მართალია, არა ყველა, მაგრამ ბევრი ოკაზიონალიზმის აქცეპტაბელურობა სწორედ ტექსტის სხვადასხვა სახეობასთან არის მჭიდრო კავშირში (ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება ოკაზიონალიზმებს, რომლებშიც ნორმიდან გადახრა ძალიან მაღალი ხარისხით არის წარმოდგენილი). მაგალითად, “ლიტერატურული, პუბლიცისტური და სარეკლამო ტექსტების შემთხვევაში რეციპიენტები ძირითადად დადებითად აფასებენ ოკაზიონალიზმებს - ისინი შეესაბამებიან მათ მოლოდინს და მათი, როგორც მკითხველის გამოცდილებას” (Barz 2002:61). ეს მოლოდინი ყოველთვის არსებობს რეციპიენტის მხრიდან და ის კომუნიკაციის კონკრეტულ სფეროებს უკავშირდება. რასაკვირველია, ოკაზიონალიზმის აქცეპტაბელურობას სხვა ფაქტორებიც განსაზღვრავს, როგორიცაა “ტექსტის რეციპიენტის, როგორც ენის მომხმარებლის, გამოცდილება, მისი უნარი, გამოიცნოს ტექსტის ავტორის სტილური და ფუნქციონალური მიზანი, ენის შეგრძნება და განწყობა, რომ იმთავითვე არ უარყოს უხვეულო სიტყვაწარმოების პროდუქტები” (Barz 2002:61), მაგრამ გადამწყვეტ როლს მაინც (კონ)ტექსტი თამაშობს, რადგანაც რეციპიენტისათვის ოკაზიონალიზმები ყოველთვის ტექსტის ამა თუ იმ სახეობასთან ასოცირდება.

ტექსტი ასევე უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ოკაზიონალიზმების ინტერპრეტაციის საკითხში. თუმცა ოკაზიონალიზმების მორფოლოგიური მოტივაცია მათ გაგებას ბევრად აიოლებს, მათი მონოსემიზაცია მაინც დიდწილად და მოკიდებული (კონ)ტექსტზე. ამ უკანასკნელის მეშვეობით “ა) ოკაზიონალიზმი ხდება გასაგები; ბ) იცვლება მისი ინტერპრეტაცია; გ) ქრება მისი პოლისემიურობა; დ) ზუსტდება მისი მნიშვნელობა” (Ortner...1984:186).

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ოკაზიონალიზმები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ კოჰეზიური ბმის განხორციელებაში, მაგრამ, თავის მხრივ, ტექსტის კოჰერენცი „ეხმარება“ რეციპიენტს ზუსტად გაიგოს, რისი თქმა სურდა ტექსტის ავტორს ახლად ნაწარმოები სიტყვით. ტექსტის კოჰერენციის განხორციელების ერთ-ერთი საშუალება იზოტოპური ჯაჭვია, რომელსაც ერთი ტექსტის ფარგლებში სხვადასხვა სიტყვაწარმოების პროდუქტებში გამოყენებული ერთი და იგივე საბაზისო მორფემა ქმნის. იზოტოპურ ჯაჭვში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც ლექსიკალიზებული, ისე ოკაზიონალურმა სიტყვებმა. ხანდახან ენის სიტყვათა მარაგში არ მოიძებნება დიდი რაოდენობით ისეთი სიტყვები, რომლებსაც ერთი და იგივე საბაზისო მორფემა აქვთ. ამ დროს ტექსტის ავტორს შეუძლია მიმართოს ე.წ. „ტექსტის სიტყვებს“. „იზოტოპური ჯაჭვის წევრის როლში ახალი სიტყვა განსაკუთრებულად კარგად ახერხებს ინტერპრეტაციას, რადგან მისი ნაწილები უკვე გამოყენებულ იქნა. ისინი კი მკითხველს გარკვეულწილად ამზადებენ და ინტერპრეტაციასაც ძალზე აიოლებენ“ (Peschel 2002:84).

## თავი III. ოკაზიონალიზმები სტილისტიკაში

### 3.1. სტილისტიკის ადგილი მეცნიერულ დისციპლინებს შორის

სტილისტიკა იკვლევს ენის გამომსახველობით პოტენციალს, ენობრივი ერთეულების შესაბამის და ეფექტურ გამოყენებას; ის მჭიდრო კავშირს ავლენს ლექსიკოლოგიასთან, მორფოლოგიასა და სინტაქსთან, ასევე ფონოლოგიასა და ორთოგრაფიის ლინგვისტიკასთან. თანამედროვე ენათმეცნიერების კვლევის სფეროს გაფართოებამ, განსაკუთრებით კი, ენობრივი ქმედების კომუნიკაციური და კოგნიტიური შესწავლის თვალსაზრისით, გამოიწვია სტილისტიკის დაკავშირება ისეთ ლინგვისტურ და დისციპლინათაშორის სფეროებთან როგორებიცაა, ტექსტის ლინგვისტიკა, კომუნიკაციის კვლევა, ენის კულტურის თეორია და სხვ. აღსანიშნავია, რომ „დღესდღეობით, უპირველეს ყოვლისა, ტექსტის ლინგვისტიკა იკვლევს იმ მნიშვნელოვან ასპექტებს, რომლებსაც მეცნიერების განვითარების ადრეულ ისტორიულ ეტაპებზე ჩვეულებრივ სტილისტიკას მიაკუთვნებდნენ, ასე მაგალითად, პრობლემებს, რომლებიც ეხება ინტენციას, კომპოზიციას, თემას, სიტუაციურ კონტექსტს, ტექსტების ზემოქმედებას“ (Fleischer...1993:13). სწორედ ამიტომ ლინგვისტები ფიქრობენ, რომ სტილისტიკის გაგება დღესდღეობით ხელახლა გასააზრებელია, კერძოდ კი, გასარკვევია, “სპეციფიკურად სტილური ასპექტი როგორ უნდა გამოვეყნოთ ტექსტის ლინგვისტიკის საკითხებისგან” (Fleischer...1993:13). თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ სტილისტიკა ტექსტის ლინგვისტიკის შემადგენელ ნაწილად უნდა განვიხილოთ. სხვა დისციპლინების მსგავსად, სტილისტიკის კვლევის ობიექტი სცილდება ერთი დისციპლინის ფარგლებს. იმდენად, რამდენადაც სტილისტიკა იკვლევს ტექსტის სტრუქტურის ენობრივ გაფორმებას ზეპირი თუ წერილობითი კომუნიკაციური ქმედების პირობებში, მას უწევს თანამშრომლობა ბევრ სხვა დისციპლინასთან, რომლებიც ენობრივ ინვენტარს სხვადასხვა კუთხით განიხილავენ.

### 3.2. ენის ლექსიკა, როგორც სტილური ვარიანტის საშუალება

ჩვენ ზემოთ უკვე ერთხელ აღვნიშნეთ, რომ ოკაზიონალიზმების წარმოება განსაზღვრული სახეობის ტექსტებისთვის არის განსაკუთრებით დამახასიათებელი

ლი და იმასაც გაგუსვით ხაზი, რომ ისინი ხშირად გამოიყენება სტილური ეფექტის მისაღწევად. ჩვენი მიზანია, გავარკვიოთ, რა სტატუსი აქვთ ოკაზიონალიზმებს თანამედროვე სტილისტიკაში და რა როლს ასრულებენ ისინი ტექსტის სტილურ მარკირებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ენის ლექსიკა სტილური ვარიაციის ბევრად უფრო მრავალფეროვან საშუალებებს იძლევა, ვიდრე მორფოლოგია და სინტაქსი. ეს გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:

1) აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის არ არსებობს აბსოლუტური თანხვედრა. ერთი და იგივე ობიექტის აღნიშვნა ტექსტში შეიძლება სხვადასხვაგვარად მოხდეს: ა) ლექსიკური ერთეულების ან სიტყვათა ჯგუფების მეშვეობით, ბ) უზუალური ან ოკაზიონალური სიტყვებით, გ) საკუთარი თუ საზოგადო სახელებით და ა.შ.

2) უზუალური სიტყვები, რომლებიც ინტეგრირებული არიან ენის ლექსიკურ მარაგში, არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ფიქსირებული სიდიდეები. მათი ლექსიკური მნიშვნელობა უნდა განვიხილოთ, როგორც კონცეფციური მონახაზი, არა როგორც „სინამდვილის უბრალო ანარეკლი, არამედ როგორც კომუნიკაციური ინსტრუმენტი“ (Neubert 1981:13), რომლის საშუალებითაც კონკრეტულ ტექსტში კონკრეტული კომუნიკაციური სიტუაციის ზეგავლენით „მნიშვნელობათა კომპლექსები იქმნება“ (Fleischer...1993:81). კომუნიკაციური სიტუაცია და ტექსტის სტრუქტურა მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რომლებიც ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში ზეგავლენას ახდენ სიტყვის მნიშვნელობის ჩამოყალიბებაზე. ეს ეხება არა მხოლოდ პოლისემიურ, არამედ მონოსემიურ სიტყვებსაც; ამის დასადასტურებლად კიდევ ერთხელ მოვიყვანთ შემდეგ მაგალითს: 1. ხე არის ადამიანისათვის ქანგბადის მნიშვნელოვანი მიმწოდებელი. და 2. ხე ახალი სახლის მშენებლობის გამო სამწუხაროდ უნდა მოეჭრათ. აქ კარგად ჩანს, რომ მიუხედავად რეფერენცის ობიექტების იდენტურობისა, პირველ წინადადებაში ლაპარაკია ზოგადად ხეზე, როგორც მცენარეზე, ხოლო მეორეში – ერთ-ერთ კონკრეტულ ხეზე, ხეთა კლასის ერთ-ერთ წარმომადგენელზე. მოცემულ ორ წინადადებაში გამოყენებულია უზუალური სიტყვა. ძნელი მისახვედრი არ იქნება, რამდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტექსტი პოლისემიური ან ოკაზიონალური სიტყვების შემთხვევაში.

3) სიტყვების არჩევანს განაპირობებს არა მხოლოდ ობიექტური რეალობა, რომლის სახელდებაც ხდება ამა თუ იმ ტექსტში, არამედ ასევე ტექსტის პროდუცენ-

ტის დამოკიდებულება აღსანიშნისა და კომუნიკაციის პარტნიორისადმი. ერთი და იგივე ობიექტი ან ხდომილება ემოციის თვალსაზრისით სხვადასხვაგვარად შეიძლება შეფასდეს. „ენობრივი სახელდების ასეთი მოქნილობა ტექსტის შემქმნელს საშუალებას აძლევს, ერთი და იმავე ობიექტური გარემოებების წარმოდგენისას ტექსტის სტრუქტურები სხვადასხვაგვარად ააგოს“ (Fleischer...1993:82). რასაკვირველია, ემოციური ეფექტი იზრდება, თუ ტექსტის პროდუცენტი აირჩევს არა უზუალურ, არამედ ოკაზიონალურ და შესაბამისად, სტილური თვალსაზრისით მარკირებულ ლექსიკურ ერთეულებს, რადგან ოკაზიონალიზმი არის ერთ-ერთი ყველზე ეფექტური საშუალება, რომლის მეშვეობითაც ენის მომხმარებელი გამოხატავს თავისი სპეციფიკური დამოკიდებულებას დენოტატისადმი (Bußmann 2002:105).

4) ლექსიკური ერთეულების დიფერენციაცია ენაში სხვადასხვა კუთხით ხდება. საგნის სახელდება შეიძლება მოხდეს ინდივიდუალურად საკუთარი სახელის მეშვეობით ან საზოგადო არსებითი სახელის გამოყენებით; ამ უკანასკნელ შემთხვევაში ის წარმოჩინდება, როგორც რომელიმე კლასის ერთ-ერთი ეგზემპლარი. ლექსიკური ერთეულები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ასევე მათი წარმომავლობის, ასაკის მიხედვით, მათი გამოყენებით განსაზღვრული ტექსტის სახეობებში, კომუნიკაციის სფეროებსა თუ სოციალურ ჯგუფებში. თუ სტილურად ნეიტრალური სიტყვებს წარმოვიდგენთ, როგორც ცენტრს, ბირთვს, მაშინ სტილური თვალსაზრისით მარკირებული ლექსიკური ერთეული უნდა განვიხილოთ, როგორც “პერიფერიული გადახრა” (Wörterbücher...1989:652), რომელიც, გამოყენების თვალსაზრისით, გარკვეულ შეზღუდვებს ექვემდებარება. აღსანიშნისადმი დენოტაციური მიმართების გარდა მას განსაკუთრებული ზემოქმედების პოტენციალიც გააჩნია, რომელსაც ლექსიკური ერთეულების სტილურ ღირებულებას უწოდებენ. ლექსიკური ერთეულების მარკირება სხვადასხვა ნიშნით შეიძლება მოხდეს. ესენია:

- წარმომავლობა,
- ქრონოლოგია (არქაიზმი, ნეოლოგიზმი),
- სივრცობრივი შეზღუდვა (მაგ., რეგიონალიზმები),
- სოციალური შეზღუდვა,
- სპეციალური შეზღუდვა (მაგ. ლინგვისტური ტერმინოლოგია),
- აღსანიშნისადმი დამოკიდებულება (ნეიტრალური ან ემოციურ-შემფასებლური),

- ტექსტში გამოყენების სისწორე,
- ტექსტის გარკვეულ სახეობებში გამოყენება,
- წერილობით ან ზეპირ კომუნიკაციაში გამოყენება,

შეიძლება ასევე მოხდეს, რომ მარკირებული ლექსიკური ერთეულები მათი გამოყენებისთვის დაწესებული შეზღუდვების უგულველყოფით შეიტანონ ამა თუ იმ ტექტში. მაშინ ისინი განსაკუთრებულ სტილურ ღირებულებას შეიძენენ.

5) რასაკვირველია, მხოლოდ ცალკეული ლექსიკური ერთეულები არ უნდა განვიხილოთ, როგორც სტილურად რელევანტური მოვლენა; არანაკლებ მნიშვნელოვანია მათი სინტაგმატური, პარადიგმატული და ტექსტუალური მიმართებები.

პარადიგმატულ მიმართებებში იგულისხმება, მაგალითად, სინონიმია, ანტონიმია, ასევე სემანტიკურ-ცნებითი ურთიერთობები, როგორცაა, ჰიპერონიმია (სუპერორდინაცია) – ჰიპონიმია (სუბორდინაცია), კრებითი სახელები – ცალკეული ელემენტები (მაგ., მცენარე – ხე).

სინტაგმატიკა ნიშნავს ლექსიკურ ერთეულებს შორის ენის სისტემით განპირობებულ ისეთ ურთიერთობებს, რომლებიც მეტყველებისას გარკვეულ მიმდევრობას ანუ ჯაჭვს ქმნიან. ამას უკავშირდება სემანტიკური შეთავსების და შეუთავსებლობის პრობლემა. (სემანტიკური შეთავსების მაგალითია ძაღლები ყვფენ, შეუთავსებლობის – ხეები ყვფენ), თუმცა სემანტიკური შეუთავსებლობა შეიძლება სრულიად გაცნობიერებულად გამოიყენონ სტილური ეფექტისათვის.

### 3.3 დიაქრონიული ნიშნით მარკირებული ენობრივი ერთეულები

ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა დიაქრონიული ნიშნით მარკირებული ენობრივი ერთეულები ანუ არქაიზმები და ნეოლოგიზმები, რასაკვირველია, ოკაზიონალიზმებიც.

არქაიზმის, როგორც ენის ლექსიკური მარაგის მოძველებული ელემენტის, შეფასება ხდება ენის აქტუალური მდგომარეობის ფონზე; ის ამ დროს განიხილება ან როგორც ისტორიზმი – ეს არის უკვე არარსებული დენოტატის აღნიშვნა ან როგორც არქაიზმი – ჯერ კიდევ არსებული დენოტატის აღნიშვნა, რომელსაც ენის განვითარების მოცემული ეტაპისათვის სხვა სიტყვით მოიხსენებენ (მაგ., ფულს, რომელსაც ადრე უწოდებდნენ Biergeld “ფეხის ქირა”, თანამედროვე

გერმანულში მოიხსენიებენ სიტყვით Trinkgeld. არქაიზმის გამოყენების შედეგად იქმნება არქაულის, მოძველებულის, ამაღლებულის, საზეიმოს სტილური ეფექტი, ხოლო ისტორიზმის შემთხვევაში – უფრო ისტორიული კოლორიტისა (Eroms 2008:71).

თანამედროვე ტექსტებში არც თუ ისე იშვიათად ხდება არქაიზმის აქტუალიზაცია. შედეგად ის გადაიქცევა აქტუალურ ლექსიკურ ერთეულად, რომელიც მარკირებულია ნიშნით „მოძველებული“, „ისტორიული“. ასეთი არქაიზმი ან თანამედროვე ლექსიკის შემადგენელი ნაწილი ხდება ან, როგორც ინდივიდუალური შემოქმედებითობის შედეგი, ოკაზიონალიზმად რჩება.

რაც შეეხება ოკაზიონალიზმებს, უნდა ითქვას, რომ სესხების, სიტყვაწარმოების და ფრაზეოლოგიზაციის გზით გამრავლებული ახალი ლექსიკური ერთეულების პარალელურად ენაში ჩნდება ახალი მნიშვნელობები, რომელსაც ლინგვისტები ასევე „ახალ სემანტიზმს“ (Fleischer...1993:92) ან „ახალ სემემას“ (Herberg...1998:2) უწოდებენ და მათ „ახალ ლექსემას“ უპირისპირებენ (Herberg...1998:1).

ახალი სიტყვების შემთხვევაში ისეთი კატეგორიზაცია, როგორცაა ისტორიზმი – არქაიზმი არ არსებობს. ამის მიზეზი ის არის, რომ არქაიზმი თავის კონოტაციას წლების მანძილზე ინარჩუნებს, რასაც ვერ ვიტყვით ნეოლოგიზმზე. კონოტაცია „ახალი“ უზუალიზაციის პროცესთან ერთად იკარგება ან ლექსიკური ერთეული ქრება, სანამ ამ სტადიას (უზუალიზაციას) მიაღწევდეს.

ოკაზიონალიზმის წარმოება ყოველთვის სტილური ეფექტის მიღწევას არ ისახავს მიზნად (ხანდახან ოკაზიონალიზმი უბრალოდ ლექსიკური ხარვეზის შესავსებად ან სხვა მიზნით იწარმოება). თუმცა ხშირად მას სწორედ ეს ფუნქცია ეკისრება. ის იმთავითვე არის სტილურად მარკირებული ნიშნებით “ახალი” (თავისი ფორმის ან შინაარსის გამო) და “თვალშისაცემი”, რადგან მას არა აქვს გავლილი ლექსიკალიზაციის პროცესი და, როგორც წესი, რომელიმე ენობრივი ნორმის დარღვევითაა ნაწარმოები. ნორმის დარღვევა შეიძლება მოხდეს, როგორც ფორმალურ (ფონოლოგიურ ან მორფოლოგიურ), ისე სემანტიკურ და პრაგმატულ დონეებზე და ის, ჩვეულებრივ, ახალ ენობრივი ერთეულებისაგან ტექსტის რეციპიენტის ყურადღების მიპყრობას ისახავს მიზნად.

სტილურად მარკირებული უკვე ნიშნავს, რომ ენობრივი ერთეული არ არის სტილურად ნეიტრალური, მაგრამ ოკაზიონალიზმთან მიმართებაში ხშირად ამ თვისების კიდევ უფრო გაძლიერება ხდება სხვადასხვა საშუალებით 1. მაგ.,



მიუხედავად ენაში არსებული სინონიმური სიტყვებისა, რომლებიც ბლოკავენ იმავე მნიშვნელობის ლექსიკური ერთეულის წარმოქმნას ენაში, ტექსტის პროდუცენტი მაინც ოკაზიონალიზმზე აკეთებს არჩევანს; 2. ტექსტის პროდუცენტი მიზანმიმართულად აწარმოებს ე.წ. ენიგმატურ ოკაზიონალიზმებს – აქ შედიან ორაზროვანი და ბუნდოვანი ოკაზიონალიზმები (Christofidou 1994:119), რომლებიც ინტერპრეტაციის ორ ან უფრო მეტი ვარიანტის საშუალებას იძლევიან. სწორი ინტერპრეტაციისათვის ზოგჯერ ოკაზიონალიზმის ორივე მნიშვნელობის კომბინაციაც კი არის აუცილებელი, რასაც ლინგვისტიკაში “პოლივალენტურობას” უწოდებენ (Beaugrande...1981:88) და ა.შ.

ოკაზიონალიზმი არის ტექსტის პროდუცენტისათვის სალაპარაკო ინტენციის “ფოკუსირების, წინა პლანზე წამოწევის, სტილური ექსპრესიულობის საშუალება” (Michel 1997:343). ექსპრესიულობა იზრდება იმის ხარჯზე, თუ რამდენად ხდება რეციპიენტის მიერ ოკაზიონალიზმის დევიანტური (ნორმიდან გადახრილი) სტრუქტურის აღქმა. როგორც ერთ-ერთი ლინგვისტი, ე. ფრეი ამტკიცებს, ინტუიციურად აღქმული დევიანტურობის ხარისხი ინტენსივობის სხვადასხვა საფეხურს შეიძლება მივაკუთვნოთ. სტილური ინტენსივობის შეფასებისას ენის მომხმარებელთა უმეტესობას ინტენსივობის ხუთიდან ათამდე (ყველაზე უკეთეს შემთხვევაში ოცი) საფეხურის აღქმა შეუძლია (Frey 1980:189). ამ დროს გადამწვევტ როლს თამაშობს ის გარემოება, რამდენად გასაგები და “გამჭვირვალეა” ოკაზიონალიზმი.

იმისათვის, რომ ტექსტის რეციპიენტმა (სწორად) გაიგოს ახალი ლექსიკური ერთეული და “შემცირდეს თვალშისაცემობის გამაოგნებელი ეფექტი” (Fleischer...1993:96), ტექსტის პროდუცენტი სხვადასხვა ხერხს მიმართავს: როგორც წესი, ოკაზიონალიზმს წინ უძღვის ან მოსდევს ერთგვარი ახსნა-განმარტება; იმავე ფუნქციას ხშირად ასრულებს ასევე ბრჭყალები. არც თუ ისე იშვიათია ისეთი მეტაენობრივი სიგნალის გამოყენება, როგორცაა, ძირითადად კრიტიკული აქცენტის შემცველი, სიტყვა “ახალგერმანულად”. მაგ.:...die Ansagerin, Sprecherin, neudeutsch: Moderatorin... (სიტყვასიტყვით:...დიქტორი, მოლაპარაკე, ახალგერმანულად: მოდერატორ...)” (Carstensen 1986:28). ოკაზიონალიზმის სწორი გაგებისათვის არსებითია ასევე ა) მისი სემანტიკური და რეფერენციალური განსაზღვრა ტექსტში; ბ) მისი კონტრასტული ურთიერთმიმართების განსაზღვრა ალტერნატიულ უზუალურ სიტყვებსა და პარაფრაზირებებთან პარადიგმატულ დო-

ნეზე; გ) მისი სინტაგმატური ურთიერთმიმართებები მოცემულ კონტექსტში (Michel 1997:343).

პოლიტიკურ პუბლიცისტიკასა და რეკლამაში ზუსტი, შემფასებლური სიტყვებისა და გამოთქმების საჭიროება ხშირად ხდება ოკაზიონალიზმის წარმოების მიზეზი. მათი ემოციური შეფერილობის გამო ასეთი სიტყვები ხშირად იქცევიან ლოზუნგად, დევიზად, სლოგანად.

### 3.4. სიტყვაწარმოება, რომორც სტილური საშუალება

ენის ლექსიკა სტილისტიკის კვლევის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია სფეროა. სიტყვას, თავისი დენოტაციური და კონტაქციური სემანტიკური ღირებულებიდან, გადატანითი მნიშვნელობიდან თუ მხატვრულობიდან გამომდინარე, ძალიან დიდი სტილური მნიშვნელობა აქვს. თანაც სხვა სტილური საშუალებებისაგან განსხვავებით, ენის ლექსიკას შესწევს ძალა სიტყვაწარმოების მეშვეობით შექმნას გამოხატვის სულ ახალ-ახალი საშუალებები; ეს ლექსიკური ერთეულები, რასაკვირველია, სხვადასხვა მეტყველების ნაწილებს მიეკუთვნებიან, ხოლო „მეტყველების ნაწილები წარმოადგენენ ენობრივ ერთეულებს, რომელთაც გააჩნიათ განსხვავებული ქმედითუნარიანობა, ფორმა და გამოყენება” (Sowinski 1978:213). მეტყველების ნაწილების სტილური მნიშვნელობა ორგვარად შეიძლება განისაზღვროს: მათი სემანტიკურ-სინტაქსური ქმედითუნარიანობა შესაძლებელს ხდის, ამ სიტყვებით აღნიშნული საგნები თუ მოვლენები ერთი რომელიმე კუთხით დავინახოთ; გარკვეული მეტყველების ნაწილების არჩევანი ასევე განაპირობებს ცალკეული მეტყველების ნაწილების დომინანტობას ამა თუ იმ ტექსტში, რაც განსაზღვრავს ტექსტის ნომინალურ, ვერბალურ და ზედსართავულ სტილს (Sowinski 1991:111).

სიტყვაწარმოებისა და სტილისტიკის ურთიერთკავშირი გამოიხატება, ერთი მხრივ, ამა თუ იმ სიტყვის წარმოებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშან-თვისებებით და, მეორე მხრივ, ამ ნიშან-თვისებების სტილური მიზნებისათვის გამოყენების შესაძლებლობებით.

სიტყვაწარმოების პროდუქტები, მათი სტრუქტურიდან გამომდინარე, იყოფიან კომპლექსურ და მეორად მარტივ სიტყვებად. კომპლექსურ სიტყვას გააჩნია

უშუალო შემადგენლური სტრუქტურა ანუ შედგება მინიმუმ ორი მორფემისაგან, მეორად მარტივ სიტყვას კი – არა. საინტერესოა ერთი გარემოება: როგორც ლინგვისტები აღნიშნავენ, სტილურად მარკირებული შეიძლება იყოს არა მხოლოდ ცალკეული სიტყვა, არამედ ზოგიერთი სიტყვაწარმოების მოდელი თუ დერივაციული აფიქსი. მაგალითად,

- ა) სასაუბრო გერმანულში გავრცელებული სიტყვაწარმოების მოდელები სუფიქსებით “-i” და “-s“ ავლენენ მარკირებას “დიასტრაციული” (სოციალური): Pulli ← Pullover (“პულოვერი”), Kuli ← Kugelschreiber (“საწერკალამი”), Merks ← merken (“შემჩნევა”), Muks ← mucken (“შეპასუხება”);
- ბ) მოდელები უცხოური წარმომავლობის პრეფიქსებითა და სუფიქსებით (ultra-, super-, -ion, -ität, -ismus) გამოირჩევიან მარკირებით “დიაინტეგრაციული” (უცხოური წარმომავლობის);
- გ) არსებობენ მოდელები დიაევალუაციური (ემოციურად შეფერილი) მარკირებით: Freundchen („მეგობრუნა“), Hundearbeit („ძაღლური სამუშაო“), Glückspilz (“იბღლიანი”) და ა.შ.

ემოციურად შეფერილი მოდელების გარდა, სტილისტიკაში საუბრობენ ასევე ექსპრესიულობის ზრდის სხვადასხვა ხერხებზე. ეს, ძირითადად, ორგვარად ხდება: სიტყვაწარმოების კონსტრუქციის უშუალო შემადგენლების შეპირისპირების გზით და თავად სიტყვაწარმოების კონსტრუქციის შეპირისპირებით უზუაღურ ლექსიკასა თუ გარეენობრივ რეალობასთან.

უშუალო შემადგენლების შეპირისპირების რამდენიმე საშუალება არსებობს:

1. სემანტიკური შეთავსებადობის წესის დარღვევა. მაგ., Aktenhengst (მიღებულია ორი მარტივი სიტყვის “საბუთები” და „ულაყი” შეერთებით; ნიშნავს “ბიუროკრატს”, “პედანტს”), Verbrechensexpllosion (მიღებულია ორი მარტივი სიტყვის “დანაშაული” და “აფეთქება” შეერთებით; ნიშნავს “დანაშაულის სწრაფ მატებას”).

2. სიტყვაწარმოებითი მორფემების დისტრიბუციის წესების დარღვევა. მაგ., -ling სუფიქსით ნაწარმოებ სულიერ არსებით სახელებზე მდედრობითი სქესის მწარმოებელი -in სუფიქსის დართვით სიტყვების მიღება. ამგვარად ნაწარმოები სიტყვაწარმოების კონსტრუქციები მხოლოდ ლირიკაში ან სტილიზირებულ პროზაში გვხვდება (მაგ., ჰერმან ჰესეს Flüchtlingin “ღტოლვილი ქალი”, რაინერ მარია

რილკეს Lieblingin “საყვარელი ქალი”, მაქს ფრიშის Wildlingin “ველური ქალი” და ა.შ.) (Deutsche Wortbildung 1975:109). სიტყვაწარმოებაში არსებული წესების დარღვევა ხშირად ხდება ასევე პუბლიცისტიკაში, განსაკუთრებით კი, სარეკლამო ენაში, სადაც ოკაზიონალური სიტყვაწარმოებების წილი საკმაოდ მაღალია. “სარეკლამო ტექსტებში თითქმის აღარაფერია შეუძლებელი. აქ ეფექტი ხშირად სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ არსებული შეზღუდვები გაუქმდეს” (Naumann 2000:31). ასეთი “ნორმისგან გადახრილი” სიტყვაწარმოებები ენობრივ რეალობაში სრულიად მიზანმიმართულად გამოიყენება (Naumann 2000:32), რადგან ეს არის ემოციური ეფექტის გაზრდის ერთ-ერთი ყველაზე კარგი საშუალება. საინტერესოა, რომ ნაუმანი სიტყვაწარმოების დონეზე სხვადასხვა სახის შეზღუდვებს განასხვავებს: ეს არის ფონოტაქტური, მორფოლოგიური, სემანტიკური, ლოგიკური და ა.შ. შეზღუდვები (Naumann 2000:32).

3. კომპოზიტის პირველი უშუალო შემადგენლის როლში სიტყვათა ჯგუფები ან მთელი წინადადებები შეიძლება გამოვიდნენ. ასეთი კომპოზიტი უჩვეულოა და შესაბამისად, მაღალი ექსპრესიულობით გამოირჩევა. ის, ძირითადად, ბელეტრისტიკასა და პუბლიცისტიკაში გვხვდება. მაგ., aus den Tischleindeckdickkellern des Großbauern “მდიდარი გლეხის “ტაბლაგაეწვევსარდაფიდან”;

4. ზედსართავულ კომპოზიტში, ორი საბაზისო მორფემის ნაცვლად, ხდება სამი ამ მეტი უშუალო შემადგენლის შეკავშირება, რაც იწვევს ემოციური ფონის შექმნას.

ექსპრესიულობის ზრდა შეიძლება მოხდეს ტექსტში ახალი სიტყვაწარმოების კონსტრუქციის ან უკვე არსებულის (უზუალურის) უჩვეულო გამოყენებით. ამგვარად ხდება სიახლის ეფექტის შექმნა.

სიახლის ექსპრესიული ეფექტი ტექსტის რეცეპიენტის მიერ დადებითად ან უარყოფითად შეიძლება შეფასდეს. დადებითი რეაქციებს ვაწყდებით, ძირითადად, ბელეტრისტიკისა და პუბლიცისტიკაში: ოკაზიონალიზმი აქ განიხილება, როგორც ენის მომხმარებლის შემოქმედებითობის გამოვლინება. კომუნიკაციის სხვა სფეროებსა და ტექსტის სახეობებში ენობრივი კოლექტივი უფრო ნეგატიურად არის განწყობილი. სხვა მრავალ მიზეზთა შორის აქ ყურადღებას ამახვილებენ მე-19 და მე-20 საუკუნეებში არსებულ ენის სიწმინდის დაცვის ტრადიციაზე (Fleischer...1993:136).

ექსპრესიულობის მიზეზი შეიძლება გახდეს სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციის მიერ აღნიშნულ ობიექტსა და გარეენობრივ რეალობას შორის არსებული კონტრასტი. მაგალითად, სიტყვა *Kindergärtner* (ბაღის მამრობითი სქესის მასწავლებელი) არ არის საჭირო, რადგან ამ პროფესიით ძირითადად მხოლოდ ქალები მუშაობენ.

საინტერესოა კიდევ ერთი გარემოება: სტილურად მარკირებული შეიძლება იყოს არა მხოლოდ ცალკეული სიტყვაწარმოებითი მოდელი; კონოტაციური სიტყვაწარმოების განსაკუთრებულად ეფექტურ საშუალებებს წარმოადგენს ასევე სიტყვაწარმოების ზოგიერთი სახეობა, როგორცაა, მაგალითად, რედუქლიკაცია და კონტამინაცია: *Tingeltangel* “იაფფასიანი გასართობი მუსიკა”, *Remmidemmi* „აყალ-მაყალი“, „აურზაური“, *Demokratatur*←*Demokratie*+*Diktatur* „დემოკრატიურა“← „დემოკრატია+დიქტატურა“, *jain*←*ja*+*nein* „კიარა“←„კი“+„არა“). ინფინიტივის ფორმის კონვერსიის შედეგად მიღებული არსებითი სახელები ყველაზე ხშირად გვხვდება მოთხრობებში, ნაკლებად – რომანებსა და ლირიკაში (*Deutsche Wortbildung* 1975:239).

ამგვარად, ოკაზიონალიზმი სტილურად მარკირებულ ლექსიკურ ერთეულს წარმოადგენს, რომელიც სხვადასხვა სახეობის ტექსტებში, განსაკუთრებით კი, თანამედროვე ბელეტრისტიკაში, პუბლიცისტიკასა და რეკლამაში ემოციური ფონის შესაქმნელად და ექსპრესიის გასაძლიერებლად გამოიყენება.

## თავი IV სიტყვაწარმოება და ოკაზიონალიზმები

### 4.1. სიტყვაწარმოების ადგილი თანამედროვე ლინგვისტიკაში

“სიტყვაწარმოება არის სიტყვების წარმოქმნა არსებული ენობრივი მასალის საფუძველზე და მისი დახმარებით” (Fleischer...1995:5). ეს არის სიტყვაწარმოების განმარტება ამ ცნების ვიწრო გაგებით. ასეთ შემთხვევაში იგი განიხილება, როგორც რომელიმე სამეცნიერო დისციპლინის – ლექსიკოლოგიის ან გრამატიკის (მორფოლოგიის, სინტაქსის) შემადგენელი ნაწილი, “რომელიც შეისწავლის სიტყვების აგების ტექნიკას” (ტუსკია 2004:3). ქართველი ლინგვისტები, მაგალითად, ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე სიტყვაწარმოებას ძირითადად მორფოლოგიაში აერთიანებენ, თუმცა მათი ნაწილი, მაგალითად, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, თ. ზურაბიშვილი, რ. გაბეჩავა და სხვ. მას ლექსიკოლოგიის შემადგენლობაში მოიაზრებენ. ამ მოსაზრებებს მომხრეები უცხოელ ლინგვისტთა შორისაც ჰყავს. სიტყვაწარმოებას გრამატიკის შემადგენელ ნაწილად თვლიან ჰ. პაული, ბ. ნაუმანი, ო. ბეჰაგელი, ი. ერბენი, კ. ბრინკმანი, ხოლო მას ლექსიკოლოგიას მიაკუთვნებენ ვ. შმიდტი, ვ. მოჩი და სხვა, ძირითადად, საბჭოელი ლექსიკოლოგები. თუმცა არსებობს, თუ შეიძლება ასე ითქვას, შუალედური მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც სიტყვაწარმოება, იკვლევს რა “ახალი სიტყვების წარმოებას, წესებს, რომელთა მეშვეობითაც ეს სიტყვები იწარმოებიან და აღწერს განსაზღვრულ ნიმუშებსა და მოდელებს, განსხვავებულ დისციპლინებს შორის დგას, ერთი მხრივ, სინტაქსსა და, მეორე მხრივ, მორფოლოგიას შორის და რადგან სიტყვაწარმოებითი პროცესები ზეგავლენას ახდენენ ასევე სიტყვის მნიშვნელობაზე, იგი ლექსიკოლოგიასთანაც არის დაკავშირებული” (Kühn 1994:2).

სიტყვაწარმოების სხვადასხვაგვარი სტატუსი აიხსნება იმით, რომ მისი საკვლევი ობიექტი ძალზე კომპლექსური მოვლენაა. ის მოიცავს, მართალია, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ, მაგრამ მაინც მკვეთრად განსხვავებულ ასპექტებს. სიტყვაწარმოება, “აღწერს რა ახალი სიტყვების წარმოების კანონზომიერებებს და ახალი ერთეულების, როგორც შედარებით მცირე ელემენტების შეკავშირების შედეგად მიღებული პროდუქტის, წარმოქმნას, თავისი კვლევის საგანს განიხილავს სინტაქტიკური თვალსაზრისით” (Schippa 2002:45). ანუ ამ კუთხით თუ შევხედავთ, სიტყვაწარმოებას ბევრი საერთო აქვს სინტაქსთან. მაგრამ, მეორე მხრივ, სიტყვაწარმოებითი პროცესების შედეგად მიღებული სიტყვა

ამა თუ იმ მეტყველების ნაწილს მიეკუთვნება და კერძოდ, რომელს – განისაზღვრება წარმოებული სიტყვის უშუალო შემადგენლების მიხედვით. ამდენად, სიტყვაწარმოება მორფოლოგიის შემადგენელ ნაწილადაც შეგვიძლია განვიხილოთ. ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სიტყვაწარმოების პროდუქტი ლექსიკალიზაციის პროცესის შედეგად ენის ლექსიკაში მკვიდრდება, ნაწარმოები ახალი სიტყვა ლექსიკოლოგიის კვლევის ობიექტიც ხდება.

ძალზე საინტერესოდ მიგვაჩნია ერთი გარემოება: უცხოელ ლინგვისტთა შორის თანდათანობით იზრდება იმ მოსაზრების მომხრეთა რიცხვი, რომლის მიხედვითაც სიტყვაწარმოება განხილულ უნდა იქნას როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა, რომელსაც გააჩნია კვლევის საკუთარი სფერო და ობიექტი. აღნიშნული მოსაზრება განაპირობებს სიტყვაწარმოების მეორე, უფრო ფართო გაგებას, რომლის თანახმად იგი შედის არა სინტაქსის ან ლექსიკოლოგიის სფეროში, არამედ წარმოადგენს დამოუკიდებელ, შედარებით ავტონომიურ ენობრივ დონეს (Dokulil...1968:14). მიუხედავად სიტყვაწარმოების სისტემური ხასიათისა, რის გამოც მას სინტაქსის კვლევის ობიექტად მიიჩნევენ, “სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებს ახასიათებთ თვისებები, რომელთა აღწერა სინტაქსს არ ძალუძს. ესენია ისტორიულობა, იდიომატიზაცია და ლექსიკურობა” (Schippa 2002:108). გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სიტყვაწარმოება “ემყარება მორფოლოგიურ, სინტაქსურ და სემანტიკურ წესებს და სიტყვაწარმოების შედეგი საჭიროებს კვლევის სპეციფიკურ მეთოდებს” (Schippa 2002:108).

ვ. ფლაიშერი და ი. ბარცი ასევე მსჯელობენ სიტყვაწარმოების განსაკუთრებულ ადგილზე ენის სისტემაში და მიაჩნიათ, რომ ის მკვეთრად უნდა გავმიჯნოთ სინტაქსისაგან. მართალია, სიტყვაწარმოებასა და სინტაქსს შორის არსებობს გარკვეული მსგავსება, რაც გამოიხატება იმაში, რომ “სიტყვაწარმოება შესაძლებელს ხდის ნიშანთა კომბინაციას სიტყვის სტრუქტურაში” (Flesicher...1995:1) ისევე, როგორც ეს ხდება სინტაქსში, როცა სიტყვების კომბინაცია ქმნის წინადადებას, მაგრამ მათ შორის არის ერთი არსებითი სხვაობა: ნაწარმოები სიტყვების დიდი ნაწილი მყარ ლექსიკურ ერთეულად მკვიდრდება და ლექსიკის კუთვნილებად იქცევა, რასაც ვერ ვიტყვით წინადადებაზე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სიტყვაწარმოებას სინტაქსისაგან გამოყოფს ქართველი ლინგვისტი ბ. ფონსუაც: “ფლექსიაც და სიტყვაწარმოებაც სიტყვის აგებულების ცვალებადობას გულისხმობს ... განსხვავება ისაა, რომ პირველ შემთხვევაში გარკვეულ მიმართებაში არიან ერთმანეთთან სიტყვის აგებულება და

სიტყვის როლი შესიტყვებაში; მეორე შემთხვევაში – სიტყვის აგებულების ცვლა იწვევს სიტყვის მნიშვნელობის ცვლას. პირველ (ფლექსიის) შემთხვევაში ერთი სიტყვის სხვადასხვა ფორმასთანა გვაქვს საქმე, მეორე (დერივაციის) შემთხვევაში – სხვადასხვა სიტყვასთან. პირველ შემთხვევაში აფიქსთა პარადიგმატულ თვისებებზე მახვილდება ყურადღება, მეორეში – სინტაგმატურზე” (ფონსუა 1974:14).

საინტერესოა ისიც, რომ ცნობილი ქართველი ლექსიკოლოგი ბ. ფონსუა სიტყვაწარმოებას არ მოიაზრებს ლექსიკოლოგიის ფარგლებში. ის განიხილავს რამდენიმე არგუმენტს, რომლებიც, როგორც წესი, იმის დასადასტურებლად მოჰყავთ, რომ სიტყვაწარმოება ლექსიკოლოგიის ნაწილია და დასკვნის სახით აყალიბებს შემდეგ მოსაზრებას: “ერთი მხრივ, ის გარემოება, რომ სიტყვათა სემანტიკური ჯგუფები და სტრუქტურული (სიტყვაწარმოებითი) ჯგუფები ერთმანეთს არ ემთხვევა და, მეორე მხრივ, ის, რომ სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობანი და ნაწარმოებ სიტყვათა რაოდენობა ერთმანეთს არ ემთხვევა, – გვაპარაუდებინებს, რომ მოძღვრება სიტყვაწარმოების შესახებ ვერ იქნება ლექსიკოლოგიის ნაწილი” (ფონსუა 1974:14).

სიტყვაწარმოება, როგორც ცნობილია, არის ახალი ნომინაციური ერთეულების წარმოქმნის საშუალება, რომელიც ხორციელდება “ენის ნომინაციური პოტენციალის საფუძველზე, ე.ი. უზუალური სახელებითი ერთეულების გამოყენებით განსაზღვრული წესების მიხედვით” (Fleischer...1995:2). თუმცა სიტყვაწარმოება არ უნდა აგვერიოს სიტყვაქმნადობაში. “სიტყვაქმნადობა გულისხმობს, რომ სიტყვები იქმნებიან ბგერათა კომბინაციებისაგან, რომლებიც ენაში (ჯერ კიდევ) არ არსებობენ, როგორც მნიშვნელობის მატარებელი ელემენტები (ნიშნები). ე.ი. წარმოიქმნება ახალი ძირი” (Fleischer...1995:5). ხოლო სიტყვაწარმოება არის “სიტყვების (სიტყვათა ფუძეების) წარმოქმნა უკვე არსებული ენობრივი მასალის საფუძველზე და დახმარებით” (Fleischer...1995:5). სიტყვაწარმოების დამოუკიდებელ ხასიათზე მიუთითებს ს. ქანგისერიც, რომელიც ერთმანეთისაგან განსხვავებს “წინადადების გრამატიკის კრეატიულობასა” და “სიტყვის გრამატიკის კრეატიულობას” (Kanngießer 1985:145).

ვ. ფლაიშერი და ი. ბარცი სიტყვაწარმოებას მიჯნავენ მორფოლოგიისგან. საუბარია, ერთი მხრივ, სიტყვის ფუძისა და ფლექსიური აფიქსების და, მეორე მხრივ, სიტყვაწარმოებითი კომპლექსის უშუალო შემადგენლების სტაბილურობის განსხვავებულ ხარისხზე. სიტყვაწარმოებითი კომპლექსის სტრუქტურისათ-



ვის დამახასიათებელია “ერთგვარი ელასტიკურობა” (Fleischer...1995:4), ფლექსიის ფორმებისათვის კი – არა. ფლექსია ქმნის მტკიცე, მყარ სისტემას, რომელსაც გააჩნია სტაბილური, სისტემური ხასიათი, რასაც ვერ ვიტყვით სიტყვაწარმოებაზე. მაგალითად, დეკომპოზიციის პირობებში (დეკომპოზიცია განიხილება როგორც კომპოზიციის საპირისპირო მოვლენა), რომელსაც ხშირად ოკაზიონალური ხასიათი აქვს და ტექსტზეა მიბმული, შეიძლება დაირღვეს ან შესუსტდეს კომპოზიციის სტრუქტურა. ასეთ შემთხვევად შეიძლება განვიხილოთ შემდეგი კომპოზიტები: Hol- und Bringedienste („მოტანისა და წადების სამსახური“) , Antologie („ანთო-ლოგია“).

სიტყვაწარმოების, როგორც დამოუკიდებელი ლინგვისტური დისციპლინის, პოტენციალზე მსჯელობს ლ. მ. აიხინგერიც. ის მიუთითებს სიტყვაწარმოების მჭიდრო კავშირზე მორფოლოგიასთან, სინტაქსთან და ტექსტის ლინგვისტიკასთან, თუმცა იქვე ხაზს უსვამს სიტყვაწარმოების ერთგვარ გათანაბრებას სხვა ენობრივ დონეებთან: სიტყვაწარმოება “იყენებს მორფოლოგიის ინვენტარს ისეთი ერთეულების შესაქმნელად, რომელთაც შესწევთ უნარი, როგორც სრულყოფილმა ელემენტებმა, მოცემული ენის სიტყვათა სიმრავლეში დაიმკვიდრონ ადგილი. სიტყვების ამ სივრცეს, სტრუქტურული თვალსაზრისით, სინტაქსი განაგებს, რომელსაც, თავის მხრივ, (აზრის) გამოსატვის ინტენციის საბაზისო სტრუქტურები, გადაფარავს, როგორიცაა მაგალითად, თემა-რემის სტრუქტურა. ამ ტექსტუალური საშუალებებით დაკავშირებული სინტაქსური სტრუქტურების სივრცეში ჩართული უნდა იყოს სიტყვაწარმოებითი საშუალებებით ნაწარმოები ერთეულები ისე, რომ არ დაიკარგოს მათი სპეციფიკური ხასიათი. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ კოდირების ისეთი სტრატეგიების და სახეობების არჩევა ხდება, რომლებიც ბევრად არ განსხვავდება იმისაგან, რაც სხვა ენობრივ დონეებზეა წარმოდგენილი, თუმცა კი საკუთრივ ამ სფეროს (სიტყვაწარმოების) შესაძლებლობებს წარმოგვიჩვენებს” (Eichinger 2000:56).

სიტყვაწარმოებაზე, როგორც დამოუკიდებელ ენათმეცნიერულ დისციპლინაზე, მსჯელობისას მნიშვნელოვანია იმ საკითხების ჩამოთვლა, რომელთა გადაჭრაც სიტყვაწარმოების ამოცანებში შედის:

“აღწეროს სიტყვაწარმოებითი საშუალებების ინვენტარი, მოახდინოს მათი კლასიფიკაცია და დააღაგოს მნიშვნელობისა და პროდუქტიულობის მიხედვით;

აღწეროს წესები და მოდელები, რომელთა მიხედვითაც ახალი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები შეიძლება წარმოიქმნან და დააფიქსიროს პირობები, რომლებშიც ისინი ან წარმოიქმნებიან ან ვერა;

მოგვაწოდოს სემანტიკური მოდელები სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების ინტერპრეტაციისათვის;

აღწეროს მეთოდების ინვენტარი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების ინტერპრეტაციისათვის;

იდიომატიზების, დემოტივაციისა და ლექსიკილიზაციის პროცესების ასახვას ნელად სიტყვაწარმოება ენის ისტორიის კვლევის მეთოდებსაც იყენებს. გარდა ამისა, სიტყვაწარმოების კვლევის სფეროს მიეკუთვნება სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების კომუნიკაციური როლისა და მათი ადგილის განსაზღვრა ენის ლექსიკურ-სემანტიკურ სისტემაში” (Schippan 2002: 110).

როგორც ვხედავთ, სიტყვაწარმოების კვლევის სფერო საკმაოდ ფართოა და ის საკითხები, რომლებსაც ის შეისწავლის, სცდება როგორც ლექსიკოლოგიის, ისე გრამატიკის ფარგლებს. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია მიზანშეწონილად მისი, როგორც დამოუკიდებელი ლინგვისტური დისციპლინის, განხილვა.

სიტყვაწარმოებითი საკითხების განხილვისას, აუცილებელია, შევხვთ იმ ტერმინოლოგიურ სხვაობებს, რაც იკვეთება ქართულ და გერმანულ ენათმეცნიერულ ლიტერატურაში. პირველ რიგში, ეს ეხება ცნებას „სიტყვაწარმოება“. გერმანელი ლინგვისტებისაგან განსხვავებით, ქართველი ენათმეცნიერები ამ სიტყვას ორი მნიშვნელობით იყენებენ: ერთი მხრივ, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, იგი არის სამეცნიერო დისციპლინის (ლექსიკოლოგიის ან გრამატიკის) შემადგენელი ნაწილი, მაგრამ, ამავე დროს, იგი განიხილება, როგორც სიტყვაწარმოების ერთ-ერთი ტიპის – დერივაციის სინონიმური ცნება. ამ მოსაზრებას ვაწყდებით, მაგალითად, ბ. ფოჩხუასა და ა. შანიძის ნაშრომებში. ბ. ფოჩხუა ტერმინებს „სიტყვაწარმოება“, „წარმოქმნა“ და „დერივაცია“ ერთი და იმავე მნიშვნელობით იყენებს ისევე, როგორც ა. შანიძე: “წარმოქმნას (დერივაციას), როგორც სახელთა შექმნის ერთ-ერთ საშუალებას, უპირისპირდება თხზვა (კომპოზიცია)” (შანიძე 1980:147). ჩვენი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელიც კია, ტერმინოლოგიურ დონეზე მათი დიფერენციაცია. ამგვარად, ერთი მხრივ, თავიდან ავიცილებთ გაუგებრობებს ქართულ ლინგვისტიკაში და მეორე მხრივ, უცხოელ ენათმეცნიერებს გავუადვილებთ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურასთან ურთიერთობას.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დერივაციის შემთხვევაში იკვეთება მეორე განსხვავებაც. როგორც გერმანულ, ისე ქართულ ლინგვისტიკაში განახვავებენ დერივაციის ორ სახეობას: ექსპლიციტური და იმპლიციტური დერივაცია (იგივე შინაგანი ფლექსია). ექსპლიციტური დერივაცია ნიშნავს ახალი სიტყვის წარმოებას დერივაციის ბაზაზე პრეფიქსის, სუფიქსის ან მათი კომბინაციის (პრეფიქს-სუფიქსის) დართვით (Fleischer...1995:46/51). მაგალითად, Ordn-ung „წესრიგი“, Unglück “უბედურება”, Ge-sing-e „მღერა“. იმპლიციტური დერივაცია კი გულისხმობს, მაგალითად, ზმნებისაგან არსებითი სახელების ან ზმნების წარმოების პროცესს, რომელიც ხორციელდება აფიქსაციის გარეშე “ფუძის აღიტერაციით” (Erben 1983:27). იმპლიციტური დერივაციის ნიმუშია ზმნისაგან werfen („გადაგდება“, „სროლა“) იმავე მნიშვნელობის არსებითი სახელის Wurf წარმოება. თუმცა ქართველი ლინგვისტებისაგან განსხვავებით, გერმანულ ლინგვისტთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ პრეფიქსაცია არ შედის დერივაციაში და რომ იგი სიტყვაწარმოების დამოუკიდებელ ტიპს წარმოადგენს. ამ მოსაზრებას იზიარებს, მაგალითად, ი. კიუნი, რომელიც გამოყოფს სიტყვაწარმოების ოთხ ტიპს: “კომპოზიცია, დერივაცია, პრეფიქსაცია და შემოკლებების წარმოება” (Kühn 1994:24). აღნიშნული შეხედულების მომხრეები თავიანთ პოზიციას ამყარებენ იმ არგუმენტით, რომ პრეფიქსაცია, ისევე როგორც კომპოზიცია, ექსპანსიას წარმოადგენს, რადგან არც ერთ შემთხვევაში მიღებული სიტყვა არ იცვლის მორფოლოგიურ კლასს. მაგალითად, un პრეფიქსის დართვის შედეგად ზედსართავი სახელი ungesund („არაჯანსაღი“) ზედსართავ სახელად რჩება, სუფიქსაციის დროს კი, რომელიც ტრანსპოზიციის ერთგვარ სახეობას წარმოადგენს, შესაძლებელია სიტყვის „ტრანსპორტირება“ სხვა მეტყველების ნაწილში ან სემანტიკურ ჯგუფში. ამის ნიმუშს წარმოადგენს არსებითი სახელი Krankheit („ავადმყოფობა“), რომელიც krank („ავად“, „სნეული“) ზედსართავ სახელზე -heit სუფიქსის დართვით არის ნაწარმოები. თუმცა მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ გერმანულ ენაში მოიძებნება ისეთი დერივატები, რომლებმაც სწორედ პრეფიქსაციის შედეგად შეიცვალეს მორფოლოგიური კლასი. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ არსებითი სახელი Ge-bäck („ნამცხვარი“, „ფუნთუშეული“), რომელიც backen ზმნაზე ge- პრეფიქსის დართვით არის მიღებული. გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ როგორც პრეფიქსაციის, ისე სუფიქსაციის შემთხვევაში უშუალო შემადგენლები ძირეული მორფემა და აფიქსია, ამას-

თანავე თუ ქართული ენის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაუშვებთ იმ გარემოებასაც, რომ ქართულ ენაში პრეფიქსის დართვით ნაწარმოებმა სიტყვამ შეიძლება შეიცვალოს მორფოლოგიური კლასი, გასაგები გახდება ის, თუ რატომ მიიწინვებს ლინგვისტთა უმრავლესობა, მათ შორის ქართველი ლინგვისტებიც, პრეფიქსაციას დერივაციის სახეობად.

აზრთა სხვადასხვაობა შეინიშნება სიტყვაწარმოების ერთ-ერთი მთავარი ტიპის – კომპოზიციაზე მსჯელობის დროსაც. კომპოზიცია ანუ თხზვა ქართველ და გერმანულ ლინგვისტთა მიერ განიხილება, როგორც “ორი და მეტი ფუძის ან ბრუნვიანი სიტყვის შეკრება” (თოფურია 1979:103). მაგალითად, „ცისარტყელა“, „Regenbogen“ და ა.შ. თუმცა, გერმანული ლინგვისტებისაგან განსხვავებით, ქართველი ენათმეცნიერები კომპოზიციაში მოიაზრებენ რედუპლიკაციასაც: “დღეისათვის დადგენილია კომპოზიტთა ორი ძირითადი ტიპი: ფუძეგაორკეცებული (ფუძეგამეორებული, რედუპლიცირებული) და ფუძეგანსხვავებული (ნაირფუძიანი)” (არონია 2010:8). რედუპლიკაცია ცალკე ტიპად განიხილება გერმანულ სიტყვაწარმოებაში – “ეს არის სიტყვების მორფოლოგიურ-სტრუქტურული წარმოების ელემენტარული სახეობა უშუალო შემადგენლის გაორმაგებით” (Fleischer...1995:48). რედუპლიკაციის ნიმუშებია „კაჭკაჭი“, Wirrwarr „არეულ-და-რეულობა“.

ორიოდ სიტყვით გვსურს ასევე, შევეხოთ იმ განსხვავებებს, რომლებიც შეინიშნება სიტყვაწარმოების ტიპების გავრცელებაში ქართულ და გერმანულ ენებში.

თანამედროვე სიტყვაწარმოებაში განასხვავებენ სიტყვაწარმოების შემდეგ ტიპებს: კომპოზიცია, დერივაცია, კონვერსია, შემოკლებების წარმოება, რეგრესია (რედუქცია), კონტამინაცია (შერწყმა) და რედუპლიკაცია (Fleischer...2012:83). ჩვენი მიზანია, გავარკვიოთ, რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი და ეფექტური სიტყვაწარმოების ტიპი გერმანულ და ქართულ ენებში.

“გერმანულისთვის კომპოზიცია ... უდავოდ სიტყვაწარმოების ყველაზე მნიშვნელოვანი ტიპია” (Elsen 2004:23). “დერივაცია არის სიტყვაწარმოების მეორე მნიშვნელოვანი ტიპი გერმანულში” (Else 2004:23). ამ ორ ტიპს მკვეთრად ჩამორჩება კონვერსია და შემოკლებების წარმოება (Naumann 2000: 42).

განსხვავებული მდგომარეობაა ქართულში. აქ პროდუქტიულობის მიხედვით პირველ ადგილს აფიქსაცია იკავებს, რომელსაც მოსდევს კომპოზიცია: “წარმოქმნის სხვადასხვა სახეა ცნობილი: აფიქსაცია, კომპოზიცია, რედუპლიკა-

ცია, შინაგანი ფლექსია და სხვ. ამათგან ... ყველაზე გაბატონებულია აფიქსაცია და კომპოზიცია” (თოფურია 1979:103). აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქართულ ენაში პრეფიქსაციასა და სუფიქსაციასთან ერთად ძალზე არის განვითარებული სიტყვის წარმოება ერთდროულად პრეფიქსისა და სუფიქსის ან ცირკუმფიქსის მეშვეობით. “ამით ქართველური ენები განსხვავდება ზოგი სხვა სისტემის ენათაგან, სადაც სიტყვაწარმოება ხდება ძირითადად სუფიქსის მეშვეობით” (თოფურია 1979:103). გერმანული ენაც ასეთ ენათა რიცხვს მიეკუთვნება. აქ კომბინატორული დერივაცია “სამივე მეტყველების ნაწილთან (იგულისხმება არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი და ზმნა) იშვიათად გამოიყენება” (Fleischer...2012:86), ის ძირითადად არსებით სახელებთან არის წარმოდგენილი: “ცირკუმფიქსები მხოლოდ არსებითი სახელების წარმოებისას გამოიყენება” (Naumann 2000:52).

იმპლიციტურ დერივაციასთან ანუ შინაგან ფლექსიასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ გერმანულ ენაში “ის ისტორიულად დაკავშირებული იყო აბლაუტსა და უმლაუტთან და მეტ-ნაკლებად აქტიურად გამოიყენებოდა ახალი სიტყვების საწარმოებლად, თუმცა დღესდღეობით იგი სრულიად არაპროდუქტიულია” (Fleischer...1995:51). მსგავსი მდგომარეობაა ქართულ ენაში; როგორც კვლევები ადასტურებენ, ქართულ ენაში აბლაუტი, რომელიც “წარმოადგენს უფრო ფართო მოვლენის – ალტერნაციის – სახეობას (არაბული 2001:102) და ალტერნაცია სიტყვაწარმოებითი ფუნქციით გამოიყენებოდა: “უძველეს ლექსემათა ურთიერთმიმართება აშკარად წარმოაჩენს ახალ ძირ-ფუძეთა წარმოქმნის ალტერნაციულ მექანიზმს. რომელიც გულისხმობს საერთო გენეზისის ძირთა სემანტიკური დიფერენციაციის პროცესს...” (არაბული 2001:98).

რაც შეეხება სიტყვაწარმოების სხვა სახეობებს – კონვერსია, შემოკლებების წარმოება, რეგრესია, კონტამინაცია, ისინი ნაკლებად აქტიურია როგორც გერმანულ, ისე ქართულ ენაში.

სიტყვაწარმოების ტიპების განსხვავებული გავრცელება გერმანულსა და ქართულ ენებში განპირობებული უნდა იყოს, ჩვენი აზრით, ამ ენებს შორის არსებული გრამატიკული განსხვავებებით, რაც გამოწვეულია მათი კუთვნილებით ენათა სხვადასხვა მორფოლოგიური ტიპისადმი. ქართული ენა, როგორც ცნობილია, შერეული ტიპის ენაა. იგი როგორც აგლუტინაციური, ისე ფლექსიური ენის ნიშნებს ავლენს. გერმანული კი – ფლექსიურ ენათა ჯგუფში შედის. აგ-

ლუტინაციური ენები გამოირჩევიან აფიქსების სიმრავლით, ხოლო ფლექსიური ენები – დიდი სიტყვაწარმოებითი პოტენციალით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია სიტყვაწარმოების, როგორც დამოუკიდებელი ლინგვისტური დისციპლინის განხილვა, რომელიც, მართალია, თავისი კვლევის სფეროსა და ობიექტის სპეციფიკის გამო მჭიდრო კავშირშია სხვა ლინგვისტურ დისციპლინებთან (როგორცაა მაგალითად, ლექსიკოლოგია, გრამატიკა, ტექსტის ლინგვისტიკა და სხვა), მაგრამ, ამავე დროს, ავლენს დამოუკიდებელ დისციპლინად ჩამოყალიბების სულ უფრო და უფრო მეტ პოტენციალს, აფართოებს და მკაცრად შემოსაზღვრავს რა თავისი კვლევის არეალს.

#### 4.2. სიტყვაწარმოების ტიპები

თანამედროვე სიტყვაწარმოებაში განასხვავებენ ბინარული და არაბინარული სტრუქტურის მქონე სიტყვაწარმოების პროდუქტებს. უშუალო შემადგენლური სტრუქტურის მქონე ანუ კომპლექსურ სიტყვაწარმოების პროდუქტს უწოდებენ სიტყვაწარმოების კონსტრუქციას, ხოლო უშუალო შემადგენლური სტრუქტურის არმქონე სიტყვაწარმოების პროდუქტს – მეორად მარტივ სიტყვას (Fleischer... 1995:45). სიტყვაწარმოების კონსტრუქციას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქმნის, როგორც წესი, მინიმუმ ორი უშუალო შემადგენელი. ეს უკანასკნელი შეიძლება წარმოადგენდეს თავისუფალ ან ბმულ მორფემას, ზოგჯერ – მორფემათა კონსტრუქციას. თავისუფალი მორფემა მუდამ ძირეული მორფემაა; ძირეული მორფემა ლექსიკურად ავტონომიური და ლექსიკურ-ცნებითი მნიშვნელობის მატარებელია. მას შეუძლია დამოუკიდებლად ანუ სიტყვის სახით ფუნქციონირება (Schippan 2002:81), თუმცა სიტყვაწარმოების კონსტრუქციაში შემადგენლის როლშიც გამოდის; “დამოკიდებული მორფემა კი, უპირველეს ყოვლისა, გრამატიკული ან სიტყვაწარმოებითი მორფემაა. იგი მხოლოდ ძირეულ მორფემასთან ერთად გამოიყენება (Schippan 2002:81).

უშუალო შემადგენლების სტატუსის ზემოთ განხილული დიფერენციაციის შესაბამისად განასხვავებენ ბინარული და არაბინარული სტრუქტურის მქონე სიტყვაწარმოების ტიპებს: “ბინარულად სტრუქტურირებული სიტყვაწარმოების

ტიპებია კომპოზიცია და დერივაცია. შესაბამისი სიტყვაწარმოების პროდუქტები დაიყვანება უშუალო შემადგენლურ სტრუქტურამდე. არაბინარული სიტყვაწარმოების სახეობებია კონვერსია და შემოკლებების წარმოება. რეგრესიის (რედუქცია), კონტამინაციის (შერწყმა) და რედუპლიკაციის შედეგად მიღებული სიტყვაწარმოების კონსტრუქციაც ექვემდებარება უშუალო შემადგენლურ ანალიზს” (Fleischer...2012:83).

როგორც უკვე ერთხელ აღვნიშნეთ, გერმანულ ენაში კომპოზიცია და დერივაცია სიტყვაწარმოების ძირითად ტიპებად მიიჩნევა. მათ ბევრად ჩამორჩება სიტყვაწარმოების სხვა ტიპები, განსაკუთრებით კი, კონვერსია და შემოკლებების წარმოება. სიტყვაწარმოების ყველა ტიპია წარმოდგენილი არსებით და ზედსართავ სახელებთან და ზმნებთან, მაგრამ, რასაკვირველია, აქ შეიმჩნევა ხარისხობრივი და რაოდენობრივი სხვაობები. კომპოზიცია ძირითადად არსებით სახელებში დასტურდება. დერივაცია თანაბრად არის დამახასიათებელი არსებითი და ზედსართავი სახელებისათვის, “თუმცა თანამედროვე გერმანულ ენაში სუფიქსოიდების მეშვეობით (სუფიქსოიდი არის დამოუკიდებელი ლექსემისაგან წარმოქმნილი სუფიქსი, რომელიც ამ უკანასკნელისაგან განსხვავდება სისტემურობითა და აბსტრაქტულობით) ბევრი ოკაზიონალური ზედსართავი სახელი იწარმოება. როგორც ჩანს, დერივაცია მაინც უფრო ზედსართავ სახელს ახასიათებს” (Naumann 2000:42). სუფიქსოიდის მეშვეობით ნაწარმოები ზედსართავი სახელების ნიმუშებად შეგვიძლია განვიხილოთ *lern-fähig* „სწავლის უნარიანი“, *bedeutungsvoll* „მნიშვნელოვანი“ და სხვ. რაც შეეხება ზმნებს, მათი წარმოება ძირითადად პრეფიქსების დახმარებით ხდება. “აქ სუფიქსების ნაკლებობა პრეფიქსაციის და კონვერსიის ინტენსიური გამოყენებით ანაზღაურდება” (Fleischer...2012:86).

ცალკე ჯგუფად განიხილება სიტყვაწარმოების ორი სახეობა – კონვერსია და იმპლიციტური დერივაცია, რადგან ამ დროს ხდება სიტყვებისა და სიტყვათა ჯგუფების სინტაქსური ტრანსპოზიცია (ანუ მორფოლოგიური კლასის შეცვლა) დერივაციული აფიქსის გარეშე. თუმცა სიტყვათწარმოების ამ ტიპების გამოყენებით მიღებული სიტყვათწარმოების პროდუქტები შეიძლება მეორად მარტივ სიტყვასთან ერთად (მაგ., *die Schau* „სანახაობა“, *das Band* „ბაფთა:;) იყოს კომპლექსური სიტყვაც (მაგ., *der Besuch* „სტუმრობა“, “სტუმარი”).

#### 4.3. სიტყვაწარმოების მოდელები. ძირითადი მეტყველების ნაწილების სიტყვაწარმოებითი პროდუქტიულობა.

სიტყვაწარმოება, მთლიანობაში აღებული, არ არის შემთხვევითობაზე აგებული, არასისტემატიური პროცესი, თუ არ გაგითვალისწინებთ ანალოგიურ-ჰოლისტიკური სიტყვაწარმოების შედეგად მიღებულ ცალკეულ ლექსიკურ ერთეულებს. ანალოგიურ-ჰოლისტიკური სიტყვაწარმოება ნიშნავს, რომ სიტყვაწარმოება, როგორც მთლიანობა, გამოიყენება, როგორც ინდივიდუალური ნიმუში ანალოგიის პრინციპზე აგებული ცალკეული სიტყვაწარმოებითი პროცესებისათვის (Fleischer...2012:76) ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ახალი სიტყვის წარმოების დროს „ენის მომხმარებელს არ უწევს...ყოველ ჯერზე სრულიად ახალი შრომის გაწევა, არამედ შეუძლია ისარგებლოს უკვე გაწეული ანალოგიური შრომით“ (Wills 2009:284). ეს ხდება ენაში უკვე არსებული სიტყვაწარმოების პროდუქტის მაგალითზე ამავე ენაში მოქმედი სიტყვაწარმოებითი პროცესების გააზრების შედეგად. ამგვარად არის, მაგალითად, მიღებული სიტყვა *Zwei-samkeit* (მორფემული შემადგენლობა: რიცხვითი სახელი „ორი“+ზედსართავი სახელის მაწარმოებელი სუფიქსი+არსებითი სახელის მაწარმოებელი სუფიქსი), რომლის ნიმუშად გამოიყენეს სიტყვა *Ein-sam-keit* მნიშვნელობით “მარტოობა” (მორფემული შემადგენლობა: რიცხვითი სახელი “ერთი”+ზედსართავი სახელის მაწარმოებელი სუფიქსი+არსებითი სახელის მაწარმოებელი სუფიქსი, *Wunderjugendliche* (სიტყვასიტყვით: “სასწაული ახალგაზრდა) სიტყვის *Wunderkind* („ვუნდერკინდი”, სიტყვასიტყვით “სასწაული ბავშვი”) ანალოგიით და ა.შ.

ანალოგიურ-ჰოლისტიკურ სიტყვაწარმოებას თუ არ ჩავთვლით, სიტყვაწარმოება განსაზღვრული მოდელების მიხედვით მიმდინარეობს. სიტყვაწარმოების მოდელი კი არის “მორფო-სინტაქსურად და ლექსიკო-სემანტიკურად განსაზღვრული სტრუქტურული სქემა, რომელსაც მსგავსად სტრუქტურირებული, მორფო-სემანტიკურად მოტივირებული სიტყვაწარმოების პროდუქტების ანალიზის შედეგად ვიღებთ და რომელიც გარკვეულ პირობებში ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოების დროს ნიმუშად გამოიყენება (Fleischer...2012:68). მაგალითად, ასეთი სიტყვაწარმოების მოდელია ზმნის ფუძეს+ზედსართავი სახელის მაწარმოებელი სუფიქსი, რის შედეგადაც მივიღეთ სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობა “ზმნის ფუძით აღნიშნული მოქმედების მიმართ მიდრეკილების მქონე”. ამ მოდელის მიხედვით ნაწარმოებია ზედსართავი სახელი *neugier-ig* „ცნობისმოყვარე”.



განასხვავებენ პროდუქტიულ და არაპროდუქტიულ სიტყვაწარმოებით მოდელს. პროდუქტიულია ის მოდელი, რომელსაც აქტიურად იყენებენ ახალი ლექსიკური ერთეულების შესაქმნელად, ხოლო არაპროდუქტიულია ის, რომელიც ენაში, მართალია, წარმოდგენილია უკვე ლექსიკალიზებული სიტყვაწარმოების პროდუქტებით, მაგრამ მისი დახმარებით აღარ ხდება ახალი სიტყვების წარმოება (Fleischer...2012:68). მოდელის პროდუქტიულობას შიდაენობრივი და გარეენობრივი ფაქტორები განაპირობებენ. მაღალი პროდუქტიულობით გამოირჩევა ის მოდელი, რომელიც ავლენს მხოლოდ მცირეოდენ შეზღუდვებს ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური კუთხით და როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხშირად გამოიყენება ახალი სიტყვების საწარმოებლად.

სიტყვაწარმოების მოდელი, საერთოდ, აბსტრაქტულობის საკმაოდ მაღალი ხარისხით გამოირჩევა და მისი საშუალებით, როგორც წესი, სიტყვაწარმოების პროდუქტის არა სპეციფიკური, არამედ მხოლოდ ზოგადი ნიშან-თვისებები გადმოიცემა. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ზოგჯერ ამა თუ იმ მოდელის მიხედვით შეუძლებელია ახალი ლექსიკური ერთეულის წარმოება, თუმცა კი ასეთი სიტყვაწარმოების პროდუქტი წესით და რიგით ენაში უნდა არსებობდეს. მაგალითად, ზმნები *zeigen* („ჩვენება“) და *hören* („მოსმენა“) -*ung* სუფიქსის დართვით ვერ აწარმოებენ დერივატებს, თუმცა კი გერმანულ ენაში არსებობს არსებითი სახელის მაწარმოებელი მოდელი ზმნა + *-ung* სუფიქსი. ეს იმას ნიშნავს, რომ სიტყვაწარმოების მოდელს ახასიათებს გარკვეული სახის შეზღუდვები. ეს, პირველ რიგში, დერივაციას და კონვერსიას ეხება, ყველაზე ნაკლებად კი – კომპოზიციას (Fleischer...2012:74).

რაც შეეხება მეორე საკითხს, კერძოდ კი, სხვადასხვა მეტყველების ნაწილების სიტყვაწარმოებით პროდუქტიულობას, უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვაწარმოების შესახებ არსებულ თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად არსებითი სახელზე, ზედსართავ სახელსა და ზმნაზე კეთდება აქცენტი (უფრო იშვიათად იკვლევენ ამ თვალსაზრისით ზმნიზედას), ხოლო რაც შეეხება სხვა მეტყველების ნაწილებს, მათ ბევრად ნაკლები ყურადღება ეთმობათ. ამას, რა თქმა უნდა, თავისი მიზეზი აქვს – მხოლოდ ზემოთ დასახელებული ოთხი მეტყველების ნაწილის რაოდენობრივი შემადგენლობა იცვლება მუდმივად: კერძოდ, ხდება მთელი რიგი ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოქმნა, რომელთა მხოლოდ მცირე ნაწილი ხდება უზუალური; მათი დიდი ნაწილი ოკაზიონალური რჩება. (მართალია, გერმანულ ენაში შორისდებულთა კლასიც იცვლება, მაგრამ

ეს ხდება არა სიტყვაწარმოების, არამედ სიტყვაქმნადობის გზით). მათგან განსხვავებით ნაცვალსახელები, თუ შეიძლება ითქვას, “დახურულ” ჯგუფს წარმოადგენენ. ნაცვალსახელების სრულყოფილი ჩამოთვლა არც ისე რთულია, რადგან მათი რიცხვი შეიძლება მხოლოდ დროის ძალიან დიდი მონაკვეთს მანძილზე შეიცვალოს ისე, რომ ამ ცვლილებას ენის უბრალო მომხმარებელი ვერც კი შეამჩნევს.

არსებითი სახელები ქმნიან გერმანული ენის ლექსიკის ძირითად ნაწილს; ისინი დაახლოებით მთელი სიტყვათა მარაგის 50-60% შეადგენენ. ამის პირდაპირპროპორციულია არსებითი სახელის წილი სიტყვაწარმოებაში. არსებითი სახელის მაწარმოებელი მოდელები ისეთ მრავალფეროვნებას ავლენენ, როგორც არც ერთ სხვა მეტყველების ნაწილთან არ შეინიშნება. გერმანულ ენაში ხშირია კომპოზიტები, რომლებშიც უშუალო შემადგენლის როლს არსებითი სახელი ასრულებს. ამასთანავე, თუ არსებითი სახელი სიტყვათწარმოებით კონსტრუქციაში მეორე უშუალო შემადგენლის როლში გამოდის, პირველი შემადგენლის სახით ნებისმიერი მეტყველების ნაწილი შეიძლება შეგვხვდეს: ზმნიზედა, წინდებული, კავშირი და ნაწილაკიც კი. საკმაოდ გავრცელებულია ასევე ორშემადგენლიანი დეტერმინაციული კომპოზიცია, რომელშიც ორივე უშუალო შემადგენელი არსებითი სახელია. როგორც ი. გიუნტერი აღნიშნავს, ეს არის “უსაზღვროდ პროდუქტიული” მოდელი (Günther 1981:278), რასაც ვერ ვიტყვით ზედსართავ სახელსა და ზმნაზე; აქ ძალზე იშვიათია ორი ერთი და იმავე მეტყველების ნაწილის შეკავშირებით მიღებული უშუალო შემადგენლური სტრუქტურა. არსებით სახელთან დაკავშირებით ნ. მუჰამედ ალიევა ხაზს უსვამს კიდევ ერთ გარემოებას: სხვა მეტყველების ნაწილებისაგან განსხვავებით არსებით სახელთან საკმაოდ ხშირად ვხვდებით პოლიმორფულ ანუ ოთხ ან მეტ ძირითად მორფემიან კომპოზიციას (Muhammed-Aliewa 1986:78). რედუბლიკაცია, ანუ სიტყვათა მორფოლოგიურ-სტრუქტურული წარმოება ერთ-ერთი უშუალო შემადგენლის გაორმაგებით, მხოლოდ არსებითი სახელის საწარმოებლად გამოიყენება (თუ არ გავითვალისწინებთ ამ წესით მიღებულ რამდენიმე ზედსართავ სახელს). არსებითი სახელის წარმოების საკმაოდ გავრცელებული საშუალებაა ასევე კონტამინაცია, თუმცა ის ზედსართავ სახელთან და ზმნასთანაც გვხვდება. მთლიანად არსებით სახელზე კონცენტრირებული სიტყვაშემოკლების სხვადასხვა ტიპები.

სუფიქსალური ექსპლიციტური დერივაცია ყველაზე ფართო გავრცელებას არსებით სახელთან პოულობს. ი. ბარცის მიერ აღრიცხული სუფიქსების 60%,

რომელთა რიცხვში სუფიქსოიდებიც შედის, სწორედ არსებითი სახელების საწარმოებლად გამოიყენება, მხოლოდ 33% აწარმოებს ზედსართავ სახელებს და 7% – ზმნებს (Barz 1988:124). რაც შეეხება პრეფიქსალურ დერივაციას, მისი როლი არც ისე მნიშვნელოვანია არსებითი სახელის წარმოებისას; პრეფიქსალური დერივაციის ხერხით მიღებული ნომინალური სიტყვაწარმოების პროდუქტები რაოდენობრივად ვერ გაუტოლდებიან ზმნურ სიტყვაწარმოების პროდუქტებს. იშვიათად ვხვდებით ასევე კომბინატორული დერივაციით ნაწარმოებ არსებით სახელებს, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით კონვერსიაზე, რომელიც უპირატესად სწორედ არსებითი სახელების საწარმოებლად გამოიყენება. თანაც კონვერსიის ბაზის ფუნქცია თითქმის ყველა მეტყველების ნაწილს შეუძლია გასწიოს, ხოლო წინადადებების კონვერსიის შედეგად მხოლოდ არსებითი სახელები მიიღება. მაგ. Immer-mach-ich-die-gleichen-Dummheiten „ყოველთვის ერთი და იგივე სისულელეს ჩავდივარ“. თანამედროვე სიტყვაწარმოებაში თითქმის ფუნქციადაკარგული იმპლიციტური დერივაციის მეშვეობითაც მხოლოდ არსებითი სახელები იწარმოება, თუ არ გავითვალისწინებთ რამდენიმე ზმნურ რელიქტს.

ზედსართავი სახელები გერმანული ენის ლექსიკის დაახლოებით 15% შეადგენენ და ამგვარად ბევრად ჩამორჩებიან არსებით სახელებს. გერმანულ ენაში მარტივი ზედსართავი სახელების რიცხვი ჰ. ველმანის მიხედვით მხოლოდ რამდენიმე ასეულს აღწევს (Wellmann 1984:481). შესაბამისად, არსებითი სახელის მაწარმოებელ მოდელები რაოდენობრივად ბევრად აღემატებიან ზედსართავი სახელების მაწარმოებელ მოდელებს.

ზედსართავული სიტყვაწარმოების თავისებურებები, ლ. მ. აიხინგერის თანახმად, მკიდროდაა დაკავშირებული იმასთან, რომ “ზედსართავი სახელის ტიპური როლი არის როლი მსაზღვრელისა” (Eichinger 1982:69). ეს იწვევს, ერთი მხრივ, მის ერთგვარ სემანტიკურ დამოკიდებულობას, მეორე მხრივ კი, განაპირობებს მისი როგორც განსაზღვრების ძირითად სინტაქსურ ფუნქციას (Eichinger 1982:73). ეს ყველაფერი, რასაკვირველია, ზეგავლენას ახდენს ზედსართავულ სიტყვაწარმოებაზე:

- სიტყვაწარმოების ზოგიერთი ტიპი, როგორებიცაა, მოვირება (Movierung – დერივაციის ერთ-ერთ სახეობა, როცა სუფიქსის დართვით ხდება გრამატიკული სქესის შეცვლა), შემოკლებების წარმოება, იმპლიციტური დერივაცია ზედსართავ სახელთან საერთოდ არ არის წარმოდგენილი;

- განსაკუთრებით განვითარებულია ის მოდელები, რომელთა დახმარებითაც ხდება ნომინაციური და ზმნური ბაზის გარდაქმნა ატრიბუტული ფუნქციის მქონე სიტყვებად (კომპოზიტები, რომელთა უშუალო შემადგენლურ სტრუქტურაში შედის მიმდებარე I-ის ან მიმდებარე II-ის ფორმები; ზმნურ ბაზაზე -bar სუფიქსით და არსებითი სახელის ბაზაზე -lich და -isch ბოლოსართებით ნაწარმოები დერივატები);
- მრავალფეროვნებითა და მრავალრიცხოვნობით გამოირჩევა ასევე მოდელები, რომლებიც აწარმოებენ ამა თუ იმ ნიშან-თვისების აღმნიშვნელ ზედსართავ სახელებს;
- ხშირია მიმდებარე ფორმების კონვერსია ზედსართავ სახელებად. სხვა ტიპის კონვერსია ნაკლებადაა წარმოდგენილი;
- სუფიქსიანი მოდელების სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობა მრავალფეროვანია. მის სპეციფიკას, როგორც წესი, განაპირობებს საზღვრული არსებითი სახელის სემანტიკა;
- ზედსართავული სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები არსებით სახელთან შედარებით ბევრად შეზღუდულია, ხოლო პოლიმორფული კომპოზიცია პრაქტიკულად არ არსებობს;
- სიტყვათშერწყმა და რედუქციაცია ზედსართავ სახელთან მხოლოდ უმნიშვნელო როლს თამაშობს.

ზედსართავულ კომპოზიტებში, ისევე როგორც არსებითი სახელის შემთხვევაში, პირველი უშუალო შემადგენლის როლი თეორიულად ნებისმიერმა მეტყველების ნაწილმა შეიძლება შეასრულოს, თუმცა პრაქტიკულად არსებითი და ზედსართავი სახელებისა და ზმნის გარდა სხვა მეტყველების ნაწილები ძალზე იშვიათად შედიან ზედსართავ სახელთან კომბინაციაში. არსებით სახელისაგან განსხვავებით, ასევე იშვიათია კონსტრუქცია ზედსართავ სახელს + ზედსართავი სახელი, უფრო პოპულარულია მოდელი – არსებით სახელს + ზედსართავი სახელი. რაც შეეხება კოპულატიურ კომპოზიციას, ის ზედსართავ სახელთან უფრო კარგადაა განვითარებული, ვიდრე არსებით სახელთან. სუფიქსალური დერივაცია, არსებით სახელთან შედარებით, ზედსართავი სახელის წარმოებისას ბევრად უმნიშვნელო როლს თამაშობს. საერთოდ, ზედსართავი სახელის მაწარმოებელ სუფიქსთა უმეტესობა უნივერსალურია იმ თვალსაზრისით, რომ ისინი დერივაციის ბაზის ფუნქციის მქონე სამივე ძირითად მეტყველების

ნაწილს შეიძლება დაუკავშირდნენ, თუმცა აქაც დომინირებს არსებითი სახელი. რაც შეეხება პრეფიქსებს, მათი უმრავლესობაც უნივერსალურია. არსებითი სახელისაგან განსხვავებით, ზედსართავი სახელის კომბინატორული დერივაცია არ იზღუდება მხოლოდ გე- პრეფიქსით, არამედ არსებობს რამდენიმე სხვა მოდელიც.

ზმნიზედის სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობები არსებით სახელთან, ზედსართავ სახელთან და ზმნასთან შედარებით მნიშვნელოვნად მცირეა. გარდა იმისა, რომ ზმნიზედა ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილია, ეს ფაქტი აიხსნება ზმნიზედის სემანტიკური დანაწევრებითაც.

როგორც ცნობილია, ზმნიზედის ფუნქცია მდგომარეობს არა ობიექტური სინამდვილის რომელიმე ხდომილობის ან სულიერი თუ უსულო საგნების სახელდებაში, არამედ კომუნიკაციის აქტის დროს ორიენტაციასა და სიტუაციურობის განსაზღვრაში. ეს განაპირობებს ზმნიზედური ქვეჯგუფების ერთგვარ “ჩაკეტილობას”, რაც გულისხმობს ენაში ახალი ზმნიზედების წარმოქმნის ნაკლებ საჭიროებას (Fleischer...1995:278).

სიტყვაწარმოების ტიპებიდან სუსტადაა წარმოდგენილი პრეფიქსალური დერივაცია და, შესაბამისად, კომბინატორული დერივაცია. კომპოზიცია და ექსპლიციტური სუფიქსალური დერივაცია ფორმალურ-სტრუქტურულად და სემანტიკურად ნაკლებადაა დიფერენცირებული, ვიდრე არსებით სახელთან და ზმნასთან. უცხოური სუფიქსები საერთოდ არ გამოიყენება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სიტყვათა ჯგუფების კონვერსიას ზმნიზედად.

კომპოზიციისა და კონვერსიის მეშვეობით ზმნიზედების წარმოებაში, თავად ზმნიზედების გარდა, მონაწილეობენ ნაცვალსახელები და კავშირები, ასევე – არსებითი და ზედსართავი სახელები, ზმნის ინფინიტივი – ცალკეულ შემთხვევებში, უფრო ხშირად – მიმდებარის ფორმები.

დასასრულს შევეხებით ზმნის სიტყვაწარმოებით პროდუქტიულობას. ნომინალური და ზმნური სიტყვათწარმოება მრავალი ასპექტით განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეს ეხება, როგორც სიტყვაწარმოებითი მოდელის რაოდენობასა და გამოყენების სიხშირეს, ისე მათ პროდუქტიულობას. ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, ზმნებისა და სახელების განსხვავებაში უნდა ვეძებოთ: “ზმნებს, ზოგადად, ნაკლები სემანტიკური ნიშან-თვისებები აქვთ, ვიდრე არსებით და ზედსართავ სახელებს, ამიტომ ზმნები უფრო სინტაქსური თვალსაზრისით არის საინტე-

რესო” (Naumann 2000:40). სწორედ ეს გარემოება განაპირობებს იმას, რომ ზმნის სინტაქსსა და სიტყვაწარმოებას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს.

ნომინალური სიტყვაწარმოებისაგან განსხვავებით, ზმნური სიტყვაწარმოებისას უშუალო კავშირი არსებობს ზმნის მორფო-სინტაქსურ თვისებებსა და მის სიტყვაწარმოებით გამოხატულებას შორის. ზმნას შეუძლია, თავისი ვალენტობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს წინადადების სტრუქტურაზე, კომპლექსური ზმნების უმეტესობას კი შესწევს უნარი, წინადადებაში გამოვიდეს, როგორც დამხმარე, ისე ძირითად ზმნის როლში. ყოველივე ეს განაპირობებს ზმნის წარმოების ორგვარ კავშირს წინადადების აგებასთან: სიტყვაწარმოებითი პროცესები ზეგავლენას ახდენენ მარტივ ზმნებზე, როგორც ლექსიკურ-სემანტიკური, ისე სინტაქსური თვალსაზრისით, სინტაქსური მოცემულობები კი განსაზღვრავენ სხვადასხვა სიტყვაწარმოებითი მოდელის სპეციფიკას. ეს კარგად ჩანს ზმნური დერივაციის, უფრო კი პრეფიქსაციის და კომპოზიციის მაგალითზე.

ზმნური პრეფიქსაციის განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ მარტივი ზმნები პრეფიქსების მეშვეობით ხშირად არა მხოლოდ ლექსიკურ-სემანტიკურ, არამედ სინტაქსურ მოდიფიკაციასაც ექვემდებარებიან. ი. კიუნჰოლდი ასახელებს ცხრა სინტაქსურ ცვლილებას, რომელიც შეიძლება ამ დროს განიცადონ ზმნებმა (Deutsche Wortbildung 1973:160). პრეფიქსაციის მეშვეობით იცვლება ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა და დისტრიბუცია ე.ი. მისი სინტაქსური და სემანტიკური კომბინირების უნარი. პრეფიქსიანი ზმნა ასეთ შემთხვევებში წინადადების სულ სხვაგვარ სტრუქტურას ქმნის, ვიდრე მარტივი ზმნა. მაგალითად, მარტივი ზმნა *sprechen* (“ლაპარაკი”) ორ წინდებულებიან დამატებას მოითხოვს მაშინ, როცა მისგან ნაწარმოები *versprechen* (“დაპირება”) ირიბ და პირდაპირ დამატებას: *Er sprach mit Peter über seine Probleme* (სიტყვასიტყვით: მან პეტერთან ერთად ისაუბრა თავისი პრობლემების შესახებ). *Ich verspreche dir meine Unterstützung* (“მე შენ მხარდაჭერას დაგპირდი”).

სინტაქსისა და ზმნური სიტყვაწარმოების სპეციფიკური კავშირი იწვევს ზმნის შემთხვევაში სიტყვაწარმოების ცალკეული ტიპების მკვეთრად განსხვავებულ გამოყენებას: ზმნური კომპოზიცია (სადაც ზმნა მეორე შემადგენლის როლშია) ნაკლებადაა განვითარებული. ყველაზე მცირე რაოდენობას შეადგენს კომპოზიტები, სადაც ორივე უშუალო შემადგენელი ზმნაა (ზმნის ფუძე და ინფინიტივი ან ორი ინფინიტივი ან მიმდებარე II და ინფინიტივი). ისიც უნდა აღინიშ-

ნოს, რომ ზმნური კომპოზიტიში ორ ზმნაზე მეტის კომბინირება არ ხდება. უფრო ხშირია კომპოზიტები, რომლებშიც პირველი უშუალო შემადგენელი არსებითი ან ზედსართავი სახელია. ყველაზე ხშირად კი გვხვდება ზმნიზედისა და ზმნისგან შედგენილი კომპოზიცია. განსაკუთრებით ჭარბობს მიმართულების აღმნიშვნელი ზმნიზედებისა და ზმნების კომბინაცია. მაგალითად, *hinaufgehen* „მაღლა ასვლა“, *herüberbringen* „მოტანა“ და ა.შ. აქ, ფაქტიურად, რაიმე შეზღუდვა არ არსებობს.

რაც შეეხება დერივაციის სახეობებს – სუფიქსაციასა და პრეფიქსაციას, ისინი ნომინალურ და ზმნურ სიტყვაწარმოებაზე შემდეგნაირადაა განაწილებული: სუფიქსაციის მეშვეობით წარმოიქმნებიან უპირატესად არსებითი სახელები, ზედსართავი სახელები და, როგორც კ. ველმანი აღნიშნავს, მხოლოდ ათჯერ ნაკლები რაოდენობის ზმნები (Wellmann 1984:407). ამის საპირისპიროდ, თითქმის არ მოიძებნება ზმნა, პრეფიქსის დართვა რომ არ შეეძლოს. პრეფიქსალური ზმნების საერთო რაოდენობას კიდევ უფრო ზრდის გერმანულ ენაში კომბინატორული დერივაციის მოდელების არსებობა, რომლის დროსაც ხდება ნომინალურ ბაზაზე ზმნების წარმოება კონვერსიისა და პრეფიქსაციის ან სუფიქსაციის და პრეფიქსაციის მეშვეობით. თანამედროვე გერმანულში ყველაზე ხშირად ახალი ზმნები პრეფიქსალური კონვერსიის მოდელის მეშვეობით წარმოიქმნება. აქ სიტყვაწარმოებითი ბაზის როლში მარტივი ან კომპლექსური არსებითი და ზედსართავი სახელები გამოდიან. იმპლიციტური დერივაცია ზმნასთან რელიქტის სახით არის შემორჩენელი და დღესდღეობით არაპროდუქტიულად ითვლება. ზმნები ასევე მიიღება სიტყვაწარმოების ისეთი ტიპის მეშვეობით, როგორცაა რეგრესია. თუმცა ამგვარად ნაწარმოები სიტყვა თავისი მორფემული შემადგენლობით ზოგჯერ ისე ჰგავს კონვერსიის ან კომპოზიციის პროდუქტს, რომ მისი მიკუთვნება სიტყვაწარმოების რომელიმე კონკრეტული ტიპისადმი შეუძლებელი ხდება. რედუქლიკაცია და შემოკლებების წარმოება ზმნასთან არ გვხვდება. რაც შეეხება კონტამინაციას, ენაში ამგვარად მიღებულ მხოლოდ რამდენიმე ოკაზიონალიზმს თუ ვიპოვით.

## თავი V ოპაციონალიზმები ქრისტიან მორბენშტერნის შემოქმედებაში და მათი სტრუქტურულ-სემანტიკური დახასიათება

### 5.1. კომპოზიციის წესით მიღებული ოპაციონალიზმების სტრუქტურულ- სემანტიკური დახასიათება.

გერმანული ენის სიტყვაწარმოებაში კომპოზიცია განიხილება როგორც სიტყვაწარმოების ყველაზე მთავარი საშუალება (Eichinger 2000:71). კომპოზიციის შედეგად ნაწარმოებ სიტყვათწარმოების პროდუქტს კომპოზიტს უწოდებენ. მისი სტრუქტურა იერარქიის პრინციპზეა აგებული და, როგორც წესი, ბინარულია. შესაბამისად, განასხვავებენ კომპოზიტის პირველ და მეორე უშუალო შემადგენელს. მეორე უშუალო შემადგენლის როლს მხოლოდ სიტყვის ფუძე ან კონფიქსი შეიძლება ასრულებდეს, ხოლო პირველი უშუალო შემადგენელი უფრო მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი. ის შეიძლება იყოს

ა) სიტყვის ფუძე, სინტაგმა, კონფიქსთან ან სიტყვის ფუძესთან დაკავშირებული სიტყვების ჯგუფი (Arbeitszimmer „სამუშაო ოთახი“, UKW-Antenne „ულტრა-მოკლეტალღური ანტენა“, bärenstark „დათვივით ძლიერი“, Langstreckenflug „მორეული რეისი“, Ost-West-Verhältnis „აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობა“, Spilothek „სამორინე“);

ბ) სიტყვის ფუძესთან ან კონფიქსთან დაკავშირებული კონფიქსი (Biogas „ბიოგაზი“, Schwiegervater „მამამთილი“, „სიმამრი“, Automat „ავტომატი“).

უშუალო შემადგენლური სტრუქტურის განსაკუთრებული შემთხვევაა, როცა პირველი შემადგენლის როლს წინადადება ან ერთი ასო ასრულებს. მაგ., Ich-nehme-ab-Programm („მე წონაში დავიკლებ“ პროგრამა), Trimm-dich-Pfad („ბილიკი „ავარჯიშე საკუთარი თავი“), V-Ausschnitt („V-ფორმის დეკოლტე“), A-Jugend („ყველაზე უფროსი ახალგაზრდები სპორტში“). (Fleischer...2012:84). უშუალო შემადგენლები ერთმანეთთან, როგორც წესი, სუბორდინაციის ან კოორდინაციის მიმართებაში იმყოფებიან. პირველ შემთხვევაში საქმე ეხება ე.წ. დეტერმინაციულ კომპოზიტებს (dunkelro „მუქი წითელი“, Großstadt „დიდი ქალაქი“), მეორე შემთხვევაში კი – კოპულატიურ კომპოზიტებს (Strumpfhose „კოლგოტი“, taubstumm „ერუ-მუნჯი“).



პირველ რიგში, შეგვხვებით ოკაზიონალურ კომპოზიტებს, რომლებშიც მეორე უშუალო შემადგენლის როლში არსებითი სახელი გამოდის. ასეთი კომპოზიტს სუბსტანტიურს უწოდებენ; მისი სტრუქტურა განსაკუთრებული სტაბილურობით გამოირჩევა. კომპოზიტი, უშუალო შემადგენლების რაოდენობის მიუხედავად, ერთად იწერება. სტრუქტურა ბინარულია, შინაგანი ფლექსიის გარეშე უშუალო შემადგენლების თანმიმდევრობა, მცირე გამონაკლისის გარდა, იერარქიულად რელევანტურია: მეორე წევრი, ე.წ. „ბირთვი“, განსაზღვრავს კომპოზიტის მორფოლოგიურ კლასს, სქესს და ფლექსიის ტიპს (სწორედ ამიტომ Hochhaus – „მაღალი სახლი“ – არსებითი სახელია, ხოლო haushoch მნიშვნელობით „სახლის სიმაღლის“ – ზედსართავი სახელი). სუბსტანტიური კომპოზიტის პირველი უშუალო შემადგენელი სხვადასხვა მეტყველების ნაწილი შეიძლება იყოს. მოდელი – არსებით სახელს + არსებითი სახელი – მათ შორის ყველაზე პროდუქტიულია. ი. გიუნტერი მას „უსაზღვროდ პროდუქტიულ“ მოდელს უწოდებს (Günther 1981:278).

საანალიზო მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მორგენშტერნი ძალიან ხშირად მიმართავს ამ მოდელს ოკაზიონალური კომპოზიტების მისაღებად. პირველ რიგში, ავარჩიეთ კომპოზიტები ერთი და იმავე პირველი უშუალო შემადგენლით Menschenmann „ადამიანი მამაკაცი“, Menschenfräulein „ადამიანი ქალიშვილი“, Menschenfuß „ადამიანის ფეხი“, Menschenschuh „ადამიანის ფეხსაცმელი“, Menschenwitz „ადამიანის/ადამიანური იუმორი“ და Menschenmund : (ადამიანის პირი“ ლექსებიდან „Ukas“ („განკარგულება“), „Scholastikerproblem [II]“ („სქოლასტიკოსის პრობლემა [II]“ და „Der neue Vokal“ („ახალი ხმოვანი“). ოკაზიონალიზმი Menschenmann კოპულატიური და ენდოცენტრულია; მის თითოეულ უშუალო შემადგენელს შეუძლია კონტექსტში ისე ჩაენაცვლოს კომპოზიტს, რომ აზრი არ დაირღვევა: „Erschrocken staunt der Heide Schaf mich an („შეშინებული მაშტერდება წარმართი ცხვარი“), als sah’s in mir den ersten Menschenmann („თითქოს ჩემში პირველ ადამიან-მამაკაცს ხედავდეს“). ეს გამოწვეულია იმით, რომ კომპოზიტის ორივე უშუალო შემადგენელი იმავე სიტყვათწარმოებით და სემანტიკურ ქვეჯგუფში შედის, რომელშიდაც თავად კომპოზიტი. გარდა ამისა, კომპოზიტის ორივე წევრი ერთსა და იმავე დენოტატს მიემართება: პირველი მათგანი – Mensch („ადამიანი“) – დენოტატის უფრო ზოგად აღნიშვნას წარმოადგენს, ხოლო მეორე – Mann („მამაკაცი“) – მას აკონკრეტებს. საანალიზო ერთეულის ორივე უშუალო

შემადგენელი მარტივი არსებით სახელია. ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას ოკაზიონალიზმზე Menschenfräulein. აქ მხოლოდ ერთი განსხვავება შეინიშნება – კომპოზიციის პირველის უშუალო შემადგენლის დაზუსტება ამჯერად ხდება საშუალო სქესის დერივატით Fräulein („ქალიშვილი“).

რაც შეეხება ოკაზიონალიზმებს Menschenfuß, Menschenschuh, Menschenwitz და Menschenmund, უნდა ითქვას, რომ ოთხივე მათგანი დეტერმინციული და ენდოცენტრულია: საანალიზო კომპოზიციების მეორე წევრი ქმნის სიტყვის ე.წ. „თავს“ (Kopf); მის მიერ აღნიშნული საგანი ეკუთვნის კომპოზიციის პირველი წევრით აღნიშნულ საგანს ან პირს. გერმანულ სიტყვათწარმოებაში ამ მოდელით ნაწარმოები სუბსტანტიური კომპოზიციების სიტყვათწარმოებით მნიშვნელობას ლინგვისტები უწოდებენ „ადჰეზიურს“ (adhäsiv) – კომპოზიციის B კომპონენტი ეკუთვნის A-ს.

დაბოლოს, ექვსივე სუბსტანტიურ ოკაზიონალიზმთან დაკავშირებით უნდა ითქვას შემდეგი: კომპოზიციას აქ არ ენიჭება მხოლოდ სიტყვაწარმოებითი ფუნქცია. მართალია, მორგენშტერნი ქმნის ახალ სიტყვებს, რომელთაგან არც ერთი არ არის დაფიქსირებული გერმანული ენის სიტყვათა მარაგში, თუმცა ამ კომპოზიციების არსებობის აუცილებლობის საკითხი არც დგას: საანალიზო კომპოზიციების „თავი“ ენაში უკვე არსებობს, როგორც სრულფასოვანი სიტყვა, და, რაც მთავარია, მათთვის არ არის დამახასიათებელი ისეთი პოლისემიურობა, რომ არსებობდეს მათი ერთ-ერთი მნიშვნელობის დაზუსტების აუცილებლობა კომპოზიციის პირველი წევრის მეშვეობით: სიტყვები „მამაკაცი“, „ქალიშვილი“, „ფეხსაცმელი“, „პირი“ „ფეხი“ და „იუმორი“, პირველ რიგში, სწორედ ადამიანთან ასოცირდება. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ კომპოზიცია აქ წმინდა ექსპრესიული ფუნქციით გამოიყენება.

შემდეგი საანალიზო ერთეულები Galgenpoesie „სახრჩობელას პოეზია“, Galgenlieder „სახრჩობელას სიმღერები“, Galgenbruder „სახრჩობელას ძმა/თანამოძმე“ და Galgenkind „სახრჩობელას ბავშვი“, თუ შეიძლება ასე ითქვას, მორგენშტერნის პოეზიის საკვანძო სიტყვებია. „Galgenlieder“ ეწოდება ჩვენ მიერ საანალიზოდ არჩეული ლექსების ერთ ციკლს, ხოლო მეორე ციკლს – „Nachlese zur Galgenpoesie“ „სახრჩობელას სიმღერების დანართი“. კომპოზიციები, რომელთა ერთ-ერთი უშუალო შემადგენელი Galgen არის, მორგენშტერნის მთელ პოეზიას წითელ ხაზად გასდევს. ის გვხვდება ბევრ სათაურსა და ტექსტში. მაგ.: „Bundeslied der

Galgenbrüder“ „სახრჩობელასეული ძმათა კავშირის სიმღერა“, „Galgenbruders Lied an Sophie, die Henkersmaid“ „სახრჩობელას ძმის სიმღერა, მიძღვნილი სოფიასადმი, ჯალათის ქალიშვილისადმი“, „Des Galgenbruders Gebet und Erhöhung“ „სახრჩობელას ძმის ღოცვა და ამადლება“, „Galgenkindes Wiegenlied“ „სახრჩობელას ბავშვის იაგნანა“ და ა.შ.

ზემოთ მოცემული ოკაზიონალიზმების სტრუქტურული შემადგენლობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ისინი დეტერმინაციული კომპოზიციებია. ოთხივე მათგანი შედგენილია პროდუქტიული სიტყვაწარმოებითი მოდელის მიხედვით – არსებით სახელს + არსებითი სახელი. საანალიზო კომპოზიციების როგორც პირველი, ისე მეორე უშუალო შემადგენლები მარტივი სიტყვებია – der Galgen „სახრჩობელა“, das Lied „სიმღერა“, der Bruder „ძმა“, das Kind „ბავშვი“, „შვილი“. გამონაკლისს შეადგენს არსებითი სახელი die Poesie. აღნიშნული კომპოზიციები „კომპარატიულ-ენდოცენტრულია“ [Ortner...,1984:58], რაც იმას ნიშნავს, რომ მათი პირველი უშუალო შემადგენელი მეტაფორიზებულია, ხოლო მეორე უშუალო შემადგენლები – არა. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელთ შეუძლიათ იმ კომპოზიციებს ჩაენაცვლონ, რომლის შემადგენლობაშიც შედიან, რაც ზოგადად არ არის დამახასიათებელი დეტერმინაციული კომპოზიციებისათვის. რაც შეეხება მოცემული ოკაზიონალიზმების მნიშვნელობას, ისინი, ჩვენი აზრით, ნაწარმოები უნდა იყოს კომპოზიციის Galgenhumor „მოჩვენებითი იუმორი, მხიარულება, რომელითაც ადამიანი თავის სასაწარკვეთილ მდგომარეობას ცდილობს გაუმკლავდეს“ ანალოგიით. ამას გვაფიქრებინებს მორგენშტერნის პოეზიის იუმორისტულ-გროტესკული ხასიათი, რაზეც არა ერთი მკვლევარი მიუთითებს (Palm 1983:5), (Platritis 1992:89), (Spitzer 1918:55) და ა.შ.

შემდეგი განსახილველი ოკაზიონალიზმები ავიღეთ ლექსიდან „Die Mitternachtsmaus“ „შუადამის თაგვი“:

„Wenn’s mitternächtigt und nicht Mond

როცა მოშუადამევედება და არც მთვარე

noch Stern das Himmelshaus bewohnt,

არც ვარსკვლავები ჯერ ცის სახლში არ ბინადრობენ

läuft zwölfmal durch das Himmelshaus

ცის სახლში თორმეტჯერ გაიბრუნს

die Mitternachtsmaus.

შუადამის თაგვი.

Sie pfeift auf ihrem kleinen Maul,-  
ის თავისი პატარა პირით წრიპინებს  
im Traume brüllt der Höllengaul ...

ძიღში ბრდღვინავს ჯოჯოხეთის ცხენი...“

სამივე საანალიზო ერთეული სუბსტანტიური დეტერმინაციული კომპოზი-  
ტია. კომპოზიტები Himmelshaus და Höllengaul მარტივი არსებითი სახელების  
Himmel „ცა“ + Haus „სახლი“ და Hölle „ჯოჯოხეთი“ + Gaul „ცხენი“ კომბინაციით  
არის მიღებული, ხოლო მესამე კომპოზიტი Mitternachtsmaus – დეტერმინაციული  
კომპოზიტის Mitternacht „შუალამე“ და მარტივი არსებითი სახელის Nacht „ღამე“  
შეერთებით. რაც შეეხება მათ მნიშვნელობას, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ოკაზიონა-  
ლიზში Himmelshaus კომპარატიულ-ენდოცენტრულია; მისი მხოლოდ მეორე უშუა-  
ლო შემადგენელია მეტაფორიზებული. ის არ აზუსტებს პირველი უშუალო შე-  
მადგენლით აღნიშნულ დენოტატს, არ შემოაქვს მასზე დამატებითი ინფორმაცია,  
არამედ სძენს მას ემოციურ ელფერს. კომპოზიტის პირველ უშუალო შემადგე-  
ნელს უპრობლემოდ შეუძლია მთელი კომპოზიტის სემანტიკის გადმოცემა. და-  
ნარჩენი ორი ოკაზიონალიზში მთლიანად მეტაფორიზებულია. ასეთ შემთხვევაში  
საუბრობენ ე.წ. „კომპარატიულ-ეზოცენტრულ“ კომპოზიტებზე (Ortner...1984:63).

შემდეგი განსახილველი ერთეულები Henkersmädel, Henkersmagd და  
Henkersmaid დეტერმინაციული ადჰეზიური კომპოზიტებია. სამივე კომპოზიტის  
პირველი უშუალო შემადგენელი მარტივი სიტყვაა – Henker (ჯალათი). მეორე  
უშუალო შემადგენლებიც Mädel, Magd, Maid ერთსა და იმავე დენოტატს მიემარ-  
თება; განსხვავება მხოლოდ ამ სიტყვების რეგიონალურ გავრცელებასა და სტი-  
ლურ შეფერილობაშია. დუდენის ელექტრონულ ლექსიკონში (Duden 2013) მითი-  
თებულია, რომ Mädel უპირატესად გერმანიის სამხრეთ ნაწილსა და ავსტრიაში  
გამოიყენება მნიშვნელობით „გოგონა“ ან „შინამოსამსახურე“ და იქვეა მითითე-  
ბული, რომ ამ სიტყვას დღესდღეობით აქტუალობა დაკარგული აქვს. მოძველე-  
ბულია ასევე არსებითი სახელი Magd, რომელიც ჯერ კიდევ ზველზემოგერმა-  
ნულ პერიოდში არსებობდა მნიშვნელობით „ქალწული, ახალგაზრდა ქალი“, უფ-  
რო მოგვიანებით ასევე აღნიშნავდა „ახალგაზრდა შინამოსამსახურე ქალს“. რაც  
შეეხება სიტყვას Maid, ის შუაგერმანულ პერიოდში წარმოიქმნა ფუძიდან  
„magad“ (საიდანაც ასევე მომდინარეობს Magd), თანამედროვე გერმანულში ის ან  
საერთოდ აღარ გამოიყენება, ან თუ გამოიყენება, ირონიული შეფერილობა აქვს

და „ახალგაზრდა ქალს“ აღნიშნავს. სამივე კომპოზიტი ენდოცენტრულია. მათი მნიშვნელობის მიღება იოლად ხერხდება უშუალო შემადგენელთა მნიშვნელობების შეჯამებით.

ძალზე საინტერესო ოკაზიონალიზმებს ვხვდებით ლექსში „Klabautermann“:

„Klabautermann.

გემის კეთილი სული

Klabauterfrau.

გემის კეთილი სული ცოლი

Klabauterkind

გემის კეთილი სულის შვილი

im Schiffe sind

გემში არიან.“

საანალიზო ერთეულებიდან – Klabautermann, Klabauterfrau, Klabauterkind – პირველი (Klabautermann) უზუაღური სიტყვაა. მისი სტრუქტურა ბინარულია Klabauter + mann. კომპოზიტის პირველი უშუალო შემადგენელი თანამედროვე გერმანულში არ არსებობს, როგორც თავისუფალი მორფემა. გრიმების ეტიმოლოგიური ლექსიკონის თანახმად (Grimm...1971), მისი წარმომავლობა უნდა უკავშირდებოდეს ზმნას klabastern. ხსენებულ ლექსიკონში ამ უკანასკნელზე ნათქვამია „უცნაური ხალხური სიტყვაა, რომელიც, თავისი მნიშვნელობის განვითარებისა და მდიდარი ფორმების გათვალისწინებით, ძველი უნდა იყოს“. იქვე ზმნის ერთ-ერთ მნიშვნელობად განხილულია „განმეორებითი ან უწყვეტი კაკუნი“. სწორედ ეს სემა უნდა იყოს რეალიზებული კომპოზიტში Klabautermann, რომელსაც დუდენის უნივერსალური ლექსიკონი შემდგენაირად განმარტავს: კეთილი სული, რომელიც გემის კედლებზე აკაკუნებს, რათა მეზღვაურები შესაძლო საფრთხის შესახებ გააფრთხილოს“. კომპოზიტი Klabautermann დეტერმინაციული და კომპარატიულ-ეგზოცენტრულია – მისი უშუალო შემადგენლები არ იძლევა მთლიანი კომპოზიტის მნიშვნელობასთან დაკავშირებით რაიმე დასკვნის გამოტანის საშუალებას.

რაც შეეხება ხსენებული კომპოზიტის საფუძველზე ნაწარმოებ ოკაზიონალიზმებს Klabauterfrau, Klabauterkind, ორივე მათგანის შემთხვევაში გამოყენებულია ანალოგიურ-ჰოლისტიკური სიტყვაწარმოება. პირველი კომპოზიტი ემყარება გერმანულ ენაში საკმაოდ გავრცელებულ სქესობრივი ოპოზიციის მაწარმოებელ კომპოზიციურ მოდელს, რომელშიც მეორე უშუალო შემადგენლებად -mann „მამა-

კაცი“ და -frau „ქალი“ გამოდიან; შედეგად, უმეტეს შემთხვევაში, ვიღებთ მამრობითი და მდედრობითი სქესის პროფესიის აღმნიშვნელ არსებით სახელებს, როგორცაა, მაგ., Kameramann „მამაკაცი ოპერატორი“, Kamerafrau „ქალი ოპერატორი“. ხოლო ოკაზიონალიზმის Klabauterkind წარმოების დროს ნიმუშად ისეთი კომპოზიციებია, ჩვენი აზრით, გამოყენებული, როგორებიცაა, Wunderkind „ვუნდერკინდი“, სიტყვასიტყვით: „სასწაული ბავშვი“, Geburtstagskind „იუბილარი“, სიტყვასიტყვით: „დაბადების დღის ბავშვი“, Großstadtkind „დიდ ქალაქში დაბადებული და გაზრდილი ბავშვი“, სიტყვასიტყვით: „დიდი ქალაქის ბავშვი“.

ორივე ოკაზიონალიზმი დეტერმინაციული და ეგზოცენტრულია. ისინი ემოციურობის მაღალი ხარისხით გამოირჩევიან, რაც განპირობებულია მათი წარმოების თავისებურებით: აქ მორგენშტერნი მიმართავს დეკომპოზიციის ერთ-ერთ ფორმას – რემოტივაციას, რაც გამოიხატება კომპოზიტის, წესით და რიგით, ძალზე სტაბილურ სტრუქტურაში ჩარევით და კომპოზიტის პირველი უშუალო შემადგენლის (Klabauter) ისტორიული მნიშვნელობის გაცოცხლება-გააქტიურებით.

საანალიზო ერთეულები მნიშვნელობებით „გემის კეთილი სულის ცოლი“ და „გემის კეთილი სულის შვილი“ პროტოტიპურ ოკაზიონალიზმთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ – ორივე მჭიდრო კავშირშია კონტექსტთან და ერთჯერადი გამოყენებისათვის არის შექმნილი.

ძალზე საინტერესო ოკაზიონალიზმებს ვხვდებით ლექსში „Der Purzelbaum“.

„Ein Purzelbaum trat vor mich hin

ყირამალა (კომპოზიტის მეორე უშუალო შემადგენელი ნიშნავს „ხე“-ს )ჩემთან მოვიდა

und sagte: „Du nur siehst mich

და მითხრა: „მხოლოდ შენ მხედავ

und weißt, was für ein **Baum** ich bin:

და იცი, როგორი ხე ვარ:

Ich schieße nicht, man schießt mich.

მე არ ვისვრი, მე მისვრიან.

Und trag ich **Frucht**? Ich glaube kaum;

ნაყოფი გამომაქვს? მე ვფიქრობ, არა;

auch bin ich nicht **verwurzelt**.

ფესვებიც არა მაქვს გადგმული

Ich bin nur noch ein Purzelbaum,

მე მხოლოდ ...სიზმარი ვარ  
 sobald ich hingepurzelt.  
 როგორც კი ამოვირავდები.  
 „Jenun“, so sprach ich, „bester Schatz,  
 „ჩემო ძვირფასო“ – ვუთხარი  
 du bist doch klug und siehst uns;-  
 შენ ხომ ჭკვიანი ხარ და გვხედავ;-  
 nun, auch für uns besteht der Satz:  
 ჩვენთვისაც ძალაშია წინადადება  
 wir schießen nicht, es schießt uns.  
 ჩვენ არ ვისვრით, ჩვენ გვესვრიან.  
 Auch **Wurzeln** treibt man nicht so bald,  
 ფესვებსაც მალე ვერ გაიდგამ  
 und **Früchte** nun erst recht nicht.  
 მით უფრო, ნაყოფს ვერ გამოიღებ.  
 Geh heim in deinen Purzelwald  
 წადი შენს ...ტყეში  
 und lästre dein Geschlecht nicht.  
 და შენს გვარს ნუ არცხვენ.“

დისერტაციის მეორე თავში ჩვენ განვიხილავთ ტექსტის კოჰერენციის რეა-  
 ლიზაციის სხვადასხვა საშუალებას. საანალიზო ლექსის შემთხვევაში ჩვენ ვხე-  
 დავთ, თუ როგორ ხორციელდება ტექტის სიღრმისეული სტრუქტურის ბმა ისეთი  
 ლექსიკური ერთეულების გამოყენებისა და გამეორების მეშვეობით, რომლებიც  
 ერთსა და იმავე სიტყვათა ოჯახში შედიან (ასეთები ჩვენს ტექსტში მუქი შრიფ-  
 ტით გამოვყავით): Baum „ხე“, Frucht „ნაყოფი“, verwurzelt „ფესვადაგმული“, Wurzeln  
 „ფესვები“, Wald „ტყე“. შედეგად, იქმნება ილუზია, რომ საუბარია ხის ერთ-ერთ  
 სახეობაზე და მთელი ლექსიც მას ეძღვნება. საინტერესოა, როგორ ხდება ასეთი  
 ეფექტის მიღწევა.

ჩვენ მიერ საანალიზოდ არჩეული ერთეულებიდან ერთ-ერთი Purzelbaum  
 გერმანული ენის ლექსიკის უზუაღურ ნაწილს მიეკუთვნება. მისი ანალიზი გვიჩ-  
 ვენებს, რომ აღნიშნული კომპოზიციის სტრუქტურა ბინარულია და ორი უშუალო  
 შემადგენლისაგან შედგება: Purzel + baum. სიტყვა Baum „ხე“ შედგენილობის მი-  
 ხედვით მარტივია და გერმანული ენის ლექსიკის აქტიურ ფენას ეკუთვნის. ის  
 ხშირად გამოიყენება ხის სხვადასხვა სახეობისა და ჯიშის აღმნიშვნელი კომპო-

ზიტების საწარმოებლად: Laubbaum „ფოთლოვანი ხე“, Nadelbaum „წიწვოვანი ხე“, Ölbaum „ზეთისხილის ხე“, Kautschukbaum „კაუჩუკის ხე“, Kirschbaum „ალუბლის ხე“, Pflaumenbaum „ქლიავის ხე“, Pfirsichbaum „აჭმის ხე“, Aprikosenbaum „გარგარის ხე“, Nussbaum „კაკლის ხე“ და ა.შ. თუმცა სიტყვის Purzelbaum დენოტატი არ არის ხის რომელიმე ჯიშის; ის, დედენის უნივერსალური ლექსიკონის (Deutsches Universalwörterbuch 1996:1198) თანახმად, სრულიად განსხვავებულ რამეს ნიშნავს, კერძოდ კი „ეირამალას“. ჩვენს მიერ ჩატარებული ეტიმოლოგიური ანალიზი გვაძლევს საშუალებას, დავასკვნათ, რომ აღნიშნული კომპოზიტი მიღებული უნდა იყოს ორი სიტყვის purzeln + bäumen კომბინაციით. purzeln შუაგერმანულ პერიოდში „ძირს დაცემას“ ნიშნავდა, ხოლო bäumen – „ასვლას“, „აღმართვას“, „ყალყზე შედგომას“. როგორც ვხედავთ, მორგენშტერნი მიმართავს ე.წ. „ცრუ ეტიმოლოგიას“: ახდენს რა საანალიზო ერთეულის დეკომპოზიციასა და დედიომატიზაციას (დემოტივაციას), ის კომპოზიტის მეორე უშუალო შემადგენლის „ცრუ“ ეტიმონს აცოცხლებს და ამგვარად ქმნის უზუაღური სიტყვის ახალ, ოკაზიონალურ მნიშვნელობას, რასაც, როგორც უკვე ერთხელ აღვნიშნეთ, ლინგვისტები „ახალ სემანტიზმს“ (Fleischer...1993:92) ან „ახალ სემემას“ (Herberg... 1998:2) უწოდებენ და მათ „ახალ ლექსემას“ უპირისპირებენ (Herberg... 1998:1). იმავე პრინციპით მოქმედებს მორგენშტერნი ლექსის ორი დანარჩენი ოკაზიონალიზმის – Purzeltraum და Purzelwald – შემთხვევაში, რომლებიც ოკაზიონალურები არიან როგორც შინაარსის, ისე ფორმის მიხედვითაც. სტრუქტურული თვალსაზრისით ორივე მათგანი დეტერმინაციული კომპოზიტია. მათი მეორე უშუალო შემადგენლები Traum („ოცნება“, „სიზმარი“) და Wald („ტყე“) გერმანული ენის სიტყვათა მარაგის უზუაღურ ნაწილს მიეკუთვნება. რაც შეეხება პირველ უშუალო შემადგენელს (Purzel), ის მნიშვნელობით „პატარა, საყვარელი ბავშვი“ ასევე არსებობს გერმანულ ენაში, თუმცა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქაც, ისევე როგორც კომპოზიტში der Purzelbaum, რეალიზდება არა მისი აქტუალური მნიშვნელობა, არამედ ავტორის მიერ მოწოდებული ფსევდომნიშვნელობა.

ოკაზიონალიზმების წარმოების მსგავს ხერხს მიმართავს მორგენშტერნი ლექსში “Die Windhosen” (“ქარბორბადა“):

„Beim Windhosenschneider Amorf  
საქარე შარვლის მკერავ ამორფთან  
erstehen sich Palmström und Korf  
წარდგებიან პალმშტრომი და კორფი



zwei Windbeinkleider aus best-

(რათა მან მათ შეუკეროს) საქარე შარვალი საუკეთესოდ-  
empfohlenem Nordnordwest.

არჩეული ჩრდილოჩრდილოდასავლეთისაგან.“

აღნიშნულ ტექსტში ორი ოკაზიონალური კომპოზიტი გამოიყოფა: Windhosenschneider და Windbeinkleider. სიტყვის Windhosenschneider მორფემული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ის ორი უშუალო შემადგენლისგან შედგება: პირველი მათგანი Windhose მნიშვნელობით „ქარბორბალა“ ეგზოცენტრული დეტერმინაციული კომპოზიტია; ის მთლიანად მეტაფორიზებულია, მისი მნიშვნელობის დადგენა შეუძლებელია უშუალო შემადგენელთა მნიშვნელობების შეჯამებით Wind „ქარი“ + Hose „შარვალი“. მეორე უშუალო შემადგენელი (Schneider) ექსპლიციური დერივაციის წესით მიღებული უზუალური სიტყვაა და „მკერავს“ ნიშნავს. კომპოზიტის უშუალო შემადგენლურ სტრუქტურაში ამ უკანასკნელის გამოყენებით აღწევს მორგენშტერნი სასურველ ეფექტს: ახდენს რა ლექსემის Windhose დემეტაფორიზაციას, რის შედეგადაც ეგზოცენტრული კომპოზიტისგან ენდოცენტრულ კომპოზიტს ვიღებთ, ის „მიგვითითებს“, რომ ახალი ლექსიკური ერთეული უნდა გავიგოთ, როგორც „ქარისაგან დამცავი შარვლის მკერავი“. ამავე მიზნით ტექსტში ჩნდება მეორე ოკაზიონალიზმი Windbeinkleid, რომელშიც კომპოზიტის Windhose მეორე წევრს ენაცვლება სინონიმი Beinkleid. ეს უკანასკნელი, Hose სიტყვისაგან განსხვავებით, სტილური და ლექსიკოლოგიური თვალსაზრისით მარკირებულია – დუდენის უნივერსალური ლექსიკონში აღნიშნულია, რომ ეს სიტყვა მოძველებულია და ტექსტში მაღალფარდოვანი ან ირონიული შეფერილობა შეიძლება შეიძინოს.

სრულიად განსხვავებულ, გერმანულ სიტყვაწარმოებისათვის უცნობ ხერხს მიმართავს მორგენშტერნი ოკაზიონალიზმის Geierlamm წარმოებისას და, რაც კიდევ უფრო საინტერესოა, ტექსტშივე განგვიმარტავს მის მნიშვნელობას:

„Der Lämmergeier ist bekannt,

ბატკანძერი ცნობილია

das Geierlamm erst hier genannt

ძერბატკანი პირველად აქ სახელდება.

Es sagt nicht hu, es sagt nicht mäh

ის არ ამოხს არც „ჰუს“, არც „მეეს“

und frißt dich auf aus nächster Näh.

და შეგჭამს, როგორც კი მიუახლოვდები.

Und dreht das Auge dann zum Herrn  
მერე თვალებს ბატონს (დმერთს) მიაპყრობს  
Und alle haben, s herzlich gern.  
და ის ყველას ძალიან უყვარს.”

სიტყვა Lämmergeier მნიშვნელობით „ბატკანძერი” ან “კრავიჭამია“ გერმანულ ენაში მართლაც არსებობს. ეს კომპოზიტი ორი თავისუფალი მორფემისაგან შედგება: Lamm “კრავი” + Geier “ძერა”. შიდა სტრუქტურული მიმართებებით თუ ვიმსჯელებთ, კომპოზიტი დეტერმინაციული და ენდოცენტრულია. მორგენშტერნი უბრალოდ ადგილს უცვლის მის უშუალო შემადგენლებს და ამგვარად აწარმოებს ახალ ლექსიკურ ერთეულს Geierlamm.

თუ Lämmergeier კომპოზიტის “თავს” არსებითი სახელი Geier ქმნის, ოკაზიონალიზმში Geierlamm ამავე ფუნქციით Lamm არის გამოყენებული, რის შედეგადაც ვიღებთ კომპარატიულ ენდოცენტრულ კომპოზიტს. მისი მეორე უშუალო შემადგენელი განსაზღვრავს მთლიანი კომპოზიტის ლექსიკურ მნიშვნელობას და მორფოლოგიურ კლასს, ხოლო პირველი უშუალო შემადგენელი მეტაფორულ-ექსპრესიული თვალსაზრისით ახასიათებს მას – ბატკანი, რომელიც თავისი სინარბით ძერას ჰგავს. ოკაზიონალიზმი ემოციურობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა და მისი სწორი გაგება და დეფინიცია მთლიანად არის კონტექსტზე დამოკიდებული.

სანამ შემდეგი ლექსიკური ერთეულის ანალიზზე გადავიდოდეთ, უნდა ითქვას, რომ გერმანულ ენაში შედარებით იშვიათია ოთხ და მეტ შემადგენლიანი კომპოზიტები. როგორც ი. გრიმი აღნიშნავს (Grimm 1878:911), ძველგერმანულში ისინი საერთოდ არ მოიპოვებოდა. პოლიმორფემული კომპოზიტები გამოჩენა მეტექსმეტე საუკუნეს უკავშირდება. თანამედროვე გერმანულ ენაში ყველაზე გავრცელებული ოთხშემადგენლიანი რთული სიტყვებია (Feischer...1995:97).

ხუთშემადგენლიან ოკაზიონალურ კომპოზიტს აწარმოებს მორგენშტერნი თავისი ერთ-ერთი ლექსისათვის „Blutnächte XIII” (“სისხლიანი ღამეები XIII”):

„...tanzen sieben todrotsündige Stirwinde  
ცეკვავს შვიდი სასიკვდილო წითელი ცოდვის (ჩამდენი) შუბლის  
ქარი  
den Ringelklingelkringelschlingelreihn.  
ზანზალაკ-წრე-მარყუჟ წრიულ ცეკვას“

ძალზე საინტერესოდ გვეჩვენება ხერხი, რომლის მეშვეობითაც აღნიშნული ლექსიკური ერთეული მიიღება: გერმანულ ენაში არსებობს კომპოზიტი Ringelreihen მნიშვნელობით „თამაში, ცეკვა, რომლის დროსაც ხელისხელჩაკიდებული ბავშვები წრეში ცეკვავენ“. ოკაზიონალიზმის Ringelklingelkringelschlingelreihn წარმოებისას მორგენშტერნი ერევა კომპოზიტის სტაბილურ სტრუქტურაში, ახდენს მის დეკომპოზიცია-დემოტივაციას და პირველ და ბოლო უშუალო შემადგენელს შორის ათავსებს ზმნურ ბაზაზე ნაწარმოებ სამ დერივატს, რომლებიც ენის აქტუალურ ლექსიკაში შემდეგი მნიშვნელობებით არის დაფიქსირებული: Klingel – „ზანზალაკი“, Kringel – „პატარა (არაზუსტად შემოხაზული) წრე“, Schlingel – „მარყუქი, ყულფი“. კონტექსტის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ოკაზიონალიზმი Ringelklingelkringelschlingelreihn და უშუალო სიტყვა Ringelreihen ერთსა და იმავე დენოტატს მიემართება, რაც გვაფიქრებინებს, რომ ავტორი ახალ ლექსიკურ ერთეულს არ ქმნის სახელდების ან ენაში არსებული ლექსიკური ხარვეზის შევსების მიზნით; მისი უპირველესი ამოცანა უკვე არსებული სიტყვისათვის ემოციური ელფერის მინიჭებაა.

უაღრესად საინტერესო შემთხვევას გადავაწყდით ლექსში „Droschkeengaul Wintertrost“ („ფორნის ჯაგლაგის ზამთრის ნუგეში“), რომელშიც ოკაზიონალიზმი Vollmilchsraffennebelsschimmel ერთდროულად სიტყვაწარმოების ორი ტიპის – კონტამინაციისა და კომპოზიციის – გამოყენებით არის ნაწარმოები. ეს არის პოლიმორფული დეტერმინაციული კომპოზიტი, რომელიც სამი უშუალო შემადგენლისაგან შედგება Vollmilchstraßen+nebel+schimmel. პირველი უშუალო შემადგენელი კონტამინაციის შედეგად ნაწარმოები ოკაზიონალიზმია. ის, თავის მხრივ, ორ უშუალო შემადგენლამდე დაიყვანება: კომპარატიულ-ენდოცენტრული კომპოზიტი Vollmilch „ცხიმოუსხდელი რძე“ + კომპარატიულ-ეზოცენტრული კომპოზიტი Milchstraße „რძიანი გზა“ (გალაქტიკა, ასევე ცნობილი სახელით „ირმის ნახტომი“), რომელიც მთლიანად მეტაფორიზებულია. საანალიზო ერთეულის დანარჩენი წევრები Nebel („ნისლი“) და Schimmel („თეთრონი“), ჩვენი ვარაუდით, საგანგებოდ უნდა იყოს შერჩეული ერთი საერთო ნიშნით – ორივე მათგანი, პირველი უშუალო შემადგენლის მსგავსად, შეიცავს სემას „თეთრი“. მართალია, კომპოზიტში Vollmilchsraffennebelsschimmel მოცემული სემების შეჯამებით „რძიანი გზა“ + „ნისლი“ + „თეთრონი“ ვერ ხერხდება ოკაზიონალიზმის მნიშვნელობის დადგენა, მაგრამ აქ დახმარებას გვიწევს კონტექსტი, რომლის მთავარი ფიგურა ეტ-

ლში შებმული ჯაგლაგია. მას მიძიმე ცხოვრება აქვს, მაგრამ არ წყვეტს ოცნებას: ხან მთვარის სასახლის მერანია, ხან ჩრდილოეთის ნათების ფაშატი, ხანაც რძიანი გზის ნისლისფერი თეთრონი. ოკაზიონალიზმი ექსპრესიულობისა და ტექსტზე დამოკიდებულების მაღალი ხარისხით გამოირჩევა.

ჩვენი შემდგომი კვლევა ისეთ სუბსტანტიურ კომპოზიტებს მიემართება, რომელთა პირველი უშუალო შემადგენელი ზედსართავი სახელია ანუ განსახილველი მოდელი ასე გამოიყურება: ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი. როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, ასეთი კომბინაცია ბევრად იშვიათია, ვიდრე ორი არსებითი სახელისა. ჰ. ველმანის მონაცემებით (Wellmann 1984:446), მათი რაოდენობა კომპოზიტების საერთო რიცხვის 10% შეადგენს. იგივე შეიძლება ითქვას ოკაზიონალურ კომპოზიტებზე; მათი რაოდენობა საკმაოდ მცირეა მორგენ-შტერნის პოეზიაში, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ისინი ექსპრესიულობის მაღალი ხარისხით გამოირჩევიან.

ზემოთ ხსენებული მოდელის მიხედვით ნაწარმოები ოკაზიონალიზმის ნიმუში ვიპოვეთ ლექსში “Unter Zeiten” („დროთა შორის“):

„Das Perfekt und das Imperfekt  
პერფექტი და იმპერფექტი  
tranken Sekt.  
სვამდნენ შამპანურს  
Sie stießen aufs Futurum an  
მათ ადღეგრძელეს ფუტურუმი.  
Plusquamper und Exaktfutur  
პლუსკუამპერი და ზუსტი ფუტურუმი  
blinzten nur.  
მხოლოდ თვალებს ახამხამებდნენ.“

ოკაზიონალიზმში Exaktfutur ორი უშუალო შემადგენელი გამოიყოფა: ლათინური წარმომავლობის მარტივი ზედსართავი სახელი *exakt* და ასევე ლათინურიდან ნასესხები მარტივი არსებითი სახელი *Futur*. სტრუქტურული თვალსაზრისით კომპოზიტი დეტერმინაციულია. მის „თავს“ ქმნის მეორე წევრი *Futur*, რომელიც განსაზღვრავს კომპოზიტის სქესს და მორფოლოგიურ კლასს. ოკაზიონალიზმი ენდოცენტრულია, ის პირდაპირ მიემართება თავის დენოტატს. გარდა ამისა, მისი უშუალო შემადგენლები არ გამოირჩევიან პოლიმორფულობით, რაც აიოლებს მიღებული ოკაზიონალიზმის მნიშვნელობის დადგენას: *exakt* „ზუსტი“, *Futur* „ფუტურუმი“ (დროითი ფორმა გერმანული ენის გრამატიკაში).

უნდა ითქვას, რომ სიტყვა *exakt* გერმანულ ენაში ხშირად გამოიყენება *Zeit* („დრო“) სიტყვასთან კავშირში. არ არის გამორიცხული, მორგენშტერნი მოცემულ ტექსტში სიტყვებით თამაშს მიმართავდეს.

ანალოგიურ-ჰოლისტიკური პრინციპია გამოყენებული ოკაზიონალიზმის *Zahmschwein* წარმოებისას. მორგენშტერნი ნიმუშად იყენებს გერმანულ ენაში არსებულ კომპოზიტს *Wildschwein* („გარეული ღორი“), სიტყვასიტყვით: „ველური ღორი“ და მის პირველ უშუალო შემადგენელს, ზედსართავ სახელს *wild* „ველური“ ანაცვლებს ანტონიმური მნიშვნელობის მქონე ზედსართავი სახელით *zahn* „თვინიერი“. მიღებული კომპოზიტი ენდოცენტრულია, არამეტაფორიზებული. მისი მნიშვნელობა ყოველგვარი სირთულის გარეშე გამოიყვანება უშუალო შემადგენლების მნიშვნელობათა შეჯამებით, თუმცა მორგენშტერნი კონტექსტში კიდევ ერთ დახმარებას გვთავაზობს, როცა პირველსავე სტრიქონში უპირისპირებს ოკაზიონალიზმს უზუალურ სიტყვას *Wildschwein*:

„Ein Wildschwein und ein Zahmschwein sahn

ველური (გარეული ღორი) და თვინიერი (შინაური) ღორი უყურებდნენ

sich an durch eines Zaunes Zahn.

ერთმანეთს ღობის სხვადასხვა მხრიდან.“

ოკაზიონალიზმი არ ავლენს რაიმე გადახრას სიტყვაწარმოებითი ნორმებიდან, ნაკლებად ექპრესიულია და კონტექსტის გარეშეც ექვემდებარება სემანტიზაციას.

ჩვენი შემდგომი განხილვის საგანი ისეთი სუბსტანტიური კომპოზიტებია, რომელთა პირველი უშუალო შემადგენელიც ზმნაა. ზმნის სიტყვაწარმოებითი აქტიურობა იმით არის გამორჩეული, რომ მისი სხვადასხვა ფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც სიტყვაწარმოებითი ელემენტი. ესენია: ზმნის ფუძე, მიმდებარის ფორმები, ინფინიტივი, ზმნის პირიანი ფორმა და ა.შ.

ზმნის ფუძეა გამოყენებული ოკაზიონალიზმებში *Knisterwort* და *Flüsterwort* ლექსიდან „Korbesselgespräch“ („მოწნული სავარძლის დიალოგი“). ორივე განსახილველი კომპოზიტის ბაზას, როგორც სტრუქტურული, ისე სემანტიკური თვალსაზრისით, ქმნის მეორე უშუალო შემადგენელი – მარტივი არსებითი სახელი *Wort* მნიშვნელობით „სიტყვა“. რაც შეეხება საანალიზო ერთეულების პირველ უშუალო შემადგენლებს, ისინი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოდგენელია ზმნების *knistern* („ჭრიალი“) და *flüstern* („ჩურჩული“) ფუძეების სახით. ორივე

კომპოზიტი ენდოცენტრულია, რაც აიოლებს მათი მნიშვნელობის დადგენას. აქ თავისი წვლილი კონტექსტსაც შეაქვს, რამდენადაც საუბარია მოწნული სავარძელზე და მის მიერ „ჭრიალით ნათქვამ სიტყვაზე“ და „ჩურჩულით ნათქვამ სიტყვაზე“.

მორგენშტერნის პოეზიაში ვხვდებით ისეთ სუბსტანტიურ კომპოზიტებსაც, რომელთა უშუალო შემადგენლური სტრუქტურის პირველი წევრი ნაცვალსახეულია. ასეთი კომპოზიტები საკმაოდ იშვიათია გერმანულ ენაში. განსაკუთრებულად საინტერესოა ამ თვალსაზრისით ლექსი „Der Werwolf“ („მაქცია“), სადაც წარმოდგენილია სამი ოკაზიონალიზმი Weswolfs, Wemwolf, Wenwolf:

““ Der Werwolf” – sprach der gute Mann

„მაქცია“ – თქვა კეთილმა კაცმა

„des Weswolfs, Genitiv sodann,

მაქციის, ეს იქნება ნათესაობითი

dem Wemwolf, Dativ, wie man’s nennt,

მაქციას, მიცემითია, როგორც მას უწოდებენ

den Wenwolf, - damit hat’s ein End’.

მაქციას (ბრალდებითი ბრუნვის ფუნქციით -ქ.ნ.), - ასე დამთავრდება ბრუნება.“

სიტყვა Werwolf, რომლის საფუძველზეც ხდება ოკაზიონალიზმების წარმოება, უზუაღურია და აქვს ბინარული სტრუქტურა. კერძოდ, ის მიღებულია ორი ძირეული მორფემის – კითხვითი სიტყვის wer და არსებითი სახელის Wolf შეერთებით. სამივე ოკაზიონალიზმი ექსპრესიულობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა, რაც გამოწვეულია იმით, რომ მორგენშტერნი ახალი ლექსიკური ერთეულების მისაღებად არღვევს კომპოზიტის არსებობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას – მისი სტრუქტურის სტაბილურობას და უგულვებელყოფს კომპლექსური სიტყვისათვის დამახასიათებელ დემოტივაციას, რაც გამოიხატება იმით, რომ კომპლექსური სიტყვის მნიშვნელობა აღარ გამომდინარეობს მისი უშუალო შემადგენლების მნიშვნელობების ჯამიდან. ის ახდენს კითხვითი სიტყვის wer რემოტივაციას, რომელიც ჯერ კიდევ ძველზემოგერმანულ პერიოდში არსებობდა არსებითი სახელის სახით და ნიშნავდა „კაცს“ და უცვლის მას ფორმას, აბრუნებს. სიტყვებში des Weswolfs კითხვითი სიტყვა ნათესაობით ბრუნვაშია, dem Wemwolf - მიცემით, ხოლო den Wenwolf - ბრალდებით ბრუნვაში. სამივე ოკაზიონალიზმი ერთჯერადი გამოყენებისათვის არის შექმნილი, მათი გაგება და „მისაღებობა“ მთლიანად კონტექსტზეა დამოკიდებული. რაც შეეხება მათ ფუნქციას,

ჩვენი აზრით, ამ კონტექსტში წმინდა მხატვრულ -ემოციურ ხასიათით შემოიფარგლება.

სიტყვას Werwolf მორგენშტერნი სხვა ლექსიკური ოკაზიონალიზმების საწარმოებლად იყენებს ლექსებში „KM 2“ და „Werfuchsjagd“. ის მიმართავს ანალოგიურ-პოლისტიკურ მეთოდს და კომპოზიციის მეორე უშუალო შემადგენელს Wolf (მგელი) უბრალოდ ანაცვლებს არსებითი სახელებით Hund „ძალი“ და Fuchs „მელია“. ოკაზიონალიზმების მნიშვნელობის გაგება რეციპიენტს, თავისი წინარე ცოდნის საფუძველზე, არ უნდა გაუჭირდეს: Werhund – ადამიანი, რომელიც დროდადრო ძაღლად გადაიქცევა და Werfuchs – ადამიანი, რომელიც მელიად გადაიქცევა.

ჩვენი შემდგომი კვლევა ეხება ისეთ სუბსტანტიურ კომპოზიტებს, რომელთა პირველი შემადგენელი რიცხვითი სახელია. ასეთია, მაგალითად, ოკაზიონალიზმი Dreihorn. მორფემული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ის ორი ძირეული მორფემისაგან შედგება: მარტივი რიცხვითი სახელი drei „სამი“ და მარტივი არსებითი სახელი Horn „რქა“. სამწუხაროდ, სპეციფიკური კონტექსტი საშუალებას არ გვაძლევს, ზუსტად დავადგინოთ ამ ახალი ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობა. თუმცა ის ადვილად ექვემდებარება სემანტიზაციას ენაში უკვე არსებული და ენის მომხმარებლისათვის ცნობილი, ანალოგიური მორფემულ და სემური სტრუქტურის მქონე ლექსემის დახმარებით Einhorn „მარტორქა“. შესაბამისად, ოკაზიონალიზმი Dreihorn უნდა აღნიშნავდეს ცხოველს, რომელსაც სამი რქა აქვს. საანალიზო კომპოზიტი კომპარატიულ-ეზოცენტრული და დეტერმინაციულია.

ახლა შევეუდგებით ისეთი სუბსტანტიური ოკაზიონალური კომპოზიტების განხილვას, რომლებშიც პირველი უშუალო შემადგენელი ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილია. ასეთი კომპოზიტები რაოდენობრივად საკმაოდ მცირეა გერმანულ ენაში, შედარებით იშვიათად ვხვდებით მათ მორგენშტერნის შემოქმედებაშიც. პირველი განსახილველი კომპოზიტი ერთ-ერთი ლექსის სათაურში გვხვდება „Der Walfisch und das Überwasser“ („ვეშაპი და წყალდიდობა“). განსახილველი კომპოზიტი ორი ძირეული მორფემისაგან შედგება: მარტივი არსებითი სახელი Wasser „წყალი“ და წინდებული über, რომლის სიტყვაწარმოებით მნიშვნელობასაც ასე განმარტავენ: „ლოკალურად რაღაცის ზემოთ მდებარე“ (Fleischer...1995:118). კომპოზიტი დეტერმინაციული და ეგზოცენტრულია, თუმცა

მისი მნიშვნელობის დადგენა არ არის რთული. აქ დახმარებას გვიწევს კონტექსტი და ასევე გერმანული ენის ლექსიკაში ინტეგრირებული კომპოზიტი *Überschwemmung* „წყალდიდობა“, რომელიც, ჩვენი აზრით, გამოყენებულ იქნა საანალიზო ოკაზიონალიზმის ნიმუშად. ამ უკანასკნელს სწორედ ხსენებული უზუალური სიტყვის სინონიმური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ოკაზიონალიზმი *Überwasser* არ შექმნილა არსებული ლექსიკური ხარვეზის შესავსებად – გერმანულ ენას უკვე მოეპოვება ცნების აღმნიშვნელი ერთეული. გარდა ამისა, დიდი ალბათობით, ის ერთჯერადი გამოყენებისათვის არის „განწირული“, რადგან მისი კონკურენტი არ მისცემს მას ენის უზუალურ ლექსიკაში დამკვიდრების საშუალებას.

შემდეგი ოკაზიონალიზმები ე.წ. კონფიქსალური კომპოზიტებია. ასე ეწოდება ისეთ კომპლექსურ არსებით სახელს, რომლის უშუალო შემადგენლურ სტრუქტურაში ერთ-ერთი შემადგენელი კონფიქსის სახითაა წარმოდგენილი (Fleischer...1995:120). როგორც ბმულ მორფემას, კონფიქსს დამოუკიდებელი, თავისუფალი ლექსიკური ერთეულის სახით არსებობა არ შეუძლია. ის მუდამ სხვა მორფემასთან კომბინაციაში გვხვდება, მაგრამ თავისუფალი მორფემების მსგავსად და სხვა ბმული მორფემებისაგან განსხვავებით, მას ლექსიკალურ-ცნებითი მნიშვნელობა გააჩნია.

კონფიქსალური კომპოზიტის მაგალითს ვპოულობთ ლექსში „Im Reich der Interpunktionen“ („სასვენ ნიშანთა სამფლობელოში“):

„Im Reich der Interpunktionen  
სასვენ ნიშანთა სამფლობელოში  
nicht fürder goldner Friede prunkt:  
ამიერიდან ოქროს მშვიდობა აღარ სუფევს:  
Die Semikolons werden Drohnen  
წერტილ-მძიმეს მუქთახორას უწოდებენ  
genannt von Beistrich und von Punkt.  
მძიმე და წერტილი:  
Es bildet sich zur selben Stund'  
იმავე წამს იქმნება  
ein Antisemikolonbund.  
ანტიწერტილ-მძიმე-კავშირი.“

საანალიზო სიტყვა *Antisemikolonbund* სამი მორფემისაგან შედგება: პირველი (anti) ბერძნული წარმომავლობის კონფიქსია და ნიშნავს „წინააღმდეგ“, მეო-



რე უშუალო შემადგენელი არის არსებითი სახელი Semikolon „წერტილ-მძიმე“ და მესამე – იმპლიციტური დერივაციით ნაწარმოები მარტივი არსებითი სახელი Bund „კავშირი“, „გაერთიანება“. თუ შიდასტრუქტურული მიმართებებით ვიმსჯელებთ, ოკაზიონალიზმი დეტერმინაციულია, ხოლო დენოტაციისადმი მიმართების მიხედვით – ენდოცენტრული, რაც აიოლებს მის სემანტიზაციას. ჩვენ ის ვთარგმნეთ, როგორც „ანტიწერტილ-მძიმე-კავშირი“.

შემდეგი საანალიზო ოკაზიონალიზმი Stiefmilchbruder არის ლექსიდან „Lorus“ („ლორუსი“):

„Fritz Kunkles Pudel ward, noch ungetauft,  
ფრიც კუნკლეს პუდელი, ჯერ კიდევ მოუნათლავი  
von einem Stiefmilchbruder Korfs gekauft.  
ქორფის ძმისნაცვალმა იყიდა.“

საანალიზო კომპოზიციის ორი უშუალო შემადგენლისაგან შედგება: პირველი – ძველზემოგერმანული წარმომავლობის კონფიქსი Stief- არის. უნდა ითქვას, რომ გერმანულ ენაში მისი მონაწილეობით არაერთი კონფიქსალური კომპოზიცია ნაწარმოები: Stiefeltern „დედინაცვალ-მამინაცვალი“, Stiefvater „მამინაცვალი“, Stiefmutter „დედინაცვალი“, Stiefkind „გერი“, Stiefsohn „გერი (ვაჟიშვილი)“, Stieftochter „გერი (ქალიშვილი)“, Stiefgeschwister „დედმამიშვილი მამის ან დედის პირველი ქორწინებიდან“, Stiefbruder „ძმა დედის ან მამის პირველი ქორწინებიდან“, Stiefschwester „და დედის ან მამის პირველი ქორწინებიდან“. ყველა მათგანში ეს კონფიქსი მიუთითებს იმაზე, რომ კომპოზიციის მეორე წევრი ღვიძლი ნათესავი არ არის. მეორე უშუალო შემადგენელი კომპარატიულ-ეგზოცენტრული დეტერმინაციული კომპოზიცია Milchbruder მნიშვნელობით „ძუძუმტე“. თუ შევაჯამებთ საანალიზო ოკაზიონალიზმის სემებს, აღმოჩნდება, რომ ახალი ლექსიკური ერთეული ზუსტად იმავე დენოტატს მიემართება, რასაც უშუალო სიტყვა Milchbruder. კონფიქსი Stief- უბრალოდ კიდევ უფრო აძლიერებს სემას „არაღვიძლი, არასისხლისმიერი“ ნათესავი და ოკაზიონალიზმსაც, შესაბამისად, ძლიერი მხატვრულ-ემოციური დატვირთვა ეძლევა.

ე.წ. „უნიკალურ მორფემას“ იყენებს მორგენშტერნი ოკაზიონალიზმის Tagigall საწარმოებლად ლექსში Neue Bildungen, der Natur vorgeschlagen“ („ბუნებისადმი შეთავაზებული ახალი სიტყვები“). უნიკალური მორფემა, როგორც ვიცით, ისეთი მორფემაა, რომელიც თანამედროვე ენაში არ არის ლექსიკურ-ცნებითი მნიშვნელობის მატარებელი, მაგრამ ისტორიულად თავისუფალ მორფემათა

ჯგუფში შედიოდა. ასეთი მორფემა, როგორც წესი, ენის მხოლოდ ერთადერთ სიტყვაშია შემორჩენილი. საანალიზო კომპოზიტი Tagigall ორი უშუალო შემადგენლისაგან შედგება. პირველი არის მარტივი არსებითი სახელი Tag, მეორე კი – ზემოთ ხსენებული უნიკალური მორფემა -igal. რადგან თანამედროვე გერმანულ ენაში ამ მორფემით ნაწარმოები ერთადერთი არსებითი სახელი Nachtigall („ბუღბუღი“) არსებობს, ჩვენთვის ძნელი არ იყო იმის მიგნება, თუ რომელი სიტყვა გამოიყენა მორგერნშტერნმა თავისი ოკაზიონალიზმის ნიმუშად – მან უზუაღური ლექსიკური ერთეულის პირველი უშუალო შემადგენელი Nacht „ღამე“ ჩაანაცვლა მისი ანტონიმით Tag „დღე“. თუ ჩავატარებთ მიღებული ოკაზიონალიზმის სემურ ანალიზს Tag + igal (ეს უკანასკნელი საერთოგერმანიკულ ენაში ნიშნავდა „მღერას“), შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ოკაზიონალიზმი აღნიშნავს ფრინველს, რომელიც დღისით მღერის.

ჩვენი შემდგომი კვლევა ოკაზიონალურ ზედსართავულ კომპოზიტებს უკავშირდება. როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, ზედსართავი სახელები გერმანული ენის ლექსიკის დაახლოებით 15% შეადგენენ და ამგვარად, ბევრად ჩამორჩებიან არსებით სახელებს. შესაბამისად, არსებითი სახელის მაწარმოებელი მოდელების რაოდენობა ბევრად აღემატება ზედსართავი სახელების მაწარმოებელი მოდელების რაოდენობას. ეს ეხება ზედსართავულ კომპოზიტებს და მორგერნშტერნის პოეზიიდან ჩვენ მიერ მოპოვებული მაგალითების რაოდენობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ოკაზიონალურ კომპოზიტებსაც. სტრუქტურული თვალსაზრისით, ზედსართავული კომპოზიტები იმავე ნიშან-თვისებებით ხასიათდებიან, რომლებითაც სუბსტანტიური არსებითი სახელები. რაც შეეხება მათ სემანტიკას, აქაც დიდ როლს თამაშობს ორივე უშუალო შემადგენლის მნიშვნელობა და მათი შიდა სტრუქტურული ურთიერთმიმართებები.

თავდაპირველად ისეთ რთულ ზედსართავ სახელებს შევეხებით, რომელთა უშუალო შემადგენლური სტრუქტურის პირველი წევრი არსებითი, ხოლო მეორე წევრი – ზედსართავი სახელია. ასეთი კომპოზიტები უშუალო შემადგენლების ურთიერთმიმართებების თვალსაზრისით დეტერმინაციულია, ამიტომ ამას მომავალში საგანგებოდ აღარ აღვნიშნავთ. მსგავსი კომპოზიტის მაგალითს ვპოულობთ ლექსში „Der historische Pudel“ („ისტორიული პუდელი“):

„Ein schwarzer Pudel, dessen Haar  
შაემა პუდელმა, რომლის ბეწვიც  
des abends noch wie Kohle war,

საღამოს ჯერ კიდევ ნახშირივით იყო,  
betrübte sich so höllenneiß,  
ჯოჯოხეთურად მოიწყინა  
weil seine Dame Flügel spielte...  
რადგან მისი ქალბატონი როიალზე უკრავდა...“

საანალიზო ოკაზიონალიზმის მორფემული სტრუქტურა ბინარულია, აქ გამოიყოფა ორი უშუალო შემადგენელი: მარტივი არსებითი სახელი Hölle მნიშვნელობით „ჯოჯოხეთი“ და მარტივი ზედსართავი სახელი heiß მნიშვნელობით „ცხელი“. თუ ამ ორ სემას შევაჯამებთ, ოკაზიონალიზმის სემანტიკა გასაგები იქნება – „ჯოჯოხეთივით ცხელი“. თუმცა კონტექსტზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ოკაზიონალიზმი höllenneiß ლექსში არ არის რეალიზებული ამ მნიშვნელობით, რაც გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს კომპარატიულ-ეგზოცენტრულ კომპოზიტთან, რომლის უშუალო შემადგენელთა მნიშვნელობების ჯამი არ ქმნის მთლიანი ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობას; ოკაზიონალიზმი მეტაფორიზებულია. მისი სემანტიზაციის მცდელობისას გადავაწყდით ერთ საინტერესო გარემოებას: ეს გახლავთ ის, რომ სხვა ენებისაგან განსხვავებით, გერმანულ ენას მოეპოვება მხოლოდ კნინობით-ალერსობითი, მაგრამ არა აუგმენტაციური (მომატება-ზრდის) სუფიქსები. ამ ფუნქციას კომპოზიტის პირველი წევრის როლში გამოსული სხვადასხვა მეტყველების ნაწილი ასრულებს, რომლებიც ძლიერი ემოციური დატვირთვით გამოირჩევიან. მათ შორისაა არსებითი სახელი Hölle და ზედსართავი სახელი heiß. მაგალითად, Höllenangst „ჯოჯოხეთური შიში“, Höllenhitze „ჯოჯოხეთური სიცხე“, heißumstritten „ძალზე სადავო“, heißersehnt „სანატრელი“, „საოცნებო“, heißbegehrt „ძალიან სასურველი“ და ა.შ. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ საანალიზო ოკაზიონალიზმი ამ შემთხვევაში გამოიყენება არა რომელიმე დენოტატის სახელდებისათვის, არამედ მისი როლი წმინდა ემოციურ-მხატვრული ფუნქციით შემოიფარგლება. შესაბამისად, მისი თარგმანიც შესაძლებელია ყველა იმ ლექსიკური ერთეულის საშუალებით, რომელიც შეიცავს სემას „ძალიან“, „ძლიერ“, „უაღრესად“.

შემდეგი ოკაზიონალიზმის schilkrötenplump სტრუქტურა ბინარულია. პირველი წევრი არის კომპლექსური არსებითი სახელით Schildkröte „კუ“, მეორე წევრი კი – მარტივი ზედსართავი სახელი plump „მოუხერხებელი, გაუთლელი, უხეში, ზანტი“. კომპოზიტი ენდოცენტრულია და ადვილად ექვემდებარება სემანტიზაციას „კუსავით ზანტი“.

მორგენშტერნის პოეზიაში გვხვდება ისეთი ზედსართავული კომპოზიტებიც, რომელთა უშუალო შემადგენლურ სტრუქტურას არსებითი სახელისა და ზმნის მიმდებარის ფორმის კომბინაცია ქმნის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გერმანულში, ისევე როგორც ბევრ სხვა ენაში, ძალიან გავრცელებული შემთხვევაა მიმდებარის ფორმის ზედსართავი სახელის ფუნქციით გამოყენება. საანალიზოდ ავირჩიეთ ოკაზიონალიზმი *mondgebleicht(en Nächten)* ლექსიდან “Etude” (“ეტიუდი”). კომპოზიტი ორი თავისუფალი მორფემისაგან შედგება: მარტივი არსებითი სახელი *Mond* „მთვარე“ და *bleichen* ზმნის მიმდებარე 2-ის ფორმა „გაღიავებული, გაუფერულებული, გაფითრებული“. ოკაზიონალური კომპოზიტი კომპარატიულ-ენდოცენტრულია. კონტექსტში ის სიტყვას *Nächte* („ღამეები“) მიემართება, რაც კიდევ უფრო აზუსტებს და გასაგებს ხდის მის მნიშვნელობას „მთვარით გაფითრებული (ღამეები)“.

განხილულ მოდელს (ზედსართავი სახელს + მიმდებარე 2) იყენებს მორგენშტერნი ოკაზიონალიზმის *müdgehetzt(e Mähre)* საწარმოებლად ლექსში „Nein“ („არა“). კომპოზიტის პირველი წევრი არის მარტივი ზედსართავი სახელი *müde* „დაღლილი“, მეორე წევრი კი – *hetzen* ზმნის მიმდებარე 2-ის ფორმაა, რომელიც დუდენის ლექსიკონში რამდენიმე მნიშვნელობით არის წარმოდგენილი: 1. ა) ნადირის დევნა; ბ) მისევა (ძაღლის); 2. ა) ჩქარობს, ეჩქარება; ბ) სწრაფად მოძრაობა, სირბილი, 3. სიძულვილის გაღვივება, გახელება. ვითვალისწინებთ რა განსახილველი კომპოზიტის პირველი უშუალო შემადგენლის სემანტიკასა და კონტექსტს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში რეალიზებულია ზმნის მესამე სემა. შესაბამისად, ოკაზიონალიზმს ვთარგმნით, როგორც „დაღლილობით გახელებული (ჯაგლაგი)“.

ძალიან იშვიათია გერმანულ ენაში ისეთი ზედსართავული კომპოზიტები, რომლებშიც პირველი უშუალო შემადგენელი ზმნის ფუძის სახით გვხვდება. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ მორგენშტერნის პოეზიაც საკმაოდ დარიბია. ერთ-ერთი მაგალითი ვიპოვეთ ლექსში „Brief einer Klabafterfrau“ („გემის კეთილი სულის ცოლი“):

„Mein lieber und vertrauter Mann,  
ჩემო ძვირფასო და ახლობელი ქმარო  
entsetzlicher Klabaftermann,...  
საშინლად საყვარელო გემის კეთილი სულო,...“

საანალიზო ოკაზიონალიზმი ორი უშუალო შემადგენლისგან შედგება: entsetzen ზმნის ფუძე + ზედსართავი სახელი lieb „საყვარელი, ძვირფასი“. უნდა ითქვას, რომ ზმნის მნიშვნელობა „შეშინება, თავზარის დაცემა, ელდის ცემა“, ერთი შეხედვით, სემანტიკურად შეუთავსებელია კომპოზიტის პირველი წევრთან, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ აღნიშნულ კომპოზიტში მოხდა მნიშვნელობის მეტაფორული გადაწევა. ზმნამ, როცა იგი ზედსართავ სახელს დაუკავშირდა, დაკარგა თავისი ლექსიკური მნიშვნელობა და აუგმენტაციური დატვირთვა შეიძინა. შესაბამისად, ეგზოცენტრულ ოკაზიონალიზმს ვთარგმნით, როგორც „თავზარდამცემად, საშინლად ძვირფასი“.

ჩვენი შემდგომი ანალიზის საგანია ისეთი ზედსართავული კომპოზიტები, რომლებშიც პირველი უშუალო შემადგენლის როლში ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილი გამოდის. ასეთი შედგენილობის ოკაზიონალიზმები საკმაოდ მცირე რაოდენობითაა მორგენშტერნის პოეზიაში წარმოდგენილი. მაგალითისათვის განვიხილავთ კომპოზიტს *fernerlauscht*, რომლის უშუალო შემადგენლური სტრუქტურის პირველ წევრად გამოდის ზმნიზედა *fern* მნიშვნელობით „შორს“ და დერივაციული ზმნის მიმღეობა 2-ის ფორმა *erlauscht* „მიყურადებით გაგონილი, მოსმენილი“. ვინაიდან ოკაზიონალიზმი ენდოცენტრულია, მისი მნიშვნელობის დადგენა არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს; ლექსის შესაბამის მონაკვეთს „*fernerlauschtes Geläut vom Turm*“ ვთარგმნით „შორიდან ყურმოკრული ხმა სამრეკლოდან“.

ოკაზინალიზმში *durchleidenschaftet* პირველ უშუალო შემადგენლად ბრალდებითი ბრუნვის წინდებული *durch*, ხოლო მეორე წევრად – სიტყვა *leidenschaftet* გვევლინება. ეს უკანასკნელი თავისი ფორმით ზმნის მიმღეობა 2-ს ჰგავს, თუმცა ამ ძირის მქონე ზმნა გერმანული ენის სიტყვათა მარაგში აღრიცხული არ არის. დუდენის უნივერსალურ ლექსიკონში დაფიქსირებულია მხოლოდ ამ ბაზაზე ნაწარმოები არსებითი და ზედსართავი სახელები. უნდა ვივარაუდოთ, რომ ავტორმა არსებითი სახელისაგან *Leidenschaft* კონვერსიის წესით მიიღო ზმნა, რომლის მიმღეობა 2-ის ფორმა გამოიყენა კომპლექსური ზედსართავი სახელისათვის. ოკაზიონალიზმი დეტერმინაციულია და ენდოცენტრული. ამდენად მისი მნიშვნელობის დადგენა შეიძლება უშუალო შემადგენელთა სემების შეჯამებით. სიტყვა *Leidenschaft* განიმარტება, როგორც „ენება, გატაცება“, *durch* თავსართი კი აღნიშნავს, რომ ობიექტი სრულადაა შეპყრობილი ზმნით აღნიშნული მოქმედებით

(Fleischer...1995:343). აქედან გამომდინარე, ოკაზიონალიზმს ვთარგმნით „ენებით შეპყრობილი“.

ზედსართავი სახელის უშუალო შემადგენლური სტრუქტურა საკმაოდ იშვიათად, მაგრამ მაინც შეიძლება შედგებოდეს არსებითი სახელისა და კონფიქსისაგან. მორგენშტერნის პოეზიაში ამგვარი შედგენილობის ოკაზიონალიზმებსაც ვპოულობთ, მაგალითად, *feuerfunkelfarben*. საანალიზო ოკაზიონალიზმი რამდენიმე თვალსაზრისით არის საინტერესო. ის სამი უშუალო შემადგენლისგან შედგება: არსებითი სახელი *Feuer* „ცეცხლი“, დერივაციული ზმნის „ბრწყინვა, ნაპერწკლების ყრა“ ფუძე *funkel* და კონფიქსი *farben* „ფერი“ (ამ უკანასკნელთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ, ქართულისაგან განსხვავებით, იგი გერმანულ ენაში არსებობს როგორც თავისუფალი მორფემის, ისე კონფიქსის სახით). ჯერ ერთი, რომ გერმანული ენის უზუალურ ნაწილში არსებობს სიტყვა *feuerfarben* („ცეცხლისფერი“), შესაბამისად, არ არსებობს დენოტატის სახელდების საჭიროება. მორგენშტერნი ერევა კომპოზიციის სტრუქტურაში, რომლის არსებობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას მისი სტაბილურობა წარმოადგენს და უზუალური სიტყვის ორ უშუალო შემადგენელს შორის ამატებს კიდევ ერთს, რითაც კიდევ უფრო აზუსტებს პირველი უშუალო შემადგენლის მნიშვნელობას *feuerfunkelfarben*. მოსალოდნელი იყო, რომ ახალი უშუალო შემადგენელი არსებითი სახელი იქნებოდა *Feuerfunke* – ცეცხლის ნაპერწკალი და არა ზმნის ფუძე *Feuerfunkel(t)* – ცეცხლი ბრწინავს, ნაპერწკლებს ყრის. რაც შეეხება ბოლო უშუალო შემადგენელს, ის კონფიქსია. როგორც ცნობილია, კონფიქსი *-farben* საკმაოდ პროდუქტიულად აწარმოებს ფერის აღმნიშვნელ ზედსართავ სახელებს და როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, ის, ამ თვალსაზრისით, კონვერსიაზე ბევრად ეფექტურია (Fleischer...1995:236). ოკაზიონალიზმი *feuerfunkelfarben* ენდოცენტრულია და ადვილად ექვემდებარება სემანტიზაციას.

ოკაზიონალური კომპოზიციების შემდეგი ჯგუფი, რომელსაც ჩვენს ნაშრომში გავაანალიზებთ, ზმნიზედური კომპოზიციებია. გერმანულ ენაში ზმნიზედური კომპოზიციის არსებობის უმთავრეს პირობას, ისევე როგორც სუბსტანტიური კომპოზიციებისა, წარმოადგენს მისი უშუალო შემადგენლური სტრუქტურის ბოლო შემადგენლის მორფოლოგიური კლასი – ის აუცილებლად ზმნიზედა უნდა იყოს.

პირველი განსახილველი ოკაზიონალიზმის *wennschonhin* მორფემულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ის ორი უშუალო შემადგენლისაგან შედგება: დათმობითი დამოკიდებული წინადადების კავშირი *wennschon* „თუმცა“ + მიმართულების ზმნიზედა *hin*, რომელიც, როგორც წესი, დაერთვის ზმნას და აღნიშნავს მოქმედებას, მიმართულს მოსაუბრისაგან სხვა საგნისაკენ ან პიროვნებისაკენ (Fleischer...1995:301). უნდა ითქვას, რომ ასეთი კომბინაცია, როგორც სემანტიკური, ისე სტრუქტურული თვალსაზრისით, ცოტა არ იყოს უჩვეულოა: აღნიშნული კავშირი, თავისი მნიშვნელობიდან და ფუნქციიდან გამომდინარე, ვერ ითავსებს მიმართულების ზმნიზედას. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს უკანასკნელი შემასმენლის მნიშვნელობის დასაზუსტებლად არის გამოყენებული. ტექსტის ეს ნაწილი „...zeichnet, wennschonhin mitbadauernd nebigen Betreff...“ ასე შეიძლება გამოიყურებოდეს: **zeichnet**, wennschon mitbadauernd, nebigen Begriff **hin** (“ახატავს, **თუმცა** დანანებით, მომდევნო სიტყვას...”). ჩვენ მიერ განხორციელებული ცვლილების შედეგად მიმართულების ზმნიზედა ზმნას უკავშირდება და მასთან ერთად ქმნის კომპოზიტს, რაც უფრო სწორია სიტყვაწარმოების წესების მიხედვით და უფრო ლოგიკურია გერმანული ენის კანონზომიერებებიდან გამომდინარე.

ოთხი ოკაზიონალური ზმნიზედაა წარმოდგენილი ლექსში „Blutnächte“ (“სისხლიანი ღამეები”):

„...gotthin  
 ღმერთისკენ  
erdweg  
 მიწიდან...  
 glitt sein Kuß  
 მისი კოცნა მისრიალებს  
kehlab  
 ყელიდან (ქვემოთ, ძირს)  
seelein...  
 სულში...“

ოთხივე საანალიზო ერთეული მიღებულია მარტივი არსებითი სახელისა და ზმნიზედის კომბინაციით. Gott+hin, Erd(e)+weg, Kehl(e)+ab და Seel(e)+ein. ოთხივე კომპოზიტი ენდოცენტრულია და ადვილად ექვემდებარება სემანტიზაციას „ღმერთისკენ“, “მიწიდან” („შორს მიწისაგან“), „ყელიდან (ქვემოთ, ძირს)“ და „სულში“. რადგან არსებითი სახელისა და ზმნიზედისაგან შედგენილი კომპოზი-

ტები შედარებით იშვიათია, ოკაზიონალიზმები ექსპრესიულობის მაღალი ხარისხით გამოირჩევიან. ისინი ერთჯერადი გამოყენებისათვის არიან შექმნილი, რადგან კონტექსტის გარეშე მათი მნიშვნელობის დადგენა თითქმის შეუძლებელია.

ამავე ლექსში გვხვდება ორი ზმნური ოკაზიონალიზმი. სანამ მათ ანალიზს შევუდგებოდეთ, უნდა ითქვას, რომ ზმნის შემთხვევაში სიტყვაწარმოების ცალკეული ტიპები სრულიად სხვაგვარად გამოიყენება, ვიდრე სხვა მეტყველების ნაწილებთან, რაც განპირობებულია გერმანულ ენაში ზმნის სპეციფიკური ხასიათით. რაც შეეხება კონკრეტულად კომპოზიციას, ის, როგორც ხარისხობრივად, ისე მოდულების რაოდენობის თვალსაზირობით, ნომინალურ კომპოზიციასთან შედარებით ბევრად ნაკლებად არის განვითარებული. ჩვენმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ეს ვრცელდება მორგენშტერნის პოეზიაში ჩვენ მიერ მოძიებულ ზმნურ ოკაზიონალიზმებზეც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველ რიგში, განვიხილავთ ოკაზიონალიზმებს ლექსიდან „Blutnächte“ (“სისხლიანი ღამეები”):

„Mein hohler Zahn  
ჩემი გამოსრული კბილი  
sitzt vor dem Fenster  
ზის ფანჯრის წინ  
und nachtschluchzt  
და ღამით ქვითინებს  
irrschluchzt vom Vergessen  
გიჟივით ქვითინებს  
der blauen Lippe ...  
რომ ცისფერმა ტუჩებმა დაივიწყეს...“

საანალიზო ერთეულების nachtschluchzt და irrschluchzt უშუალო შემადგენლური სტრუქტურა ბინარულია. მათი საერთო მეორე უშუალო შემადგენელი აქვთ – მარტივი ზმნა schluchzen მნიშვნელობით “სლუკუნნი”, “ქვითინი”. რაც შეეხება პირველ უშუალო შემადგენელებს, მათ როლს პირველ შემთხვევაში მარტივი არსებითი სახელი Nacht „ღამე“, მეორე შემთხვევაში კი ზედსართავი სახელი irr ასრულებს. კომპოზიტები დეტერმინაციული და ენდოცენტრულია, მათ ვთარგმნით, როგორც “ღამით ქვითინებს” და „გიჟივით ქვითინებს”. ორივე ოკაზიონალიზმი მჭიდროდაა დაკავშირებული კონტექსტთან და ექსპრესიულობით გამოირჩევა.

ისეთი კომპოზიტები, რომლებიც დეფისის დახმარებითაა ნაწარმოები, ოკაზიონალიზმებს შორისაც გვხვდება. საერთოდ, დეფისს სიტყვაწარმოებისას რამ-



დენიმე ფუნქცია ეკისრება: მაერთებელი (Durchkoppelungsbindestrich), ახსნა-განმარტებითი (Erläuterungsbindestrich) და შემავსებელი (Ergänzungsbindestrich). განმარტებითი დეფისი შეიძლება ექსპრესიის გაძლიერების მიზნითაც გამოიყენონ ისეთ კომპოზიტში, რომელიც ჩვეულებრივ ერთად იწერება (Fleischer...1995:143). ამ დროს მიმდინარეობს დეკომპოზიცია-დემოტივაციის პროცესი, ხდება კომპოზიტის უშუალო შემადგენლის ან შემადგენლების რემოტივაცია – ანუ ეტიმონის გაცოცხლება და კომპოზიტისათვის სრულიად ახალი მნიშვნელობის მინიჭება. ამ ხერხს ხშირად მიმართავენ მორგენშტერნი ოკაზიონალიზმების საწარმოებლად, რომელთა პირველი დანიშნულება სწორედ რომ ტექსტის ემოციური ეფექტის შექმნაა. პირველ რიგში განვიხილავთ ლექსში „Der Ästhet“ („ესთეტი“) მოცემულ ორ ოკაზიონალიზმს:

„Wenn ich sitze, will ich nicht  
როცა ვზივარ, არ მსურს  
sitzen wie mein Sitz-Fleisch möchte,  
ვიჯდუ ისე, როგორც ჩემს ჯდომა-ხორცს სურს  
sondern wie mein Sitz-Geist sich...  
არამედ როგორც ჩემს ჯდომა-სუფს...”

საანალიზო კომპოზიტებიდან მხოლოდ ერთი, Sitzfleisch, არსებობს გერმანულ ენაში უზუალური სიტყვის სახით; ის დეფისის გარეშე იწერება და ნიშნავს „გამძლეობა, მოთმინება, რომელიც ჯდომითი (ძირითადად, ინტელექტუალური) სამუშაოსათვის არის საჭირო“. კომპოზიტის მნიშვნელობა მთლიანად მეტაფორიზებულია. კონტექსტის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მორგენშტერნი ერევა კომპოზიტის უშუალო შემადგენლურ სტრუქტურაში, დეფისის მეშვეობით ყოფს მას ორ ნაწილად და აცოცხლებს უშუალო შემადგენელთა ეტიმონს: sitz(en) + Fleisch ანუ “ჯდომა+ხორცი”. სწორედ ამ მნიშვნელობათა ჯამით არის კომპოზიტი ტექსტში წარმოდგენილი. რაც შეეხება მეორე საანალიზო ერთეულს Sitz-Geist, ის ოკაზიონალურია და მისი წარმოება ანალოგიურ-ჰოლისტიკური პრინციპით ხდება – მორგენშტერნი უზუალური კომპოზიტის მეორე წევრს Fleisch (“ხორცი”) ანაცვლებს ანტონიმური მნიშვნელობის სიტყვით Geist (“სული”). სწორედ ეს გარემოება, ერთი მხრივ, და კონტექსტი, მეორე მხრივ, ხელს უწყობს ოკაზიონალიზმის ინტერპრეტაციას.

შემავსებელი ფუნქციით იყენებს დეფისს მორგენშტერნი ოკაზიონალიზმში Afri-od-Ameriko. ამ ფუნქციით დეფისის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ დე-

რივატებსა და კომპოზიტებში – დეფისს განათავსებენ ხოლმე რთული სიტყვის უშუალო შემადგენელთა შორის ან შედგენილი სიტყვის დერივაციის ბაზასა და დერივაციის აფიქსს შორის. ჩვენი მაგალითი თვალსაჩინოა იმით, რომ აქ სიტყვაწარმოების წესის დარღვევა ხდება: მორგენშტერნი “სარგებლობს” იმ ფაქტით, რომ კონტინენტების დასახელებებს Afrika და Amerika ერთი და იგივე დაბოლოება აქვთ (-ka) და ათავსებს რა დეფისს ამ დაბოლოების წინ, ქმნის ილუზიას, რომ აღნიშნული სიტყვების შემთხვევაში საქმე გვაქვს დერივატებთან, რომელთა დერივაციის ბაზას Afri- და Ameri ქმნიან, ხოლო დერივაციული აფიქსს – ka დაბოლოება. (ორივე კონტინენტის დასახელებაში ბოლო ხმოვანი შეცვლილია, რაც გარითმვის სურვილს უნდა მივაწეროთ):

„Der Architekt jedoch entfloh

არქიტექტორი კი გაიქცა

nach Afri – od – Ameriko.

აფრი – თუ – ამერიკაში.“

როგორც ვხედავთ, მორგენშტერნის პოეზიაში საკმაოდ მრავლად მოიძებნა კომპოზიციის წესით ნაწარმოები ოკაზიონალიზმი. შემდგომმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ისინი რაოდენობრივად ყველა სხვა ხერხით ნაწარმოებ ოკაზიონალიზმს აჭარბებენ. გარდა ამისა, ისინი სემანტიკურ და სტრუქტურულ მრავალფეროვნებასაც ავლენენ.

## **5.2. ექსპლიციტური დერივაციის წესით მიღებული ოკაზიონალიზმების სტრუქტურულ-სემანტიკური დახასიათება.**

ექსპლიციტური დერივაციის შედეგად მიღებულ სიტყვაწარმოების პროდუქტს დერივატს უწოდებენ. დერივატი შედგება ორი უშუალო შემადგენლისაგან – დერივაციის ბაზა და დერივაციის აფიქსი. დერივაციის ბაზა, რომელიც თავისუფალი მორფემა ან თავისუფალი მორფემული კონსტრუქციაა, დერივაციის აფიქსთან ერთად ქმნის სიტყვას ან სიტყვათა ჯგუფს. დერივაციის აფიქსი შეიძლება იყოს: ა) სუფიქსი ბ) პრეფიქსი გ) პრეფიქსისა და სუფიქსის კომბინაციაან დ) ცირკუმფიქსი.

პირველი განსახილველი მაგალითის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ აქ მორგენშტერნი ფორმის მაწარმოებელ სუფიქსს იყენებს სიტყვის მაწარ-

მოებელი ფუნქციით. საუბარია, **-st** ჰომოფონურ მორფემაზე, რომელიც გერმანულ გრამატიკაში განიხილება, როგორც 1. ზმნის მხოლობითი რიცხვის მე-2 პირის ნიშანი ან 2. ზედსართავი სახელის აღმატებითი ხარისხის მაწარმოებელი სუფიქსი. საანალიზო ტექსტში თერთმეტი სიტყვაა, რომელსაც ეს მორფემა ერთვის:

„Mich erfüllt Liebestoben zu dir!

მე აღმავსებს სიყვარულის სიშმაგე შენს მიმართ!

Ich bin deinst.

მე ვარ შენი (უშენესი)

als ob einst

თითქოს ოდესღაც

wir vereinigst.

ჩვენ გავერთიანებულიყავით.

Sei du meinst!

იყავი ჩემი (უჩემესი)!

Komm Liebchenstche zu mir

მოდი უსაყვარლესუნა ჩემთან

ich vergehste sonst

თორემ მოკვდები

sehnsuchtstgepeinigst.

მონატრებით დატანჯული (უდატანჯულესი).

Doch achst, achst, schwach, arm Wortleinstche ei, was-

მაგრამ ოხრავს, ოხრავს, სუსტი, საბრალო სიტყვაუნა, რა -

genug, da auch du mich liebste.

საკმარისია, რადგან შენც გიყვარვარ

Fühls, fühls ohne Worte mein Meinstlein:

იგრძენი, იგრძენი სიტყვების გარეშე ჩემო უჩემიკუნესო

Ich sehne dich Steste – st –st!

მე შენსკენ ვისწრაფი უმუდმივესად!“

საანალიზო სიტყვებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მათი უმრავლესობა გერმანული ენის ლექსიკურ მარაგშია ინტეგრირებული და როგორც თავისუფალი მორფემა არსებობს და გამოიყენება; ორი მათგანი კუთვნილებითი ნაცვალ-სახელია: dein(st) – „შენი“, mein(st) – „ჩემი“; სამი ზმნა: vereinig(st)en – „გაერთიანება“, vergeh(st)en – „გარდაცვალება“, lieb(stest)en – „სიყვარული“; სამი არსებითი სახელი: Wortlein(stche) – „სიტყვა (სიტყვუნა)“, Liebchen(stche) – „საყვარელი, ძვირფასი

ადამიანი, ძვირფასუნა“ (ამ ორ არსებით სახელში ორმაგი დიმინუციაა რეალიზებული, რაც სიტყვაწარმოებს წესების დარღვევას წარმოადგენს, ორივე ფორმა მკვეთრად ექსპრესიულია); დანაჩენი ოთხი მათგანი ოკაზიონალური ლექსიკური ერთეულია: ach(st) ნაწილაკის ბაზაზე კონვერსიის წესით მიღებული ზმნა უნდა იყოს მნიშვნელობით „ოხვრა“, „კვნესა“, Mein(st)lein – პირველი პირის მხოლობითი რიცხვის კუთვნილებითი ნაცვალსახელზე კნინობით-აღერსობითი სუფიქსის დართვით ნაწარმოები დერივაციული არსებითი სახელია, sehnsucht(st)gepeinig(s)t – სუბსტანტიური კომპოზიტისა და დერივაციული ზმნის მიმღეობა 2-ის ფორმის კომბინაციით მიღებული ზედსართავი სახელს წარმოადგენს, ხოლო Steste, ჩვენი ვარაუდით, გერმანულ ენაში არსებული ზმნიზედის stets („მუდმივად“, „ყოველთვის“) ბოლოკიდური თანხმოვნების გადაადგილებისა და შემდგომი კონვერსიის შედეგად უნდა იყოს ნაწარმოები. პირველი რვა ლექსიკური ერთეულის (dein(st), mein(st), eins(t), vereinig(st)en, vergeh(st)en, vergeh(st)en, lieb(stest)en სემანტიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ აბსოლუტურად ყველა მათგანის დენოტატი -st სუფიქსის დართვამდე და დართვის შემდეგ ერთი და იგივეა. რაც შეეხება დანარჩენ ოთხს sehnsucht(st)gepeinig(s)t, Steste, ach(st), Mein(st)lein, რომლებიც, თუ შეიძლება ასე ითქვას ორმაგად ოკაზიონალურია, აქედან მხოლოდ ერთი – ნაწილაკის ბაზაზე ნაწარმოები ზმნა achen – წარმოადგენს თვისობრივად ახალ ლექსიკურ ერთეულს.

ყოველივე ზემოთ თქმული გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ოკაზიონალიზმების წარმოებას წმინდა ემოციური ფუნქცია ენიჭება. მორგენ-შტერნი ზმნის მხოლობითი რიცხვის მეორე პირის დაბოლოებითა და ზედსართავი სახელის აღმატებითი ხარისხის სუფიქსის ჰომოფონური ბუნებით სარგებლობს, არღვევს მისი დისტრიბუციის წესებს (იყენებს მას სიტყვაწარმოებითი ფუნქციით) და ამგვარად აღწევს თავის უმთავრეს მიზანს – ტექსტის ემოციურ-ექსპრესიული შეფერილობის საფუძველზე მხატვრული ეფექტის შექმნას. გარდა ამისა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ -st სუფიქსს ამ შემთხვევაში მეორე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება – ის მონაწილეობას იღებს ტექსტის ზედაპირული სტრუქტურის ბმის ანუ კოჰერენციის რეალიზაციაში (ჩვენ ეს საკითხი დისერტაციის მეორე თავში დაწვრილებით განვიხილეთ, ამიტომ აქ მხოლოდ მოკლედ შევეხებით) და უზრუნველყოფს მის სტილურ მარკირებას და ორიგინალურობას.

იმავე ფუნქციით არის გამოყენებული დიმიინუციური სუფიქსი ლექსში „Das Geburtslied“ („დაბადების სიმღერა“), რომელშიც წარმოდგენილია ჩვიდმეტი (აქედან რამდენიმე მეორდება) ოკაზიონალური დერივატი:

„Ein Kindlein.

ბავშვუნა,

im Windelein.

სახვევუნაში

es macht schon

ის უკვე ისაქმებს (შვება)

in die Bindelein.

ჩვარუნაში.

Und um das Haus

და სახლის ირგვლივ

oh Graus, oh Graus!

ოჰ საშინელებაჲ, ოჰ საშინელებაჲ!

Da blasen

აქ დაქრიან

böse Windelein.

ბოროტი ქარუნები.

„Ein Mädelein!“

„გოგონიაა!“

ruft Hedelein

იდახის ძენძუნა

und kneift ihm

და ბწკენს მას

in die Wädelein...

კანჭუნაზე...

Doch ach am Haus

მაგრამ აჰ სახლთან

oh Graus, oh Graus!

ოჰ საშინელებაჲ, ოჰ საშინელებაჲ!

Da wackeln

ამ დროს ირყევა

alle Lädelein.

ყველა დარაბუნა.

Ein Eulelein

ბუნა

schiebts Mäulein

პირუნას კოფს

vorbei am

Fenstersäulein.

ფანჯრის სვეტუნაში

Es schreit im Haus

ის იძახის სახლში

„Oh Graus, oh Graus!

ოჰ საშინელებაჲ, ოჰ საშინელებაჲ!

Hörst Du

გესმის

die Silbergäulein?“

ვერცხლის ცხენუნასი?

Ein Würmelein

ჭიაუნა

im Stürmelein

ქარიშხალუნაში

fliegt nieder

ფრინდება დაბლა

von dem Türmelein.

კოშკუნადან.

Es sagt im Haus:

ის ამბობს სახლში:

„Es regnet drauß,

გარეთ წვიმს

so gebt mir doch

მომეცით

ein Schirmelein!“

ქოლგუნა!

O Kindelein

ბავშვუნა

im Windelein

სახვევუნაში

heut machst du noch

დღეს უკვე ისაქმებს

ins Bindelein.

ჩვარუნაში.

Doch gehst du aus

მაგრამ თუ გარეთ გახვალ

im langen Flaus

გრძელ თბილ პიჯაკში

wirst du

იქნები

ein Vagbündel sein!

მაწანწალუკა!“

წინამდებარე ტექსტში მოცემული ყველა ოკაზიონალიზმისათვის დამახასიათებელია ერთჯერადობა; არც ერთი მათგანი არ არის დაფიქსირებული სალექსიკონო ცნობარში და ამას აქვს თავისი მიზეზი: აწარმოებს რა ახალ ლექსიკურ ერთეულებს, ავტორი არ დგას ლექსიკური ხარვეზის შევსების საჭიროების წინაშე - ოკაზიონალიზმებით აღნიშნულ ყველა დენოტატს გერმანულ ენაში უკვე მოეძებნება შესაბამისი აღმნიშვნელი. საქმე ისაა, რომ სუფიქსები -lein და -el, რომელთაც მორგენშტერნი ირჩევს, დომინუციურია და, შესაბამისად, არ ემსახურება ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოქმნას; დომინუცია, როგორც ცნობილია, წარმოადგენს დერივაციული მოდიფიკაციის ერთ-ერთ ხერხს; მისი მნიშვნელობა არის დერივაციის ბაზით აღნიშნული სულიერი თუ უსულო საგნის „დაპატარავება“, „დაკნინება“, რასაც, როგორც წესი, ემოციური (დადებითი ან უარყოფითი) კონოტაციაც ერთვის. ეს გარემოება მიგვანიშნებს იმაზე, რომ ოკაზიონალიზმების წარმოება მოცემულ შემთხვევაში ისახავს მიზნად არა რაიმე ინფორმაციის მოწოდებას, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ლექსის ექსპრესიული ფონის გაზრდას. როგორც უკვე ვთქვით, მათ მოცემულ ლექსში მეორე ფუნქციაც ეკისრებათ ეს არის ტექსტის აგების ფუნქცია, კერძოდ, მისი სტილური კოჰერენციის უზრუნველყოფა.

რაც შეეხება საანალიზო ოკაზიონალიზმების სტრუქტურას, დერივაციის ბაზა თითქმის ყოველთვის მარტივი არსებითი სახელია Kind „ბავშვი“, Binde „სახვევი“, Wind „ქარი“, Hede „ძენძი“, Wade „კანჭი“, Eule „ბუ“, Maul „ცხოველის პირი“, Wurm „ჭია“, Sturm „ქარიშხალი“, Turm „კოშკი“, Schirm „ქოლგა“, ზოგ შემთხვევაში – დერივატი Laden „დარაბა“, Mädels „გოგონა“, Windel „სახვევი, ჩვარი“ ან კომპოზიტი Silbergaule „ვერცხლის ცხენი“, Fenstersäule „ფანჯრის სვეტი“, ერთხელაც მის როლს უცხოური წარმომავლობის სიტყვა Vagabund „მაწანწალა“ ასრულებს.

ჩვიდმეტი ოკაზიონალიზმიდან თექვსმეტ შემთხვევაში მორგენშტერნი -lein დიმი-  
ნუციურ სუფიქსს იყენებს მიუხედავად იმისა, რომ ის ფონოლოგიური, გეოგრა-  
ფიული თუ ტექსტუალური გავრცელების თვალსაზრისით შეზღუდულია. მაგ.,  
გერმანულ სიტყვაწარმოებაში არსებობს წესი, რომლის მიხედვითაც -(e)-ზე  
დამთავრებული სიტყვები კნინობით ფორმებს აწარმოებენ არა -lein, არამედ –  
chen სუფიქსის დახმარებით. ეს წესი ირღვევა სიტყვების Eule-lein, Fenstersäule-  
lein, Mäul-e-lein და Silbergäul-e-lein შემთხვევაში. რაც შეეხება ტექსტის სხვა ოკაზი-  
ონალიზმებს, აქაც აქვს ნორმიდან გადახრას ადგილი – გერმანული სიტყვათ-  
წარმოების კანონების თანახმად, ბოლოკიდური -e უნდა შეკვეცილიყო სიტყვებში  
Binde-lein, Hede-lein Wäde-lein. ოკაზიონალიზმი Mädelein ორმაგი დიმიანუციით არის  
მიღებული – მორგენშტერნი დიმიანუციურ დერივატს Mädel ურთავს კიდევ ერთ  
დერივაციულ სუფიქსს -lein. ტექსტში არის ერთდადერთი ოკაზიონალიზმი, რო-  
მელთანაც მორგენშტერნი სხვა დიმიანუციურ სუფიქსს იყენებს Vagabund+el.

უნდა ითქვას, რომ მორგენშტერნი ექსპრესიულობას მისაღწევად სხვა მრავალ  
ხერხს იყენებს. მათ შორისაა, მაგალითად, ცრუ ეტიმოლოგია, რომელსაც  
ის მიმართავს ლექსში „Die Nähe“ („სიახლოვე“). მთელი “ტრიუკი” აგებულია იმა-  
ზე, რომ გერმანულ ენაში არსებობს ორი ისეთი სიტყვა, როგორცაა die Nähe  
 („სიახლოვე“), die Näherin („მკერავი“) და -er ჰომოფონური დაბოლოება, რომელიც,  
ერთი მხრივ, გამოიყენება გრამატიკული ფუნქციით (აწარმოებს ზედსართავი სა-  
ხელის შედარებითი ხარისხის ფორმებს) და, მეორე მხრივ, სიტყვის მაწარმოებე-  
ლი ფუნქციით (ძირითადად, აწარმოებს პროფესიის აღმნიშვნელ მამრობითი სქე-  
სის დერივაციულ არსებით სახელებს). მორგენშტერნი აღნიშნულ ტექსტში  
გეთავაზობს არსებითი სახელის Näherin („მკერავი“) წარმომავლობის საკუთარ  
ვერსიას, რომლის მიხედვითაც ის უნდა იყოს Nähe („სიახლოვე“) სიტყვის შედა-  
რებითი ხარისხის ფორმა. რასაკვირველია, ეს ასე არ არის – Näherin არსებითი  
სახელის დერივაციის ბაზა არის ზმნა nähren („კერვა“), ხოლო Nähe ნაწარმოე-  
ბია nah ზედსართავ სახელზე -e სუფიქსის დართვით. აღსანიშნავია ასევე ის გა-  
რემოებაც, რომ გერმანულ ენაში, ისევე როგორ ქართულ და ბევრ სხვა ენაში,  
ხარისხის წარმოება აფიქსების მეშვეობით მხოლოდ ზედსართავი სახელისათვის  
არის დამახასიათებელი.

შემდეგი ოკაზიონალიზმის წარმოებისას მორგენშტერნი იყენებს ე.წ. მოვი-  
რების წესს. მოვირებას (Movierung), სხვაგვარად მოციას (Motion), გერმანულ



ლინგვისტიკაში უწოდებენ ექსპლიციტური დერივაციის ისეთ ტიპს, როდესაც გარკვეული აფიქსების დართვით ხდება ენის ლექსიკაში დამკვიდრებული მამრობითი ან მდედრობითი სქესის სიტყვების საფუძველზე საპირისპირო სქესის აღმნიშვნელი სიტყვების წარმოება.

ოკაზიონალიზმი Geigerich ლექსიდან „Der Tanz“ („ცეკვა“) ორშემადგენლიანია: დერივაციული ბაზა Geige „ვიოლინო“ და მამრობითი სქესის არსებითი სახელების მაწარმოებელი სუფიქსი -rich. აღნიშნული ოკაზიონალიზმი ადვილად ექვემდებარება თარგმანს „მევიოლინე (მამაკაცი)“. თუმცა უნდა ითქვას, რომ გერმანული ენის ლექსიკაში მოიძებნება იმავე მნიშვნელობის მქონე სიტყვა Geiger, რომელიც ასევე ექსპლიციტური დერივაციის პროდუქტს წარმოადგენს (ნაწარმოებია მაღალპროდუქტიულობით გამორჩეული -er სუფიქსის მეშვეობით). ასე რომ ოკაზიონალური დერივატის შექმნა, რომელსაც ენაში მოეძებნება სინონიმური მნიშვნელობის უზუალური სიტყვა და რომელიც ერთჯერადი გამოყენებისათვის არის „განწირული“, ენაში უკვე არსებული კონკურენტული ფორმის გამო, დიდი ალბათობით ერთადერთ მიზანს უნდა ემსახურებოდეს – ტექსტის ემოციურ-მხატვრული შეფერილობის შექმნას.

ლექსში „Anto-Logie“ („ანთო-ლოგია“) წარმოდგენილია შვიდი ოკაზიონალური დერივატი (მათ შორისაა საანალიზო ლექსის სათაურიც).

„Im Anfang lebte, wie bekannt,  
თავიდან ცხოვრობდა, როგორც ცნობილია,  
als größter Säuger der Gig-ant.  
ყველაზე დიდი ძუძუმწოვარი გიგ-ანტი.  
Wobei g i g eine Zahl ist, die  
თანაც გიგ არის რიცხვი, რომელიც  
es nicht mehr gibt, - so groß war sie!  
უკვე აღარ არსებობს, - ისე დიდი იყო იგი!  
Doch jene Größe schwand wie Rauch.  
მაგრამ ის სიდიდე კვამლივით გაქრა  
Zeit gab's genug – und Zahlen auch.  
დრო საკმარისი იყო – და რიცხვებიც.  
Bis eines Tags, ein winzig Ding,  
სანამ ერთ დღეს, ნამცეცა არსებამ,  
der Zwölf-ant das Reich empfing.  
თორმეტ-ანტმა მიიღო სამფლობელო.

Wo blieb sein Reich? Wo blieb er selbst?

სად წავიდა მისი სამფლობელო? სად წავიდა თავად ის?

Sein Bein wird im Museum gelb.

მისი ძვალი მუზეუმში ყვითლდება.

Zwar gab die gütige Natur

კეთილმა ბუნებამ მის სანაცვლოდ

den Elef-anten uns dafür.

თერთმეტ-ანტი (სპილო) გვიბოძა.

Doch ach, der Pulverpavian,

მაგრამ ეჰ, პავიანი ანუ

der Mensch, voll Gier nach seinem Zahn,

ადამიანი, მის ეშვს დახარბებული

erschießt ihn, statt ihm Zeit zu lassen,

კლავს მას იმის ნაცვლად, რომ დრო მისცეს,

zum Zehen-anten zu verblassen.

ათ-ანტად მაინც გაფერმკრთალდეს.

O „Klub zum Schutz der wilden Tiere“,

ოჰ, „გარეული ცხოველების დაცვის კლუბო“,

hilf, daß der Mensch nicht ruiniere

დაეხმარე, რომ ადამიანმა არ მოსპოს

die Sprosse dieser Riesenleiter,

ამ გიგანტური კიბის შთამომავლები

die stets noch weiter führt und weiter!

რომელსაც (კიბეს -ქ.ნ.) მუდვიმად წინ მივყავართ!

Wie dankbar wird der Ant dir sein,

როგორი მადლიერი იქნება ანტი,

läßt du ihn wachsen und gedeihn, \_

თუ აცლი გაზრდასა და განვითარებას,-

bis er dereinst im Nebel hinten

სანამ ის ნისლში

als Nulel-ant wird stumm verschwinden.

ნულელ-ანტად მდუმარედ გაუჩინარდებოდეს.“

ტექსტში ოკაზიონალიზმები – Gig-ant, Zwölf-ant, Zehen-anten, Nulel-ant, ნაწარმოებია ანალოგიურ-ჰოლისტიკური პრინციპით. ამოსავალი ერთეული გახლავთ გერმანულ ენაში ბერძნული ენიდან შემოსული სიტყვა Elefant „სპილო“. მორგენშტერნი ერევა მის სტრუქტურაში და გვიქმნის ისეთ შთაბეჭდილებას,

თითქოს ახდენდეს მისი უშუალო შემადგენლების რემოტივაციას (ამაზე თავად ამახვილებს ყურადღებას, ყოფს რა არსებით სახელს *Elefant* დეფისით; ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს, თუ შეიძლება ასე ითქვას, გრაფემულ თუ გრაფიკულ ოკაზონალიზმთან). სინამდვილეში, ის გვთავაზობს აღნიშნული ლექსიკური ერთეულის ფსევდო-მოტივაციას, სარგებლობს რა იმ გარემოებით, რომ დერივაციის ბაზა *elef* და რიცხვითი სახელი *elf* („თერთმეტი“) ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ამ ფსევდო-მოტივაციაზე აგებს მორგენშტერნი მთელს თავის ლექსს – დერივაციის პირველ უშუალო შემადგენელს ის სხვა რიცხვითი სახელებით ანაცვლებს *gig* (ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს მილიარდის ტოლ ერთეულს), *zwöl(e)f* („თორმეტი“), *zeh(e)n* („ათი“), *nul(e)n* („ნული“), ხოლო დერივაციულ სუფიქსს *-ant* იყენებს, როგორც ძირეულ მორფემას და შესაბამისად, ქმნის „დეტერმინაციულ კომპოზიტებს“, სადაც რიცხვითი სახელი უნდა მიუთითებდეს ცხოველის სიდიდეზე, ხოლო დერივაციული სუფიქსი – თავად ცხოველზე. მცდარი შთაბეჭდილების გასაძლიერებლად, ოკაზონალიზმებს ის დეფისით ყოფს (დეფისი, როგორც ცნობილია, დერივატებთან არ გამოიყენება). რაც შეეხება ზემოთ ხსენებულ სუფიქსს *-ant*, მორგენშტერნი მას ტექსტის კიდევ ორი ოკაზონალიზმის საწარმოებლად იყენებს: ეს არის კონვერსიის წესით მიღებული მარტივი არსებითი სახელი *der Ant*, რომელიც, სავარაუდოდ, უნდა აღნიშნავდეს „სპილოს მსგავს ცხოველს“ და დერივაციული არსებითი სახელი *Anto-Logie*, რომელშიც გამოიყენებულია უცხოური წარმომავლობის კონფიქსი *-logie*. ეს უკანასკნელი გერმანულ ენაში მეცნიერებების დასახელებების საწარმოებლად გამოიყენება. შესაბამისად, საანალიზო ოკაზონალიზმი უნდა გავიგოთ, როგორც მეცნიერება სპილოების შესახებ. ყველა ოკაზონალიზმი ძალზე ექსპრესიულია და მხოლოდ კონტექსტშია გასაგები, რომელშიც პირველად გამოიყენეს.

სიტყვაწარმოების ყველა წესის დაცვით აწარმოებს მორგენშტერნი ოკაზონალიზმს *Titanei* ლექსიდან “*Golch und Flubis*” („გოლხი და ფლუბისი“). საანალიზო ერთეული შედგება დერივაციის ბაზისაგან *Titan* „ტიტანი, გოლიათი“ და *-ei* დერივაციის სუფიქსისაგან, რომელიც, მართალია არცთუ ისე ხშირად, მაგრამ მაინც გამოიყენება ტოპონიმების საწარმოებლად: *Mongolei* „მონღოლეთი“, *Slowakei* „სლოვაკეთი“, *Türkei* „თურქეთი“. ოკაზონალიზმი იოლად ექვემდებარება სემანტიზაციას იმიტომ, რომ მისი მნიშვნელობა გამომდინარეობს უშუალო შემადგენელთა მნიშვნელობების ჯამიდან - ეს არის ადგილი, სადაც ტიტანები

ცხოვრობენ ანუ ტიტანეთი. საანალიზო ერთეულისათვის არ არის დამახასიათებელი ტექსტუალური მიჯაჭვულობა, თუმცა თავისი სიახლის გამო ის მაინც გამოირჩევა ენის ლექსიკურ მარაგში უკვე დამკვიდრებულ სიტყვათაგან.

საინტერესო მაგალითი გვხვდება ლექსში „Die Windbraut“ („ქარის საცოლელი“):

„v. Korf begibt sich stumm nach seinem Giebel.

ვ. კორფი მდუმარედ მიემართება თავისი ფრონტონისაკენ.

Er scheint des Götterspielens schmerzlich müde

ჩანს, რომ ღმერთების თამაშმა ტკივილამდე დაღალა

und widmet seine Wind-Inexpressibles

და უძღვნის თავის ქარისათვის გამოუთქმელ განცდებს

dem Freund, und sich erneuter Solitüde.

მეგობარს და განახლებულ სოლიტუდეს.“

ოკაზიონალიზმი Wind-Inexpressibles ყველა ნიშნის მიხედვით კომპოზიტია: მისი პირველი უშუალო შემადგენელი არის მარტივი არსებითი სახელი Wind „ქარი“. რაც შეეხება მეორე შემადგენელს, ის კომბინატორული დერივაციის შედეგად მიღებული ზედსართავისაგან კონვერსიის წესით ნაწარმოებ არსებით სახელს ჰგავს. დერივაციის ბაზა express პოლისემიურია, თუმცა კონტექსტი გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაში უნდა იყოს რეალიზებული სემა „ექსპრესიული“, „გამომხატველი“, „გამომსახველობითი“. საინტერესოა, რამდენადაა დაცული საანალიზო ერთეულში სიტყვათწარმოების წესები; სპეციალურ ლიტერატურაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ სუფიქსი –ibel აწარმოებს ზედსართავ სახელებს და ამ დროს დერივაციის ბაზის როლი შეიძლება შეასრულოს მხოლოდ და მხოლოდ –ieren სუფიქსზე დამთავრებულმა ზმნამ (Fleischer...1995:268). მოცემულ შემთხვევაში ეს ვერ მოხდებოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ზმნა expressieren გერმანულ ენაში არ არსებობს. რაც შეეხება -ibel ბოლოსართის სიტყვაწარმოებით მნიშვნელობას, მას განმარტავენ, როგორც “პოტენციურ-პასიური” (მაგ; disponibel – გამოყენებადი). პრეფიქს in-თან დაკავშირებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი ერთვის უცხოური წარმოშობის მრავალმარცვლიან ზედსართავ სახელს და აწარმოებს მის უარყოფით ფორმას. ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ოკაზიონალიზმი შეგვიძლია ვთარგმნოთ, როგორც “გამოუთქმელი”. უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ლექსიკური ერთეული

მაღალი ექსპრესიულობით გამოირჩევა და ერთჯერადი მოხმარებისთვის არის შექმნილი.

ჩვენი კვლევის შემდეგი ობიექტი ექსპლიციტური დერივაციის მეშვეობით ნაწარმოები ოკაზიონალური ზედსართავი სახელებია. უნდა ითქვას, რომ არსებით სახელებთან შედარებით, მათი რაოდენობა ბევრად მცირეა. აქ დაახლოებით იგივე შესაბამისობაა, რაც ზოგადად ჩვეულებრივ (არაოკაზიონალურ) დერივატ არსებით სახელებსა და ზედსართავ სახელებს შორის. პირველი განსახილველი მაგალითი არის ლექსიდან “Berliner Mägde am Sonnabend” („ბერლინელი მოსამსახურე ქალები შაბათობით):

„Sie hauen mit splitternden Rohren  
ისინი ურტყამენ მსხვრევადი ჯოხებით  
im infernalischen Takt.  
დემონურ ტაქტში.  
Die vorderhäuslichen Ohren  
წინასახლისეული ყურები  
nehmen davon nicht Akt.  
ამას ყურადღებას არ აქცევენ.“

განსახილველი ოკაზიონალიზმის დერივაციის ბაზა კომპლექსურია – ის წარმოდგენლია საშუალო სქესის სუბსტანტიური კომპოზიტით Vorderhaus მნიშვნელობით „სახლის ფასადი“. ამ უკანასკნელს ერთვის დერივაციის სუფიქსი -lich, რომელიც -isch და -ig სუფიქსებთან ერთად „ზედსართავული სიტყვაწარმოების კონსტრუქციების 40% აწარმოებს“ (Fleischer...1995:260) და ამგვარად, ერთიერთი ყველაზე პროდუქტიული სუფიქსია. მოცემულ შემთხვევაში რეალიზდება მისი ძირითადი სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობა, ამოსავალი ერთეულით აღნიშნული პირისადმი ან საგნისადმი კუთვნილება. გარდა იმისა, რომ ოკაზიონალიზმი სიტყვაწარმოების ყველა წესის დაცვითაა ნაწარმოები, მის სემანტიზაციას ხელს უწყობს გერმანული ენაში ინტეგრირებული ზედსართავი სახელი häuslich („სახლის“, „შინაური“, „ოჯახური“). არ არის გამორიცხული, რომ ოკაზიონალიზმი სწორედ მისი ანალოგიით აწარმოეს.

შემდეგი განსახილველი სიტყვა kosmo-logisch გერმანული ენის ლექსიკის უზუალურ ნაწილს მიეკუთვნება, თუმცა ის, ჩვეულებრივ, დეფისის გარეშე იწერება:

„Durch die Gassen oder im Gefilde  
ქუჩებსა და მინდვრებში

wandert Palmström, wenn die Wolke fällt,  
მოგზაურობს პალმშტრომი, როცა ღრუბელი გამონდება  
und erfreut sich am Menschenbilde,  
და ხარობს ადამიანის არსებით,  
das sich kosmo-logischer verhält.

რომელიც უფრო კოსმო-ლოგიკურად იქცევა.“

ყველაზე საინტერესო არის ის, რომ დეფისი არ ყოფს დერივაციის ბაზასა და დერივაციის აფიქსს, რადგან მაშინ ის უნდა დასმულიყო -isch სუფიქსის წინ kosmolog-isch. დეფისს მორგენშტერნი აქ იყენებს განმარტებითი ფუნქციით – ის ახდენს დერივაციის დესტრუქტურიზაციას, იყენებს დეფისს, რითაც მიგვითითებს იმაზე, რომ ლექსიკური ერთეული კომპოზიტია და გვთავაზობს მის ფსევდომოტივაციას. საქმე იმაშია, რომ აღნიშნული სიტყვის დეფისით გამოყოფილი მეორე ნაწილი logisch (რომელიც წარმოადგენს კონფიქსისა და ზედსართავი სახელის მაწარმოებელი სუფიქსის კომბინაციას – log + isch) ემთხვევა გერმანული ენის ლექსიკაში არსებულ თავისუფალ მორფემას logisch მნიშვნელობით „ლოგიკური“. ოკაზიონალიზმი მაღალი ექსპრესიულობით გამოირჩევა, თუმცა კონტექსტის დახმარებით მისი სემანტიზაცია ნამდვილად არ წარმოადგენს პრობლემას.

ჩვენი შემდგომი კვლევის ობიექტი ზმნიზედური დერივატებია. ერთხელ უკვე მივუთითეთ იმ გარემოებაზე, რომ ზმნიზედის სიტყვათწარმოებითი შესაძლებლობები ბევრად ჩამორჩება არსებითი თუ ზედსართავი სახელებისა და ზმნის შესაძლებლობებს. ეს გამოიხატება, მაგალითად, იმით, რომ პრეფიქსალური დერივაცია ზმნიზედას საერთოდ არ გააჩნია. რაც შეეხება სუფიქსალურს, ისიც ნაკლებადაა განვითარებული და როგორც ლინგვისტები აღნიშნავენ, ეს უკანასკნელი ფორმალურ-სტრუქტურულად და სემანტიკურად კომპოზიციისაგან ძნელად გამოსარჩევია. ეს მდგომარეობა პირდაპირპროპორციულად აისახება ოკაზიონალური ზმნიზედების რაოდენობაზე მორგენშტერნის პოეზიაში.

პირველი მაგალითი არის ლექსიდან „Unter Schwarzkünstlern“ („ჯადოქრებს შორის“):

„Eines Mittags las man:  
ერთ შუადღეს წაიკითხავდით:  
„Pfffe zu mieten gesucht!  
ვიჭირავებ სტვენებს!  
Hundertweis zu jedem Preis!  
ასობით, ნებისმიერ ფასად!“

ოკაზიონალიზმში *hundertweis* გამოიყოფა დერივაციის ბაზა, რაოდენობითი რიცხვითი სახელი *hundert* „ასი“ და ზმნიზედის მაწარმოებელი სუფიქსი *-weise* (ბოლოკიდური ხმოვანი შეკვეცილია), რომელიც თანამედროვე გერმანულ ენაში ზმნიზედის მაწარმოებელ ყველაზე პროდუქტიულ მოდელებში მონაწილეობს (Wilmanns 1899:634). თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სუფიქსი *-weise* ერთვის დერივაციის ბაზის როლში გამოსულ არსებით სახელს, ზედსართავ სახელს და იშვიათად ზმნას (Fleischer...1995:288), მაგრამ არასოდეს რიცხვით სახელს. ანუ მორგენშტერნი აქაც არღვევს სიტყვაწარმოების წესებს, ქმნის დერივაციის ბაზისა და აფიქსის უჩვეულო კომბინაციას, რითაც აღწევს კიდევ ემოციურ ეფექტს. ოკაზიონალიზმი უპრობლემოდ ითარგმნება ქართულად როგორც „ასობით“.

მეორე ოკაზიონალიზმი *höllwärts* სიტყვაწარმოების ყველა წესის დაცვითაა მიღებული. აქ დერივაციის ბაზას ქმნის მდედრობითი სქესის არსებითი სახელი *Hölle* „ჯოჯოხეთი“, რომელსაც ერთვის სუფიქსი *-wärts*. ამ უკანასკნელის სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობა არის „ბაზით სახელდებული საგნისაკენ, საგნის მიმართულებით“. ოკაზიონალიზმი ადვილად ექვემდებარება თარგმანს:

„Doch kaum er dreimal es gehört,  
სამჯერაც არ მოესმინა  
da war sie ihm zum Ekel schon, \_  
უკვე ეზიზღებოდა  
und höllwärts warf er, tief empört  
და ჯოჯოხეთისაკენ მოისროლა მან, ძლიერ  
აღშფოთებულმა  
den Satan samt dem Grammophon.  
სატანა, გრამოფონთან ერთად.“

ჩვენი შემდგომი ინტერესის საგანს წარმოადგენენ ზმნური დერივატები. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ნომინალური და ზმნური სიტყვათწარმოება მრავალი ასპექტით განსხვავდება ერთმანეთისაგან, რის მიზეზად დავასახელებთ მჭიდრო კავშირი ზმნის სინტაქსსა და სიტყვათწარმოებას შორის. უნდა ითქვას, რომ ეს ასევე აისახება ოკაზიონალური ზმნური დერივატების წარმოებაზე.

პირველი მაგალითი ავიღეთ ლექსიდან „Tierisches Gemälde“:

„Zwei Bellmaschinen (nach Descartes)  
ორი მყეფავი მანქანა (დეკარტეს მიხედვით)  
bebellen eine Singmaschine.

დაეფენ მომდერალ მანქანას.“

საანალიზო სიტყვაში *bebelen* გამოიყოფა დერივაციის ბაზა – ზმნა *bellen* მნიშვნელობით „ყევა“, ხოლო დერივაციის აფიქსის როლში გამოდის ზმნის მოუცილებად თავსართი *be-*. ამ უკანასკნელის ძირითად ფუნქციად ითვლება, საბაზო ზმნის სინტაქსური მოდიფიკაცია რაიმე მნიშვნელოვანი სემანტიკური ცვლილების გარეშე (Fleischer ...1995:320). ჩვენს შემთხვევაში ადგილი აქვს ზმნის გარდამავლობის ცვლას: *bellen* გარდაუვალი ზმნაა, ხოლო ოკაზიონალიზმი *bebelen* – გარდამავალია. იგი ყველა წესის დაცვითაა მიღებული, ნაკლები ექსპრესიულობით გამოირჩევა და არც მჭიდრო ტექსტუალურ დამოკიდებულებას ავლენს.

ზემოთ ერთხელ ვისაუბრეთ დეფისის სხვადასხვა ფუნქციაზე კომპოზიტებთან. კომპოზიტურ ოკაზიონალიზმებზე დაკვირვებამ, რომლებშიც დეფისი (ოკაზიონალურად) არის გამოყენებული, გვიჩვენა, რომ ისინი ექსპრესიულობის მაღალი ხარისხით გამოირჩევიან. კიდევ უფრო იზრდება მხატვრულ-ემოციური კონტაცია დერივაციული ოკაზიონალიზმების შემთხვევაში, რაც, ჩვენი აზრით, განპირობებულია იმ გარემოებით, რომ დერივატებთან, როგორც წესი, დეფისი არ გამოიყენება (კომპოზიტისაგან განსხვავებით, დერივატი შედგება არა ორი ძირითადი, არამედ ერთი ძირითადი და ერთი ბმული მორფემისაგან, რაც გამორიცხავს დეფისის გამოყენებას). ასეთ შემთხვევაში იქმნება მოულოდნელობის ორმაგი ეფექტი: ჯერ ერთი, რომ რეციპიენტი ტექსტში აწყდება ახალ სიტყვას, რომელიც მის ლექსიკურ მარაგში არ მოიძებნება და მეორეც, ეს სიტყვა დეფისითაა გაყოფილი, რაც ეწინააღმდეგება რეციპიენტის გამოცდილებას დერივატებთან დაკავშირებით. თუმცა ვფიქრობთ, რომ აქ დეფისს სხვა როლიც ეკისრება; კერძოდ, მისი მეშვეობით ტექსტის პროდუცენტი გვიჩვენებს, როგორ აწარმოა ახალი ლექსიკური ერთეული და მიგვითითებს, როგორ უნდა გავიგოთ ის. დეფისით გაყოფილი დერივატის მაგალითს ვპოულობთ ლექსში „Scholastikerproblem [III]“ („სქოლასტიკოსის პრობლემა [III]“):

„Kann ein Engel Berge steigen?

შეუძლია ანგელოს მთებზე ასვლა?

Nein. Er ist zu leicht dazu...

არა. ის მეტისმეტად მსუბუქია ამისათვის...

Lockt ihn dennoch dieser Sport,

თუ მას მაინც იზიდავს ეს სპორტი,

muß er wieder sich ver-erden...



კვლავ უნდა გამიწიერდეს...  
und ein Menschenfräulein werden  
და გახდეს ადამიანი ქალიშვილი/“

საანალიზო სიტყვაში ver-erden გამოიყოფა დერივაციის ბაზა, მარტივი არსებითი სახელი Erde „მიწა“ და დერივაციის აფიქსი ver-, რომელიც მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილია მნიშვნელობით „მოქმედების სრულყოფილად, თავიდან ბოლომდე შესრულება“. კონტექსტიდან ირკვევა, რომ დერივატი მეტაფორიზებულია. ამიტომ მისი სემანტიზაციისათვის უშუალო შემადგენელთა მნიშვნელობების შეჯამება არ არის საკმარისი, აქ აუცილებელია კონტექსტის მოშველიებაც. საბოლოოდ ოკაზიონალიზმი ვთარგმნეთ როგორც „გაადამიანება“.

კომბინატორული დერივაციის ნიმუშს ვპოულობთ ლექსში „Das Nilpferd“ („ბეჰემოტი“).

„...Worauf es flugs von den Ästheten  
რის გამოც ის ესთეტიკმა სასწრაფოდ  
als Wappentier ward auserbeten.  
გამოითხოვეს გერბის ცხოველად.“

საანალიზო სიტყვა auserbeten მიღებულია ზედსართავი სახელის მაწარმოებელი არაპროდუქტიული მოდელის მიხედვით, რომელსაც აქვს ზმნის მიმდევარის სტრუქტურა, თუმცა შესაბამისი ზმნის საწყისი ფორმა ენაში არ არსებობს (Fleischer...1995:275). ოკაზიონალიზმი გერმანული სიტყვაწარმოების ყველა წესის დაცვით არის მიღებული, მაგრამ ის მაინც ავლენს ერთ თავისებურებას – აღნიშნულ ტექსტში ის გამოყენებულია არა როგორც ზედსართავი სახელი, არამედ როგორც ზმნა. ვინაიდან ახალი ლექსიკური ერთეული მეტაფორიზებული არ არის, მისი მნიშვნელობა შეესატყვისება დერივაციის ბაზისა და აფიქსების მნიშვნელობას. შესაბამისად, ჩვენ მას ვთარგმნით, როგორც „რაიმეს თხოვნა, გამოთხოვა“.

როგორც ვხედავთ, ექსპლიციტური დერივაცია, როგორც პრეფიქსალური, ისე სუფიქსალური და კომბინატორული, საკმაოდ ხშირად გამოიყენება მორგენ-შტერნის პოეზიაში ოკაზიონალიზმების საწარმოებლად.

### 5.3. კონვერსიის წესით მიღებული ოკაზიონალიზმების სტრუქტურულ-სემანტიკური დანახილვა.

კონვერსია გულისხმობს ცალკეული სიტყვების, სიტყვათა ჯგუფებისა და თუ მთელი წინადადებების სინტაქსურ ტრანსპოზიციას ფუძისეული ხმოვნის შეცვლის ან აფიქსების დართვის გარეშე შემდგომი სემანტიკური განვითარებისა და ლექსიკალიზაციის პერსპექტივით. კონვერსიის შედეგად მიღებული სიტყვა-წარმოების პროდუქტი არის მეორადი მარტივი სიტყვა, თუ კონვერსიის ბაზა მარტივი სიტყვაა და – მეორადი მორფემული კონსტრუქცია, თუ კონვერსიის ბაზა კომპლექსურია (Fleischer...1995:48). კონვერსიის შედეგად მიღებული ლექსიკური ერთეული შეიძლება იყოს არსებითი სახელი, ზმნა, ზედსართავი სახელი. სხვა მეტყველების ნაწილების წარმოება კონვერსიის წესით ძალიან იშვიათად ან საერთოდ არ ხდება. კონვერსიის ბაზად ხშირად გამოიყენება ზმნის სხვადასხვა ფორმა, ასევე არსებითი და ზედსართავი სახელები, ნომინალური სიტყვათა ჯგუფები, ზოგჯერ მთელი წინადადებებიც, უფრო იშვიათად – ნაცვალსახელები, რიცხვითი სახელები, ზმნიზედები, წინდებულები, კავშირები.

ჩვენ გადავწყვიტეთ, მორგენშტერნის პოეზიიდან მოპოვებული ოკაზიონალიზმების მაგალითები დაგვეჯგუფებინა იმის მიხედვით, თუ რა მეტყველების ნაწილს წარმოადგენს კონვერსიის პროდუქტი (და არა იმის მიხედვით, თუ რომელი მეტყველების ნაწილია გამოყენებული კონვერსიის ბაზის როლში). პირველ ჯგუფში გავაერთიანეთ კონვერსიის წესით მიღებული არსებითი სახელები. ვინაიდან სიტყვაწარმოების ეს ტიპი უპირატესად სწორედ არსებითი სახელის საწარმოებლად გამოიყენება, მრავალრიცხოვანია საანალიზო ოკაზიონალური არსებითი სახელების რიცხვიც, თუმცა ჩვენ მხოლოდ საინტერესო შემთხვევებს განვიხილავთ.

კონვერსიის სამ პროდუქტს ვპოულობთ ლექსში „Die Brille“ („სათვალი“):

„Korf liest gerne schnell und viel,

კორფი სიამოვნებით კითხულობს სწრაფად და ბევრს

darum widert ihn das Spiel

ამიტომ სძულს ყოველგვარი თამაში

all des zwölfmal Unerbetnen.

თორმეტჯერ არასასურველის

Ausgewalzten, Breitgetreten.

გაზვიადებულის, გამონხრეკილის.

სამივე საანალიზო ერთეული გერმანული ენის ლექსიკაში ინტეგრირებული ზმნების მიმღობა 2-ის ფორმის კონვერსიას წარმოადგენს. მორფემული ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ სიტყვა *Unerbetene(n)* პრეფიქსალური დერივატის *erbitten* („თხოვნა“) მიმღობა 2-ის ფორმაზე *un* თავსართის დართვით მიღებული ზედსართავი სახელია და „არასასურველს“ ნიშნავს. მეორე განსახილველი ოკაზიონალიზმის ბაზასაც პრეფიქსალური დერივატის *auswalzen* („გაბერვა“, „გაზვიადება“) მიმღობა 2-ის ფორმა ქმნის მნიშვნელობით „გაზვიადებული“, „გაბერილი“. რაც შეეხება კონვერსიის მესამე პროდუქტს, აქ მოხდა ზმნური კომპოზიტის *breittreten* მიმღობის ფორმის გაარსებითება, რის შედეგადაც მივიღეთ სიტყვა *Breitgetretene*. კონვერსიის ბაზა პოლისემიურია, თუმცა კონტექსტზე დარდნობით ირკვევა, რომ მოცემულ შემთხვევაში აქტიურია სემა „საჭიროების გარეშე რაიმეს (ინფორმაციის, ხმების) გავრცელება“; შესაბამისად, კონვერსიის პროდუქტის ვთარგმნით, როგორც „დაწვრილებით განხილული“. სამივე ოკაზიონალიზმთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ასეთი კონვერსიის პროდუქტები, როგორც წესი, ინარჩუნებენ საბაზო ერთეულის მნიშვნელობას. შესაბამისად, ისინი წარმოადგენენ *Nomina patientis* ანუ პაციენსურ, სამოქმედო სახელს და, როგორც მიმღობის ფორმისაგან ნაწარმოები ყველა უსულო სახელი, სამივე მათგანი საშუალო სქესისაა. ახალი ლექსიკური ერთეულები არ ავლენენ მჭიდრო ტექსტუალურ დამოკიდებულებას და არც ექსპრესიულობის მაღალი ხარისხით გამოირჩევიან.

სიტყვაწარმოების ყველა წესის დაცვითაა ნაწარმოები კონვერსიის პროდუქტი *Verzagte*, რომელიც მიღებულია პრეფიქსალური დერივატის *verzagen* მიმღობა II-ის ფორმის გაარსებითებით. გავითვალისწინეთ რა, ერთი მხრივ, ამოსავალი ერთეულის ძირითადი სემა „მხნეობის, საკუთარი თავის რწმენის დაკარგვა, სულით დაცემა“ და მეორე მხრივ, კონვერსიის პროდუქტის სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობა, საანალიზო ოკაზიონალიზმი ვთარგმნეთ, როგორც „მხნეობადაკარგული“. ტექსტის შესაბამისი მონაკვეთი ასე გამოიყურება:

„Innig stellt er den Verzagten,

ის გულწრფელად წარმოადგენს მხნეობადაკარგულს

der ins Korn sie warf, sich vor

რომელმაც ის მარცვლეულში ჩააგდო

und beklagt ihn

და ეცოდება ის

von Herzen.

გულით.“

ამავე ლექსში ვხვდებით მეორე ოკაზიონალიზმს Zage. განსახილველი ერთეული საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ის კონვერსიის წესით არის მიღებული ისევე, როგორც ზემოთ განხილული სიტყვა Verzagte და, რაც მთავარია, კონვერსიის ორივე პროდუქტს სემანტიკურად იდენტური ძირეული საბაზისო მორფემა აქვს. კერძოდ, ეს არის მარტივი ზედსართავი სახელი zag „გაუბედავი, მშიშარა“, რომელსაც მორგენშტერნი ყველა წესის დაცვით აქცევს მამრობითი სქესის არსებით სახელად. მიღებული სიტყვაწარმოების პროდუქტი მეორადი მარტივი სიტყვაა, ის არ განიცდის მეტაფორიზაციას და ადვილად ექვემდებარება სემანტიზაციას. ჩვენ მას ვთარგმნით, როგორც „ლაჩარი“.

მორგენშტერნის პოეზიაში მოგვეპოვება მიმღეობა I-ის ბაზაზე ნაწარმოები არსებითი სახელები. ასეთია, მაგალითად, Fühlender ლექსიდან „Palmström“ („პალმშტრომი“):

„Und kein Fühlender wird ihn verdammen,

და არც ერთი მგრძნობიარე მას არ დაწვევლის,

weil er ungeschneuzt entschreitet.

ის, რომ ცხვირმოუხოცავად მიდის.“

კონვერსიის ბაზას წარმოადგენს fühlen მარტივი ზმნის მიმღეობის ფორმა. fühlen სიტყვას ორი მნიშვნელობა აქვს: 1. გრძნობისმიერი ორგანოებით აღქმა; 2. სულიერად განცდა, გრძნობა. როგორც ცნობილია, მიმღეობა I-ის ბაზაზე ნაწარმოები კონვერსიის პროდუქტები ინარჩუნებენ ამოსავალი ერთეულის მნიშვნელობას და აღნიშნავენ Nomina agentis ანუ მოქმედ პირს, აგენსს. შესაბამისად, განსახილველი ოკაზიონალიზმის ზუსტი თარგმანი იქნება „მგრძნობელი“.

ზოგჯერ ბაზა, რომლისგანაც ხდება კონვერსიის წესით ახალი სიტყვის წარმოება, ენის სიტყვათა მარაგში ინტეგრირებული არ არის ანუ ოკაზიონალურია. ასეთ დროს კონვერსიის პროდუქტი მიიღება ერთბაშად ორი სიტყვაწარმოებითი ოპერაციის შედეგად. ამის ნიმუშად გამოდგება ოკაზიონალიზმი Tellerhafte:

„Das Tellerhafte kommt heran

თეფშისებრი მიახლოვდება

auf sieben Gänsefüßen –

შვიდი ბატისებრი ფეხით

Das Tellerhafte kommt heran,

თეფშისებრი მიახლოვდება

mein Dasein zu entsüßen.

სიცოცხლე რომ გამიმწაროს.“

საანალიზო სიტყვა მიღებულია საკმაოდ პროდუქტიული მოდელის მიხედვით – არსებით სახელს Teller „თეფში“ + ზედსართავი სახელის მაწარმოებელი სუფიქსი -haft მნიშვნელობით „საბაზისო ერთეულით აღნიშნულის მსგავსი, მისი ტიპის“. ოკაზიონალური ზედსართავი სახელისაგან tellerhaft მორგენშტერნი კონვერსიის მეშვეობით აწარმოებს საშუალო სქესის არსებითი სახელს Tellerhafte, რომელიც, როგორც კონვერსიის პროდუქტთა უმრავლესობა, ინარჩუნებს კონვერსიის ბაზის მნიშვნელობას. შესაბამისად, მისი თარგმანი იქნება „თეფშისებრი“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკმაოდ ხშირია ზმნის, ზედსართავი და არსებითი სახელების გამოყენება კონვერსიის ბაზად, ხოლო სხვა მეტყველების ნაწილების კონვერსია იშვიათად ხდება და, როგორც წესი, კონვერსიის პროდუქტები ოკაზიონალურია. ოკაზიონალურად მიჩნეულია, მაგალითად, ნაცვალსახელების, რიცხვითი სახელების, ზმნიზედების, წინდებულებისა და კავშირების კონვერსია (Fleischer...1995:126). ასეთ მაგალითებსაც ვპოულობთ მორგენშტერნის პოეზიაში.

კონვერსიის ორი ოკაზიონალური პროდუქტი die Seinen და die Ihren გვხვდება ერთ-ერთ უსათაურო ლექსში. ამჯერად მორგენშტერნი კონვერსიის ბაზად იყენებს კუთვნილებით ნაცვალსახელებს – მამრობითი და საშუალო სქესის მხოლოდობითი რიცხვის მესამე პირის ნაცვალსახელს sein და მრავლობითი რიცხვის მეორე პირის ნაცვალსახელს ihr. მათ ბაზაზე მიღებული ორივე არსებითი სახელი ტექსტში მრავლობითი რიცხვის ფორმითაა მოცემული. ოკაზიონალიზმები არ გამოირჩევა ექსპრესიულობით და ადვილად ექვემდებარება სემანტიზაციას:

„Es kommen zu Palmström heute

დღეს პალმშტრომთან

die wirklich praktischen Leute....

ნამდვილად პრაქტიკული ხალხი მოდის

Sie klopfen ihm auf den Rücken

ისინი მას ზურგზე ხელს უთათუნებენ

und in sehr vielen Stücken –

და ძალიან ბევრ რაიმეში -

so sagen sie \_ ganz die Seinen...

ამბობენ ისინი, რომ მთლიანად მისიანები არიან

Sie schütteln besorgt die Köpfe...

ისინი შეშფოთებული აქნევენ თავებს...

Sie hoffen zu postulieren:

მათ იმედი აქვთ, რომ მოახდენენ იმის პოსტულირებას

er wird noch einer der Ihnen...

ის გახდება ერთ-ერთი მათთაგანი...“

ძალზე იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ კავშირებმაც შეიძლება შეასრულოს კონვერსიის ბაზის ფუნქცია. როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, ამგვარად ნაწარმოები კონვერსიის პროდუქტები მეტწილად ფრაზეოლოგიურ წყვილს წარმოადგენენ. სწორედ ასეთი ფორმით გვხვდება გაარსებითებული კავშირი „Wenn“ ლექსში „Die Wissenschaft“ („მეცნიერება“):

„So beschließen beide denn

ამიტომ ორივემ გადაწყვიტა

nach so manchem Doch und Wenn

ამდენი “ნეტავ“-ის და “რთმ“-ის მერე

sich mit ihren Theorien

თავიანთი თეორიებით

vor die Wissenschaft zu knien.

მეცნიერების წინაშე მუხლი მოედრიკათ.“

ოკაზონალიზმის „das Wenn“ კონვერსიის ბაზას წარმოადგენს პოლისემიური და მრავალფუნქციონალური კავშირი „wenn“. ის გამოიყენება კავშირის ფუნქციით დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში („როცა“, „როგორც კი“), პირობით დამოკიდებულ წინადადებაში („იმ პირობით, რომ“, „იმ შემთხვევაში, თუ“) და დათმობით დამოკიდებულ წინადადებაში („თუმცა“). გარდა ამისა, ის კავშირის ფუნქციას ასრულებს სურვილის დამოკიდებულ წინადადებაში (Wunschsatz), სადაც „doch“ ან „nur“ ნაწილაკებთან კომბინაციაში ზრდის გამონათქვამის ემოციურ ეფექტს და იძენს მნიშვნელობას „ნეტავ“. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზემოთ მოცემულ ტექსტში, სადაც აღნიშნული კავშირის სწორედ doch ნაწილაკთან ერთად შემოდის, ის სწორედ თავისი უკანასკნელი ფუნქციაა გააქტიურებული. შესაბამისად, ტექსტის აღნიშნულ მონაკვეთს

შემდეგნაირად ვთარგმნით: „ამდენი “ნეტავ”-ის და “რომ”-ის მერე ორივემ გადაწყვიტა თავის თეორიებით მუხლი მოედრიკათ მეცნიერების წინაშე“.

შემდეგი საანალიზო ოკაზონალიზმის „(das) Oder und Entweder“ კონვერსიის ბასას წარმოადგენს მაერთებელი კავშირები oder და entweder, რომლებიც ორშემადგენლიან კავშირთა რიცხვს მიეკუთვნება (ანუ წინადადებაში ყოველთვის ერთად არიან წარმოდგენილი) და ალტერნატივის გამოსატვის ფუნქცია ეკისრება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ კავშირების კომბინაცია მიუთითებს იმაზე, რომ კონტექსტში მოცემულ შესაძლებლობათაგან მხოლოდ ერთია რეალიზებადი. საანალიზო ტექსტში კონვერსიის პროდუქტებს შენარჩუნებული აქვთ თავისი მნიშვნელობა:

„... Womit gemeint war, daß ein jeder,

... რითაც იგულისხმებოდა, რომ ყოველი მათგანი

zumal betrifft Philosophie,

მით უმეტეს ფილოსოფიაში

im ganzen Oder und Entweder

საქმის მთელ „ან“ ასეში „ან“ ისეში

der Sache wie zu Hause sei.

შესანიშნავად ერკვეოდა.“

კონვერსიის პროდუქტი მაღალი ექსპრესილობითა გამოირჩევა. ეს გვაფიქრებინებს, რომ სწორედ ემოციური ფონის შემქნა იყო მიზეზი, რის გამოც მორგერნშტერნმა უარი თქვა თავის ლექსში ენაში უკვე დამკვიდრებული, იმავე ბაზაზე ნაწარმოები უზუალური სიტყვის (das) Entweder-Oder გამოყენებაზე.

საინტერესო შემთხვევას ვაწყდებით ლექსში „Der heilige Pardauz“ („წმინდა პარდაუცი“):

„Im Inselwald „Zum stillen Kauz“,

კუნძულტყეში „წყნარ ბუსთან“

da lebt der heilige Pardauz.

ცხოვრობს წმინდა პარდაუცი

Er lebt im Wald „Zum stillen Kauz“,

ის ცხოვრობს ტყეში „წყნარ ბუსთან“  
 und schon sein Vater hieß Pardauz.  
 და ჯერ კიდევ მამამისს ერქვა პარდაუცი  
 Dort betet er für dich, mein Kind,  
 იქ ლოცულობს ის შენთვის, ჩემო პატარავ,  
 weil du und andre Sünder sind....  
 რადგან შენ და სხვები ცოდვილები ხართ...“

საანალიზო ერთეულის Pardauz კონვერსიის ბაზას შორისდებული წარმოადგენს, რომელიც დუდენის ლექსიკონში ასეა განმარტებული: „გაოცების წამოძახილი, როცა ვინმე ან რაიმე მოულოდნელად დაეცემა ან დავარდება.“ ოკაზიონალიზმი ტექსტში გამოყენებულია როგორც მამრობითი სქესის არსებითი სახელი და აღნიშნავს წმინდანს, რომელიც ცოდვილ ადამიანებს იცავს დახრჩობის, დაწვისა და სხვა მრავალი უეცარი საფრთხისაგან. როგორც ვხედავთ, განსახილველი ერთეული მთლიანად იდიომატიზებულია. ერთადერთი სემა, რომელიც ამოსავალ ერთეულსა და მისგან ნაწარმოებ კონვერსიის პროდუქტს საერთო აქვთ, არის „მოულოდნელობის“ სემა. თუმცა, რამდენადაც ის არ წარმოადგენს აღნიშნული სიტყვების ძირითად სემანტიკურ ერთეულს, მორგენშტერნი კი საბაზისო მორფემის ფსევდომოტივაციას მიმართავს, ახალი ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობის გარკვევის ერთადერთი გზაა რჩება – კონტექსტი. ოკაზიონალიზმი ერთჯერადი გამოყენებისათვის არის შექმნილი და მისი ძირითადი ფუნქცია ტექსტში ემოციური ფონის შექმნაა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონვერსიის ბაზად თითქმის ყველა მეტყველების ნაწილის გამოყენებაა შესაძლებელი, თუმცა გერმანულ სიტყვაწარმოებაში არ დასტურდება ამ როლში დერივაციული აფიქსების გამოყენება. შესაბამისად დიდია მოულოდნელობის ეფექტი, როცა რეციპიენტი სწორედ აფიქსის არსებით სახელად ტრანსპოზიციის მაგალითს პოულობს მოცემულ ტექსტში:

„Wie dankbar wird der Ant dir sein,  
 რა მადლობელი იქნება ანტი,  
 läßt du ihn wachsen und gedeihn,-...  
 თუ მისცემ ზრდისა და განვითარების ნებას, -...,,

ოკაზიონალიზმი Ant, რომლის კონვერსიის ბაზას ლათინური წარმომავლობის სუფიქსი ქმნის (ის გერმანულ ენაში ძირითადად მამრობითი სქესის სუფიერ არსებით სახელებს აწარმოებს) მჭიდრო ტექსტუალურ დამოკიდებულებას ავლენს. მისი სემანტიზაცია მთლიანად კონტექსტზეა დამოკიდებული, რომე-



ლიც ჩვენ ზემოთ უფრო დაწვრილებით განვიხილეთ და რომელშიც, აღნიშნული ერთეულის გარდა, კიდევ რამდენიმე ოკაზიონალიზმია წარმოდგენილი. ოკაზიონალიზმი Ant, სხვა ფუნქციებთან ერთად, ტექსტის ლოგიკურ-შინაარსობრივი და სტილური ბმის განხორციელების ფუნქციასაც ითავსებს.

სანამ შემდეგი ოკაზიონალიზმის ანალიზს შევუდგებოდეთ, გვსურს აღვნიშნოთ, რომ კონვერსიის ბაზა შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც სხვადასხვა სახის დერივატებითა და კომპოზიტებით, ისე სიტყვათა ჯგუფებითა და მთელი წინადადებებითაც კი.

სიტყვათა ჯგუფების კონვერსია, ისევე როგორც სიტყვათა ჯგუფების დერივაცია, დაკავშირებულია უნივერსაციასთან ანუ სიტყვათშერწყმასთან. თეორიულად შესაძლებელია სიტყვათა ჯგუფის ნებისმიერი სახეობის კონვერსია:

1. ზმნური სიტყვათა ჯგუფებისა, რომელშიდაც შედის, მაგალითად, ორი ინფინიტივის, ზმნის ანალიტიკური ფორმების, ზმნისა და ზმნიზედის, ზმნისა და ზედსართავი სახელის, ზმნისა და დამატების, ასევე სხვა კონსტრუქციების კონვერსია;

2. სახელურ სიტყვათა ჯგუფების (მაგ., ნაცვალსახელი + არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი, წინდებული + არსებითი სახელი) კონვერსია

3. ზედსართავული სიტყვათა ჯგუფების კონვერსია;

4. სხვა სიტყვათა ჯგუფების (მაგ., კავშირი + ნაცვალსახელი) კონვერსია.

ზმნური სიტყვათა ჯგუფების კონვერსიის შედეგად ძირითადად არსებითი სახელები მიიღება. კონვერსიის ეს ტიპი, ისევე როგორც წინადადებების კონვერსია, დევერბალური (ანუ ზმნური ბაზის მქონე) კონვერსიის ჯგუფში შედის, რომელშიც ასევე გაერთიანებულია ზმნის ფუძის და ზმნის ინფინიტივის კონვერსია. ზმნურ სიტყვათა ჯგუფებისაგან მიღებული არსებითი სახელებისათვის დამახასიათებელია ზმნასთან სიახლოვე და უზუალური ნომინაციური ერთეულების წარმოებისაკენ შედარებით სუსტი მიდრეკილება. სწორედ ამ ნიშნებს ავლენენ ჩვენს მიერ მორგენშტერნის პოეზიიდან მოპოვებული მაგალითები.

არსებითი სახელისა და ზმნის საწყისი ფორმის უნივერსაციის შედეგადაა მიღებული კონვერსიის პროდუქტი „Zeitunglesen“, რომელსაც ავტორი ერთ-ერთი ლექსის სათაურად იყენებს. საანალიზო სიტყვა ორი უშუალო შემადგენლით არის წარმოდგენილი: მდებარეობითი სქესის არსებითი სახელი Zeitung („გაზეთი“) + ზმნა lesen („კითხვა“). ოკაზიონალური პროდუქტის თარგმნა რაიმე სიმნეფესთან არ არის დაკავშირებული, რადგან მას უშუალო შემადგენლელთა მნიშვნელობების ჯამი ქმნის: „გაზეთის კითხვა“.

შემდეგ ლექსში სამი ოკაზიონალიზმია მოცემული, თუმცა, კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, ყურადღებას მხოლოდ ერთ მათგანზე შევაჩერებთ:

„...Ich bin sozusagen hergeschneit  
მე, ასე ვთქვათ, გამომაგზავნეს  
von den ernsten Männern unsrer Zeit,  
ჩვენი დროის სერიოზულმა ადამიანებმა  
insbesondere von der Schreibrichkeit.  
განსაკუთრებით მწერლებმა.  
Ich bin selber Schreibrich, wie bekannt.  
მე თავად მწერალი ვარ, როგორც მოგეხსენებათ.  
Kurz und gut, wir würdigen Ihr Wesen.  
მოკლედ და კონკრეტულად, ჩვენ პატივს მივაგებთ  
თქვენს პიროვნებას  
Prächtig ist dies Nichtvielfederlesen.  
დიდებულია თქვენი ეს უცერემონიობა (უბოდიშობა).“

საანალიზო კონვერსიის პროდუქტი მორფემული ანალიზის შედეგად ასე გამოიყურება Nicht + viel + federlesen. პირველი უშუალო შემადგენელი უარყოფითი ნაწილაკია, მეორე – განუსაზღვრელი რიცხვითი სახელი „ბევრი“, მესამე უშუალო შემადგენელი კი – იდიომატიზებული კომპოზიცია, რომელიც თანამედროვე გერმანულ ენაში არ გამოიყენება, როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეული; ის რამდენიმე მყარ სიტყვათშეთანხმებაში გვხვდება, მაგ., ერთ-ერთი მათგანია nicht viel Federlesen machen, რაც ნიშნავს „უცერემონიოდ, უბოდიშოდ მოპყრობა“. როგორც ვხედავთ, განსახილველი ოკაზიონალიზმის შემთხვევაში მოხდა არა სრული ფრაზეოლოგიზმის, არამედ მხოლოდ მისი ნაწილის კონვერსია, მაგრამ მასში შენარჩუნდა ფრაზეოლოგიზმის მეტაფორული ნაწილი და ოკაზიონალიზმი ადვილად გასაგები გახდა რეციპიენტისათვის.

რაც შეეხება წინადადებების კონვერსიას, გერმანულ სიტყვაწარმოებაში აქ ძირითადად ორ ტიპს განასხვავებენ: პირველ ტიპს მიეკუთვნება ე.წ. Satznamen – წინადადება-სახელები, რომელთაც გაიარეს ლექსიკალიზაციის პროცესი, ლექსემების სახით არსებობენ თანამედროვე გერმანულ ენაში და შესაბამის ლექსიკოგრაფიულ ცნობარებშიც დაფიქსირებული არიან: Taugenichts „უქნარა, უსაქმური“ (სიტყვასიტყვით: „არაფერში გამოდგება“), Vergissmeinnicht „კესანე“ (სიტყვასიტყვით: „არ დამივიწყო“) და კონვერსიის პროდუქტების მეორე ტიპი, როგორცაა, მაგალითად, sein ständiges Morgenfangeichan („მისი გამუდმებული ხვალიდან ვიწყებ“), რომელიც საკმაოდ იშვიათია და რომელსაც ძალიან ცოტა შანსი აქვს, განვითარდეს დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულად. სწორედ ამიტომ არ არსებობს ამგვარი კონვერსიის პროდუქტის წერის მყარი ორთოგრაფიული ნორმა: ის შეიძლება გაფორმდეს, როგორც ერთი სიტყვა sein ständiges Morgenfangeichan ან დაიწეროს ცალ-ცალკე sein ständiges Morgen fange ich an (Fleischer...1995:213]. ვინაიდან ჩვენი ინტერესის სფეროს ოკაზიონალური ლექსიკური ერთეულები წარმოდგენენ, პირველი ტიპის კონვერსიის პროდუქტები იმთავითვე ამოვიღეთ განსახილველი ობიექტების რიგიდან.

ოკაზიონალიზმი Fragnichtlang კუნძულის სახელწოდებას აღნიშნავს ლექსში „Die Lampe“ („ლამპა“):

„Es steht eine Lampe am weiten Meer.  
 ლამპა დგას ვრცელ ზღვაზე  
 Wo kommt denn die Lampe her?  
 ნეტავ საიდან მოდის ის?  
 Sie trägt ein Reformhemd aus grünem Tang  
 ის ატარებს მწვანე წყალმცენარის ეკოლოგიურ პერანგს  
 und steht auf der Insel Fragnichtlang.  
 და დგას კუნძულზე დიდხანს ნუ იკითხავ.“

საანალიზო ერთეული შედგება სამი უშუალო შემადგენლისაგან: fragen (შეკითხვა) მარტივი ზმნის მხოლობითი რიცხვის მეორე პირის ბრძანებითი კილოს ფორმა, უარყოფითი ნაწილაკი nicht „არ/ნუ“ და მარტივი ზედსართავი სახელი lang მნიშვნელობით „გრძელი“, „ხანგრძლივი“. ოკაზიონალიზმი ადვილად ექვემდებარება სემანტიზაციას – „დიდხანს ნუ იკითხავ“ და ტექსტში ექსპრესიულობის ზრდას ემსახურება.

კონვერსიის პროდუქტის უშუალო შემადგენლები ცალ-ცალკეა წარმოდგენილი ოკაზიონალიზმში *ich weiß nicht was* ლექსიდან „Die Westküsten“ („დასავლეთის სანაპიროები“), თუმცა ის ყოველგვარი სირთულის გარეშე აღიქმება, როგორც ერთი სიტყვა. ამის მიზეზი უნდა იყოს ის, რომ ლექსიკური ერთეული ტექსტში სინტაქსური თვალსაზრისით წინადადების ერთი წევრის როლს ასრულებს: პირველად – პირდაპირი დამატებისას, მეორედ კი – სუბიექტისას:

„Sie riefen den Walfisch, doch tat's nicht achten;

მათ დაუძახეს ვეშაპს, მაგრამ მან ყურადღება არ მიაქციათ;

sie riefen die Möwen, doch die Möwen lachten;

მათ დაუძახეს თოლიებს, თოლიებმა კი გაიცინეს;

sie riefen die Wolke, doch die Wolke vernahm nicht;

მათ დაუძახეს ღრუბელს, მაგრამ ღრუბელმა ვერ გაიგონა;

sie riefen ich weiß nicht was, doch ich weiß nicht was kam nicht.

მათ დაუძახეს არ ვიცი რას, მაგრამ არ ვიცი რა არ მოვიდა.”

საანალიზო ერთეული წარმოდგენს ოთხშემადგენლიან კონვერსიის პროდუქტს: პირველი სამი სიტყვა მხოლოდითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელი *ich* “მე”, ზმნა *wissen* “ცოდნა” და უარყოფითი ნაწილაკი *nicht* “არ, ვერ” ქმნიან მარტივ თხრობითი წინადადებას მნიშვნელობით “(მე) არ ვიცი”, ხოლო მეოთხე შემადგენელი არის კითხვითი ნაცვალსახელი *was* “რა”. ოკაზიონალიზმი, თავისი სტრუქტურის გამო, ექსპრესიულობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა და იმავე მიზეზით ერთჯერადი მოხმარებისათვის არის შექმნილი.

მეორე ჯგუფში წარმოდგენილია კონვერსიის წესით მიღებული ზმნიზედები. იმდენად რამდენადაც, ეს ძალზე იშვიათი მოვლენაა, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო მორგენშტერნის პოეზიაში ზმნიზედური ოკაზიონალიზმების აღმოჩენა. ლექსში “Himmel und Erde” („ცა და დედამიწა“) ზმნიზედისა და არსებითი სახელის კავშირით მიღებულ ოკაზიონალურ ადგილის ზმნიზედას *querüberfeld* ვპოულობთ:

„Tief unten geht, ein dunkler Punkt,

სულ ქვემოთ, მუქი წერტილი,

querüberfeld ein Forstadjunkt.

მეტყვევს თანაშემწე გეზად კვეთს მინდორს.“

საანალიზო სიტყვის ორივე უშუალო შემადგენელი ძირითადი მორფემის სახით არსებობს გერმანულ ენაში. პირველი მათგანი *querüber* კომპოზიტური ზმნიზედაა მნიშვნელობით „ირიბად, გეზად, გარდი-გარდმო“, მეორე უშუალო შე-

მადგენელი Feld საშუალო სქესის მარტივი არსებითი სახელია და ნიშნავს „მინდორი, ყანა“. კონვერსიის პროდუქტს შენარჩუნებული აქვს ამოსავალი ერთეულების მნიშვნელობა და მისი სემანტიზაცია რაიმე სირთულესთან არ არის დაკავშირებული.

რაც შეეხება კონვერსიის წესით ნაწარმოებ ოკაზიონალურ ზმნებს, ისინი მესამე ჯგუფში გაგაერთიანეთ. ლექსში „Der Rauchvogel“ („კვამლის ჩიტი“), რომელიც უაღრესად საინტერესოა მრავალი თვალსაზრისით, კონვერსიის ორ პროდუქტია წარმოდგენილი:

„Aus dem hohen **Schornstein** wolkt ein Vogel,  
მაღალი საკვამურიდან იღრუბლება ჩიტი,  
kolkt empor ein rabenschwarzer **Rauchvogel**;  
ყორანივით შავი კვამლის ჩიტი ყვავას ძახილით წამოიმართება;  
**feuerfarben** ist sein Bauchgefieder,  
ცეცხლისფერის მისი მუცლის ბუმბული,  
**feuerfunkelfarben** ist dein Bauch, Vogel!  
ცეცხლის ნაპერწკლების ფერია შენი მუცელი, ჩიტო!  
**Düstrer Ruß** und **Qualm** sind Rumpf und Flügel  
მუქი ჭვარტლი და კვამლია ტანი და ფრთები,  
und dein Hals ein blauspiralner **Schlauch**, Vogel;  
და შენი ყელი ცისფერსპირალიანი მილი, ჩიტო!“

პირველი მათგანი wolken მიღებულია არსებითი სახელის Wolke „ღრუბელი“ ბაზაზე. ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ გერმანულ ენაში არსებობს უზუალური სიტყვა wölken მნიშვნელობით „ღრუბლის ფორმით ჰაერში გაფანტვა; მოღრუბლვა“, რომელიც საანალიზო ერთეულისაგან მხოლოდ უმლაუტით განსხვავდება. კონტექსტზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ განსხვავებამ სემანტიკურ დიფერენციაციამდე არ მიგვიყვანა, რაც გაუფიქრებინებს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მორგენშტერნისათვის მნიშვნელოვანი იყო არა ახალი სემანტემის, არამედ ახალი ფორმის შექმნა. მეორე ოკაზიონალიზმზე kolken დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ კონვერსიის ბაზა Kolk როგორც დამოუკიდებელი მორფემა არსებობს გერმანულ ენაში და მისი ლექსიკის უზუალურ ნაწილს მიეკუთვნება. თუმცა აღმოჩნდა, რომ ამ სიტყვის მნიშვნელობები ოკაზიონალიზმის სემანტიკის გახსნაში ვერ გვეხმარება. ჩვენ გადავაგდეთ თვალი ყველა ლექსიკურ ერთეულს, რომელშიც ზემოთ ხსენებული სემა არის რეალიზებული და ვიპოვეთ კომპოზიტი Kolkrabe მნიშვნელობით „ყორანი“, რომლის

ეტიმოლოგიურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ კომპოზიტის პირველი უშუალო შემადგენელი *kolk* წარმოადგენს ხმაბაძვით სიტყვას და ყორნის ჩხავილს, ყრანტალს აღნიშნავს.

კონვერსიის ორივე პროდუქტი მჭიდრო ტექსტუალურ დამოკიდებულებას ავლენს. აშკარაა, რომ ისინი ტექსტში ემოციური ფონის გაძლიერებას უწყობენ ხელს და გარდა ამისა, მონაწილეობას იღებენ ტექსტის კოჰერენციის რეალიზაციაში. საქმე იმაშია, რომ ტექსტის წაკითხვისთანავე რეციპიენტს თვალში ხვდება სემანტიკურად ერთგვაროვანი სიტყვები, რომლებიც ე.წ. სემანტიკურ ჯაჭვს ქმნიან და ტექსტის შიდა ბმულობას ასორციელებენ. ისინი, ოკაზიონალიზმებთან ერთად, ახდენენ ასევე ტექსტის სტილურ მარკირებას (ეს სიტყვები ტექსტში მუქი შრიფტით გამოვყავით): საკვამური, კვამლი, კვამლის ჩიტი, ცეცხლისფერი, ცეცხლის ნაპერწკლების ფერი, ჭვარტლი, მური, ყორანივით შავი, ბნელი, მილი.

სიტყვათა ჯგუფი გამოიყენება კონვერსიის ბაზად ლექსში “Zimmerfreuden” („ოთახის სიხარულები“):

„Wenn ich mittags fenstersteh  
როცა შუადღით ფანჯარასთან ვდგავარ  
und die große Landschaft seh,  
და ვრცელ ლანდშაფტს ვუყურებ,  
dampft mir plötzlich Bratenrauch  
უეცრად შემწვარის კვამლი იჭრება  
in den reinen Tannenhauch.  
ნაძვების სუფთა სურნელში.“

ოკაზიონალიზმი *fenstersteh* ორი უშუალო შემადგენლისაგან შედგება – საშუალო სქესის არსებითი სახელი *Fenster* „ფანჯარა“ და მარტივი ზმნა *stehen* „დგომა“. ის წარმოადგენს ფრაზის *am Fenster stehe* კომპრესირებულ ფორმას. კონვერსიის პროდუქტის სემანტიკის გაშიფვრა არ წარმოადგენს სირთულეს, რადგან მას ქმნის უშუალო შემადგენლების მნიშვნელობათა ჯამი – (როცა შუადღისას) ფანჯარასთან ვდგავარ.

#### 5.4. სიტყვაწარმოების სხვა ტიპებით მიღებული ოკაზიონალიზმების სტრუქტურულ სემანტიკური დანახილვა.

როგორც უკვე არაერთგზის აღვნიშნეთ, კომპოზიცია და ექსპლიციტური დერივაცია გერმანულ სიტყვაწარმოებაში ახალი სიტყვების წარმოების ძირითად ტიპებად განიხილება. ნაკლებად პროდუქტიულია სიტყვაწარმოების სხვა ტიპები, როგორცაა, მაგალითად, კონტამინაცია, რედუპლიკაცია იმპლიციტური დერივაცია, რეგრესია და სხვ.

კონტამინაცია ახალი ლექსიკური ერთეულის მისაღებად რამდენიმე (ჩვეულებრივ ორი) საბაზისო მორფემის შეჯვარებას ეწოდება და კომპოზიციისაგან განსხვავდება იმით, რომ კონტამინაციის შემთხვევაში ერთი ლექსიკური ერთეულის უშუალო შემადგენელთა მეტ-ნაკლებად კომპლექსური სეგმენტები ერთმანეთს გადაფარავენ. ამ დროს არ არის აუცილებელი, ეს შემადგენლები რაიმე სახის სემანტიკურ კავშირში იმყოფებოდეს ერთმანეთთან. თუმცა სიტყვაწარმოების ეს ხერხი მთლად ნებისმიერობას არ გულისხმობს: აქ მოქმედებს გარკვეული სახის, უპირატესად კი ფონეტიკურ-ფონოლოგიური წესები. სიტყვაწარმოების ამ ხერხს, ძირითადად, არსებითი და, ბევრად იშვიათად, ზედსართავი სახელების საწარმოებლად იყენებენ. ლექსში „Zivilisatorisches“ („ცივილიზაციური“) სწორედ კონტამინაციის წესით მიღებულ ოკაზიონალურ ზედსართავ სახელს ვპოულობთ:

“(Alleinzig der Polyp sah jetzt,

ერთადერთი მხოლოდ პოლიპი ხვდებოდა ახლა,

wozu er in die Welt gesetzt.

რისთვის მოეწვინა ამ ქვეყანას...)“

საანალიზო ერთეული *alleinzig* წარმოადგენს ორი საბაზისო მორფემის *allein* „მარტო, მხოლოდ“ და *einzig* „ერთადერთი“ შერწყმის შედეგად მიღებულ ოკაზიონალიზმს. კონტამინაციის რეალიზაციას აქ ხელი შეუწყო უშუალო შემადგენელთა ბოლო და საწყისი მარცვლების იდენტურობამ. რაც შეეხება ოკაზიონალიზმის მნიშვნელობას, ის გამომდინარეობს შემადგენელთა მნიშვნელობების ჯამიდან: “მხოლოდ” + „ერთადერთი“.

რედუპლიკაცია არის სიტყვების მორფოლოგიურ-სტრუქტურული წარმოების ელემენტარული სახეობა: ერთ-ერთი უშუალო შემადგენლის ძირის ან ფუძის გაორმაგება. აქ განასხვავებენ სამ ძირითად ტიპს: 1. უბრალო გაორმაგება, 2. გაორმაგება-გართიმვა, 3. აბლაუტური გაორმაგება (Fleischer...1995:48). რედუპლიკაციას ძირითადად არსებითი, იშვიათად კი ზედსართავი სახელების საწარმოებლად იყენებენ; თითქმის არ ხდება ამ გზით ზმნის წარმოება. მორგენშტერნი

თავის ერთ-ერთ ლექსში „Der Walfisch und das Überwasser“ („ზვიგენი და წყალდიდობა“) სწორედ ზმნურ კომპოზიტს აწარმოებს რედუქლიკაციის დახმარებით:

„...Und Kind und Eul'  
და ბავშვი და ბუ  
o greul, o greul –  
ოჰ, საშინელებაჲ, ოჰ, საშინელებაჲ -  
სიე frissfraß der Walfafisch.  
ისინი შეჭამ-შემოჭამა ზვიგენმა.“

საანალიზო სიტყვის უშუალო შემადგენლური სტრუქტურა ბინარულია: პირველი წევრი fressen მარტივი ზმნაა, რომელიც ტექსტში პრეზენსის (აწმყო) მსოფობითი რიცხვის მესამე პირის ფორმითაა მოცემული friss (მას ჩამოშორებული აქვს პირის ნიშნის ერთი ნაწილი -t), მეორე წევრი კი – ამავე ზმნის პრეტერიტუმის მსოფობითი რიცხვის მესამე პირის ფორმით fraß, რაც გვაფიქრებინებს, რომ აქ ადგილი აქვს რედუქლიკაციას აბლაუტური გაორმაგებით. საინტერესოა ის გარემოება, რომ მორგენშტერნი არ აწარმოებს ისეთ ლექსიკურ ერთეულს, რომელსაც ექნებოდა ახალი დენოტატი. ეს გვაძლევს საბაბს, ვიფიქროთ, რომ ის რედუქლიკაციას უბრალოდ ლექსში ემოციური ფონის შესაქმნელად მიმართავს.

იმპლიციტური დერივაცია ეწოდება ზმნურ ბაზაზე არსებითი სახელების ან ზმნების წარმოებას აფიქსების გამოყენების გარეშე ფუძისეული ხმოვნის შეცვლით. სწორედ ეს ორი ნიშანი განასხვავებს მას კონვერსიისაგან. იმპლიციტური დერივაცია დღესდღეობით არაპროდუქტიულია (Flesicher...1995:51), თუმცა მორგენშტერნის პოეზიაში ჩვენ აღმოვაჩინეთ ოკაზიონალური იმპლიციტური დერივატი:

„Er war voll Bildungshung, indes,  
ის სავსე იყო სწავლის წყურვილით, მაგრამ  
soviel er las  
რამდენიც უნდა ეკითხა  
und Wissen ab,  
და ცოდნა ეჭამა,  
er blieb zugleich ein Unverbeß,...  
ის მაინც დაუკმაყოფილებელი რჩებოდა...“

უნდა ითქვას, რომ საკმაოდ გაძნელდა იმის გარკვევა, თუ რომელი სიტყვა წარმოადგენს საანალიზო ერთეულის დერივაციის ბაზას. საბოლოოდ ჩვენ და-



ვასკვენით, რომ ეს უნდა იყოს ზმნა *verbeißen*, რომლის გამოყენებითაც ჯერ აწარმოეს არსებითი სახელი *Verbeiß* და შემდეგ *un-* პრეფიქსის დართვით – მისი ანტონიმი *Unverbeiß*. რაც შეეხება ფუძისეული ხმოვნის შეცვლას, ის ვერ იქნება დაკავშირებული უმლაუტთან, რადგან *e* პალატალური ხმოვანია და უმლაუტიზაციას არ ექვემდებარება, ვერც აბლაუტთან, რადგან მაშინ უნდა ყოფილიყო *Verbiss* (*verbeißen, verbiss, verbissen*). საბოლოოდ ჩვენ დავასკვენით, რომ საანალიზო დერივატში *e* ხმოვნის გამოჩენა უნდა უკავშირდებოდეს ლექსის მეორე ოკაზიონალიზმს *Vergess*, რომელსაც ის ერითმება. რაც შეეხება ოკაზიონალიზმის მნიშვნელობას, დერივაციულ ბაზაზე (*verbeißen* ნიშნავს „თავის შეკავება; დათრგუნვა“) და კონტექსტზე დაყრდნობით ვფიქრობთ, რომ ის უნდა აღნიშნავდეს ადამიანს, რომელიც ვერ იკმაყოფილებს სწავლის სურვილს, რადგან მალევე ყველაფერი ავიწყდება ანუ ოკაზიონალიზმში მოხდა მნიშვნელობის მეტაფორული გადაწევა, რამაც კიდევ უფრო გაართულა მისი სემანტიზაცია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მორგენშტერნის პოეზიაში დადასტურებული ოკაზიონალიზმები დიდი შინაარსობრივი თუ სტრუქტურული მრავალფეროვნებით გამოირჩევიან, ხოლო სიტყვაწარმოების ტიპების გავრცელება ოკაზიონალიზმებში იგივეა, რაც გერმანული ენის ლექსიკის უზუალურ ნაწილში.

## თავი VI ოკაზიონალიზმების თარგმნის პრობლემა

სანამ ჩვენთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაზე გადავიდოდეთ, გვსურს ორიოდ სიტყვით შევეხოთ თარგმნის და თარგმანის მნიშვნელობას ენისა და კულტურისათვის. არავისთვის იქნება სიახლე, თუ ვიტყვით, რომ ამა თუ იმ ხალხის ენა და კულტურა ძალზე მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ერთი მხრივ, ენა ერთგვარად ასახავს ამ ენაზე მოლაპარაკე ადამიანების აზროვნებას, სინამდვილისადმი და სამყაროსადმი დამოკიდებულებას და ა.შ., მეორე მხრივ კი, სწორედ მის ირგვლივ არსებულ მიკრო- თუ მაკროსამყაროსთან ურთიერთობით უყალიბდება ადამიანს სამყაროს სრულიად ინდივიდუალური და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხედვა და ინტერპრეტაციის უნარი. ანუ სინამდვილის ინტერპრეტაცია ყოველთვის იმ კულტურითაა ანუ ისტორიულ-საზოგადოებრივი კონტექსტითაა განპირობებული, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს; ასევე ისტორიულ-საზოგადოებრივი კონტექსტითაა განსაზღვრული ის, თუ როგორ გამოხატავს ადამიანი ენის საშუალებით სინამდვილის მისეულ აღქმას. მოკლედ რომ ვთქვათ, ენაში აისახება რეალობის ჩვენეული აღქმა და ენა არის საშუალება, რომლითაც სამყაროს ჩვენეულ ხედვას გადავცემთ სხვა ადამიანებს. ამა თუ იმ ენაზე ლაპარაკი ან ენის შესწავლა, ამავე დროს, ნიშნავს იმას, რომ ენობრივი კოლექტივის წარმომადგენელი თანდათან ითვისებს ენაში კონსერვირებულ (დამკვიდრებულ) წარმოდგენებს, შეხედულებებს, განწყობებს.

საინტერესოა, რა კავშირშია ყოველივე ზემოთქმულთან თარგმნა? თუ გავიზიარებთ აზრს ენისა და კულტურის (ფართო გაგებით) მჭიდრო და ურთიერთქმედითი კავშირის შესახებ, თარგმნა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც კულტურული და ენობრივი ემანსიპაცია, რომელიც ეჭვის ქვეშ აყენებს იმას, რაც მიღებული და დამკვიდრებულია ენობრივ კოლექტივში. თარგმანს შეუძლია ენის საზღვრების რღვევა და გაფართოება, როგორც მსოფლმხედველობრივი, ისე ენობრივი ინოვაციის კუთხით და მთარგმნელს, შესაბამისად, უწევს არა მხოლოდ ენათაშორისი, არამედ კულტურათაშორისი მედიატორის როლის შესრულება.

## 6.1. თანამედროვე ტენდენციები თარგმანმცოდნეობაში.

თარგმანმცოდნეობა არის მეცნიერება თარგმნისა და თარგმანის შესახებ. ის თავისი არსით ფსიქოლინგვისტური და კოგნიტურ-ფსიქოლოგიური ხასიათისაა და იკვლევს მთარგმნელობით პროცესს ანუ იმას, თუ რა ხდება მთარგმნელის თავში თარგმნის დროს. მეორე მხრივ, მეცნიერება თარგმანის შესახებ იკვლევს თარგმანს ანუ მთარგმნელობითი საქმიანობის პროდუქტს; როგორც ვხედავთ, მეცნიერების ეს დარგი როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ხასიათისაა.

თარგმანის თეორიასა და პრაქტიკას შორის დამოკიდებულება უკვე კარგა ხანია დისკუსიის საგანია ლინგვისტთა შორის. ამ საკითხთან დაკავშირებულ მოსაზრებათა შორის ყველაზე საინტერესოდ მიგვაჩნია ერთ-ერთი მათგანი, რომლის არსიც მდგომარობს შემდეგში: თარგმანის თეორიის ამოცანა არ უნდა იყოს ინსტრუქციებისა და მითითებების გაწერა, რომელზე დაყრდნობითაც მთარგმნელმა უნდა წარმართოს თარგმნის პროცესი, არც ისეთი კონცეფციების შემუშავება, რომლებითაც ყველა მთარგმნელმა უნდა იხელმძღვანელოს. მთარგმნელი თავისი თარგმანებითა და მთარგმნელობითი სამუშაოს შესახებ გაკეთებული კომენტარებით გვაწვდის ემპირიულ მასალას, რომლის გააანალიზება, აღწერა და ახსნა ევალება თარგმანმცოდნეს. თარგმანმცოდნეობა არ არის ნორმატიული (präskriptiv) მეცნიერება. მიუხედავად იმისა, რომ თავისი კვლევის ობიექტის განსაზღვრის დროს ის ვერ ცდება ნორმატიულ რეგულაციებს, რადგან უწევს სხვადასხვა კითხვაზე პასუხის გაცემა, როგორიცაა, მაგალითად, რომელი ტექსტები მიეკუთვნება მისი კვლევის სფეროს და რომელი – არა (Koller 2011:7).

თანამედროვე თარგმანმცოდნეობაში თარგმანისა და თარგმნის ბევრი დეფინიცია არსებობს. ჩვენ შევეცდებით, მოკლედ მიმოვიხილოთ ისინი. ა. გ. ოთინგერის დეფინიცია სტატისტიკური ხასიათისაა, რომელშიც ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ტექსტი და ტექსტის რეციპიენტი, საერთოდ არაა გათვალისწინებული. მისთვის თარგმნა არის ერთი ენის ნიშნების მეორე ენის ნიშნებით ჩანაცვლება იმ პირობით რომ, ამ ნიშნებს შორის ეკვივალენტობა არის დაცული (Oettinger 1960:104). ი. ც. ქათფორდისა და ჰ. ვაინრიხის დეფინიციებში ცენტრალური ადგილი ტექსტს უჭირავს: მთარგმნელობითი საქმიანობის დროს ხდება არა ცალკეული სიტყვების, არამედ წინადადებებისა და ტექსტების თარგმნა. თარგმნის პროცესი უნდა მიმდინარეობდეს არა სიტყვების, არამედ ტექსტის დო-

ნეზე. ე.ი. თარგმნა კომუნიკაციის კონტექსტში უნდა განვსაზღვროთ (Catford 1965:1), (Weinrich 1970:5). ვ. ვინთერისეულ განმარტებაში ჩნდება არა მხოლოდ ტექსტის, არამედ სამყაროს ცნებაც. ეს უკანასკნელი წარმოადგენს გარეენობრივ მოვლენას, რომელიც ინტერპრეტაციაც ხდება ტექსტის მეშვეობით ამა თუ იმ ენის სპეციფიკაზე დაყრდნობით. ანუ აქ განმსაზღვრელია ენის სტრუქტურული (სინტაქსური და სემანტიკური) თავისებურებები: “თარგმნა არის ჩვენს ირგვლივ და ჩვენში არსებული სამყაროს სემანტიკის ინტერპრეტაციის, რომელიც ტექსტის სახით არსებობს, ჩანაცვლება მეორე, შექმნილია დაგვარად ეკვივალენტური, ტექსტი” (Winter 1961:68). ე. ა. ნაიდა, რომელიც თარგმნის პროცესისადმი ლინგვისტურ-კომუნიკაციური მიდგომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია, თარგმანს განიხილავს, როგორც კომუნიკაციის აქტს, რომლის დროსაც ენის ცვლა, მხოლოდ ერთ-ერთი, მაგრამ მნიშვნელოვანი ფაქტორია. ყველაზე არსებითი ნაიდას შეხედულებებში არის ეკვივალენტობის ორი ტიპის გამოყოფა: ფორმალურად ეკვივალენტური თარგმანი ფორმისა და შინაარსის თვალსაზრისით ორიენტირებულია ორიგინალის ენაზე. დინამიკური ეკვივალენტობის დროს კი – სათარგმნ ენასა და შეტყობინების მიმღებზე. ის, რომ დინამიკური ეკვივალენტობის პრინციპის დროს ხვედრითი წონა მიმღებზე მოდის, კარგად ჩანს იმ ტერმინოლოგიიდანაც, რომელსაც ე.ა. ნაიდა იყენებს. ის არ საუბრობს სათარგმნ ენაზე (სიტყვასიტყვით სამიზნე ენა target language), არამედ – მიმღების ენაზე (receptor language). თუ შევაჯამებთ ე.ა. ნაიდას შეხედულებებს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თარგმანი, ერთი მხრივ, ორიენტირებული უნდა იყოს დედანზე (მთარგმნელის მოვალეობაა, პირველ რიგში, უზრუნველყოს დედნის შინაარსის, მეორე რიგში კი, სტილის გადმოტანა) და, მეორე მხრივ, ტექსტის რეციპიენტის ენაზე ისე, რომ თარგმანის ენაში მის მიერ შერჩეული ენობრივი ერთეული არა მხოლოდ ზუსტი, არამედ, ამავე დროს, ბუნებრივიც უნდა იყოს (Nida...1969:12). ვ. ვილსისთვის “თარგმნა არის ტექსტის გადამუშავებისა და ვერბალიზების (ფორმულირების) პროცესი, რომელსაც დედნიდან შექმნილია დაგვარად ეკვივალენტურ თარგმანამდე მიყვავართ და რომელიც დედნის შინაარსობრივ და სტილურ გაგებას გულისხმობს. თარგმნა, შესაბამისად, ორ ძირითად ფაზას მოიცავს: გაგების ფაზა, რომლის დროსაც მთარგმნელი დედნის შინაარსსა და სტილს აანალიზებს და ენობრივი რეკონსტრუქციის ფაზა, როდესაც მთარგმნელი ახდენს შინაარსობრივი და სტილური თვალსაზრისით გაანალიზებული დედნის რეპროდუქციას კომუნიკაციური ეკვივალენტობის ოპტიმალური გათვა-

ლისწინებით” (Wills 1977:72). გ. იეგერის აზრით, თარგმნა მდგომარეობს ისეთი თარგმანის მომზადებაში, რომელიც ორიგინალის ეკვივალენტური იქნება კომუნიკაციური თვალსაზრისით (Jäger 1975:36). ძალიან საინტერესო შეხედულებას ვაწყდებით მ.ვანერემისა და მ. სნელ-ჰორნბის ნაშრომში. ისინი თარგმნის პროცესს განიხილავენ მთარგმნელის პერსპექტივიდან, რომელიც, პირველ რიგში, ტექსტის გაგებით და შემდეგ პროდუცირებით არის დაკავებული. თარგმნის პროცესი ორ ფაზას მოიცავს: პირველ ფაზაში (ანალიზი) მთარგმნელი შეისწავლის ენობრივ მასალას ანუ ტექსტს თავისი ლინგვისტური კომპონენტებით (frames), რომელიც დედნის მკითხველში გარკვეულ ასოციაციებს იწვევს (scenes). მეორე ფაზაში (სინთეზი) მთარგმნელი ეძებს ენობრივ მასალას სათარგმნ ენაზე (frames), რომელიც თარგმანის მკითხველში “სასურველ” ასოციაციას (scenes) გამოიწვევს (Vannerem... 1986:189). (ტერმინები scenes და frames საკმაოდ გავრცელებულია თანამედროვე თარგმანმცოდნეობაში. scenes აღნიშნავს ასოციაციას, რომელსაც ესა თუ ის სიტყვა ან ცნება ენის მომხმარებელში იწვევს – ასოციაცია, როგორც წესი, ეფუძნება ენის მომხმარებლის ცოდნას სამყაროს შესახებ; ამ ასოციაციის გამომწვევ მიზეზს, რომელშიდაც, ჩვეულებრივ, ესა თუ ის ტექსტი იგულისხმება, frames ეწოდება.)

თუ შევაჯამებთ ზემოთ მოცემულ დეფინიციებს, ძნელი შესამჩნევი არ იქნება, რომ არც ერთი მათგანი არ არის წმინდა დესკრიფციული ხასიათის. ყველა მათგანი შეიცავს ნორმატიულ ელემენტს ანუ ყველა დეფინიციის ნათქვამია არა მხოლოდ ის, თუ რას წარმოადგენს მთარგმნელობითი საქმიანობა, არამედ როგორი უნდა იყოს ის. ნორმატიულ ასპექტს მოიცავს, მაგალითად, ეკვივალენტობის ცნება. გარდა ამისა, განმარტებებში ყურადღებაა გამახვილებული საკითხებზე, რომლებიც თარგმნის პროცესში გარკვეულ როლს თამაშობენ. ესენია: დედანი, თარგმანი, ტექსტი, შინაარსი, სტილი, ტექსტის რეციპიენტი და ა.შ.

თანამედროვე თარგმანმცოდნეობა თავისი დეფინიციებისთვის ხშირად იყენებს მოდელის სახის გრაფიკულ საშუალებებს. საერთოდ, ვერბალური განმარტება ხშირად რთული და არათვალსაჩინოა, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა მასში ორი ან მეტი ფაქტორი თუ პირობაა ინტეგრირებული. მოდელების ფუნქციაა, ასაღწერი ფენომენის მნიშვნელოვანი ელემენტების აბსტრაქტული, მაგრამ ამავე დროს, თვალსაჩინო ფორმით წარმოდგენა. თარგმანის მოდელები, ისევე როგორც დეფინიციები, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი კომპლექსუ-

რობითა და მთარგმნელობითი საქმიანობისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინება-არგათვალისწინებით.

არსებობს ენობრივ ნიშნებზე ორიენტირებული მოდელი, რომელიც დიდწილად ა. გ. ოთინგერის შეხედულებას ემთხვევა. ამ მოდელის თანახმად, თარგმნის პროცესში ხდება დედნის ენის ნიშანთა გარდაქმნა სათარგმნი ენის ნიშნებად ინტერლინგვისტურად მუდმივი (უცვლელი) სიდიდის საფუძველზე, რომელიც დედნის ენასა და თარგმანის ენაში განსხვავებულად აღინიშნება. ამ მოდელის ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ თარგმნის დროს ხდება არა დამოუკიდებლად არსებული ნიშნების ანუ სიტყვების თარგმნა, არამედ (კონ)ტექსტში მოცემული სიტყვების თარგმნა.

მოდელებში, რომლებიც გენერატიული ტრანსფორმაციის გრამატიკის ფარგლებში შეიმუშავეს, თარგმნა განიხილება, როგორც ანალიზისა და სინთეზის პროცესი. თუმცა ამაში არ იგულისხმება თარგმნის პროცესის მკაცრი ფორმალურ-სინტაქსური აღწერა, არამედ ინტუიციაზე დაფუძნებული უკუტრანსფორმაცია, რომელიც ამ მოდელის შემქმნელთა აზრით, იმეორებს თარგმნის დროს მთარგმნელის თავში წარმართულ პროცესს. ეს უკანასკნელი, მათი ვარაუდით, შემდგენიერად უნდა გამოიყურებოდეს: თავდაპირველად ხდება დედნის ენის რთული ზედაპირული სტრუქტურის დაყვანა უფრო მარტივ ზედაპირულ სტრუქტურამდე, რომელიც სათარგმნი ენაზე გარდაიქმნება ჯერ მარტივ სტრუქტურად, ხოლო შემდეგ – ტექსტად. აღნიშნულ მოდელს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს. მის ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ გადაუმოწმებელია და შემდგომ კვლევას საჭიროებს ის, თუ რა ხდება მთარგმნელის თავში თარგმნის დროს, თუმცა კარგი ისაა, რომ რეკონსტრუქციის და სინთეზის პროცესი საკმაოდ მკაცრად კონტროლდება: ელემენტარული სტრუქტურების უფრო რთული სტრუქტურებით ჩანაცვლების დროს ხდება მათი სტილური დამუშავება ისე, რომ ისინი ოპტიმალურად აღწევენ თარგმანის მკითხველამდე.

მოდელს, რომელიც ე.წ. ტრანსლაციურ ლინგვისტიკაში შეიმუშავეს, საფუძველად დაედო შეტყობინებების ტექნიკასა და ინფორმაციის თეორიაში გამოყენებული ცნებები და ტერმინები – კოდი და კოდის შეცვლა. კოდში იგულისხმება საკომუნიკაციო არხის ნიშანთა ერთობლიობა და ამ ნიშანთა შორის კავშირის მარეგულირებელი მექანიზმი. ნიშანთა ერთობლიობა ლინგვისტიკაში მოიაზრება როგორც ენის ლექსიკური მარაგი, ხოლო მათ შორის კავშირის მარეგულირებელი მექანიზმი როგორც სინტაქსი. ენობრივი კომუნიკაციის დროს კოდი

საჭიროა იმისათვის, რომ გამგზავნმა მოახდინოს ინფორმაციის კოდირება, ხოლო მიმღებმა, რომელიც იმავე კოდის მფლობელია, შეტყობინების დეკოდირების შედეგად შეძლოს შესაბამისი ინფორმაციის მიღება. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანური კომუნიკაცია ბევრად უფრო რთულია: 1. უშუალო კომუნიკაციის დროს კითხვა-პასუხი არა მხოლოდ შესაძლებელი, არამედ აუცილებელიც არის. ამიტომ აქ კომუნიკატორი შეიძლება ერთსა და იმავე დროს გამგზავნიც იყოს და მიმღებიც: 2. გარდა ამისა, ადამიანური კომუნიკაცია ყოველთვის რომელიმე სოციალურ კონტექსტში მიმდინარეობს, სადაც გარკვეულ როლს თამაშობს მოსაუბრის/მესმენელის გამოცდილება და განათლების დონე, სოციო-კულტურული და ეკონომიკური ბაზა, კომუნიკატორების სოციალური როლები, სივრცობრივ-დროითი სიტუაციური კონტექსტი და ა.შ. 3. ნიშანთა რეპერტუარი ხანდახან ერთსა და იმავე ენაზე მოლაპარაკეთათვისაც კი არ არის იდენტური. როგორც ვიცით, ერთ ენობრივ კოლექტივში ორი ადამიანიც კი არ არსებობს, ერთსა და იმავე სიტყვასთან ზუსტად ერთი და იმავე მნიშვნელობას ან ასოციაციას რომ აკავშირებდეს. 4. ადამიანთა კომუნიკაციის მიზანი არ არის მხოლოდ ინფორმაციის გადაცემა, არამედ მისი შეფასებაც. ენას ასევე იყენებენ ასევე კონტაქტის დასამყარებლად, ბრძანებებისა და განკარგულებების გასაცემად, კითხვების დასასმელად და ა.შ. ენას ასევე შეიძლება ქონდეს წმინდა ესთეტიკური ფუნქცია (მაგ., მხატვრულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით – პოეზიაში).

რაც შეეხება მთარგმნელის როლს მთელ ამ პროცესში, ის შუამავალია გამგზავნსა და მიმღებს შორის და ახორციელებს კოდის ცვლას. მისი მოვალეობაა, კოდის შეცვლის მიუხედავად, შეძლოს ტექსტის შინაარსის, როგორც ინვარიანტის, შენარჩუნება. თარგმანის კომუნიკაციას სამ ფაზად ყოფენ: 1. კომუნიკაცია გამგზავნსა და მთარგმნელს შორის, რომელიც წარმოადგენს ორიგინალის ტექსტის მიმღებს; 2. გადასვლა დედნის ენიდან თარგმანის ენაზე, რომელსაც ახორციელებს მთარგმნელი; 3. კომუნიკაცია მთარგმნელსა და სათარგმნ ენაზე მოლაპარაკე მიმღებს შორის. ამ მოდელის ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ის ვერ აკმაყოფილებს თარგმანის კომუნიკაციის სპეციფიკას და მთარგმნელობითი საქმიანობის კომპლექსურ ხასიათს. ეს განსაკუთრებით ეხება მთარგმნელს, რომლის როლიც, ამ მოდელის თანახმად, მხოლოდ კოდის შეცვლით განისაზღვრება. გარდა ამისა, მთარგმნელი სულ სხვა ტიპის მიმღებია, ვიდრე ორიგინალის ტექსტის „ჩვეულებრივი“ მიმღები. ის, როგორც დედნის ენის, ამ ენაზე მოლაპარაკეთა კულტურის და ტექსტში წარმოდგენილი სამყაროს მეტ-ნაკლებად მცოდ-

ნე, დედანს სულ სხვაგვარად აღიქვამს, ვიდრე თარგმანის მკითხველი, რომელსაც შეხება მხოლოდ თარგმანთან აქვს. მთარგმნელი სრულიად სხვა ტიპის გამგზავნიანია, ვიდრე ორიგინალის ავტორი. მთარგმნელი ქმნის არა პროდუქციას, არამედ რეპროდუქციას ანუ პროდუქტიული ასპექტი აქ დაქვემდებარებულ მდგომარეობაშია.

დასკვნის სახით გვსურს ვთქვათ შემდეგი: ჩვენი აზრით, ძალიან კარგია, თარგმნისა და თარგმანის შესახებ ამდენი ერთმანეთისაგან განსხვავებული დეფინიცია რომ არსებობს. მთარგმნელი ყველა მათგანს უნდა იცნობდეს, რადგან თავისი მიზნებიდან გამომდინარე მას შეუძლია ყველა მათგანში იპოვოს ჭეშმარიტების პატარა მარცვალი (მაგ. თუ მთარგმნელის მიზანია, რაც შეიძლება მოკლე დროში, მიაწოდოს დაინტერესებულ პირს რომელიმე ელექტრონული ხელსაწყოს მოხმარების ინსტრუქცია, მაშინ ის სხვა ხერხს მიმართავს, ვიდრე მთარგმნელი, რომელიც მუშაობს პროზაული თუ პოეტური ნაწარმოების მხატვრულ თარგმანზე. ამ უკანასკნელისათვის, რასაკვირველია, მნიშვნელოვანი იქნება ეკვივალენტობის მიღწევა არა მხოლოდ დენოტაციურ დონეზე). რაც შეეხება ჩვენს პირად მოსაზრებას, ის შემდეგნაირად შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ: იმისათვის, რათა მთარგმნელმა შექმნას მაღალი ხარისხის თარგმანი, მისი მიზანი უნდა იყოს, დედნისა და თარგმანის ტექსტებს შორის დაამყაროს დინამიკური ეკვივალენტობა, რაც იმთავითვე გამორიცხავს ეკვივალენტობას ისეთი მცირე ენობრივი ელემენტების დონეზე, როგორცაა სიტყვები, სინტაგმები თუ წინადადებები. (გამორიცხავს არა იმიტომ, რომ ეს სასურველი არ არის, არამედ იმიტომ, რომ ეს შეუძლებელია თვით სტრუქტურულად ერთმანეთთან ყველაზე ახლო მდგომი ენების პირობებშიც კი.) გარდა ამისა, ეკვივალენტობა მცირე ენობრივი ელემენტების დონეზე სულაც არ არის ტექსტებს შორის დინამიკური ეკვივალენტობის უზრუნველყოფის გარანტი, რადგან ტექსტი არ წარმოდგენს მხოლოდ ენობრივი საშუალებების ერთობას; მასში ასახულია და მასზე გავლენას ახდენს გარე ენობრივი ფაქტორებიც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ესა თუ ის ტექსტი ენობრივ კოლექტივში არ არსებობს იზოლირებულად, ის თანარსებობს სხვა ტექსტებთან ერთად და შექმნილია ენობრივი ინდივიდის მიერ, რომლის აზროვნებაც და, შესაბამისად, ენაც დეტერმინირებულია კონკრეტული კულტურული გარემოთი (ამ სიტყვის ფართო გაგებით). ანუ ტექსტი ატარებს, როგორც მისი ავტორის ინდივიდუალურ, ისე ავტორის მშობლიური კულტურის მახასიათებლებს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მთარგმნელისთვის ამოსავალი წერტილი



უნდა იყოს ტექსტი, როგორც ინდივიდუალური და კულტურული ფენომენი და მისი უპირველესი ამოცანა სათარგმნ ენაზე იმავე ღირებულების მქონე ტექსტის შექმნაში უნდა მდგომარეობდეს.

## 6.2. მთარგმნელობითი საქმიანობის ფაქტორები და პირობები

### 6.2.1. თარგმანის მკითხველი და მისი მოლოდინი თარგმანისადმი

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ მთარგმნელობითი საქმიანობის დროს, არის თარგმანის მკითხველი და მისი მოლოდინი თარგმანისადმი.

ავტორის მიერ ტექსტის გათვლა მკითხველზე და ის, თუ რას ელოდება ეს ამ უკანასკნელი ტექსტისაგან, ორმხრივი და ურთიერთქმედითი პროცესია: მკითხველის მოლოდინი გარკვეულ ზეგავლენას ახდენს იმაზე, თუ რა სახის ტექსტს შექმნის ავტორი; ტექსტიც, თავის მხრივ, განსაზღვრავს მკითხველის მოლოდინს, რაც გამოიხატება იმაში, რომ ხდება ამ მოლოდინის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილება ან მისი გაცრუება. სხვადასხვა ჟანრის ტექსტი სხვადასხვა ხარისხით არის გათვლილი მკითხველზე: სტილურად ნეიტრალური ტექსტების შემთხვევაში შეიძლება მოხდეს მოლოდინის სრული დაკმაყოფილება, ნორმიდან გადახრილი ტექსტების შემთხვევაში კი – არა;

აღსანიშნავია ასევე ის გარემოება, რომ დედნისა და თარგმანის მკითხველს განსხვავებულ პირობებში უწევთ ტექსტთან ურთიერთობა. თარგმანის მკითხველი ეცნობა ტექსტს, რომელიც სრულიად სხვა ენობრივ სამყაროს მიეკუთვნება, რადგან მასში სათარგმნ ენის ენობრივ-სტილური საშუალებებია გამოყენებული. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სათარგმნ ენაში ერთმანეთის გვერდით არსებობენ ორიგინალური ნაწარმოებები და ერთი და იმავე ენიდან ან სხვადასხვა ენიდან შესრულებული თარგმანები, რომლებიც ამკვიდრებენ ახალი თარგმანების შექმნისა და რეცეპციის ნორმებს.

თუ მოვახდენთ მიმდებარის მოლოდინის დიფერენციაციას თარგმანის პერსპექტივიდან, აქ ექვსი ასპექტი უნდა გამოვყოთ:

1. თემატური სფერო,

2. მაკროაგებულება,
3. მიკროაგებულება,
4. ტექსტის ფუნქცია,
5. ენობრივ-სტილური გაფორმება,
6. ტექსტის გაგება და ინტერპრეტაცია. (Koller 2011:107).

თუ რა თემას ეხება ტექსტი, ამის შესახებ მკითხველმა მისი სათაურიდან და ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე შეუძლია დაასკვნას. თუმცა თემატურ-შინაარსობრივმა ასპექტმა შესაძლოა ზოგჯერ უკანა პლანზე გადაინაცვლოს. ეს განსაკუთრებით ეხება პოეტურ ტექსტებს, რომლებშიც ესთეტიკური და ვიზუალური მხარე (კონკრეტული პოეზია) ხანდახან უფრო რელევანტური აღმოჩნდება ხოლმე. ტექსტის თემატურ მხარესთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება – არცთუ ისე იშვიათად მთარგმნელი მეტისმეტად ერევა ტექსტის შინაარსში. საქმე შეიძლება ისე შორს წავიდეს, რომ მთარგმნელმა დედნიდან მთელი პასაჟი ამოიღოს, რადგან ეს უკანასკნელი სათარგმნი ენის კულტურაში მიღებულ პოლიტიკურ, იდეოლოგიურ თუ მორალურ ნორმებს ეწინააღმდეგება. აქ დგება საკითხი, პრინციპულად უნდა უარყოთ თუ არა მთარგმნელის ჩარევა ტექსტის შინაარსში, რაზეც ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა ჭირს. საქმე ის არის, რომ თარგმანის აღქმა კონკრეტულ სოციო-კულტურულ გარემოში ხდება, რომელიც განსხვავდება იმ სოციო-კულტურული გარემოსაგან, სადაც ორიგინალი შეიქმნა. შესაბამისად, ორიგინალის მკითხველისა და თარგმანის მკითხველის ზოგადი ცოდნა თუ ტექსტის გაგების წინაპირობები ერთმანეთისაგან განსხვავდება. ხშირად ორიგინალში იმპლიციტურად ჩადებული ინფორმაცია, რომელიც აღნიშნულ კულტურაში თავისთავად ცხადია და ყოველდღიური ცხოვრების ნაწილს წარმოადგენს, თარგმანში ექსპლიციტურად უნდა გამოიხატოს. ასეთ შემთხვევაში მთარგმნელი ტექსტს ურთავს კომენტარებს და ამგვარად ცდილობს შეავსოს მკითხველის ცოდნის დეფიციტი.

რაც შეეხება მაკროაგებულებას, როგორც ვიცით, ტექსტის აგებისას ავტორი მეტ-ნაკლებად ემორჩილება იმ წესებს, რომლებიც ამა თუ იმ შინაარსის ტექსტის სტრუქტურირებისათვის არის აუცილებელი. მკაცრად დადგენილი წესები არსებობს მიზნობრივი ტექსტებისა და სპეცტექსტებისათვის, როგორცაა, მაგალითად, მეცნიერულ-ტექნიკური ტექსტი, ბიოგრაფია, ინსტრუქცია, განცხადება, პროსკოპი, საგაზეთო სტატია და ა.შ. თუმცა ლიტერატურული ტექსტებიც ექვემდებარება ტექსტის აგების გარკვეულ პრინციპებს. გავიხსენოთ თუნდაც დე-

ტექტიური რომანი, ზღაპარი, აფორიზმი, სონეტი. ტექსტის აგების წესები ხშირად განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანასა და კულტურაში და ხანდახან ერთი კულტურის მიზნობრივი ტექსტების ფარგლებშიც. აღსანიშნავია ისიც, რომ დროსთან ერთად იცვლება ტექსტის აგებისა და სტრუქტურირების მოდელებიც. თარგმნის დროს ჩნდება კითხვა, უნდა მოარგოს თუ არა ან რამდენად უნდა მოარგოს მთარგმნელმა თარგმანი სათარგმნ ენაში არსებულ ნორმებს, აქვს თუ არა უფლება მთარგმნელს, შეცვალოს ტექსტის აგებულება და სტრუქტურა და ა.შ.

შემდეგი პუნქტი – ტექსტის მიკროაგებულება გულისხმობს მისი სიღრმისეული და სტრუქტურის ბმის საშუალებებს, რომლებიც მთარგმნელმა ისე უნდა გადმოიტანოს სათარგმნ ენაზე, რომ მკითხველს პრობლემები არ შეექმნას ტექსტის გაგების დროს. პრობლემა თავს იჩენს მაშინ, როცა ორიგინალის ავტორს ტექსტი გათვლილი აქვს ორიგინალის მკითხველის ისეთ ზოგად თუ ყოველდღიურ ცოდნაზე, რომელიც სათარგმნ ენის მკითხველს არ გააჩნია. ორიგინალის ავტორმა შეიძლება ბევრი რამე არ თქვას, „იგულისხმოს“, რაც გაუგებარი დარჩება თარგმანის მკითხველისათვის. ამ დროს მთარგმნელი დგას საკმაოდ მნიშვნელოვანი ამოცანის წინაშე, ტექსტის იმპლიციტური ინფორმაცია გახადოს ექსპლიციტური, რათა ტექსტი გასაგები გახდეს თარგმანის მკითხველისათვისაც.

რაც შეეხება ტექსტის ფუნქციას, უნდა აღინიშნოს, რომ განასხვავებენ ტექსტის პირველად და მეორად ფუნქციებს (Koller 2011:114). მაგ., პოეტურ ტექსტებს არა მხოლოდ ესთეტიკური ფუნქცია გააჩნიათ, არამედ ხშირად საინფორმაციო და (ან) პერსუასიულიც. ჰ. როსიპალი ამ მოვლენას უწოდებს „ენები ენაში“ (Rossipal 1973:15). აქედან გამომდინარე, განასხვავებენ სამეცნიერო, პოლიტიკურ, სარეკლამო და ა.შ. ენებს. ყველა ამ ენას აქვს განსხვავებული ფუნქცია, რაც მათში გამოყენებულ გამომსახველობით საშუალებებზეც აისახება. მაგალითად, ექსპრესიული სიტყვები და გამოთქმები სამეცნიერო-ტექნიკურ ტექსტებში, როგორც წერი, არ იხმარება. სპეციალური ტერმინოლოგია, მართალია, ლიტერატურულ ტექსტებშიც შეიძლება შეგვხვდეს, მაგრამ ისინი ძირითადად მაინც სპეცტექსტებში გამოიყენება და ა.შ. ტექსტის ფუნქციებთან დაკავშირებით მთარგმნელი შემდეგი პრობლემების წინაშე დგას:

- ორიგინალში მიაკვლიოს პირველად და მეორად ფუნქციებს;
- დაადგინოს, სავალდებულოა ან შესაძლებელია თუ არა თარგმანში ამ იერარქიის შენარჩუნება;

- გამოიკვლიოს, სათარგმნ ენაში რომელი ჟანრის ტექსტში რომელი ენობრივ-სტილური საშუალებები გამოიყენება.

შემდეგი პუნქტი – ტექსტის ენობრივ-სტილური გაფორმება, საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია. სხვადასხვა ჟანრის ტექსტებისათვის სხვადასხვა ფუნქციონალური სტილის გამოყენებაა საჭირო. განსხვავებული ფუნქციონალური სტილი ნიშნავს სტილური ელემენტების/საშუალებების განსხვავებულ არჩევანს, კომბინაციას და გამოყენების სიხშირეს. მთარგმნელის მოვალეობაა, ორიგინალის ენობრივ და სტილურ ელემენტებს შეუხამოს ისეთი ელემენტები, რომლებიც სათარგმნ ენაში შესაბამისი ფუნქციონალური სტილის ენობრივ და სტილურ ელემენტებს შეესაბამებიან.

ბოლო და საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია ტექსტის გაგება და ინტერპრეტაცია. მკითხველი ნებისმიერი ტექსტის კითხვას იწყებს იმ იმედით, რომ მას გაიგებს ანუ შეძლებს საკუთარი ცოდნაზე დაყრდნობით ტექსტიდან ინფორმაციის მოპოვებას. მეცნიერული ტექსტისაგან ამა თუ იმ სფეროს სპეციალისტი ელოდება, რომ მას ტექსტის გაგებაში ხელს არ შეუშლის აზრის ხატოვანი გამოხატვა და სიტყვების პოლისემიურობა. პირიქით, სამეცნიერო ტერმინების გამოყენებამ უნდა გამორიცხოს ორაზროვნება და გაურკვეველობა. ლიტერატურული ტექსტების შემთხვევაშიც ელოდება მკითხველი, რომ ის მათ (ტრივიალური თვალსაზრისით მაინც) გაიგებს. თუმცა მეცნიერული ტექსტებისაგან განსხვავებით, ლიტერატურული ტექსტები სწორედ იმით გამოირჩევიან, რომ მრავალგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევიან. ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა, რომელიც ასეთ დროს მთარგმნელს უჩნდება, არის ის, თუ ამ ინტერპრეტაციებიდან რომელი შეესაბამება ორიგინალის ინტენციას და რომელი – არა. ამის გასარკვევად მთარგმნელს შეუძლია ჩაატაროს დედნის ანალიზი, რომელიც ტექსტის საზრისის დადგენას ემსახურება. რასაკვირველია, ეს კვლევა ვერასოდეს იქნება აბსოლუტურად ობიექტური, რადგან ტექსტის ინტერპრეტაცია ყოველთვის არის შედეგი, ერთი მხრივ, ტექსტის ავტორის ინტენციისა და, მეორე მხრივ, იმ სიტუაციისა თუ ისტორიული ეპოქისა, რომელშიც მკითხველი ანუ მთარგმნელი ტექსტს ეცნობა.

## 6.2.2. თარგმნადობის, ინვარიანტისა და ეკვივალენტობის პრობლემა

საკითხი, რომელიც თანამედროვე ლინგვისტიკაში ხანგრძლივი და ცხარე დისკუსიის საგანს წარმოადგენდა და წარმოადგენს, არის თარგმნის თეორიული და პრაქტიკული შესაძლებლობა/შეუძლებლობის პრობლემა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს პასუხთა ფართო სპექტრი, სადაც წარმოდგენილია აბსოლუტურად ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები: ერთნი საუბრობენ თარგმნაზე, როგორც პრინციპულად შეუძლებელი ამოცანაზე, მეორენი თარგმანს შეუძლებლად მიიჩნევენ გარკვეული უნარის ტექსტებისათვის, მესამე ჯგუფს მიაჩნია, რომ თარგმნას ექვემდებარება მხოლოდ ტექსტის რაციონალური კომპონენტები ანუ დენოტაციური მნიშვნელობა.

ჩვენ ზემოთ ვიმსჯელებთ კულტურისა და ენის მჭიდრო ურთიერთკავშირის შესახებ. ამ ურთიერთკავშირს ბევრი მეცნიერება იკვლევდა და იკვლევს. ესენია ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ანტროპოლოგია, ეთნოლოგია, ლინგვისტიკა და ა.შ. თარგმანმცოდნეობა კულტურას აიგივებს კომუნიკაციურ კონტექსტთან და ერთმანეთისაგან განასხვავებს კომუნიკაციურ კონტექსტებს, რომელშიც დედანია წარმოდგენილი და რომელშიდაც თარგმანია წარმოდგენილი. თუ დედნისა და თარგმანის ენის კომუნიკაციური კონტექსტები ერთმანეთს ემთხვევა, მაშინ საუბრობენ თარგმნის აბსოლუტური შესაძლებლობის შესახებ. თუ დედნის ენისა და სათარგმნი ენის კომუნიკაციური კონტექსტები არანაირ მსგავსებას არ ავლენენ. ამ დროს დგება თარგმნის აბსოლუტური შეუძლებლობის პრობლემა, ხოლო დედნისა და სათარგმნი ენის კომუნიკაციური კონტექსტების ნაწილობრივ თანხვედრის შემთხვევაში საქმე გვაქვს ნაწილობრივი თარგმნადობის პრობლემასთან (Koller 2011:166). საინტერესოა ის გარემოება, რომ ვ. კოლერი ეჭვქვეშ აყენებს მოსაზრებას თარგმნის აბსოლუტური შესაძლებლობის და შეუძლებლობის შესახებ და გვთავაზობს ფარდობითი თარგმნადობის თეზას (relative Übersetzbarkeit), რომელიც წარმოადგენს შუალედურ შეხედულებას თარგმნადობის შესახებ არსებულ ორ ექსტრემალურ მოსაზრებას შორის. ესენია თარგმნადობის რაციონალისტური ხედვა და შინაარსზე ორიენტირებული გრამატიკის წარმომადგენელთა ხედვა თარგმნის შეუძლებლობის შესახებ. პირველნი ავითარებენ აზრს, რომ, თუ ყველაფერი, რისი გაფიქრებაც ადამიანს შეუძლია, შეიძლება ენის მეშვეობით გამოიხატოს, მაშინ პრინციპულად შესაძლებელი უნდა იყოს ისიც, რომ ის, რაც ერთ ენაში გამოიხატება, მეორე ენაში თარგმნას დაექ-

ვემდებარება; მეორენი კი ფიქრობენ, რომ ენობრივი კოლექტივის წარმომადგენელთა მიერ სინამდვილის აღქმა მეტ-ნაკლებად დეტერმინირებულია ენის სტრუქტურით, ენები კი, მათი არსიდან გამომდინარე, არ ექვემდებარებიან თარგმანს (ამ აზრს იზიარებენ ლ. ვაისგერბერი, ბ. ლ. ვორფი და ა.შ).

ფარდობითი თარგმნადობა შემდეგ პრინციპებს ემყარება:

1. წარმატებული კომუნიკაცია თარგმანების მეშვეობით, თვით ენებს შორის დიდი გასხვავების პირობებშიც კი, ნიშანია იმისა, რომ ადამიანური ენა ბევრად უფრო მოქნილი, დინამიკური და მრავალშრიანია, ვიდრე ეს წარმოგვიდგენია. ასევე დინამიკურია ენას, სინამდვილესა და სინამდვილის აღქმას შორის დამოკიდებულება: დროსთან ერთად იცვლება კულტურა, კომუნიკაციის პირობები, ენის გამოყენება. ყველა თარგმანი გარკვეულწილად ცვლის როგორც სათარგმნ ენას, ისე სათარგმნი ენის კომუნიკაციურ პირობებს და რაც უფრო დიდია განსხვავება ორი ენის კულტურებს შორის, მით უფრო მოუწევს ენას თავისი დინამიკური და ცვალებადი ხასიათის გამოვლენა.
2. ორ ენას შორის განსხვავებები შეიძლება დაიძლიოს სწორედაც რომ ენის მეშვეობით. ამ დროს ენას შეუძლია გამოიყენოს თავისი კომუნიკაციური თუ მეტაკომუნიკაციური ფუნქციები: მაგალითად, სქოლიოში ჩატანილი კომენტარების, წინა- თუ ბოლოსიტყვაობის, ტექსტში ჩართული შენიშვნების მეშვეობით შესაძლებელია ძნელად სათარგმნი სიტყვებისა და ცნებების, ასევე კონოტაციური მნიშვნელობების განმარტება.
3. მართალია, ენა კულტურულად განპირობებული ფენომენია და ის გარკვეულწილად განსაზღვრავს ერის აზროვნებას, მაგრამ ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანურ აზროვნებას ენისგან დამოუკიდებელი უნივერსალური ხასიათიც აქვს, რამაც უნდა უზრუნველყოს ორი ენის წარმომადგენელთა შორის კომუნიკაციური ურთიერთობა.
4. ის მოსაზრება, რომ ენა არის მთლიანად კულტურულად განპირობებული ფენომენი არის, შეგვიძლია გავაბათილოთ იმ არგუმენტით, რომ ერთსა და იმავე ენაზე შეიძლება სხვადასხვა კულტურულ გარემოშიც ლაპარაკობდნენ (მაგ. შეგვიძლია გავიხსენოთ საფრანგეთისა და ინგლისის ყოფილი კოლონიები). გარდა ამისა, მთარგმნელობითი პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თარგმნის პროცესი კულტურულად თუ სტრუქტურულად მსგავს ენებს შორის არავითარ შემთხვევაში არ არის უფრო მარტივი, ვიდრე ამ თვალსაზრისით გასხვავებულ ენებს შორის.

5. პრინციპული უთარგმნელობის თეზის გასამყარებლად მაგალითის სახით ხშირად მოჰყავთ ცალკეული, ე.წ. უთარგმნელი სიტყვები და გამოთქმები. ასეთები მართლაც არსებობენ, მაგრამ ისინი გამოიყენებიან არა იზოლირებულად, არამედ ყოველთვის სხვა სიტყვებთან ერთად გარკვეულ კომუნიკაციურ სიტუაციაში. მთარგმნელის მოვალეობა არა ცალკეული სიტყვების, არამედ ტექსტის თარგმნაა. ამასთანავე, ისევე როგორც ტექსტის გაგება არ შეიძლება იყოს აბსოლუტური (თუნდაც მშობლიურ ენაზე), არამედ მხოლოდ ცვალებადი (პროგრესირებადი) და შედარებითი, ასევე ტექსტის თარგმნადობაც ფარდობითი ცნებაა.

მეორე საკითხი, რომელსაც შევეხებით, ეს არის ინვარიანტის ცნება, რომელსაც მ. შრაიბერი შემდეგნაირად განმარტავს: “თარგმანი, უპირველეს ყოვლისა, ინვარიანტის არსებობის აუცილებლობას ეფუძნება ე.ი. აუცილებლობას დედნის გარკვეული ნიშნების შენარჩუნებისა” (Schreiber 1993:12). ის თარგმანის ორ ტიპს გამოყოფს: პირველი, რომელშიც შიდატექსტური ინვარიანტი (შინაარსი და ფორმა) დგას წინა პლანზე და მეორე, რომელშიც უპირატესობა გარეტექსტურ ინვარიანტს (მაგ. მხატვრულ ეფექტს) ენიჭება უპირატესობა (Schreiber 2006:42). საინტერესოა, რომ ის საუბრობს ინვარიანტის შენარჩუნების სირთულეებზე სხვადასხვა ენობრივ დონეზე და გეთავაზობს სირთულეების გადაჭრის გზებსაც. ეს დონეებია: 1. ფონეტიკა და ფონოლოგია (აქ იგულისხმება ხმაბაძვითი სიტყვები, ლექსის რითმა და ა.შ.), 2. გრაფემიკა (აქ ერთიანდება ტიპოგრაფია, გარეგნული ფორმა, რომლებიც ზოგიერთი ქანრის ტექსტებში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, ასევე საკუთარი სახელების ტრანსლიტერაცია, სასვენი ნიშნების დასმა და ა.შ.) 3. მორფოლოგია, 4. სიტყვაწარმოება (აქ შემოდის ჩვენთვის საინტერესო ოკაზიონალიზმები), 5. ლექსიკური სემანტიკა (აქ იგულისხმება სხვადასხვა ენაში გარეენობრივი რეალობის განსხვავებული სემანტიკური შეფასება, ასევე კულტურული სხვაობები, მეტაფორა, სიტყვათა თამაში და ა.შ.), 6. ონომასტიკა, 7. სინტაქსი, 8. ტექსტის ლინგვისტიკა და პრაგმატიკა, 9. ენის “არქიტექტურა” (რეგიონალური, სოციალური და სიტუაციური ვარიაციები) და 10. შორისდებულები (Schreiber 2006:74). უ. ეკო შიდატექსტურ და გარეტექსტურ ინვარიანტებს მოიხსენიებს ტერმინებით “ენობრივი” და “გარეენობრივი ფენომენები” (Eco 2006:303).

თარგმნადობისა და ინვარიანტის ცნებებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული თარგმანის ეკვივალენტობის ცნება. ი. ალბრეხტი ამ უკანასკნელის განმარტების დროს ხაზს უსვამს ერთ მნიშვნელოვან გარემოებას, რომ “ეკვივალენტო-

ბა არ ნიშნავს იდენტურობას, არამედ ტოლფასობას (თანაბარფასიანობას)” (Albrecht 2013:33) (მისი აზრით, იდენტურობას ინვარიანტის ცნება მოიცავს). ნივთების ან მოვლენების ტოლფასობა გულისხმობს, მაგალითად, იმას, რომ იდენტურია მათი ერთი ან რამდენიმე, კონკრეტულ სიტუაციაში რელევანტური ნიშანთვისება და არა თვითონ საგნები ან მოვლენები.

დედნისა და თარგმანის იდენტურობა იმთავითვე გამორიცხულია იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ მთარგნელობითი საქმიანობის დროს საქმე გვაქვს (მინიმუმ) ორი განსხვავებულ ენასა და კულტურასთან. სწორედ ამის გამო საჭიროა ეკვივალენტობის ცნების უფრო ფართო სპექტრში მოაზრება, რასაც აკეთებენ ქ. რაისი და ჰ. ი. ვერმეერი: „ეკვივალენტობა არის დედანსა და თარგმანს შორის ისეთი დამოკიდებულება, რომელსაც შესაბამის კულტურაში შეუძლია იმავე ხარისხის კომუნიკაციური ფუნქციის შესრულება“ (Reiß...1984:139). თითქმის იმავეს იმეორებს გ. ვოტიაკი: სათარგმნ ენაზე შექმნილი ტექსტი მაშინ შეიძლება ჩაითვალოს თარგმანად, თუ ის ორიენტირებულია ეკვივალენტურია კომუნიკაციური თვალსაზრისით. ე.ი. როცა მას მსგავსი ან, როგორც მინიმუმ, თითქმის იგივე კონგრუენტული კომუნიკაციური ღირებულება გააჩნია, როგორც დედნის ტექსტს (Wotjak 1982:113). ე. ა. ნაიდა განასხვავებს ეკვივალენტობის ორ ტიპს: ფორმალური და დინამიკური ეკვივალენტობა: ფორმალური ეკვივალენტობის დროს მთარგმნელი მაქსიმალურად არის ორიენტირებული დედნის ტექსტზე და ცდილობს მაქსიმალური სიზუსტით გადმოსცეს დედნის ტექსტის ზედაპირული სტრუქტურის ელემენტები. დინამიკური ეკვივალენტობა გვაქვს ისეთ შემთხვევაში, თუ მთარგმნელი თარგმანს ისე არგებს სათარგმნ ენის კულტურულ გარემოს, რომ დედნის შეტყობინება არ იკარგება და სათარგმნ ენაზე იდენტური ეფექტი მიიღწევა. ფორმალური შესატყვისობა, როგორც წესი, არ არის საკმარისი, რომ დედნის ტექსტის შეტყობინება ადეკვატურად გადმოიცეს სათარგმნ ენის (განსხვავებულ) კულტურულ გარემოში. ამიტომაც ე.ა. ნაიდას უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნია დინამიკური ეკვივალენტობის მიღწევა, რომლის წარმატებული რეალიზაციაც დედნის და სათარგმნ ენაზე კომუნიკაციური ეფექტის იდენტურობაში გამოიხატება (Nida 1964:158).

ვ. კოლერი გვთავაზობს ერთგვარ შკალას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია გადავამოწმოთ, არიან თუ არა დედანი და თარგმანი ერთმანეთის ეკვივალენტურები და რა სახის ეკვივალენტობაა თარგმანში წარმოდგენილი. კერძოდ, ის განასხვავებს ხუთ შემთხვევას:



1. დენოტაციური ეკვივალენტობა, რომელიც ორიენტირებულია ტექსტში გარეენობრივი მოვლენების გადმოცემაზე;
2. კონოტაციური ეკვივალენტობა, რომლის დროსაც მთავარია ისეთი კატეგორიების გადმოტანა, როგორცაა, სტილი, სოციოლექტური და გეოგრაფიული ელემენტები;
3. ტექსტუალურ-ნორმატიული ეკვივალენტობა, რომლის დროსაც მთავარია ტექსტის ამა თუ იმ ჟანრის სპეციფიკური ელემენტების გადმოცემა;
4. პრაგმატული ეკვივალენტობა, რომელიც ტექსტის მიმღებზე არის მიმართული;
5. და ფორმალურ-ესთეტიკური ეკვივალენტობა, რომელის ორიენტირებულია დედნის ესთეტიკურ, ფორმალურ და ინდივიდუალისტური თვისებების გადმოცემაზე (Koller 2011:219).

რასაკვირველია, შეუძლებელია ეკვივალენტობის ყველა ამ სახეობის შენარჩუნება და გადმოტანა თარგმანში. მთარგმნელს მოუწევს, მიიღოს გადაწყვეტილება ერთი და რამდენიმე ინვარიანტის სასარგებლოდ. ასეთ შემთხვევაში ი. ალბრეხტი სასარგებლოდ მიიჩნევს ერთგვარ იერარქიულ შკალას, რომელიც შემუშავებულ იქნება ამა თუ იმ ტექსტში ინვარიანტების მნიშვნელობის გათვალისწინებით, რადგან მთარგმნელმა “კარგად იცის, რომ ყველაფრის ერთად შენარჩუნება შეუძლებელია” (Albrecht 1998:266).

### 6.3. მხატვრული ტექსტების თარგმანა

ტექსტის ლინგვისტიკაში ტექსტების დიფერენციაციის უამრავი მცდელობა არსებობს, თუმცა ჩვენ ამჯერად ეს საკითხი თარგმანმცოდნეობის თვალსაზრისით გვაინტერესებს. ვ. კოლერი განასხვავებს ტექსტების ორ ძირითად სახეობას: მხატვრული და სპეციალური ტექსტები (Koller 2011:278). ეს, რასაკვირველია, ძალზე ზოგადი დიფერენციაციაა და თუ სხვა კრიტერიუმებსაც მოვიშველიებთ, როგორცაა, მაგალითად, ლინგვისტური, კომუნიკაციური, მხატვრულ-ესთეტიკური და ა.შ., შესაძლებელია სხვა ჯგუფების გამოყოფაც.

ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენენ მხატვრული ტექსტები, რომლებშიც, სპეციალური ტექსტებისაგან განსხვავებით, რეალობის განსაკუთრებული,

სპეციფიური ხედვა ანუ სრულიად ინდივიდუალისტური სამყაროა წარმოდგენილი. პირველი, რაც მთარგმნელმა უნდა გაითვალისწინოს, სწორედ ეს ასპექტია – მას აბსოლუტურად სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს მხატვრულ და სპეციალურ ტექსტებში ასახულ რეალობასთან. თუ სპეციალური ტექსტის მთარგმნელი ტექსტში გადმოცემულ ინფორმაციასა და სინამდვილეს შორის გარკვეულ წინააღმდეგობას წააწყდება, მისი მოვალეობაა, ტექსტი გაასწოროს. ამას ვერ გააკეთებს მხატვრული ტექსტის მთარგმნელი, რადგან ასეთ „ცდომილებას“ გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს შინაარსობრივი, ფორმალური თუ ესთეტიკური თვალსაზრისით. განსხვავებულად უნდა მოექცეს ასევე მთარგმნელი სპეციალურ და მხატვრულ ტექსტებში ასახულ დარგობრივ ინფორმაციას. თუ სპეციალური ტექსტის თარგმნის დროს მთარგმნელის მოვალეობაა, უპირველეს ყოვლისა, იზრუნოს ინფორმაციის მაქსიმალურად ზუსტად გადმოტანაზე, ანუ დენოტაციური ღირებულებების შენარჩუნებაზე, მხატვრულ ტექსტებში შეიძლება მოხდეს კონოტაციური მნიშვნელობის შენარჩუნების მიზნით, დენოტაციური მნიშვნელობის „გაწირვა“.

მხატვრული ტექტებში ძალზე მნიშვნელოვანია ესთეტიკური ასპექტი, რადგან მხატვრული ტექსტები, როგორც ვიცით, იქმნება არა მხოლოდ ენაში არსებული ენობრივ-სტილური, არამედ ესთეტიკური ნორმების გათვალისწინებითაც. ლიტერატურული ტექსტების ესთეტიკური ხასიათი განსაკუთრებული სიძლიერით ჩანს მხატვრული თვალსაზრისით ინოვაციურ ტექსტებში, რომლებშიც დარღვეულია ლიტერატურული ან/და ენობრივი ნორმები. ესთეტიკურობას უკავშირდება ასევე შეფარული ან აშკარა ორაზროვნება, რომელთა ინტერპრეტაციაც მკითხველის ინდივიდუალურ აღქმაზეა მთლიანად დამოკიდებული. მთარგმნელმა ტექსტის ანალიზის დროს ერთმანეთისაგან უნდა განასხვავოს ესთეტიკური თვალსაზრისით ეფექტური (ავტორის მიერ წინასწარ დაგეგმილი) და არაეფექტური (შემთხვევითი) ორაზროვნება. ასეთი დიფერენციაცია მარტივი არ არის, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში მას გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, მაგალითად, სიტყვათა თამაშის შემთხვევაში. ლიტერატურული თარგმანის დროს ჩვენ ველოდებით, რომ მაქსიმალურად დაცული იქნება დედნის ესთეტიკური მხარე შესაბამისი ენობრივი საშუალებების გამოყენებით, ხოლო ამ უკანასკნელთა არარსებობის შემთხვევაში მათი საგანგებო შექმნით. ლინგვისტები ქ. რაისი და ჰ.ი. ვერმეერი თარგმნის ამ სახეობას „შემოქმედებით თარგმანს“ (sprachschöpferische Übersetzung) უწოდებენ (Reiß...1984:136).

მნიშვნელოვანია ასევე მხატვრული ტექსტის ჟანრისა და ტიპის დადგენა. როგორც უკვე ერთხელ აღვნიშნეთ, ამა თუ იმ ჟანრის ტექსტთან მჭიდროდ არის დაკავშირებული გარკვეული ენობრივ-გამომსახველობითი თუ ტექსტუალური საშუალებები, რომლებიც ხშირად განსხვავებულია სხვადასხვა ენაში. იმისათვის, რომ მთარგმნელმა (რომელიც ერთსა და იმავე დროს ტექსტის რეციპიენტიც არის და ავტორიც) წარმატებით მოახერხოს დინამიკური ეკვივალენტობის მიღწევა, მას შესაძლოა მოუწიოს დედნის ენის ჟანრობრივი კონვენციების შეცვლა სათარგმნი ენის ჟანრობრივი კონვენციებით.

ტექსტის ტიპს რაც შეეხება, აქ სამ სახეობას გამოყოფენ: ინფორმაციული, ექსპრესიული და ოპერატიული (ანუ პერსუასიული) (Reiß...1984:150). ინფორმაციული ტექსტის მთავარი დანიშნულება ინფორმაციის გადაცემაა, ექსპრესიულის – ინფორმაციის გადაცემა და მხატვრული საშუალებების ორგანიზება, ოპერატიულისა კი – ინფორმაციის გადაცემა და დარწმუნება (აქ ასევე შეიძლება დაემატოს მხატვრული საშუალებების ორგანიზებაც). მთარგმნელმა აუცილებლად უნდა მოახდინოს ამ სახეობების იერარქია, ანუ განაღვლოს ისინი ტექსტში ეკვივალენტობის რეალიზაციისათვის რელევანტური თვალსაზრისით და ამის გათვალისწინებით წარმართოს თავისი მთარგმნელობითი საქმიანობა. მხატვრული ტექსტების შემთხვევაში წარმართველი, რა თქმა უნდა, ექსპრესიული ფუნქცია იქნება: „ექსპრესიული ტექსტის შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ეკვივალენტობის მიღწევა მხატვრული საშუალებების ორგანიზებისა და ფორმაზე ორიენტირებული ენის დონეზე“ (Reiß...1984:157), რაც ნიშნავს იმას, რომ უნდა მოხდეს ტექსტის შინაარსის გადმოცემა მხატვრული საშუალებების ანალოგიური ორგანიზებით. ანალოგიური კი გულისხმობს იმას, რომ ეკვივალენტობა მიღწეულ უნდა იქნეს სათარგმნი ენის სტრუქტურული თავისებურებების, კულტურაში არსებული კონვენციებისა და ლიტერატურული ტრადიციების გათვალისწინებით. ზოგიერთი ლინგვისტი აქ ერთგვარი „მთარგმნელობითი პოეტიკის“ (კობახიძე 1986:42) შემუშავებასაც კი მიიჩნევს მიზანშეწონილად. ამ საკითხს უკავშირდება დედნის ტექსტის ავტორის ფაქტორიც, რომლის ინდივიდუალური სტილის კვლევა-შესწავლა და თარგმანში გადმოტანა მთარგმნელის ერთერთი უპირველესი ამოცანაა: „ლიტერატურული თარგმანი, რომელიც იმით კმაყოფილდება და შემოიფარგლება, რომ გადმოსცემს ტექსტის სემანტიკის გამომსახველ ფორმებს, თავის მიზანს ვერ მიაღწევს, რადგან ის მხატვრული ნაწარმოების ყველაზე არსებითს ტოვებს ყურადღების მიღმა - ეს არის ავტორის ინ-

ლივიდუალური სტილი“ (Walter 1992:305). რა ქმნის ავტორის სტილს? – ეს შეიძლება იყოს თხრობის სტილი, ტექნოლექტების, სოციოლექტების, დიალექტების, უცხო სიტყვების გამოყენება, ასევე რიტმი და ხმოვანთა ჰარმონია. მართლწერის წესების დაცვა/უგულვებლყოფა, პუნქტუაციის გამოყენების ფორმა და ა.შ.

გარდა ამისა, ქართველი ლინგვისტი დ. ფანჯიკიძე ყურადღებას ამახვილებს ერთ ძალიან მნიშვნელოვან გარემოებაზე, კერძოდ იმაზე, რომ დედნისა და ავტორის სტილის ერთგულება თავისთავად გამორიცხავს მთარგმნელის ინდივიდუალური სტილის არსებობას: „ინდივიდუალური სტილი მწერლის საკუთრებაა, მთარგმნელს კი მხოლოდ იმის უფლება აქვს, გამომაჟღავნოს ამ სტილის ობიექტურად შესაძლებელი სიზუსტით რეპროდუქციის ინდივიდუალური სტილი“ (ფანჯიკიძე 1999: 47). სწორედ ეს იქნება თარგმანის წარმატებული განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა.

#### 6.4. ოპაზიონალიზაციის თარგმნის პრობლემა

როგორც უკვე ერთხელ აღვნიშნეთ, დედანსა და თარგმანს შორის ეკვივალენტური ურთიერთობა შესაძლოა დამყარდეს ტექსტის, როგორც საკომუნიკაციო საშუალების, სხვადასხვა დონეზე. რადგან ენებსა და კულტურებს შორის არსებული სხვაობების გამო ტექსტის ცალკეული ელემენტების ინვარიანტის შენარჩუნება და ეკვივალენტობის მიღწევა ერთდროულად რამდენიმე დონეზე შეუძლებელია, მთარგმნელს მოუწევს, პირველ რიგში, ჩაატაროს ტექსტის ძირფესვიანი ანალიზი. ეს უკანასკნელი გულისხმობს როგორც ტექსტის ენობრივი ელემენტების შესწავლას, ისე გარეენობრივი ფაქტორების კვლევასაც, როგორცაა, მაგალითად, ეპოქა, რომელშიც ავტორი ცხოვრობდა ან ცხოვრობს, ლიტერატურული მიმდინარეობა, რომლის წარმომადგენელიც ის გახლავთ, ტექსტის ჟანრი და ტიპი და ა.შ. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე მთარგმნელმა უნდა გადაწყვიტოს, ტექსტის რომელი ელემენტები არის კონკრეტულ სიტუაციაში რელევანტური და ამის საფუძველზე შეადგინოს პრიორიტეტების შკალა. მან უნდა განსაზღვროს, რა შემთხვევაში მოუწევს რომელიმე ელემენტის ეკვივალენტურ გადმოცემაზე კატეგორიული უარის თქმა და როგორ მოახერხებს დაკარგულის კომპენსაციას (ე.წ. „გადაადგილებული ეკვივალენტი“ – versetzte Äquivalente) ან

რეპროდუქციას, რათა ამგვარად განახორციელოს ეკვივალენტობა ტექსტის დონეზე. ამ სელექციასა და იერარქიას, რასაკვირველია, თან ახლავს ერთგვარი სუბიექტურობა, თუმცა ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ეს სუბიექტურობა ნებისმიერობას უტოლდება. ის იმართება ტექსტში მანიფესტირებული ენობრივი ნიშნებით და ობიექტური ფაქტორებით, რომლებიც განსაზღვრავენ მთარგმნელობით პროცესს. ესენია: მოცემული ენობრივი კონტექსტი, სიტუაციური კონტექსტი, ტექსტის სოციო-კულტურული ინტეგრაცია, ტექსტის კუთვნილება ამა თუ იმ ქანრისა და ტიპისადმი, სათარგმნი ენის სტრუქტურული თავისებურებებით და ა.შ.

იმ ტექსტის ანალიზი, რომელიც ოკაზიონალიზმებს შეიცავს, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოიხატებოდეს მისი ლექსიკური საფარის შესწავლით. სადავო არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამა თუ იმ ტექსტში სიტყვების არჩევანი არასოდესაა შემთხვევითი – მას ბევრი შიდატექსტური და გარეტექსტური ფაქტორი განსაზღვრავს, ეს არჩევანი კი, თავის მხრივ, იძლევა საშუალებას, გავაკეთოთ დასკვნები ტექსტის შინაარსთან, თემატიკასთან და პრესუპოზიციასა და სინტაქსურ სტრუქტურებთან დაკავშირებით. ყოველ ლექსიკურ ერთეულს ავტორი საგანგებოდ არჩევს თავისი მიზნის მისაღწევად. ამდენად, არც ის გარემოებაა შემთხვევითი, რომ ავტორი თავის არჩევანს არა მხოლოდ ენის უზუალურ ნაწილზე აკეთებს, არამედ ტექსტში ოკაზიონალიზმებიც შემოაქვს. პირველი პროცედურა, რომელიც მთარგმნელმა უნდა ჩაატაროს, არის კონკრეტულ ტექსტში უზუალური და ოკაზიონალური ლექსიკური ერთეულების გამიჯვნა. მეორე საფეხური უკვე იმის შესწავლაა, რომელი ოკაზიონალიზმები გამოხატავენ ავტორის განწყობას, მის სტილურ ინტერესს და, შესაბამისად, რომელი მათგანის გადმოტანაა თარგმანში აუცილებელი. ამის შემდეგ მთარგმნელი უკვე იწყებს მის მიერ რელევანტურად მიჩნეული ოკაზიონალიზმების თვისებებისა და ფუნქციების კვლევას: ანუ რა ხარისხით ავლენენ ისინი სპონტანურობას, არალექსიკალიზებულობას, ნორმიდან გადახრას ან კონტექსტზე დამოკიდებულებას. ის ასევე ადგენს, რა მისია ეკისრებათ ოკაზიონალიზმებს სათარგმნი ტექსტის ფარგლებში: ენის ეკონომია, ლექსიკური ხარვეზის შევსება, სტილური ეფექტის მიღწევა, ავტორის სუბიექტური განწყობის გამოხატვა თუ ტექსტუალური ფუნქცია. მეოთხე ეტაპზე უკვე უნდა მოხდეს ოკაზიონალიზმების თვისებებისა და ფუნქციების სელექცია და იერარქია. აქ მთარგმნელს მოუწევს პასუხი გასცეს მთელ რიგ შეკითხვებს:

1. ოკაზიონალიზმის რომელი თვისებები და ფუნქციები არის ტექსტის საზრისისა და ავტორის ინტენციის გადმოსაცემად პირველხარისხოვანი?
2. რომელი მეორეხარისხოვანი თვისებისა თუ ფუნქციის დათმობა მოუწევს მას უფრო მნიშვნელოვანის გადმოცემის ხარჯზე?
3. შესაძლებელია თუ არა ამ დანაკარგის კომპენსაცია ან რეპროდუქცია ტექსტის დონეზე?

საკითხი, რომელიც მთარგმნელმა ასევე უნდა შეისწავლოს, არის ოკაზიონალიზმის სტრუქტურული შემადგენლობა. მან, პირველ რიგში, უნდა დაადგინოს, სათარგმნი ერთეულის საწარმოებლად სიტყვაწარმოების რომელი ტიპია გამოყენებული: კომპოზიცია, დერივაცია, კონვერსია თუ სხვა და, მეორე რიგში, გაარკვიოს, შესაძლებელია თუ არა დედნის ოკაზიონალიზმის გადატანა სათარგმნ ენაზე სიტყვაწარმოების იმავე ტიპის მეშვეობით, რადგან ოკაზიონალიზმის სტრუქტურას ზოგჯერ შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს ეკვივალენტობის მისაღწევად ტექსტის დონეზე.

როგორც ვხედავთ, ოკაზიონალიზმების თარგმნის დროს მთარგმნელმა საკმაოდ ბევრი ასპექტი უნდა გაითვალისწინოს. ესენია: 1. ოკაზიონალიზმის სემანტიკა ანუ დენოტაციური მნიშვნელობა, 2. ოკაზიონალიზმის თვისებები და ფუნქციები ანუ მისი კონოტაციური მნიშვნელობა და 3. ოკაზიონალიზმის სტრუქტურა. აქვე უნდა ითქვას, რაც უფრო დიდია ოკაზიონალიზმის კონოტაციური პოტენცია, მით უფრო შეზღუდულია მისი ეკვივალენტის მოძიების საშუალებები, რადგან კონოტაცია, ზოგადად, ძალზე რთული გადასატანია ერთი ენიდან მეორეში. თუმცა ვინაიდან ჩვენი ინტერესის საგანს ის ოკაზიონალიზმები წარმოადგენენ, რომლებიც მხატვრულ ლიტერატურაში, კერძოდ კი პოეზიაში გვხვდება, „პოეტური ტექტების მიზანი კი, უპირველეს ყოვლისა, ესთეტიკური ეფექტია” (Eco 2006:347), ვფიქრობთ, რომ ოკაზიონალიზმების თარგმნის დროს ყურადღება მათი სწორედ მათ კონოტაციური მნიშვნელობაზე უნდა გამახვილდეს.

თანამედროვე თარგმანმცოდნეობაში ლექსიკური ერთეულების ეკვივალენტობის სამ სახეობას განასხვავებენ: სრული ეკვივალენტობა, ნაწილობრივი ეკვივალენტობა და ეკვივალენტობის არარსებობა. სრული ეკვივალენტობა ოკაზიონალიზმების შემთხვევაში ნიშნავს მათ შინაარსობრივ, ფორმალურ, ფუნქციურ თანხვედრას და დედნისა და სათარგმნი ენის ლექსიკური ერთეულების კომუნი-

კაციურ თანაბარღირებულებიანობას. ნაწილობრივი ეკვივალენტობის დროს ოთხ სხვადასხვა ფორმას განასხვავებენ: 1. იდენტური დენოტაციურ-სიგნიფიკატური მნიშვნელობები, იდენტური რეფერენცი და ნაწილობრივ იდენტური ან არაიდენტური კონოტაციური მნიშვნელობები, 2. იდენტური დენოტაციურ-სიგნიფიკატური და კონოტაციური მნიშვნელობები და არაიდენტური რეფერენცი, 3. ნაწილობრივ იდენტური დენოტაციურ-სიგნიფიკატური მნიშვნელობები და იდენტური პრაგმატულ-კონატაციური მნიშვნელობები, 4. ნაწილობრივ იდენტური დენოტაციური მნიშვნელობა და ნაწილობრივ იდენტური პრაგმატულ-კონოტაციური მნიშვნელობები (Gataullin 2000/2001:54). როგორც ვხედავთ, ნაწილობრივი ეკვივალენტობის პირობებში მთარგმნელს ერთ ან რამდენიმე კომპონენტზე უწევს უარის თქმა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს უარის თქმა ყველა ცალკეულ შემთხვევაში უნდა იყოს მთარგმნელის ინდივიდუალური არჩევანი და მთლიანად უნდა იყოს განსაზღვრული თარგმანში კომუნიკაციური ეკვივალენტობის მიღწევის სურვილით.

ნულოვანი ეკვივალენტობა ნიშნავს იმას, რომ დედნის ენის ლექსიკური ერთეულები სათარგმნ ენაში საერთოდ არ არსებობს. განასხვავებენ რეფერენცი-ალურ, ლექსიკურ-სემანტიკურ და სტილურ-პრაგმატულ ნულოვან ეკვივალენტობას. ყველაზე დიდ სირთულეებს მთარგმნელი სწორედ ასეთი ეკვივალენტობის შემთხვევაში აწყდება, თუმცა ენებს შორის, ძირითადად, ნაწილობრივ ეკვივალენტური ურთიერთობები არსებობს და ამიტომაც მთარგმნელისათვის თარგმნა ოპტიმიზაციის პროცესი უნდა იყოს და მთარგმნელიც სათარგმ ერთეულებს შორის შეძლებისდაგვარად ოპტომალურ იდენტურობას უნდა ესწრაფვოდეს.

რაც შეეხება საკითხს, რა სტრატეგია უნდა აირჩიოს მთარგმნელმა ოკაზიონალიზმების თარგმნისას, აქ ა. შიულერი ხუთ პუნქტს გამოყოფს:

1. ოკაზიონალიზმის გადატანა სათარგმნ ენის ტექსტში;
2. ახალი ოკაზიონალიზმის წარმოება დედანში გამოყენებული ოკაზიონალიზმის მიხედვით;
3. ახალი ოკაზიონალიზმის წარმოება დედანში გამოყენებული ოკაზიონალიზმის ფორმისა და შინაარსის სრული უგულებელყოფით;
4. გამოტოვება;
5. ოკაზიონალიზმის გამოყენება თარგმანის ტექსტის სხვა მონაკვეთში კომპენსაციის მიზნით (Schüler 2006:64).

ჩვენ შევეცდებით ზემოთ ჩამოთვლილი სტრატეგიების ვიზუალიზაციას ქრისტიან მორგენშტერნის პოეზიის ქართული თარგმანებითა და ოკაზიონალიზმების თარგმნის ჩვენეული ვერსიების მეშვეობით. ოკაზიონალიზმის გადატანა დედნიდან თარგმანში შესაძლებელია, მაგალითად, ტერმინოლოგიის ან საკუთარი სახელების შემთხვევაში. მორგენშტერნის ერთ-ერთი ოკაზიონალიზმი Exaktfutur ი. ჯიოვეს ფორმით “ეგზაქთფუტ” აქვს შემოთავაზებული:

“პერფექტი და იმპერფექტი  
ითვრებოდნენ ჩუმად სექტით.  
ფუტურუმის სადღეგრძელო  
სათქმელია, – რა გაგწელო.  
ეგზაქთფუტ და პლუსკუამპერ  
მხოლოდ ისხდნენ, თვალს უკრავდნენ.”

ოკაზიონალიზმი Geierlamm უზუალურ სიტყვაში Lämmergeier უშუალო შემადგენელთა გადანაცვლებითაა ნაწარმოები. სიტყვის სემანტიკა და სტრუქტურა საშუალებას გვაძლევს ქართულ ენაში იმავე ხერხის გამოყენებით ვაწარმოოთ ოკაზიონალიზმი “ძერბატკანი”, რომელიც ორიგინალის ექვივალენტი იქნება ყველა თვალსაზრისით.

რაც შეეხება სათარგმნ ენაში ახალი ოკაზიონალიზმის წარმოებას დედანში გამოყენებული ოკაზიონალიზმის ფორმისა და შინაარსის სრული უგულებელოფით, ამის არაჩვეულებრივ მაგალითს ვაწყდებით მორგენშტერნის ლექსის “Werwolf” თარგმანში. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული სიტყვებისა თუ ფრაზების შემთხვევაში მთარგმნელი უარს ამბობს (ან უწევს უარის თქმა) დენოტაციური მნიშვნელობის შენარჩუნებაზე, მაგ., სიტყვას Dorfschullehrer ის თარგმნის, არა როგორც “სოფლის სკოლის მასწავლებელს”, არამედ როგორც “სოფლის მოძღვარს”, ხოლო ფრაზას der seine Pfoten geduldig kreuzte vor dem Toten, რომელიც სიტყვასტყვით ითარგმნება, როგორც “თავისი თათები მოთმინებით გადაიჯვარედინა მიცვალებულის წინაშე”, ის ანაცვლებს ფრაზით “რომელიც მის სიტყვას მორჩილ მოეღის” და ა.შ., უნდა ითქვას, რომ თარგმანი ნამდვილად არის დედნის ეკვივალენტური. მთარგმნელი ამას ახერხებს ტექსტის საკვანძო სიტყვისათვის არაჩვეულებრივი ექვივალენტის გამოძებნით, რომელიც, მართალია, არ ემთხვევა მის დენოტაციურ მნიშვნელობას, მაგრამ, სამაგიეროდ, დიდი წვლილი შეაქვს ლექსის სტილური ეფექტურობის, ავტორის ინტენციისა და ტექსტის საზრისის რეალიზაციაში. საქმე ის არის,



რომ სიტყვა Werwolf ორშემადგენლიანია – კითხვითი სიტყვა wer (ვინ) და მარტივი არსებითი სახელი Wolf. ის საგანგებოდაა შერჩეული ტექსტის ავტორის მიერ მისი სტრუქტურის გამო – აღნიშნული კომპოზიციის პირველი უშუალო შემადგენელი იბრუნვის, მაგრამ არ გააჩნია მრავლობითი რიცხვის ფორმა – ამას კი ავტორის ინტენციის გადმოცემისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. თუ მთარგმნელი უპირატესობას მიანიჭებდა საკვანძო სიტყვის დენოტაციურ მნიშვნელობას და სიტყვასიტყვით გადათარგმნიდა მას, ტექსტი დაკარგავდა ყველაზე მნიშვნელოვანს – მხატვრულ ღირებულებას. მთარგმნელმა არჩევანი შეაჩერა სიტყვაზე “კენტავრი”, რომელიც, გარდა იმისა, რომ მაქციის მსგავსად (Werwolf “მაქციას” ნიშნავს) მითიური არსებობაა, სიტყვის სტრუქტურიდან გამომდინარე იძლევა იმის საშუალებას, რომ მისი პირველი უშუალო შემადგენელი შეიცვალოს ბრუნვის, მაგრამ არა რიცხვის მიხედვით. შესაბამისად, მთარგმნელი ახერხებს, ტექსტში შესანიშნავად გადმოსცეს დედნის შინაარსი და გარდა ამისა, მიაღწიოს იმავე ემოციურ ეფექტს, რაც ორიგინალისთვისაა დამახასიათებელი:

“ერთ ღამეს ერთი კენტავრი  
 ცოლს და შვილს გაეპარაო,  
 სოფლის მოძღვარსა საფლავეში  
 შესთხოვს: „მაბრუნე, რა, ძმაო!“  
 სოფლის მოძღვარი აღმოხდა,  
 საფლავეის ქვაზე ჩამოხდა,  
 მიუგო კენტავრს, რომელიც  
 მის სიტყვას მორჩილ მოეღის:  
 კენტავრი, კენტავრმა, კენტსაურს,  
 კენტისაურის, კენტითაურით, კენტადაურად,  
 და ჰე, შენ კენტოაურავ!  
 სახე ასწია კენტავრმა,  
 გაბრწყინებოდა თვალია,  
 უთხრა: “ეს ერთი, ახლა კი  
 ბევრი მიბრუნე, მადლია!”  
 აქ კი მოძღვარი დაფიქრდა,  
 ჩაფიქრდა მეტად, გაფითრდა:  
 “თუმცა აურები ბევრია მეტად,  
 კენტი კვლავ ისე დარჩება კენტად!”  
 კენტავრს გული დაეთუთქა, -  
 ცოლი, შვილი აღარ უნდა?!

თავად განუსწავლევლობით  
რას იზამდა?! მადლი უთხრა.“

უნდა ითქვას, რომ ლინგვისტი ლ. ბრეგაძე „ამართლებს“ სათარგმნი ერთეულის დენოტაციური მნიშვნელობის გადმოტანაზე უარის თქმას, თუ ეს მხატვრული ტექსტის საზრისისა და ესთეტიკური ღირებულების შენარჩუნებისათვის არის აუცილებელი. თავის წიგნში “პერსონაჟი ხედებიან ერთმანეთს” მას სწორედ ქ. მორგენშტერნის პოეზიიდან მოაქვს მაგალითი:

„Ein Wiesel  
სინდიოფალა  
saß auf einem Kiesel  
იჯდა რიყის ქვაზე  
inmitten Bachgeriesel.  
შუაში ნაკადული მოწანწკარებს.  
Wißt ihr  
იცით  
weshalb?  
რატომ?  
Das Mondkalb  
ხეპრე ადამიანმა (სიტყვასიტყვით: მთვარის ხბომ)  
verriet es mir  
გამიმჟღავნა ეს  
im Stillen:  
საიდუმლოდ:  
Das raffinier-  
რაფინი-  
te Tier  
რებული ცხოველი  
tat´s um des Reimes willen.  
ამას რითმის გამო აკეთებდა.“

ლ. ბრეგაძე ამ ლექსის თარგმნასთან დაკავშირებით წერს: „სრულიად აშკარაა, რომ ამ ლექსის ურთიმოთ თარგმნას აზრი არა აქვს. ირუი ლევი თავის წიგნში „თარგმნის ხელოვნება“ მოჰყავს მორგენშტერნის ამ ლექსის სამი ინგლისური თარგმანი. სამივეში ორიგინალის სინდიოფალას ნაცვლად სხვადასხვა ცხოველები სხედან რიყის ქვაზე, და მაინც სამივე თარგმანი სწორია, რადგან

უმთავრესი ამ ლექსში – მისი რითმათა სისტემა – სწორადაა გადატანილი ინგლისურად“ (ბრეგაძე 1982:6).

ოკაზიონალიზმი საერთოდაა გამოტოვებულია ლექსის “Geburtsakt der Philosophie” ქართულ თარგმანში: ორშემადგენლიანი კომპოზიციის ნაცვლად Menschenmann (ადამიანი მამაკაცი) მთარგმნელი იყენებს მარტივ სიტყვას “კაცი”. შედეგად, ტექსტი აღარ არის სტილურად მარკირებული და მინიშნებაც, რომ საუბარია პირველ ადამიანზე, რომელიც წმინდა წერილის მიხედვით მამაკაცი იყო, იკარგება, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ თარგმანი მაინც არის დედნის ეკვივალენტური კომუნიკაციური თვალსაზრისით (ჩვენი რეკომენდაცია იქნებოდა, მთარგმნელს ნეიტრალური სიტყვის “კაცი” ნაცვლად გამოეყენებინა, მაგალითად, ოკაზიონალური ლექსიკური ერთეული “ადამისძე”, რაც უზრუნველყოფდა ტექსტის სტილურ შეფერილობას):

“წარმართული ცხვარი, მე რომ მინდვარად მნახა,  
შედგა, თითქოს კაცი მხოლოდ ახლა ნახა.  
მხერა გადმომედო. სიზმარია? ცხადი?  
ცხადი! მხოლოდ, თითქოს, ახლა ვნახე ცხვარი.”

და ბოლოს, გვინდა წარმოვიდგინოთ ჩვენ მიერ გაანალიზებული ოკაზიონალიზმების ცხრილი, რომელშიც კარგად ჩანს, რომ სიტყვა-სიტყვითი თარგმანის დროს ხშირად იკარგება როგორც კონოტაციური მნიშვნელობა, ისე სტრუქტურული მახასიათებლები (ოკაზიონალიზმები ნებისმიერობის პრინციპით ავარჩიეთ, + აღნიშნავს, რომ ოკაზიონალიზმში ესა თუ ის ღირებულება წარმოდგენილია, – კი, რომ არა).

	დენოტაციური მნიშვნელობა	კონოტაციური მნიშვნელობა	სტრუქტურა	სიტყვა-სიტყვითი თარგმანი
Menschenmann	+	+	–	ადამიანი-მამაკაცი
Menschenfräulein	+	–	–	ადამიანი-ქალიშვილი
Galgenbruder	+	–	–	სახრჩობელას ძმა
Höllengaul	+	+	–	ჯოჯოხეთის ცხენი
Klabauterfrau	+	+	–	გემის კეთილი სულის ცოლი

Galgenpoesie	+	-	-	სახრხობელას პოეზია
mitternächtigen	+	-	+	მოშუადამება
Himmelshaus	+	+	-	ცის სახლი
Mitternachtsmaus	+	+	-	შუადამის თაგვი
Höllengaul	+	+	-	ჯოჯოხეთის ცხენი
Henkersmädel	+	+	-	ჯალათის გოგონა
Purzeltraum				ყირამალა ოცნება
Windhosenschneider				საქარე შარვლის მკერავი
Geierlamm	+	+	+	ძერბატკანი
Ringelklingelkringelschlingelreihn				ზანზალაკ-წრე-მარყუჟ წრიულ ცეკვა
Exaktfutur	+	-	-	ზუსტი ფუტურუმი
Zahmschwein	+	-	-	თვინიერი ღორი
des Weswolfs				ვისი მგელი
Antisemikolonbund.	+	+	-	ანტიწერტილ-მძიმე-კავშირი
Stiefmilchbruder	+	-	-	ძმისნაცვალი
höllenneiß	+	-	-	ჯოჯოხეთურად ძალიან
entsetzlicher	+	+	-	საშინლად საყვარელი
fernerlauscht	+	+	-	შორიდან ყურმოკრული
durchleidenschaftet	+	+	-	ვნებით შეპყრობილი
wennschonhin				თუმცა
feuerfunkelfarben	+	+	-	ცეცხლის ნაპერწკლისფერი
gotthin	+	-	-	ღმერთისკენ
erdweg	+	-	-	მიწიდან
nachtschluchzen	+	-	-	ღამით ქვითინი
irrschluchzen	+	-	-	გიჟივით ქვითინი

Sitz-Fleisch	+	+	+	ჯდომა-ხორცი
Sitz-Geist	+	+	+	ჯდომა-სული
Afri – od – Ameriko	+	+	+	აფრი-ან-ამერიკო
deinst	+	+	+	უშენესი
Liebchenstche	+	+	+	უსაყვარელუნა
Windelein	+	+	+	ქარუნია
Zwölf-ant				თორმეტი + არსებითი სახელის მაწარმოებელი სუფიქსი
vorderhäuslichen	+	+	+	წინასახლისეული
kosmo-logischer	+	+	+	უფრო კოსმო-ლოგიკურად
hundertweis	+	–	+	ასობით
bebellen	+	–	+	დაყეფვა
ver-erden	+	–	+	გამიწიერება
auserbeten	+	–	+	გამოთხოვა
Ausgewalzt	+	–	+	გაზვიადებული
Verzagt	+	–	–	მხნეობადაკარგული
die nie Erspähten	+	–	–	ვერასოდეს მოუხეტოებელნი
Tellerhafte	+	+	+	თევზისებრი
die Seinen	+	–	–	მისიანი
Pardauz				გაოცების წამოძახილი, როცა ვინმე ან რაიმე მოულოდნელად დაეცემა ან დავარდუბა
Hier und Jetzt	+	–	+	აქ და ახლა
Doch und Wenn	+	+	+	ნეტავ და რომ
Schreibrich				მწერალი
Nichtvielfederlesen	+	–	–	უცერემონიობა
Fragnichtlang	+	–	–	დიდხანს ნუ იკითხავ

ich weiß nicht was	+	-	-	არ ვიცი რა
querüberfeld	+	-	-	გეზად მინდორზე
fensterstehen	+	-	-	ფანჯარასთან დგომა
alleinzig	+	-	-	მარტოერთადერთი
frissfraß				შეჭამ-შემოჭამა

## დასკვნა

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები შეიძლება დასკვნების სახით შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

1. ამა თუ იმ ენის ლექსიკაში სიტყვათა სამ ჯგუფს განარჩევენ: უზუალურს, პოტენცურსა და ოკაზიონალურს. ოკაზიონალიზმები ენის სიტყვათა სიმრავლის ყველაზე დინამიკურ ნაწილს ქმნის. მათთვის დამახასიათებელია: ა) ერთჯერადობა /ხანმოკლე არსებობა; ბ) სიტუაციაზე და კონტექსტზე დამოკიდებულება; გ) ნორმიდან გადახრა; დ) არალექსიკალიზებული/მოტივირებულიობა; ე) სპონტანურობა. ყველა ეს თვისება ოკაზიონალიზმებში ერთნაირი ხარისხითა და ინტენსივობით არ არის წარმოდგენილი. შესაბამისად, განვასხვავებთ პროტოტიპურ (ყველა ტიპური ნიშნის მქონე) და არაპროტოტიპურ ოკაზიონალიზმებს.

ოკაზიონალიზმები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფუნქციური თვალსაზრისითაც. ისინი შეიძლება გამოყენებული იქნენ აქტუალურ სამეტყველო სიტუაციაში ლექსიკური ხარვეზის შევსების, ენის ეკონომიის, სტილური ეფექტის მიღწევის, სუბიექტური განწყობის გამოხატვის მიზნით, ასევე მათ შეიძლება მონაწილეობა მიიღონ ტექსტის ზედაპირული თუ სიღრმისეული სტრუქტურის ბმვაში.

2. ოკაზიონალიზმს განვიხილავთ, როგორც სიტყვას, მაგრამ არა როგორც ლექსემას. შესაბამისად, ერთმანეთისაგან ვმიჯნავთ ოკაზიონალიზმსა და ნეოლოგიზმს. ნიშნები, რომლებითაც ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი სახით: ნეოლოგიზმები ლექსიკის უზუალურ ნაწილს მიეკუთვნებიან, მათ გავლილი აქვთ ლექსიკალიზაციის პროცესი და დაფიქსირებული არიან შესაბამის ლექსიკოგრაფიულ ცნობარებში. შესაბამისად, ოკაზიონალიზმებში არც ერთი ეს ნიშანი წარმოდგენილი არ არის.

3. ოკაზიონალიზმს, რომელსაც სხვაგვარად „ტექსტის სიტყვასაც“ უწოდებენ, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ტექსტის აგებაში. მას, როგორც წესი, აქვს განსაკუთრებული კომუნიკაციური და სტილური ღირებულება და შესაძლებელს ხდის ტექსტისთვის მნიშვნელოვან საგნებსა თუ მოვლენებზე მკითხველის/ მსმენელის ყურადღების ეფექტურად გადატანას. გარდა ამისა, უდავოა ოკაზიონალიზმების როლი ტექსტის კოჰერენციის რეალიზაციაში. თავის მხრივ, ტექსტიც ზეგავლენას ახდენს ლექსიკური საშუალებების, მათ შორის, ოკაზიონალიზმების არჩევანზე და აიოლებს მათ ინტერპრეტაციას.

4. სტილური თვალსაზრისით, ოკაზიონალიზმი არანეიტრალურ, მარკირებულ ერთეულს წარმოადგენს. ის არის ტექსტის პროდუცენტისათვის მიზნის ფოკუსირების, წინა პლანზე წამოწევის, აზრის ექსპრესიულად გამოხატვის საშუალება. ეს გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ოკაზიონალიზმს ახასიათებს ნიშნები “ახალი” (თავისი ფორმის ან შინაარსის გამო) და “თვალშისაცემი”, რადგან მას არა აქვს გავლელი ლექსიკალიზაციის პროცესი და, როგორც წესი, რომელიმე ენობრივი ნორმის დარღვევითაა ნაწარმოები.

5. სიტყვაწარმოებას მოვიაზრებთ, როგორ დამოუკიდებელ ლინგვისტურ დისციპლინას, რომელიც, მართალი, მჭიდრო კავშირშია მორფოლოგიასთან, სინტაქსსა და ტექსტის ლინგვისტიკასთან და მათი კვლევის სფერო და მეთოდები ნაწილობრივ გადაიკვეთება კიდევ, თუმცა, ამავე დროს, სიტყვაწარმოება ავლენს დამოუკიდებელ ლინგვისტურ დისციპლინად ჩამოყალიბების სულ უფრო და უფრო მეტ პოტენციალს, აფართოებს და მკაცრად შემოსაზღვრავს თავისი კვლევის არეალს.

6. ოკაზიონალიზმების სტრუქტურულ-სემანტიკურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ მათ საწარმოებლად სიტყვაწარმოების სხვადასხვა ტიპი გამოიყენება. უზუალური სიტყვების მსგავსად, განსაკუთრებით გავრცელებულია კომპოზიციური და დერივაციული ოკაზიონალური ლექსიკური ერთეულები, ასევე ხშირია კონვერსიის წესით მიღებული ოკაზიონალიზმები. შედარებით ნაკლებად ვხვდებით სიტყვაწარმოების სხვა ტიპების, მაგალითად, რედუქციაციის, კონტამინაციის, იმპლიციტური დერვაციის დახმარებით მიღებულ ახალ ლექსიკურ ერთეულებს. ოკაზიონალიზმები სემანტიკური თვალსაზრისითაც მრავალფეროვნებას ავლენენ. გარდა ამისა, აქ შევხვდებით მნიშვნელობის მეტაფორულ გადაწევას, ეტიმონის გაცოცხლებას, რემოტივაციას, გაპიროვნებას.

7. თარგმანს განვიხილავთ როგორც არა უბრალოდ ერთი ენის ნიშნების მეორე ენის ნიშნებით ჩანაცვლებად, არამედ როგორც ენობრივ და კულტურულ ტრანსფერს, ხოლო მთარგმნელს – როგორც მედიატორს ორ ენასა და კულტურას შორის. მაღალი ხარისხის თარგმანის მისაღებად მთარგმნელის უპირველესი ამოცანა უნდა იყოს დედნისა და თარგმანის ტექტებს შორის დინამიკური ეკვივალენტობის დამყარება, რაც გამოიხატება სათარგმნ ენაზე კომუნიკაციური თვალსაზრისით იმავე ღირებულების მქონე ტექსტის შექმნაში.

8. მხატვრული ტექსტების თარგმნის დროს გადამწყვეტი უნდა იყოს ტექსტის ექსპრესიული და ესთეტიკური ასპექტების გადმოცემა. საკუთრივ ოკაზიო-



ნალიზების თარგმნის დროს კი მთარგმნელს მოუწევს ჩამოთვლილი სტრატეგიებიდან ერთ-ერთის არჩევა. ესენია: ოკაზიონალიზმის გადატანა სათარგმნი ენის ტექსტში, ახალი ოკაზიონალიზმის წარმოება დედანში გამოყენებული ოკაზიონალიზმის მიხედვით, ახალი ოკაზიონალიზმის წარმოება დედანში გამოყენებული ოკაზიონალიზმის ფორმისა და შინაარსის სრული უგულებელყოფით, გამოტოვება და ოკაზიონალიზმის გამოყენება თარგმანის ტექსტის სხვა მონაკვეთში, კომპენსაციის მიზნით.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. არაბული 2001: არაბული ა. ზმნური და სახელური ფუქეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში. თბილისი: „ქართული ენა“, 2001.
2. არონია 2010: არონია ი. კომპოზიტები მეგრულ-ლაზურში. თბილისი: გამომცემლობა “უნივერსალი”, 2010.
3. ბრეგაძე 1982: ბრეგაძე ლ. პერსონაჟები ხვდებიან ერთმანეთს. თბილისი: გამომცემლობა “მერანი”, 1982.
4. გაბეჩავა 1971: გაბეჩავა რ. ქართული სიტყვათწარმოება და მისი სწავლება სკოლაში. თბილისი: “განათლება”, 1971.
5. გამყრელიძე...2008: გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ.. თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008.
6. დანელია 1998: დანელია კ. ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1988.
7. ზურაბიშვილი 1957: ზურაბიშვილი თ. ხარისხი ქართველურ ენებში. თსუ შრომები. ტ. 67, 1957.
8. თოფურია 1936: თოფურია ვ. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები III. პირველი სერია: საზოგადოებათმეცნიერებანი, 1936.
9. თოფურია 1967: თოფურია ვ. შრომები I. თბილისი: გამომცემლობა “მეცნიერება”, 1967.
10. თოფურია 1979: თოფურია ვ. შრომები III. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი: გამომცემლობა “მეცნიერება”, 1979.
11. კვაჭაძე 1969: კვაჭაძე ლ. ქართული ენა, I. თბილისი: გამომცემლობა “განათლება”, 1969.
12. კობახიძე 1986: კობახიძე კობახიძე თ. ტომას ელიოტის პოემის ქართულად თარგმნის გამო. ჟ. კრიტიკა, 3, 1986.
13. ტუსკია 2004: ტუსკია მ. სახელთა აფიქსური წარმოება ახალ სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004.
14. ფანჯიკიძე 1995: ფანჯიკიძე დ. თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა. თბილისი: „განათლება“, 1995.
15. ფანჯიკიძე 1999: ფანჯიკიძე დ. ქართული თარგმანის ისტორიის საკითხები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1999

16. ფონსუა 1974: ფონსუა ბ. ქართული ენის ლექსიკოლოგია. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1974.
17. შანიძე 1973: შანიძე ა. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1973.
18. ჩიქობავა 1940: ჩიქობავა არნ. გრამატიკის აგებულების ძირითადი საკითხები, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე, ტ. I, №2, 1940.
19. Albrecht 1998: Albrecht J. Literarische Übersetzung. Geschichte. Theorie. Kulturelle Wirkung. Darmstadt: Wissenschaftliche Buchgesellschaft, 1998.
20. Albrecht 2013: Albrecht J. Übersetzung und Linguistik. Grundlagen der Übersetzungsforschung II. Tübingen: Narr Verlag, 2013.
21. Bald 1969: Bald W-D. Neologismen der englischen Werbesprache mit dem Suffix -rama. Lebende Sprachen 14. Zeitschrift für interlinguale und interkulturelle Kommunikation, 1969.
22. Barz 1988: Barz I. Nomination durch Wortbildung. Leipzig: Verlag Enzyklopädie, 1988.
23. Barz 2002: Barz I., Schröder M., Hämmer K., Poethe H. Wortbildung – praktisch und integrativ. Ein Arbeitsbuch. Frankfurt am Main. Berlin: Europäischer Verlag der Wissenschaften, 2002.
24. Beaugrande..1981: Beaugrande de R.-A., Dressler W.U. Einführung in die Textlinguistik. Tübingen: Max Niemeyer Verlag, 1981.
25. Behagel 1953: Behagel O. Die deutsche Sprache. Halle an der Saale: Max Niemeyer Verlag, 1953.
26. Brinker 2010: Brinker K. Linguistische Textanalyse. Eine Einführung in Grundbegriffe und Methoden. Berlin: Erich Schmidt Verlag, 2010.
27. Brinkmann 1971: Brinkmann H. Die deutsche Sprache; Gestalt und Leistung. Düsseldorf: Pädagogischer Verlag Schwann, 1971.
28. Bußmann 1983: Bußmann H. Lexikon der Sprachwissenschaft. Stuttgart: Kröner , 1983.
29. Bußmann 2002: Bußmann H. Lexikon der Sprachwissenschaft. 3.aktual. und erw. Auflage. Stuttgart: Kröner, 2002.
30. Catford 1965: Catford J.C. A linguistic theory of translation. An essay in Applied Linguistics. London: Oxford University Press, 1965 .
31. Carstensen 1986: Carstensen B. Beim Wort genommen. Bemerkens-wertes in der deutschen Gegenwartssprache. Tübingen: Narr, 1986
32. Conrad 1985: Conrad R. Lexikon sprachwissenschaftlicher Termini. Leipzig: Bibliographisches Institut, 1985.
33. Christofidou 1994: Christofidou A. Okkasionalismen in poetischen Texten. Eine Fallstudie am Werk von O. Elytis. Tübingen: Gunter Narr Verlag, 1994.
34. Deutsches Universalwörterbuch 1996: Deutsches Universalwörterbuch. Mannheim: Duden. 1996

35. Deutsche Wortbildung 1973: Deutsche Wortbildung. Erster Hauptteil: Das Verb. Düsseldorf : Pädagogischer Verlag Schwann, 1973.
36. Deutsche Wortbildung 1975:Deutsche Wortbildung. Typen und Tendenzen in der Gegenwartssprache. Zweiter Hauptteil. Hans Wellmann:Das Substantiv. Düsseldorf: Schwann, 1975.
37. Dieter...2004: Dieter H., Kinne M., Steffens D. Neuer Wortschatz. Neologismen der 90er Jahre im Deutschen. Berlin: Walter de Gruyter, 2004.
38. Dokulil 1968: Dokulil A. Zur Theorie der Wortbildung. Wissenschaftliche Zeitschrift der Karl-Marx Universität Leipzig, Gesellschafts-und Sprachwissenschaftliche Reihe 17, 1968.
39. Duden 1976-1981: Das große Wörterbuch der deutschen Sprache, Bd. 1-6. Mannheim. Wien. Zürich: Duden, 1976-1981.
40. Duden 2013: Duden online. Internetadresse: <http://www.duden.de/rechtschreibung/Maedel>)
41. Eco 2006: Eco. U. Quasi dasselbe mit anderen Worten. Über das Übersetzen. München Wien: Carl Hanser Verlag, 2006.
42. Eichinger 1982: Eichinger L.M. Zum Ausdruck lokaler und temporaler Relationen in der verbalen Wortbildung. Tendenzen verbaler Wortbildung in der deutschen Gegenwartssprache. Hamburg, 1982.
43. Eichinger 2000: Eichinger L.M. Deutsche Wortbildung. Eine Einführung. Tübingen: Gunter Narr Verlag, 2000.
44. Elsen 2004: Elsen H. Neologismen. Formen und Funktionen neuer Wörter in verschiedenen Varietäten des Deutschen. Tübingen: Gunter Narr Verlag, 2004.
45. Erben 1981: Erben J. Neologismen im Sapnungsfeld von System und Norm. Logos Semantikos. Bd. 5. Geschichte und Architektur der Sprachen. Berlin New York. Madrid, 1981.
46. Erben 1983: Erben J. Einführung in die deutsche Wortbildungslehre. Berlin: Erich Schmidt Verlag, 1983.
47. Erben 1995: Erben J. Wortbildung und Textbildung. Deutsch als Fremdsprache. Festschrift für Gerhard Helbig. München, 1995.
48. Eroms 2008: Eroms H.W. Stil und Stilistik. Berlin: Erich Schmidt Verlag, 2008.
49. Fleischer ... 1993: Fleischer W., Michel G., Starke G. Stilistik der deutschen Gegenwartssprache. Frankfurt am Main: Europäischer Verlag der Wissenschaften, 1993.
50. Fleischer...1995: Fleischer W., Barz I. Wortbildung der deutschen Gegenwartssprache. Tübingen: Max Niemeyer Verlag, 1995.
51. Fleischer... 2012: Fleischer W., Barz I. Wortbildung der deutschen Gegenwartssprache. Berlin Boston: Walter de Gruyter GmbH & Co. 2012
52. Frey 1980: Frey E. Text und Stilrezeption. Empirische Grundlagen zur Stilistik. Königstein: Athenäum, 1980.

53. Gataullin 2000/2001: Gataullin R.G. Probleme der Übersetzung stilistisch markierter und okkasioneller Wortbildungskonstruktionen. Germanistisches Jahrbuch der GUS „Das Wort“, 2000/2001
54. Grewendorf...1994: Grewendorf G., Hamm F., Sternefeld W. Sprachliches Wissen. Eine Einführung in moderne Theorien der grammatischen Beschreibung. Frankfurt am Main: Suhrkamp, 1994.
55. Grimm...1971: Grimm J. Grimm W. Wörterbuch. Erster Band. Leipzig:Verlag von S. Hirzel. 1971. Internetadresse: ([http://woerterbuchnetz.de/cgi-bin/WBNetz/Navigator/navigator\\_py?sigle=DWB&lemid=GK06061&mode=Vernetzung&hitlist=&patternlist=&sigle1=DWB&lemid1=GK06061&sigle2=DWB&lemid2=GK06060](http://woerterbuchnetz.de/cgi-bin/WBNetz/Navigator/navigator_py?sigle=DWB&lemid=GK06061&mode=Vernetzung&hitlist=&patternlist=&sigle1=DWB&lemid1=GK06061&sigle2=DWB&lemid2=GK06060)).
56. Grimm 1878: Grimm J. Deutsche Grammatik, 2. Teil. Neuer vermehrter Abdruck. Herausgegeben von W.Scherer. Berlin: Ferd. Dümmler, 1878.
57. Günther 1981: Günther H. N+N: Untersuchungen zur Produktivität eines deutschen Wortbildungstyps. Wortbildung. Wissenschaftliche Buchgesellschaft. Darmstadt, 1981.
57. Harweg 1968: Harweg R. Pronomina und Textkonstitution. München: Fink, 1968.
58. Herberg...1998: Herberg D., Kinne M. Neologismen. Heidelberg: Groos, 1998.
59. Heusinger 2004: Heusinger S. Die Lexik der deutschen Gegenwartssprache. Paderborn München: Fink, 2004.
60. Hohenhaus 1996: Hohenhaus P. Ad-hoc-Wortbildung. Terminologie, Typologie und Theorie kreativer Wortbildung im Englischen. Frankfurt am Main: Europäischer Verlag der Wissenschaften, 1996
61. Jäger 1975: Jäger G. Translation und Translationslinguistik. Halle: Niemeyer, 1975
62. Kanngießer 1985: Kanngießer S. Strukturen der Wortbildung. Handbuch der Lexikologie. Königstein, 1985.
63. Koller 2011: Koller W. Einführung in die Übersetzungswissenschaft. Tübingen: Narr Francke Attempto Verlag, 2011
64. Kühn 1994: Kühn I. Lexikologie. Eine Einführung. Tübingen: Max Niemeyer Verlag, 1994.
65. Matussek 1994: Matussek M. Wortneubildung im Text. Hamburg: Helmut Buske Verlag, 1994.
66. Michel 1997: Michel G. Okkasionalismen und Textstruktur. Nominationsforschung im Deutschen (Festschrift für Wolfgang Fleischer zum 75. Geburtstag. Hrsg. von Irmhild Barz u. Marianne Schröder). Frankfurt am Main: Europäischer Verlag der Wissenschaften, 1997.
67. Morgenstern 2003: Morgenstern Ch. Gedichte in einem Band. Frankfurt am Main/Leipzig: Insel Verlag, 2003.

68. Motsch 1965: Motsch W. Zur Stellung der Wortbildung in einem formalen Sprachmodell. *Studia grammatica* I. Berlin, 1965.
69. Motsch 2004: Motsch W. *Deutsche Wortbildung in Grundzügen*. Berlin New York: Walter de Gruyter Verlag, 2004.
70. Muhamed-Aliewa 1986: Muhamed-Aliewa N. *Untersuchungen zur polymorphematischen Nominalkomposita in der deutschen Gegenwartssprache*. Dissertation. Universität Leipzig, 1986.
71. Müller-Bollhagen 1985: Müller-Bollhagen E. *Überraschungsfrikadelle mit Chicoreegemüse und Folienkartoffel. Zur Frage "Usuelle oder nichtusuelle Wortbildung?"* Untersucht an Substantivkomposita in Kochrezepten. *Studien der deutschen Grammatik*. Innsbruck, 1985.
72. Naumann 2000: Naumann B. *Einführung in die Wortbildungslehre des Deutschen*. Tübingen: Max Niemeyer Verlag, 2000.
73. Neubert 1981: Neubert A. *Zu einigen aktuellen Problemen der lexikalischen Semantik*. Berlin: Akademie-Verlag, 1981.
74. Nida 1964: Nida E. A. *Toward a science of translating: with special reference to principles and procedures involved in Bible translating*. Leiden: Brill, 1964.
75. Nida 1969: Nida E. A. *Science of translation*. *Language* 45.
76. Oettinger 1960: Oettinger A.G. *Automatic language translation. Lexical and technical aspects with particular reference to Russian*. *Harvard Monographs in Applied Science* 8. Cambridge, 1960.
77. Ortner...1984: Ortner H.-P., Ortner L. *Zur Theorie und Praxis der Komposita-Forschung*. Tübingen: Narr Verlag, 1984.
78. Palm 1983: Palm Ch. *Greule Golch und Geigerich. Die Nabelschnur zur Sprach-Wirklichkeit in der grotesken Lyrik von Christian Morgenstern*. Akademische Abhandlung für das Doktorexamen an der Universität Upsala, 1983.
79. Paul 1920: Paul H. *Deutsche Grammatik, Bd. V, Teil IV: Wortbildungslehre*. Halle: Niemeyer Verlag, 1920.
80. Peschel 2002: Peschel C. *Zum Zusammenhang von Wortbildung und Textkonstitution*. Tübingen: Niemeyer Verlag, 2002.
81. Polenz 1980: Polenz von P. *Wortbildung*. Althaus. *Lexikon der Germanistischen Linguistik*. Tübingen, 1980.
82. Platritis 1992: Platritis Ch. *Christian Morgenstern. Dichtung und Weltanschauung*. Frankfurt am Main: Peter Lang Verlag, 1992
83. Reiß...1984: Reiß K. *Grundlegung einer allgemeinen Translationstheorie*. Tübingen: Max Niemeyer Verlag, 1984.
84. Rossipal 1973: *Konnotationsbereiche, Stiloppositionen und die sogenannten „Sprachen“ in der Sprache*. *Zeitschrift für germanistische Linguistik* 4, 1973.

85. Schippan 2002: Schippan T. Lexikologie der deutschen Gegenwartssprache. Tübingen: Max Niemeyer Verlag, 2002.
86. Schreiber 1993: Schreiber M. Übersetzung und Bearbeitung. Zur Differenzierung und Abgrenzung des Übersetzungsbegriffs. Tübingen: Gunter Narr Verlag, 1993.
87. Schreiber 2006: Schreiber M. Grundlagen der Übersetzungswissenschaft. Tübingen Max Niemeyer Verlag, 2006.
88. Schröder 1978: Schröder M. Über textverflechtende Wortbildungselemente. Deutsch als Fremdsprache 15, Heft 2, 1978.
89. Schröder 1983: Schröder M. Zum Anteil von Wortbildungskonstruktionen an der Konstitution von Texten. Beiträge zur Erforschung der deutschen Sprache 3, 1983.
90. Schröder 1984: Schröder M. Wortbildungskonstruktionen im Text. Wissenschaftliche Zeitschrift (33) der Karl-Marx Universität Leipzig, 1984
91. Schüler 2006: Schüler A. Neologismen als Übersetzungsproblem. Lebende Sprachen 51, 2006
- Seppänen 1978: Seppänen L. Zur Ableitbarkeit der Nominalkomposita. Zeitschrift für germanistische Linguistik 6, 1978.
92. Sowinski 1978: Sowinski B. Deutsche Stilistik. Beobachtungen zur Sprachverwendung und Sprachgestaltung im Deutschen. Frankfurt am Main: Fischer Taschenbuch Verlag, 1978.
93. Sowinski 1991: Sowinski B. Stilistik. Stiltheorien und Stilanalysen. Stuttgart: J.B. Metzlersche Verlagsbuchhandlung, 1991.
94. Spitzer 1918: Spitzer L. Motiv und Wort. Studien zur Literatur- und Sprachpsychologie. Leipzig: O.R. Reisland, 1918
95. Stepanova...1985: Stepanova M.D., Fleischer W. Grundzüge der deutschen Wortbildung. Leipzig: Bibliographisches Institut, 1985.
96. Vannerem... 1986: Vannerem M. Snell-Hornby M. Die Szene hinter dem Text: „scenes-and-frames semantics“ in der Übersetzung. Übersetzungswissenschaft. Eine Neuorientierung. Tübingen.
97. Vater 1983: Vater H. Einführung in die Textlinguistik. München: Fink Verlag, 1983.
98. Vater 1992: Vater H. Einführung in die Textlinguistik: Struktur, Thema und Referenz. München: Fink Verlag, 1992.
99. Walter 1992: Walter M. Stilistische Probleme der Übersetzung. Stilfragen. Herausgegeben von W. Erzgräber und Hans-Martin Gauger. Tübingen: Gunther Narr Verlag, 1992
100. Wanzeck 2010: Wanzeck Ch. Lexikologie. Göttingen: UTB Verlag, 2010.
101. Weinrich 1970: Weinrich H. Erlernbarkeit, Übersetzbarkeit, Formalisierbarkeit. Theorie und Empirie in der Sprachforschung. Festschrift herausgegeben von H. Pilch und H. Richter. Basel, 1970.
102. Wellmann 1984: Wellmann H. Die Wortbildung. Duden, Band 4. Grammatik der deutschen Gegenwartssprache. Mannheim, Wien, Zürich: Dudenverlag, 1984.

103. Wildgen 1980: Wildgen W. Textuelle Bedingungen der Einführung und Verwendung ad-hoc gebildeter Komposita. Vortrag, gehalten anlässlich der Jahrestagung der Societas Linguistica Europea in Budapest, 1980.
104. Willmanns 1899: Willmanns W. Deutsche Grammatik. 2. Abteilung. Wortbildung. Straßburg: Verlag von Karl J. Trübner, 1899.
105. Wills 2009: Wills W. Zur Produktion und Rezeption sprachlicher Zeichen. Zeitschrift für germanistische Linguistik. Band 13, Heft 3, 2009.
106. Winter 1961: Winter W. Impossibilities of translation. The Craft and Context of Translation. A. Symposium, Austin/Texas, 1961.
107. Wladowa 1975: Wladowa E.K. Okkasionelle Wortbildungen mit dem gleichen Stamm als Satz- und Textverflechtungsmittel. Zeitschrift für Textlinguistik, 1975.
108. Wolf 1996: Wolf N. R. Wortbildung und Text. Sprachwissenschaft 21, 1996
109. Wotjak 1982: Wotjak G. Äquivalenz, Entsprechungstypen und Techniken der Übersetzung. Äquivalenz bei der Translation. Herausgegeben von G. Jäger, A. Neubert. Leipzig, 1982.
110. Wörterbücher...1989: Wörterbücher.- Dictionaries - Dictionares. Ein internationales Handbuch zur Lexikographie. Hrsg. von F.J.Hausmann, O.Reichmann, H.Wiegand, L. Zgusta. Erster Teilband. Berlin-New York, 1989.